ყოველივე საქართველოს კნიაზნი ყოვლად მოწყალის გელმწიფის მოწყალებით სარობენ. მე სიბერესა ჩემისა გამო ვზივარ სახლში უნუგეშო და უმოწყალო; ესტირი და ჩემ უბედურებას ვაბრალებ ამას. ყმა აღარ მყავს და სახელო. ასე უნუგეშოთ ვზივარ. წელსა ჩყიბ, დღესა აპრილის ა.

ႧႮႮႮႮ

107. XVI—XVII ს. აკურისის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბატონი ამილამბარი ს მიერ ასლამაზ ბეგაშვილისადმი. დედანი. ზომა 12×12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 14576 Hd.

თარიღი განისაზღვრება დაახლოვებით ხელის მიხედვით.

ამილამბარი ბარათაშვილი უნდა იყოს.

ქ. ვეციდე მე, ბატონმა ამილამბარ, მისმა შვილმა ყაფარბეგ ბატონის ბეგაშვილის ასლამაზისგან, აკურის რაც მისი საკერძო მამული იყო. ამის ფასათ მივართვით ერთი ოქროქსოვილი ხავერდის ტყავი, ათ ძროხათ ნასყიდი, და ერთი ცხენი, ერთი კარგი ფარი¹, ჩახჩურ-მაშია წულა, ერთი ჩექმა. ეს ისრე მოგვირთმეგია და ჩვიდმეტ ძროხათ გარდგუიწყუეტია.

ამის მოწამენი და მახსოვარი არის ბაგრატ თურქისტანიშვილი, ამბალა-შვილი პაპუნა, გამრეკლის-შვილი მხთისია, ქუბაშვილი სუთანა, კახას-შვილი ქრისტესია +.

Verso სხვადასხვა ხელით: კახაბერულისა ბუხაშვილისა ნასყიდი. აკურისის ნასყიდობის წიგნი.

108. XVII ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაატა ტატუას-შვილის მიერ ივანე მღვდლისადმი. დედანი. ზომა 15,5×13 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრ-ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 3805 Hd.

თარიღი, ხელის მიხედვით, განსაზღვრულია XVII ს-ის ფარგლებში.

ქ. ნებითა და შეწვევითა ლთისათა მამისა, ძითა და სულისა წმინდისა-თა მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხან-თა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ტატუას-შვილმა პა(ა)ტამა და შვილმა ჩვენმა გიორგიმა, გიგოლამა, ძულიამა, ქურცაძემა, შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა, ფქვენ, ივანეს მღვდელსა და ძმასა შენსა გიორგისა და შვილსა თქუენსა მახარებელსა, ბერსა, მახუასა, რამაზა-სა, შვილსა და მომავალსა სახლისა თქუენისათა, მოგყიდეთ გძელაი ერთი დღი-სა და სამი მხარი, ავიღეთ თქუენგან ფასი შვიდი მარჩილისა და ორი აბაზი-სა სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგუჯერდებოდა. არის ამისი მოწამე ნადირა და ბერუჟა კახიას-შვილი და მისი ძმა გიორგი და ამირანას-შვილი ივანე. + + + + +

¹ თუ „არი“ (?)

109. XVII ს. ჯავახის-შვილების მიერ „წაღებული“ საქონლის ნუსხა. დედანი. ზომა 41 × 13,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3592 Hd.
თარიღი, ხელის მიხედვით, განსაზღვრულია XVII ს-ის ფარგლებში.

ქ. წაიღო ჩემი ჯავახის-შვილებმან, გოსტიბენ(?) ავთანდილის საქონელთან რომე იყო, მანგე(ლ)მა და გოშფარ.

ქ. ვერცხლის უნაგირი ოთხის თუმნისა და ნახევრისა.

ქ. ვერცხლის რახტი სამის თუმნისა.

ქ. მცირე რახტი ორის თუმნისა.

ქ. ერთი გაშლილი თასი თორმეტის მინალთუნისა.

ქ. (მ)ეორე თასი შვიდი მინალთუნისა.

ქ. ვერცხლის აზარფეშა თხუთმეტი მინალთუნისა.

ქ. ერთი ვერცხლის ხანჯალი რვა მინალთუნისა.

ქ. ვერცხლის ყალიონის თავი ოთხი მინალთუნისა.

ქ. ვერცხლის საყურე ორის მინალთუნისა.

ქ. ქარქაშის ფოლაქები, აბზიდა და კავი სამი მინალთუნისა.

ქ. ვერცხლის ძაბრი თურამეტი (sic) აბაზისა.

ქ. ზარნიშანი ვლმის იარაღი სამთუმნათ ნასყიდი.

ქ. ორი ყალამქრის სუფრა თხუთმეტ მინალთუნათ ნასყიდი.

ქ. ერთი ნაქსვის სუფრა ხუთ მინალთუნათ ნასყიდი.

ქ. სამი დარაის ბოხჩა თვითო ოროლ მინალთუნათ ნასყიდი.

ქ. ერთი სუხანი ხუთ მინალთუნათ ნასყიდი.

ქ. ერთი ვერცხლის მოქედელი სარკე თექსმეტი მინალთუნის.

ქ. ორი ხათაბანდის ყუთები თამასუქებითა და წურიმალითა.

ქ. ორი სხვა მრგვალი ყუთები.

ქ. თორმეტი თუმანი ერასტის ყაფლანიშვილის მეზარა; ისიც ამ წანა-ლებთან იყო¹.

110. XVIII ს.ის დაძვევა. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ბარათასა და მის ძმათა მიერ მათის რძალის მარიამისადმი. დედანი. ზომა 44,5 × 13 სმ. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 3813 Hd.

თარიღდება ხელის მიხედვით, დაახლოებით.

ქ. სახელითა არსება დაუსაბამისა დაუსრულებლისა, მეოხებითა² მამისა და ძისა (და) სულისა წმინდისა(თა) ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, თქვენმ(ან) მაზლის-

¹ ეს უკანასკნელი სტრიქონი მარცხენა აშიაზე სწვრივია დედნის ხელითა და მეღნით.

² დედანში: „მეოხებისა“.

წულეზმის ბარათამ, იოთამ, ზურაბამ, თქვენ, ბატონსა ჩვენსა რძალსა მარიამს, ასრე რომე მამათქვენს პაპუნას კურთხეულისა ბიძისა ჩემისათვის წისქვილი და ბალი გაეცვალა. წისქვილი თქვენი და ზვარი ჩვენთვის მოეცა და ბიძაჩემსა ერთი საკომლო მამული ტბისა და ერთი ხოდაბუნი და ანდრიას საფიჩხულისა ნახევარი მიეცა პაპუნასათვის. ახლა თქვენ მამულისათვის ნასყიდი ზვარი გქონდათ. ის ზვარი და იმ წისქვილის მამულის გამოსაღები და მოსავალი თქვენ მოგცათ ბატონმა. თქვენ წისქვილი და ბალი მოგართვათ და ზვარი(ს) იმ წლის მოსივალი ჩვენ გვიბოძეთ. როგორც ის ზვარი იყო თქვენი ნასყიდი, ახლა ისე ესე წისქვილი არის თქვენი ნასყიდი. თავად ღმერთთა მოწამე, მერმე შისი წმინდანი. (კაცთაგან) აღუა ბედინიშვილი, ქაბუჯა თამაზას-შვილი. მე, თვედორეს ვაკელსა მღრდელსა (sic) დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი.

+++ |□| □| □|¹.

111. XVIII ს-ის დასაწყისი. სახლთ-უხუცის ამილბარის კურქლეულის ნუსხა. დედანი. ზომა 43,3 x 13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ვანკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 1873 Ad. პალეოგრაფიულად საბუთი XVIII ს-ის დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს.

ქ. არის სახლთ-უხუცის ამილბარისა სარაყე ქვაბი ორი თავის ზარფუშითა და მილებითა; ერთი დამტრეული სარაყე ქვაბი სხვა(ა)რის, ერთი ორყული ქვაბი სხვა.

ქ. რთხი მისი შადარებული ქვაბი.

ქ. სამი იმის მომცრო ქვაბი.

ქ. თანგირა ორი.

ქ. ორი ტაფა თულჯფთანი.

ქ. ორი ქათქირი, ერთი სუფარა ყაშული.

ქ. ლაგანი თავის თავსაბურავითა.

ქ. თითრბის სასანთლე ორი დიდი.

ქ. ბაშყაბი(?) ორმოცდათქსმეტი.

ქ. ნალბაქი ოცდაოთხი.

ქ. თხუთმეტი დიდი ჯამი, ხუთი მომცრო ჯამი, ერთი კიდევა დიდ(ი) ჯამი.

ქ. სამი საყთასი ჯამი, სამი კალის თეფში.

ქ. ცამეტი ურუმლი მათლაბა საყთასი.

ქ. საძროხე თეფში თოთხმეტი.

ქ. ხუთი მომცრო ყაბი და ზარფუშითა.

ქ. ორი წრილი ბაშყაში თავის ზარფუშითა, ერთი ჩამჩა.

¹ სამი მურის ბეჭედი.

- ქ. ერთი დიდი ლანგარი.
- ქ. სამი ბადია, ერთი სანაყურე.
- ქ. ერთი სათლი თავის თავსახურავითა.
- ქ. ერთი თუშ-ფალანგი.
- ქ. სამი სპილენძის სამარილე, ერთი კალის.
- ქ. ერთი კალის სანაყურე.
- ქ. ფისოლი ორი, ფედანი ერთი თავსახურავითა.
- ქ. სპილენძის სურა სამი.
- ქ. ალთათა ხუთი.
- ქ. თუნგი ორი.
- ქ. საღვინე თუნგი დიდი ერთი.
- ქ. სპილენძის კოკა ერთი.
- ქ. ორი ყალიონი თუთია და სპილენძი.
- ქ. ძაბარი ორი, თულუფთანნი ერთი სპილენძი.
- ქ. ფარანი ორი.
- ქ. მამის ჩემჩსა ყაბი თავის ზარფუშითა.
- ქ. კიდევ პატარა თეფში თავის ზარფუშითა.
- ქ. ხუთი საძროხე თეფში, ერთი მათლაბა.
- ქ. ორი ბადია.
- ქ. ერთი ჩამჩა, ერთი სუფთა ყაშული.
- ქ. ორი სანაყურე ერთის ნალბაქითა.
- ქ. ერთი სინი.
- ქ. ერთი ტაფა.
- ქ. ერთი თანგირა.
- ქ. განჯილამ მოვი(ი)ტ(ა)ნე, ქვაბი სამი, საცხრე, ტასტი საბანოე ერთი; წრილი ტასტი ორი, საძროხე თეფში ორი, დიდი ჯამი ორი.
- ქ. რაც მას უკან მოვიტანე არ დამიწერია.
- ქ. სარლენძის თავილი ქვაბისა, თეფშისა.

112. XVIII ს-ის დასაწყისი. ფიტარეთის მონასტრის ნივთების ნუსხა. დედანი(?)--
ზომა 20,4 x 9,8 სმ. დაწერილია თეთრ ქადალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად-
ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 1910 სმ.

პალეოგრაფიულად საბუთი XVIII ს-ის დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს.

(ქ.) ღთისმშობლის ფიტარეთის საქონელი. (ქ.) ოქროს ჯაქვი ა. ქ. ოქროს მუშაბალი დიდი ზ. ქ. ოქროს საჯლის დიდი გ. ქ. კავი ა. ქ. ზურმუხტის ბეჭედი ბ. ქ. ლალისა ა, ქ. ფირუზისა ვ, ქ. წითლის იაგუნდისა ა, ქ. მარგალიტისა ბ, ქ. შვიდთვალის მარგალიტისა ა, ქ. ხუთთვალის სხვა ა, ქ. წითლის იაგუნდისა სხვა კიდევ ბ, ქ. თეთრი იაგუნდისა ა, ქ. ჭიქის ოქროს ბეჭედი დ, ქ. სეილალის ა, ქ. აინალურისა ა, ქ. იამანისა ა, ჯუშმალის კდ. მურ(ა)სა თვალის ფირუზისა ა. კიდევ მურ(ა)სა ფირუზის ვ. ქ. დიდი მურასა ა. მურასა იაგუნდის

თ. ქ. ბადახშანი ლალი ბ. დიდი მარგალიტი ა. ლურჯი იაგუნდი ბ. სეილა-
ლი ბ. პატარა ლალი ა. კიდევ ლურჯი იაგუნდი დიდი ა. თეთრი იაგუნდი ა.
გაჭვრეტილი ლურჯი იაგუნდი ა. კიდევ გაჭვრეტილი წითელი იაგუნდი გ. კი-
დევ გაჭვრეტილი ლურჯი იაგუნდი ა. დიდი სრავი ა. სხვა სეილალი დ. სა-
რევი(?) ბევრი, კიდევ სეილები დ. იმანები დ. მძივები ფლური ბ¹. სულხან
ისესხა ფლური დ. სულხანს ემართა და მოიტანა ფლური დ. ყვითელი თვალი ა.

ეს დიად აღრინდელია, ნუსხას უკან ბევრი სხვა შესწირვია. საბას(?) და-
წერილი ნუსხა აღრინდელია.

ქ. ყაფლანის ვერცხლის ქამარი, ჩამოსხმული, მარჩილი კ. ვერცხლის დიდი
თასი ჭრელი ა და ვერცხლის კიდევ თასი დ.

ფიტარეთის მღთისმშობლის საქონლის ნუსხა.

13. 1715 წ. სამღერეთის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ მროველის
მიერ თავისი რძლის მარიაში სადში. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 14265 Hd.

ქ. შენი ჭირი შენს მროველს შეეყაროს ჩემო დამტირებელო რძალო,
ბატონ(ო) მარიაჲ, მე ასეთი რა მექნება, რომ შენტვის და შენი ქმრისა და
მაზლისათვის მშურდეს. ამ გელათ არაფერი დამესწრა რა და ჩემის ალაღის
კონდაკით მოგებულის თეთრითა, ჯერ რომ საცელო არა მქონდა, მაშინდელი
ნასყიდი სამღერეთს მთიულის მამული შენტვის მამირთმევეა. ორი თუმანი და
ნახევარი შენის ქმრის თეთრისა დამიხარჯავს და სხვა ჩემით მიყიდი. თერთ-
მეტი თუმანი და ნახევარი პირველად რომ ვიყიდე, მაშინ მივეც და მასუკან-
დელი შემატებული სხვა არის. იმ მამულში შენს მაზლს ვახტანგსაც წილი-
უძევს, ორთავესია. ღმერთმან შენის ქმარის და მაზლის სიცოცხლეში მშვიდო-
ბით მოგახმაროს. არავისი საცილო და სალაპარაკო არ არის. სანამდი ცოც-
ხალი ვარ, მთიულს კი ვერ დაგანებებ, დიად პატარა გამიზღია. ჩემს უკან-
რაც გინდათ უყავით. და თუ არ დამივიწყებთ, თქვენვე გიჯობსთ. თუ არა-
და რაც გინდა ის ქენით. ქს აქეთ ჩლიე.

ნიკოლოზ².

1 აქ მიწერილია კიდევ: "დ".

2 ხელრთვა.

§ 14. 1700—1724 წ.წ. ყმათა ნასყიდობის წიგნი, მიცემული ასლან და ავთანდილა (თარხნის-შვილების) მიერ მათი ძმის ქაიხოსროვისადმი. დედანი. ზომა 43x18 სმ. დაწერილია თეთრ ქალღმერთ მხედრული ხელით. კანკეთ ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3689 Hd.
თარიღდება XVIII ს-ის პირველი მეოთხედით; რადგან შიგ იხსენიება დომენტი კათალიკოსი.

ქ. ნებითა და შეწვენითა მლთისა მამისა, ძისა, სულისა წმიდისა, აწდა ჩვენის ყოვლის დედოფლის მლთისმშობლისა მარადის ქალწულის მარიამისიგა, ზეცის ძალითა და ანგელოზითა ოხითა და მეოხებითა, ამათის შუამდგომობითა¹ და თავდებობითა, ათორბეტის მოწაფის, მოციქულითა პეტრე და პავლე-სითა, მთავარანგელოზის მიქელ და გაბრიელისითა, იოვანე მახარობლისა, იოვანე ოქროს პირისა (sic), იოვანე ნათლის(მ)ცემ(ლ)ისა, ამათისა შუამდგომობითა და თავდებობითა სამას სამოცდა სამის წმინდა გიორგითა (sic), წმინდისა გიორგისა არატენისა(?), წმინდისა გიორგისა გორისჯვრისა, წმინდისა გიორგისა საყდრიონისა, წმინდისა გიორგისა ბოქორნისა (sic), წმინდისა გიორგისა თაქთაქისა (sic), წმინდისა გიორგისა თელეთისა, წმინდისა გიორგისა მოლნინისა, წმინდა სვეტისმცხოვლის (sic) და ხატი მახტებისა(?), პირმა მლთისმშობლისითა, —ამათის შუამდგომობითა და თავდებობითა ესე უთ(უ)ო და უთუმიცო, დროდაუდებელი და მიზეზშემოუღებელი, ყოვლის ილე-თისაგან და ჩხუბისაგან გამოსული და გამოწმინდული(sic), (მ)კვიდრი, საბოლო(ო)თ გამოსადეგი, ხანთა და ყმათა გასათავებელი ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ და ჩვენ მეითარ მანუ-ჩარის ძე ქალაქის მოურავის პატა-ბეგის შვილებმა ასლანმა []² და ავთანდილაბა []² შენ, ჩვენსა უნცროს(ს)ა ძმასა ქაიხოსროვსა. ასე რომე, სამნი ძმანი ვიყავით; ჩვენ უშვილონი ვიყავით და ჩვენის სიცოცხლის დროს მოვინდომეთ ჩვენის წილთა, რაც გვერგებოდეს, თუ ყმისა, თუ მამულისა, სახლებისაგან, თუ აბანოს იჯარისა, თუ ბალისა, თუ ქვემო-სოფლის ღალისა. და ვახტანგანთ სახლის კაცებზედა ლაპარაკი მოგვიხდა. ო(ჰ)ანასა და თავისი ძმასა გოგინასა თავი იმიტომ დავასხნევიანეთ, რო უნდა წმინდა სვეტის მცხოველსა უნდა ემსახურონ. ამათი ფასი დომენტი კათალიკოსის ხელითა მოგვბარდა. წელიწადში ორთავ ხუთი მინალთუნი საკმელ-სანთლისათვინა და საწირავისათვინა უნდა მიაართონ კათალიკოსს. და მამაჯანა, სა(ჰ)აკა, აფრიამა და ასრათა და პაპუნა და თადიკანთ ტერ-ნერსესას-შვილი ტერ-დავითა, ესენიც შენ, ქაიხოსროვს, უნდა ეემსახურონ. გქონდეს და ლთმან გიბედნიეროს. ამისი ფასი მოგვბარდა, წიგნებიც შენვე მოგეცით. ამისი ყაბული ვართ [] []³. არის ამისი მოწამე თავთა ღმერთი, მისნი ყოვლა წმიდანი ზეცისა და ქვეშისა ზორციელი და უზორცო. კაცთაგან რუს ხემწიფის ვეზირი შაგედან(?) ელჩიბაში

¹ დედანში: „შუამიზდგომობითა“.
² ბეჭედი არაბული ასოებით.
³ ორი ბეჭედი ასლანისა და ავთანდილის.

შეზიადენ |□|¹ და ციხელი ალა ალი ყული-ბეგ |□|²; ასან-ალა |□|², მამად-მირზა-ბეგ |□|³ და მდივანი ედიშელა—ედიშერ³ და მუშრიბი ბაინდ(უ)რა—ბაინდურ³ და ხოჯა ისი-ალა. და მე, იოვანე ბერსა, დამიწერია, ასლანას და ავთანდილას სიტყვითა, და მოწამეცა ვარ. ონოფრე ბერის წიგნი ბათილი არის, ასლი წიგნი ეს არის. ო(პ)ანა და გოგინა ორთავე, ამაში რომე ხუთი მინალთუნი სწერია, სვეტის-მცხოველსა უნდა მიართონ. დაიწერა მარტის კზ.

გ ა ნ ი ს ა შ ი ა ზ ე: ქ. არიან ამისი მოწამე ასლანას და ავთანდილას სიტყვითა მილდისი ნასყიდამა +

ქ. მილდისი ზურაბასშვილი მილდისი ისამა და ფონ-დანთ ქრიქურამა |□|⁴ |□|⁴.

115. 1737 წ. შამშადილოელი ოჯალ-ოღლი უსუფას არხა მეფისადმი აკლებული და-დაკაუფული საქონლის თაობაზე. დედანი. სამ ადგილას გახეულია. ზომა 31 x 16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 3628 Hd.

ქ. ლ^თნ მოწყალემან ბედნიერის კელმწიფის ქირი მათ ფერკთა მტვერს შამშადილოელთ იჯალ-ოღლი უსუფას მისცეს. მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს და მე ყუშჩის გულისათვის ზევლად მამცეს და მერმე რაც გვებადა სულ აიკლეს და ბიძაც მამიკლეს და ყუშჩიც ხომ თქვენის ბძანებით აიყარა და ნუსხა გვაქეს რომ რაც გაგვსლია:

- | | |
|--------------------------------------|-----------------------|
| ქე ქ. ნალდი თეთრი (25 თუმანი). | დ ქ. მოვი. |
| ფე ქ. კიდევ ნალდი თეთრი (16 თუმანი). | დ ქ. მოვის პერანგი. |
| ზ ქ. ვერცხლის ქამარი. | ზ ქ. ყუთნი. |
| გ ქ. ვერცხლის რახტი. | გ ქ. თოფი ბაბამითი(?) |
| ბ ქ. ოქროს სისილა. | ბ ქ. თოფი ჩითი. |
| შ ქ. ოქროს საშუბლე. | დ ქ. ლეინი. |
| დ ქ. ოქროს საპყური. | კბ ქ. ცხენი ქაკი. |
| გ ქ. ვერცხლის ექალი. | ტ ქ. კრავიანი ცხვარი. |
| გ ქ. ვერცხლის თასი. | ბ ქ. ცხენი. |
| გ ქ. ვერცხლის ნალბაქი. | იდ ქ. კამბეჩი. |
| გ ქ. ზარნიშანი თოფი. | კბ ქ. ხარი. |
| | კს ქ. ფური. |
| | აე ქ. მოზვერი. |
| | |

¹ ბეჭედი შუაში არაბული წარწერით. ქობაზე ქართულად „შეზიადენ“, და რუსულად „MIN“.

² ბეჭედი არაბული წარწერით.

³ ხელთეცა

⁴ ბეჭედი სომხური წარწერით.

მარჯვენა აშიაზე: ქ. ალავერდი-ბეგიც რომ გამოურთმევია ცხენი
ბ, ხარიც ბ.

ქ. სპილენძიული.

უკანამხარეს შერჩენილია უკანასკნელი ორი სტრიქონი:

ა ქ. ქესა ქამარი.

ა ქ. საპირისწამლე.

აქვე იმავე დროის დედნისგან განსხვავებული ხელით:
ქკს უკე ამ წლის სათუმანიშვილოს ანგარი(ში).

აქვე ზემო აშიაზე სხვა ხელით: ქ. შამშადილოე(ლ) ოჯალ-ოლ-
ლის არზა.

116. 1739 წ. ხელთუბნის ღალა. დედანი. ზომა 50 x 12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე გორ-
ჯასპი თუმანიშვილის ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3904 Hd.
როგორც ჩანს ამ საბუთის ქაღალდი უწინ თვით გორჯასპის მიერ გამოყენებული ყოფი-
ლა სულ სხვა ნუსხისათვის (კარზე ყოველდღიური ღვინის ხარჯისა), რომლის გადარჩე-
ნილი ნაწილი აქვე მოგვყავს. „ხელთუბნის ღალა“ დაწერილია შემდეგ მეორე გვერდზე.

ქ. ქკს უკზ, ხელთუბნის ღალა.

ქ. კობლეს-შვილისა ასანას მიწაში ყანა სამეული ივ, ამის ღალა კოდი ა.

ქ. როსტეფას მიწაში სვიმონას-შვილისა ყანა ურემი დ, ამისი ღალა კოდი ვ.

ქ. ბუძმურის მიწაში მარიჯანის-შვილისა ქერი ურემი ა, ამისი ღალა
კოდი ბ.

ქ. ავაქას-შვილის ნასახლარში სობელი მამასახლისის ქერი ურემ ი, ამი-
სი ღალა კოდი ა.

ქ. აღხაზას მიწაში მარიჯანას-შვილის ქერჭრელი სამეული ივ, ამისი
ღალა კოდი ა.

ქ. ედილას-შვილის ნავენახობში დოვლათას-შვილისა და კობლეს-შვილისა
ქერი ურემი ბ, ამის ღალა კოდი დ.

ქ. ბერიას-შვილის ნავენახობში მარლის-შვილის ქერი ურემი ა, სამეული
გ, ამისი ღალა კოდი ბ, ჩანახი ბ.

ქ. აბდულანთ მიწაში ბერელასი ახალთესლი ურემი გ, ამისი ღალა
კოდი ზ.

ქ. ყრუ ნადირას ვენახში ნინიკას-შვილის ქერი ურემი ა, ამის ღალა
კოდი ბ.

ქ. აკოფაშვილისა თავის წილად ნავენახობში ქერი ურემი ა, ამის ღალა
კოდი გ.

ქ. ასანას ხოდაბუნში ყარდაშას ყანა ურემი ე, სამეული იშ, ამის ღალა
კოდი შ.

ქ. ჩარუხას-შვილის ნავენახობში ყარდაშას ქერი ურემი ა, ამის ღალა
კოდი ბ.

ქ. გივნას-შვილისა ჩარუხანთ ვენახში ყანა ურემი ა, ამისი ღალა კოდი ა.
ქ. გორჯასპისა აბდულანთ მიწაში ყანა ურემი ე, ამისი ღალა კოდი ზ.
ქ.¹ ამისიე ქერი აბდულანთ მიწაში ურემი გ, ამისი ღალა კოდი ვ.
ქ. თაყას ხოდებუნში ყარდაშას ქერი ურემი ო, ამისი ღალა კოდი ა.
ქ. ალხაზას ვენახში ქრისტეფორეს ქერი ურემი ა, ამისი ღალა კოდი გ.
ქ. ასანას ჯალაბისა ყანა ურემი ზ, ამისი ღალა კოდი ო.
ქ. ცარიალას-შვილისა აბდულანთ მიწაში ყანა ურემი ა, სამეული ე, ამი-

ღი ღალა კოდი ა, ჩანახი ე.

ქ. დავრეშას-შვილისა ასანას მიწაში ყანა ურემი მ, ამისი ღალა პური კოდი ია.

Verso:

„...ეს ჩარეკა ა, შათირებს ლიტრა ო, თამაზს და ყულუხჩებს ლიტრა ა, ალიას და ბიძინას ლიტრა ო.

ქ. შათათის ხარჯის ჯამი ლიტრა თ, ჩარეკი გ.

ქ. აღდგომას სადილათ მეჯლისი იყო, დაიხარჯა ლიტრა ი, ვახშმათ ლიტრა ბ. ჯორები ვიყიდეთ, იმათ მივეცით ლიტრა ა. ქაზუმას ლიტრა ა, სუფრაჯს ლიტრა ა, ჯილავდრებს ჩარეკა გ, სვიმონს ლიტრა ო, ყაფჩებს ლიტრა ო, ტყეებს ლიტრა ა, პატარა იათიმებს ლიტრა ო, მხარეულებს ლიტრა ა, ეშიკ-აღასის ბიჭებს ლიტრა ო, შათირებს ლიტრა ო, ფარეშებს ლიტრა ო, მდივანს ლიტრა ო, მუხრან-ბატონის შვილს ლიტრა ო, ხაბაზს და მეგოდრეს ლიტრა ო, მეჯორეს და შესაკლავეს ლიტრა ო, აღას და ბიძინას ლიტრა ა, თამაზს და ყულუხჩებს ლიტრა ა, ვეკილხარჯს და მეტიკისპირეს ლიტრა ა, სარვანს და ს(ა)ყას ლიტრა ო.

ქ. იქნა აღდგომის ხარჯის ჯამი კოკა ბ, ლიტრა ბ, ჩარეკი გ.

ია ქ. ორშათათს დაიხარჯა ბატონთან იახტანში ლიტრა ბ, ტყეებს სადილ-ვახშმათ ლიტრა ა, შათირებს ლიტრა ო, მეჯინიბეს და ჯილავდარებს ლიტრა ა, მდივანს და მუხრანის ბატონის-შვილს ლიტრა ო, მეჯორეს ჩარეკი ა.

ქ. ორშათათს ხარჯის ჯამი ლიტრა ე, ჩარეკი ა.

იბ ქ. სამშათათს ბატონთან იახტანში ლიტრა ბ, ვახშმათ მეითარს თავის თაბუნით ლიტრა ო, სვიმონს და ბურდიას-შვილს ლიტრა ო, ოტიას თავის თაბუნით ლიტრა ო, ტყეებს ლიტრა ა, მუხრან-ბატონის შვილს ლიტრა ო, მდივანს ლიტრა ო, მეჯორეს ჩარეკა ა.

ქ. სამშაბათს ხარჯის ჯამი ლიტრა დ, ჩარეკა გ.

იგ ქ. ოთხშათათს იახტანში ღვინო ლიტრა ბ, ალიყულიბეგის ტყეებს მივეცით ლიტრა გ, ტყეებს სადილ-ვახშმათ ლიტრა ა, მუხრან-ბატონის შვილს ჩარეკა ა, მოსესას ჩარეკა ი, ვახშმათ ბატონთან².

ქ. ოთხშათათს ხარჯის ჯამი ლიტრა ვ.

იდ ქ. ხუთშათათს ბატონთან სადილი ლიტრა ა, ვახშმათ ბატონთან ლიტრა ბ, აღასა და თამაზს...ნას ლიტრა ო, ხერგუმას ჩარეკა ა, მოსე(სას)...

¹ მარცხენა აწიბზე დედნის ხელით და მეღმინით სწერია: „ქ. ჯამი პური კოდი მზ, ქერი კოდი ღდ, ჩანახი ე“.

² ეს ორი სიტყვა წაშლილია.

117. 1741 წლ. მარტის 31. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული იასე სოლოღას-შვილის მიერ იოსებ წინამძღვრის-შვილისადმი. ახალი დროის პირი, ვად-მოღებული ჩვეულებრივი რვეულის ფურცელზე, ასეთი სათაურით: „მიბარების წიგნი, 5,2 x 11 სანტ., დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით, XVIII საუკ.“
საქ. სახ. მუხ. № 11312 Hd.

ქ. მამებარა მე, სოლოღას-შვილს იასეს, იოსებ წინამძღვრის-შვილისაგან-ხუთი მილანთუნი (sic) და ათი შაური თეთრი ვახტანგ ყაფლანის-შვილის ხან-ჯლის ფასი. მარტის გასულს, ქკს უკთ.

იესე ¹

118. 1750 წლ. ივლისის 28. წილის ბარათი, ნაბოძები თეიმურაზ II-ის მიერ. დედანი-ზომა 14,3 x 10,2 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განვე. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 1153 Hd.

ქ. ერთწილათ წაბლოანას მახარებლის ნადირას მამული, დღეს რაც-არის, ერგო ბერს.

მკათათვის კმ, ქკს ულმ.

უა მრ მფდ ც
ხბლი თეიმრზ
ის დმტკცბლი ²

119. 1750 წლ. ივლისის 28. წილის ბარათი, ნაბოძები თეიმურაზ II-ის მიერ. დედანი. ზომა 16 x 11 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განვე. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 1154 Hd.

ქ. ერთწილად ღვერთეთს გვრიტიძე ქიტესას შვილები აყრილი³, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, იმ მამულით ერგო გიორგის.

მკათათვის კმ, ქკს ულმ.

უა მრ მფდ ც
ხბლი თეიმრზ
ის დმტკცბლი ⁴

¹ ბეჟედი.

² მურის ბეჟედი, ოთხკუთხედის მოყვანილობისა.

³ ეს სიტყვა სხვა ხელითაა ჩამატებული.

⁴ მურის ბეჟედი, ოთხკუთხედის მოყვანილობისა.

120. 1750 წლ. ივლისის 28. წილის ბარათი, ნაბოძები თეიმურაზ I-ის მიერ. დედანი. ზომა 16×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1155 Hd.

ქ. ერთწილად ნულს საყვარელიძე გიორგი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, თავისის მამულით ერგო ბერს.

მკათათვის კვ, ქეს ულმ.

უფ მრ მფდ ტ ნბლი თეიმრზ ის დმტყიტალი
--

¹

121. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 11,8×5,1 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1058 Hd. თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად ღვერთეთს მკედლიშვილი, გოგიაშვილი და ბერი, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, ამაზედ აძეს იქივ² იორდანეს მამული, ერგო კოსტანტ(ილეს).

122. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 11,8×5,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1059 Hd. თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd..

ქ. ერთწილად ღვერთეთს კოჭატაძე გიორგი და იმარინდო (sic) თავის ძმისწულებითა და მზარეული ჯოხაძე, ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, ერგო ელიზბარს.

სხვა ხელით: ქ. ღვერთელი ბარათი.

¹ მუროს ბეჭედი, ოთხკუთხედის მოყვანილობისა.

² არ იკითხება ორი-სამი ასო.

123. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 11×5,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1163 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად ნულს ერთპირად სუხიაშვილები თავისის ნაცრის გორითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო ელიზბარს.

124. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 12×6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1178 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად სატივეს სარაჯი გელია, ოდრგძელის(?) მამულითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო კოსტანტილეს.

125. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 11,8×6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1177 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად სატივეს ნოზაძე ღონია, ლაზარეს ნახევარი მამული ამაზედ აძეს, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო კოსტანტილეს.

126. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 14×5,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 1179 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად ფცას ბოჟაძე შემაზა და ლაზარე, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ამაზედ აძეს სატიველი მამაუკა უმამულოდ, ერგო კოსტანტილეს.

127. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 13,4×14,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 1180 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად ახნეურისშვილი (sic) ძვიმლეთს (sic) ტატიშვილი ოთარძ, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო კოსტანტილეს.

128. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 12×4,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 1214 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად თორმანეულს ჰავლეშვილი დათუ(ნა) და თამაზა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო კოსტანტილეს.

129. 1750 წლ. ახლ. წილის ბარათი. პირი. ზომა 14×5,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 1176 Hd.
თარიღისათვის შდრ. აქვე საბუთები №№ 1153—1155 Hd.

ქ. ერთწილად ბროწლეთს კიკლაშიძე პაატა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ამაზედ აძეს გაგნიძე ბერი თავის ძმების მამულითა, ერგო კოსტანტილეს.

130. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. თუმანიანთ ფარჩის ნუსხა. დედანი. ზომა 15×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 3721 Hd.
თარიღდება ხელის მიხედვით, XVIII ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

ქ. თუმანიანთ რომ ფარჩა მოგვეცეს თარისა.
წ. ცვ (თორმეტი მინალთუნი ქ. მწვანე დარაიბაფთი მდაბალი ა.
და ათი შაური)

ძფ (სამი მინალთუნი
და ათი შაური)
ქნ (ცამეტი შაური)
ტნ (შვიდი შაური)

ქ. ნისპა შეიდიში ა.

ქ. ჩითი ქაშანისა თოფი ა.

ქ. შავი ხელსახოცი ა.

ქ. ესე(ე)ბი გავყიდეთ, ჯ (შვიდი მინალთუნი) ამის-
თვის გამოგვართვეს. ზ სამი მინალთუნისა¹
ფარჩის მოძემაზედვე (sic) ფარჩა ნაკლები-
მოგვცეს და ნიმ და იეჟი არისო.

131. XVIII ს-ის შუახანები. ყიზილბაშობის დროს წანართმევი საქონლის ნუსხა უცნობი პი-
რისა, პირი(?). ზომა 43x14 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მსედრ. ხელით. განკვეთი-
ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3667 Hd.

ქ. ბიძა ჩემმა ქაიხოსრომ რომ ამიკლო ყიზილბაშობასა, მაშინ რაც
წაიღეს, ამას ქვევით სწერია.

ქ. ა ოქროს ამბარჩა, იბ ლალის თვალი უხსდა, ვ მომცრო აღმასი გა-
რეშემო უჯდა, იბ იაგუნდი უჯდა და ბოლოზედ ე სინსილა ოქროს ჯაქვე-
ბით ჰქონდა.

ქ. ა ოქროს სირიზა.

ქ. ა ბეჭედი მინაქარი ოქროსი, გ დიდრონი თვალი უჯდა, ერთი ყვითე-
ლი იაგუნდი, ერთი მწვანე ზურმუხტი, ერთი წითელი იაგუნდი, შუაზედ აღ-
მასი უჯდა.

ქ. გ სხვა ოქროს ბეჭედი ამ ბეჭედს გარდა.

ქ. ა იაგუნდისა, ა ზურმუხტისა და ა ლალისა.

ქ. ა ბეჭედიც კიდევ მარგალიტისა.

ქ. ა საყბურე მარგალიტისა თორმეტის თავის ქულიჩებითა და თვლებითა.

ქ. ბ ვეცხლის თასი, ა მგრგვალი და ა გადაშლილი.

ქ. მ მარცვალი იაგუნდი.

ქ. ა ოქროს ღილი თვლებიანი.

ქ. ე მარცვალი სადილე მარგალიტი დიდრონი.

ქ. კ დიდრონი ვერცხლის ღილი ოქროთ დაფერილი.

ქ. ბ სტილი ვეცხლი ნაშალი.

ქ. ბ ვეცხლის საბეჭდავი დიდრონი, რომ მამის ჩემის სახელები ეწერა.

ქ. ა ვეცხლით მოჭედილი კულა, ძირიცა და ყელიც.

ქ. ბ რახტი ა ვეცხლისა და ა თითბრის აზრუმული.

ქ. ა ფარი ქარგაოდნისა ოქროს ზანიშინიანის ფოლაქებითა.

ქ. ა თოფი ქარული ოქროს ზანიშინიანი.

ქ. ა დიდი ზანდულჩა საწვრიმალთი სავსე, რაც საბატიო (sic) კაცი-
შვილს ჰქონია და საწვრიმალს გარდა ამ ზანდულჩაში იღვა.

¹ ე. ი. „ოცდასამი მინალთუნის“

- ქ. დ დიდი ქარვის კრილოსანი.
- ქ. დ ფაზარი ამას გარდა.
- ქ. ა კოლოფი, რომ შიგ იდგა მამულებისა ნასყიდობისა, გადაწყვეტი-
ლობისა და. კელწიფეთ ნაბოძებებით წიგნებით სავსე წყალობისა.
- ქ. ა დარაიბავთის კაბა
- ქ. ა ხარბაბის სარტყელი თავისის ბოღჩით.
- ქ. ა უხმარებელი ყალამქრის საბნის პირი.
- ქ. ბ ტანი სეიდიში თავისის ბოღჩით.
- ქ. ა მათდის კაბა ჩალილული გილანის დილითა.
- ქ. ა ლეკური შალის ჩოხა უხმარებელი
- ქ. ა ყალამქარის ახალუხი.
- ქ. ბ შალის სარტყელი.
- ქ. ბ საიის ქუდი უხმარებელი.
- ქ. ბ ველი სეიდიშის პერანგი თავის ამხანაგით.
- ქ. ა წყვილი ორხუა თავის თაქნაბადებით, უხმარებელი.
- ქ. გ აბრეშუმის ჯეჯიმი უხმარებელი.
- ქ. ა წყვილი ორხუა ნახმარი.
- ქ. ბ ხალიჩა.
- ქ. ა ფარდაგი.
- ქ. ა ყუთნის ბალიში.
- ქ. ბ ჩითის ბალიში.
- ქ. ბ საბანი, ა ყალამქრისა, ა ჩითისა.
- ქ. გ ნარმის ქვეშ საგები საბანი ამას გარდა.
- ქ. გ მხლებლის ტანსაცმელი და ქვეშაგები თავის მაფრაშებით წაიღეს.
- ქ. ა უნაგირი გაწყობილი თავისის ბორდებითა.
- ქ. დ წყვილი ავჯანდა აუზისა ვერცხლის ზარნიშნიანი.
- ქ. ნ ნაჭერი სპილენძი.
- ქ. ერთი საბრალო მონაზონი გეყვანდა, იმისი ანაფორა, ჟამნი და რაც
თავის დღეში ეღვაწა, სულ წაართვეს.
- ქ. ამას გარდა რაც ჩემს სახლში კაცის მოსახმარებელი ქურჭელი იყო,
სულ აღარა შემრჩარა, სულ წაიღეს.
- ქ. ერთის მსახურის ცოლი მაშინ გამიყიდა, ჩემის სასახლიდამ გაიყვანა.
- ქ. ამ აკლებაში, ჩემო ველმწიფევ, დედას ჰელებიც დაამტკრივეს და თვა-
ლიც გამომოთხარეს.
- მ ა რ ც ხ ე ნ ა ა შ ი ა ზ ე:
- ქ. მაცხოვრის ხატი ვეცხლით მოქედლილი, ოქროთ დაფერილი.
- ქ. კიდევ ხატი ნათლისმცემლისა.
- ქ. და ხატი თორმეტი საუფლო.
- ქ. ხატი წის გიორგისა.
- ქ. და თეთრი სამთუმან-ნახევარი და ერთი საიის ქათიბი.
- ქ. ორი ბაზმანდი სირმისა.

132. XVIII ს-ის შუახანები. ანგარიშის წიგნი გორჯასკი თუმანიშვილისა (?). დედა-
ნი. ზომა 36,5×14,5 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღებზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად-
ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3661 Hd.
დაახლოებით თარიღდება ხელის მიხედვით, რომელიც თითქოს გორჯასკი თუმა-
ნიშვილისაა, და შინაარსითაც („ციხილბაშობა“).

ქ. გოლ(?) ხითარას-შვილის გასპარას წილს სახლებზე ჩემი სახლის კაცი-
გოგია და კიკოლა რომ ლაპარაკობენ, ეს ხითარას-შვილი ჩვენს საერთო ყმა-
არისო, მართალია ყმა საერთო არის ამათთან(?), მაგრამ ამისის სახლების
საქმე ასე იყო:

⊕ (19 თუმანი) ქ. ამ ხითარას-შვილის განაყოფი სარქისას წილი სახლები-
პირველ ციხილბაშობას გიგი მდივნის შვილისშვილს პა-
ტარკაცს პატრებზე ბეიშართათ ⊕ (ცხრამეტი თუმანი)-
ამდონ თუმნათ დაედვათ. ვადას გასცილებოდა რამდო-
ნი წელიწადი და პატრებს ქონდათ, ნასყიდათ ხელთ
ექირათ¹. სარქისა რადგან უფროსი ძმა იყო გასპარასი,
დარბაზი საუფროსოთ ქონდა აღებული, როგორც
ქალაქში განწესება არის დარბაზის აღება საუფროსოთ-
და წინ ორი ქულბაქი სარქისას წილი იყო და ამ ორის
ქულბაქით იყო გასყიდული ზემოწერილის ფასით და
მასუკან მე შემოვიყიდე ეს პატრებისაგან ამავე ფასად.

⊖ (14 თუმანი) ქ. გასპარას წილი სახლები რაც იყო, ზოგი ურუმობას და-
ზოგი ნადირ ყე(ე)ნის დროს ციხილბაშობას დაგირავე-
ბული იყო ამ გასპარას შვილის ისაიასაგან და დედის
ამისისაგან და მე დავიხსენი, მივეცი ⊖ (14 თუმანი).
როგორც ამის განაყოფს ედვა წინ ორი ქულბაქი იმ-
სახლებზე, ისე ამ გასპარას წილის სახლს ედვა ბ ამდო-
ნი ქულბაქი სახლის წინ.

ქ. ეს ბ ქულბაქი უფრო უწინ დაგირავებული ყოფილა ფრანგ სვიმო-
ნასთან ⊕ (რვა თუმანი) ამდონ თუმნათ. ამისი დახსნა ვეღარ შევიძელი და-
ახლაც პატრების ხელთ არის. სვიმოვანას მიუყიდნია, თუ დაუგირავებია პატ-
რებისათვის, ის უნდა შევიტყოთ, ვინც დახსნას შეიძლებს ამ დუქნებისას.

ქ. საუფროსოთ დარბაზი რომ მეტი ყოფილა, წინ დუქნებამდისინ რომ
გავზომეთ, ერთი წილი დარბაზი იქნებოდა და ორი წილი დუქნებით სხვა აღ-
გილი. სარქისას წილისა ცხრამეტის თუმნის მესამედს ვჭაკე (ექვსი თუმანი,
სამი მინალთუნი და ექვს შაურ-ნახევარი) ამდონს რომ გამოვიდეთ, დარბა-
ზი იქნებოდა (თორმეტი თუმანი, ექვსი მინალთუნი და ცამეტ შაურ-ნახევარი) ამდო-
ნი, დარბაზის ფას(ს) გარდისათ დუქნებით.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწორია ტექსტისავე ხელით.

ქ ამ ანგარიშით გასპარას წილი იქნება თავისის ორის ქულბაქით, იმი-
აი დარბაზი რომ მეტი არის, ამიტომ აბჰქნკე (თორმეტი თუმანი, ექვსი მი-
ნალთუნი და ცამეტშაურ ნახევარი) ამაში ორი დუქანი რომ ცალკე გიროთ
არის 8 (რვა თუმანი) ამდონათ, ამასაც გამოვედით, დარჩება აბჰქნკე (ოთხი
თუმანი, ექვსი მინალთუნი და ცამეტშაურ-ნახევარი) ამდონი. ამაში მე რომ
დამიხსნია ისაიას წილი სახლები და გამსვლია 8 (თოთხმეტი თუმანი) თამა-
სუქებით აღებული ანგარიშით მეტი მოვა. ამისი განაყოფის სახლი რომ გას-
ყიდულა, იმ ფასობაზე ჩემი 16 მტკე (ცხრა თუმანი, სამი მინალთუნი და ექვს
შაურ ნახევარი) ამდონი.

ქ. ისაიას დედა ვ ამდონს წელიწადს შემინახავს. ამისის ბოლაზის ხარჯი
იქს წელიწადში 6 ხფ (სამი თუმანი, ექვსი მინალთუნი და ათი შაური), დღეში
რ (უზალთუნი), ექვსის წლისა იქს 3 მ (ოცი თუმანი და ცხრა მინალთუნი) და
თუ ნაკლებ ჩავდებენ, ის სხვა იქნება. ცოტ-ცოტას ტანისამოსსაც ვაცმევედი
ხოლმე და ის არ ჩამიგდია.

ქ. მომკვდარიყო, მაშინ მე აქ არ დავესწარი, მკვდარი საყდარში გაეტა-
ნათ. იქ ვინც თავისიანი ნათესავი ყოფილიყო, მკვდარზე მოსულიყვნენ, ეტი-
რათ, როგორც ქალაქის რიგი არის მოტირლისათვის პური ექმევინათ, ხუ-
ცებისათვის შვიდი ეწირვინებინათ, ცხვარი დაეკლათ, ქამა ექნათ, პანაშვიდი
ეხდევინათ, სანთელი, საკმელი, სუდარა, წასახურავი 8 მ (ორი თუმანი და ხუ-
თი მინალთუნი) ამდონი, კიდევ მეტიც დახარჯდადლოთ, მაგრამ მე ნაკლებათ ჩა-
ვავდე. ჩემის ანგარიშით სახლების ფასობაზე მეტი ხარჯი არის გასული
16 მტ (ოცდაცამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ექვსი შაური). სხვა რაც
ნაშენობის ხარჯი არის, ის ცალკე არის ამაში არ ურევია.

133. XVIII ს-ის შუახანები. ზემო-ბოლნისის მინდვრის ღალა გორჯასპი თუ მანი შვი-
ლი ისა(?) დედანი. თავი მოხეულია, გარდა ამისა, შენახული ნაწილიც საბუთისა შუა-
ზეა გახეული. ზომა 38 x 16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ.
ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუხ. № 3658 Hd.

საბუთი დაახლოებით თარიღდება ხელის მიხედვით, რომელიც თითქოს გორჯასპი თუ-
მანიშვილს ეკუთვნის.

რქმ, პე¹ ლიტრა დი ქერი უმ² ლიტრა დ³ ჩარეჟი გ, აჯ (11 თუმანი და
8 მინალთუნი) რლეო.

ქ. ზემო-ბოლნისის მინდვრის ღალა შანშიას-შვილ(ს) ებარა, რომ რაც ამ
სიღაში სწერია ამის ფასი მოუციიათ, პურზე კოდის თავს ყ (ოთხი აბაზი), ქერის
კოდზე ფ (ათი შაური).

¹ ეს „პე“ წაშლილია.

² ამ „უმ“-ს ქვეშ მიწერილია დედნისავე ხელით „კმ“.

³ ამ „დ“-ს ქვეშ დედნისავე ხელით მიწერილია: „მ“.

- ქნკე** (სამი მინალთ. და ცამეტშაურ-ნახევარი) ქ. შანშიას-შვილი სამოულას ქერი კოდი ზ, ლიტრა გო.
- ქნკე** (ცამეტშაურ-ნახევარი) ქ. მახაქას-შვილისა ქერი ლიტრა იგო.
- ტლე** (ექვსი შაური და შვიდი ფული) ქ. დათუნას შვილი დავითასი ქერი ლიტრა ვ, ჩარეჟი გ.
- ჩ** (ერთი მინალთუნი) ქ. ახუასი ქერი კოდი სახუნდრელსა ბ.
- ფ** (ათი შაური) ქ. სახუნდრელი ავთანდილას ქერი კოდი ა.
- წქნკე** (ოთხი მინალთუნი და ცამეტშაურ-ნახევარი) ქ. გაბრიელასი პური კოდი ე, ქერი ლიტრა იგო.
- ტმ** (ექვსი შაური და რვა ფული) ქ. ესტატესი ქერი ლიტრა ვო.
- ქნკე** (ცამეტ შაურ-ნახევარი) ქ. პაპას ბიჭისა ქერი ლიტრა იგო.
- ცუ** (თოთხმეტი აბაზი) ქ. ბახუტასი პური კოდი გო.
- ძვ** (სამი მინალთინი და ოთხი ბისტი) ქ. პური ჯამო კოდი შო, ქერი კოდი იე, ლიტრა ზ, ჩარეჟი ა.
- ჩქნკე** (ერთი მინალთუნი და ცამეტ შაურ-ნახევარი) ქ. ალამასი პური ლიტრა იგო, ქერი კოდი დ.
- ჩქნკე** (ერთი მინალთუნი და ცამეტ შაურ-ნახევარი) ქ. ქიქიასი ქერი კოდი გ, ლიტრა გო.
- ჩლ** (ერთი მინალთუნი და თოთხმეტი შაური) ქ. ალხაზას-შვილისა ქერი კოდი გ, ლიტრა დ.
- ტნ** (შვიდი შაური) ქ. ტერ-სიმოვანასი ქერი ლატრა ზ.
- ტნ** (შვიდი შაური) ქ. ყაინბაზასი ქერი ლიტრა ზ.
- პქნ** (ხუთი მინალთუნი და ცამეტი შაური) ქ. ტარულას-შვილისა პური კოდი ბ, ლიტრა ზ, ქერი კოდი ზო.
- ჩ** (ერთი მინალთუნი) ქ. ბალინას ქერი ლიტრა კ.
- ქქნკე** (ხუთი მინალთუნი, ცამეტი შაური და ერთი ბისტი) ქ. ჯამი პური კოდი იბ, ლიტრა ყდ, ბახუტაზე და რჩომილა პური ლიტრა ე; გაბრიელზე ლიტრა გო, ერთათ იქს კოდს იგ, ლიტრას დ, ქერი კოდი ლზ, ლიტრა გ.
- ქქნკე** (ხუთი მინალთუნი, ცამეტი შაური და ერთი ბისტი) ქ. ამადამ შომბარა ნაზარას-შვილის პაპას ქერი ლიტრა რიგო.
- ჩ** (ერთი მინალთუნი) ქ. პაპას დისწულისა ქერი ლიტრა კ, ამადამ.
- ტჯ** (ექვსი შაური და ერთი ბისტი) ქ. ვართანას ასლი ლიტრა ვ, ამადამ.
- ტნ** (შვიდი შაური) ქ. აკოფას-შვილი ვიქუასი ქერი ლიტრა ზ, ამადამ.

- ყნ (ჩვიდმეტი შაური) ქ. ოთარას გუთნის დედისა ქერი ლიტრა იზ, ამაღამ.
 ქნკე (ცამეტშაურ ნახე- ქ. ბახუტასი ქერი ლიტრა იგ, ამაღამ.
 ვარი)
 ყნ (შვიდმეტი შაური) ქ. ყარაგოზასი ქერი ლიტრა იზ, ამაღამ.
 ქ. ჯამი პური კოდი იბ, ლიტრა აი, ქერი კოდი ნვ.
 სძ (ცამეტი მინალ- ქ. ნახიდურისა ქერი კოდი კვ, ფასი.
 თუნი)

ნვ, ზ, ჩარეჟი გ.

Verso:

- ქ. წარახპურის მინდვრის ღალის ანგარიში პურისა და ქერის ფასი მო-
 ვიდა პური კოდი ყ, ქერი კოდი ფ.
 ჩულ (შვილი აბაზი და ქ. მარაბდელი ეუას-შვილი ფარემუზასი პური კოდი
 ექესი ფული) ა, ლიტრა ვ, ქერი ლიტრა გ.
 ჭფნი (ხუთი მინალთუნი, ქ. ოსეფასი წმინდა კოდი ე, ლიტრა ზ, ქერი კოდი
 თერტმეტი შაური ბ, ფასი.
 და ორი ფული)
 ცხ (თერთმეტი აბაზი) ქ. ქაჩალას-შვილისა ქერი კოდი დ, ლიტრა დ.
 ე (თუმანი) ქ. მესავარცხლისა პური კოდი იბ.
 ჯ (რვა მინალთუნი) ქ. ლამაზას-შვილისა პური კოდი ი.
 წხ (ოთხი მინალთუნი ქ. მეკურტენ ბესუასი პური კოდი დ, ქერი კოდი ბ.
 და ერთი აბაზი)
 ქ. ჯამი პური კოდი ლგ, ლიტრა მ, ქერი კოდი მ,
 ლიტრა ზ.

134. XVIII ს-ის შუახანები. ანგარიშის წიგნი თუმანი შვილები ს.ა. დედანი. ზომა
 23 x 15,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე, მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია
 ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
 საქ. სახ. მუზ. № 14608 Hd.
 თარღისათვის შდრ. „მასალები“, I, გვ. 1—4.

ქ. პაპუას მოცემულის ზჯ (2 თუმ., 18 მინალთ.) მქონდა ხ (6 მინალთ.)
 ეს სურსათის სიაშიაც სწერია. ოცდაროი მინალთუნი შაქარუას მისცემოდა
 და ეს ექესი მინალთუნი ჩემგან იყო ხ (6 მინალთ.). უწინდელი ანგარიშისა
 მქონდა შ (18 შაური).

ქ. კიდევ ჩალაბას-შვილისა ე (7 მინალთ.). ორივე ერთად სძშ (1 თუმ. 3 მი-
 ნალთ. და 18 შ.), ამისი ხარჯი ნოქარზე.

ჩ (1 მინალთუნი) ქ. ღეთსავარას ჩექმა, მე უყიდე.

ჩრნ (1 მინალთუნი ქ. ამისი ქული, მე უყიდე.
 და 3 შაური)

ჩ (1 მინალთუნი) ქ. საპერანგე სუსო ნაქრით, მე უყიდე.

უ (2 აბაზი) ქ. ამისი ცხენის სამკერდული, მე უყიდე.

- ნკე (შაურ-ნახევარი) ქ. ამისი თოფის ყალიბი, მე უყიდე.
- ჩქ (8 აბაზი) ქ. ამისი ახალუხი თავის მასალით, მე უყიდე.
- რნ (3 შაური) ქ. ამისთვის თოფის წამალი, მე უყიდე.
- უნ (9 შაური) ქ. ამისი ქოში, მე უყიდე.
- ს (1 აბაზი) ქ. ამისი ცხენის ტილო ღუშაყი, მე უყიდე.
- რნ (3 შაური) ქ. ამისთვის ტყვია, მე უყიდე.
- ქ. კაბა ამისი, დემეტრემ მისცა ფასი, მუშახარ(sic)არარი-
ხ (6 მინალთუნი).
- ჩრ (1 მინალთუნი და 2 შაური) ქ. ლთისავარას ცხენი, ქერი და ბზე უყიდე თორმეტის-
დღისა, რა გიორგი წავიდა, ორ დღეს უკან, ფასი-
- ტ (6 შაური) ქ. პაიჭი და ჩახჩურ-საკრავი, მე უყიდე.
- რკ (2 შაური და 1 ბისტე) ქ. ახალუხის და პერანგის ხაიათი, მე უყიდე.
- ნი (1 შაური და 2 ფული) ქ. გრეხილი, მე უყიდე.
- ც (2 მინალთუნი) ქ. სახარჯოთ მივეციოთ ლთისავარას.
- ც (2 მინალთუნი) ქ. არაბ-ოღლის თოფი, მე უყიდე.
- შ (18 შაური) ქ. ამისი ხმალი, მე უყიდე.
- ყ (4 აბაზი) ქ. ამისი ნაბადი, მე უყიდე.
- ჩფ (მინალთუნ-
ნახევარი) ქ. ამას ხარჯათ, მე მივე.
- ტ (6 შაური) ქ. ამისი ტყვია-წამალი, მე უყიდე.
- ქ. თოფის იარაღი, მე უყიდე.
- ს (აბაზი) ქ. ამისი ნიფხავი, მე უყიდე.
- ნკე (შაურ-ნახევარი) ქ. ამისი სარტყელი, მე უყიდე.
- ქ. დემეტრეს ქონდა წ (4 მინალთ.). ამისგან უციდიდა.
- ო (14 ფული) ქ. არაბ-ოღლის ქული.
- ჩლ (1 მინალთუნი და 14 შაური) ქ. არაბ-ოღლის ჩოხა.
- ჩყ (1 მინალთუნი და 4 აბაზი) ქ. ბაყლის-შვილის ჩოხა.
- ქ. ცხენის ხარჯათ მიეცა ტ. (6 შაური).
- ქ. ლთისავარას თაქალთოს გასაკეთები ფ (ათი შაური)-
დემეტრეს ხარჯის ჯამი ჭ (5 მინალთუნი).
- ჩ (1 მინალთუნი) ქ. ბაყლის-შვილს მივე ხარჯათ.
- ჩემი თავილის ჯამი იყო აჰშ (1 თუმანი, 3 მინალთ. და 18 შაური)-
ხარჯის ჯამი ახფლ (1 თუმანი, 6 მინალთუნი, 10 შაური და 6 ფული).
- ქ. სურსათის ურემი რომ გვეწერა, იმ ურმის შეშამშლელო (sic) დემეტრეს მიეცა ჩ (1 მინალთუნი).

135. XVIII ს-ის შუახანები. მამულებისა და ყმების ნუსხა თუმანი შვილებისა(?), შედგენილი გაყრილობასთან დაკავშირებით. დედანი. საბუთი წარმოადგენს თეთრი უჭვირნიშნო ქაღალდის 5 კვებისაგან შემდგარ სიგრძეზე დაკეცილ დავთარს, ზოგი კვები უდრის 44 და ზოგი 45 სმ. ნაკლები პირველი კვების სიგრძე კი მხოლოდ 22 სმ-ს უდრის. ამგვარად, დავთარს თავში $1/2$ კვები მაინც უნდა აკლდეს, თუ მეტი არა. კვების სიგანე საშუალოდ 13 სმ-ია.

საქ. სახ. მუხ. № 3642 Hd.

საბუთი უთარილოა, მხედრული ხელისა და რეალიების მიხედვით იგი მიეკუთვნება XVIII ს-ის შუახანებს.

იშოვნა და იმ საქმით ბევრი.....(რა)დგან ბებუთა ჩვენი მოყვარე იყო, იმისი გულისთვინ აღარც მანუჩარ გაგვიშვია, ჩვენთან გამოვიდა და იმისი მამული ამ საბაბით დაგვრჩა. მერმე, მანუჩარის სიკვდილს უკან, ნათესავნი წამოგვედავნენ. არჩილ მეფის მოკვარებით, ბევრის ქრთამით, არც მამული წავირთვით, მდიენობაც სულხანს უშოვნა. მამის ჩემის ხანჯალი და ცხენი, (შვი)დის თუმნის სურა ქრთამად მდიენობისთვის გავიღეთ, მამაშენმა სკამა, უშოვნია, არა უყიდნიარა.

მერმე მამა და ბიძა რომე დამეხოცნენ, მე დამრჩა თაობა. ბევრი ქრთამი გამიღია, რომე მამული არა მოვიშალე რა, მასუკან ერეკლე მეფეც მობძანდა, სახელო მამული, ქალაქს სახლკარი ყველა გავცა. ერისთვისა ბარძიმის მოკვარებით, ბევრის ქრთამით, არა წავირთვი რა, ისე ვიშოვნე, თქვენი არა დახარჯულა რა.

მერმე კურთხეული მეფე გიორგი წაბძანდა იმერეთს, დასტურ ლიპარიტ თან ახლდა ჩემის საქმით, მაგრამე მრავალი გაუგზავნე, ამ ქვეყანას ბევრი ვამსახურე, ერეკლე მეფესთანაც ბევრი გამივიდა, რომე ლიპარიტის იქ ყოფნა მისაყვედურეს და არა წავირთვი რა.

ქ. ახლა კიდევ ერეკლე მეფეს ვაპყევე, ბატონი გაგწყრომოდათ, შენი წილის წართმევა ებძანა. ქრთამით, სამსახურით ისე ვიშოვნე და არა წავირთვი რა.

ქ. მე ბევრი კაი დრო მქონდა, თუ ვაგყროდი წილსაც კარგს გავიტანდი, სხვას წყალობასაც ვიშოვნიდი, მაგრამ, თქვენი სიყვარულობით არ ვაგეყარე, ახლა მოგინდომებიათ და სამართლით ყველას ვჯერვარ.

ქ. თამთის წყაროს საქმე ასრე ყოფილა: ბებუთა მამის ჩემის მოყვარე იყო და ბებუთას თეთრი კურთხეულს ამილახორს ემართა. ამათ შეუკვეთეს: მზითევი დაგვაკელო, ამილახორისაგან ის მიწები გვიშოვნეო. ბებუთამ გაუგონა, დედის ჩემის მარგალიტი წააღებინა, ას თუმნად ნასყიდი, შანავაზ მეფეს მიართვა, დღესაც ქეთევან დედოფალსა აქვს. სამოცი თუმანი სამთავრო მოსცა და ისე გამოართვა. ამეების სანაცვლოდ ის მიწები გამოუხსნა, ჩვენს სახელზედ წიგნი აგვართვა. მართალია, ყველა სწერია, თორემ არავისი რა გასულა. მანუჩარს როგორ არ ჩაესწერდით, თავისი წილი მამული ჩვენთან მოიტანა. სხვანი ამიტომ დაესწერეთ—ეგების ჩვენ დავჯოცილვიყავით, ჩვენი მამული სხვას რატომ დარჩებოდა.

ქ. ქვემო-ბაგა ასრეა: ესტატეს დედის ჩემის თეთრი ემართა, იმაში გა-
ნოართვეს.

ქ. საწნახელს ზეითი ბაგაცა და საყდრის მიწაც ყარა-ბეჟანის მოცემუ-
ლია. დედის ჩემის ზანდუკი გატეხა, თმის სატანები(?) ყელსაბამი წაიღო,
მოახლე გაიტანა, იმაში მოგვცა. ლიპარიტც აიღო მოახლის სისხლი, ჩვენ რა
წილი დაგვიდგა? შიოშის ჯალაბმაც აიღო ბეჭდების საზღაური, წილი არა
დაგვიდგა რა, არცა რას მემართლება.

ქ. ელიზბარაშვილი ასე ჩემით ნასყიდი(ა), რომე ოცდა ათი სულის ცხვრის
მეტეი სასახლო არა გასულა რა, სულ მამის ჩემისა და დედის ჩემისა მისცემია.
მერმე ლევან ბატონიშვილმა წაგვართვა, იმერელნი ბევრის ქრთამით შუა ჩა-
მოვაყენეთ, ორი რუსი დატყვევებული და ასი მარჩილი მივართვით და გვიბოძა.

ქ. ატენის ზვარი. ლიპარი(ტ)ს(?) თეთრი ემართა, თავნი სამი თუმანი.
სარგებელიც იყო რამე. სხვა ყალანდარმაც ბევრი გაიღო, ჩემიც ბევრი გავი-
და, მერმე სამი თუმანი შიოშმაც მისცა.

ქ. გორს ნაზვრევი და ქვემო-ბაგასთან ცოტა ვენახი ბეჟანისგან ჩვენ
ვიყიდეთ.

ქ. ქალაქის სასახლე საჯინიბო შაჰპარუნათგან საკუთრივ მამაჩემ(მ)მა
იყიდა სამზარეულო მანუჩარის ნასყიდა. სხვა სახლების ადგილი მიქუასი
იყო. მანუჩარს წიგნი მიეცა—სახლები ამაშენებინე და სამამულედ არ გეცი-
ლებიო. ბებუთას თორმეტი თუმანი გამოიგზავნა—ააშენეო ჩემის ქალისათვის.
მერმე სამი თუმანი შიოშ მისცა, ოთხი მე მივეცი, ის წიგნი გამოვიხსენით,
მიქუა გავიცილეთ და სახლები ხელახლავ მე ამაშენებია და ხარჯი მიქნია.

ქ. წოდორეთს მამულასი მეჯორისა გულიას მამული საბოგანო ასრე ვი-
ყედეთ: სულხანს ლიპარიტის სამთავენო ებარა, ის მივეცი. მერმე პური და
ღვინო გაისყიდა, ზოგი მანუჩარის ჯორები გაიყიდა, იმისი ფასი იყო. ლიპა-
რიტის თეთრი ისევ სულხანს მიებარა, სულხან ლიპარიტს მისცა.

ქ. გორს ბერძნის სახლები ყარა-ბეჟანასაგან მე მიყიდნია, ძველი თეთრი
ღამიდნია, ის მიმიცემია.

ქ. თამთის წყარო დედის ჩემის მზითვისა არის. თუ ამაში წილი უნდა,
რაც შიოშის ჯალაბს მსახურები მოჰყვა, მე იმაში წილი დამიდვას.

Verso:

ქ. შოშის მამას გონიერას კაცი შემოაკვდა, სისხლი მიმიცემია, ჩემი
არის.

ქ. ოთარას მამა წითელი დათუნა მამა ჩემმა ოთარის ყმის ნაზარას მა-
ნისაგან იყიდა, წიგნიცა მაქვს.

ქ. ოთხი თუმანი დარბა(ზ)ს ყარა-ბეჟანიშვილის საკომლოსა და ბაგაში
მივეცი, მოლარეთ-ხუცისაგან დავიხსენი.

ქ. გიორგაშვილი მე მიშოვნია, სამი თუმანი ქრთამი გამიღია, კი-
დევე სხვა¹.

ქ. ერთი დუქანი² გორს ძამუკაშვილისაგან მე დავიხსენი, ჩემი გირაო.

¹ ეს სტრიქონები განგებ წაშლილია და დასაწყისი აღარ იკითხება.

² დედანში: „თუქანი“.

ქ. ატენს ზერის თავი ღობეს ზეით ანბრიაშვილისაგან მე დამიხსნია.

ქ. ნასყიდა ფავნელიშვილმან მომცა, ბატონის ფარეში(?)
იყრ, იქილამ გამომიყვანია¹.

ქ. მეტრეველიშვილები კახეთს წაგვივიდნენ, ერთი ძმა შიოშის წილათ-
გაუშვი და ორი ძმა ნათლის-მცემელს მე შევწირე. იმათი დახარჯული ტყვე-
(ე)ბიც ბევრია, ნუსხა ცალკეა².

ქ. ატენს სატივი ჩემი ნაშოვნია.

ქ. პაპუკიშვილი ჩემი ნასყიდაა, ქაიხოსრომ მომცა.

ქ ქაიხოსრო ესიტაშვილის მოცემული ვენახი და მიწები ჩემია, მე შე-
მომეყარა, თავისი მამული შემოიტანა, ისევ წავიდა და ჩემი ქრთამი რაც გა-
მსლოდა, იმაში მომცა.

ქ. ბატკუამ ატენელი ბერიშვილი მოკლა, სისხლი მე მიმიცემია, მისი
შვილი მე დაევიჭირე, გავზარდე, ველი არავის აქვს.

ქ. საუფროსოს გარდაისად მანუჩარის წილზედ საჭირნახულოც მერგების.
ამიტომ: სამჯერ მისი მამული შემირჩენია, არჩილ მეფით ქრთამებითა, მარ-
ტო იმის ოთხ სამსახურზედ თორმეტ თორმეტი თუმნის მზითვეი მიმიცია, არ
წაგვივიდნენ-მეთქი. ბებუთას გულისათვის გამოგვყვა მანუჩარ, თორემ არ გა-
მოგვყვებოდა.

თითოს მეტი საჭირნახულო არ გერგებათ, თუ მეტს ითხოვთ, მეც საჭირ-
ნახულოს ვითხოვ. მანუჩარს და პაპაჩემს ხითარაშვილის მეტი არა მისცეს რა.
ჩახრახული ქიშე(არ)ის ვალში გამოვართვით.

ქ. დამპალა პაპის ჩემის ვალში გამოვართვი კაჭკაჭაშვილსა.

ქ. სახელაშვილი ჩემი არის, აბაშიძემ მომცა².

ქ. ისეს მაგიერ იასონას-შვილი ახლდა შენს ძმისწულს.

ქ. ველთუბანს სასახლეზედ რაც ყმა ამუშავეთ, ან შენ ან სხვამა, მეც
უნდა მათუშაოთ. სარდალზედ რაც გამოვიდა, უნდა მომიდგეთ.

ქ. დანპალა, პაპის ჩემის ვალი ემართა კაჭკაჭაშვილს, იმაში გამოვართვით.

ქ. ამეებს, რასაც მე ვანბობ, ჩემი ნასყიდი არის-მეთქი, ამიტომ დავწე-
რე, ეგების უშვილოდ მოვკვდე, ამათ არ დაეკარგოს-მეთქი, თორემ ასე ვიცი,
შემიძლია, თქვენი ამაში არა გარეულიყოს რა, არც სასახლო.

136. XVIII ს-ის შუახანები. გლეხების დახსნის დავთარი იასე მახაბლისა. დედანი-
ზომა 21,5 x 10,5 სმ დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვ. ნიშნად აქა-
იქ ნახმაოია წერტილი.

საქ სახ. მუზ № 3610 Hd.

თარიღდება სელისა და რეალიების მიხედვით, დაახლოებით.

ქ. ქემერტს რომ ჯარი მოვიდა და სასახლის კოშკი რომ აიღეს, მაშინ
იმ ლეკებისაგან დავიხსენ ესენი:

¹ ეს სტრიქონი განგებ წაშლილია და დასაწყისი აღარ იკითხება.

² ეს წვ-ები განზრახ წაშლილია.

- ქ. დათაშვილის გიორგის შვილი ექვს თუმანათ.
 ქ. ნადირაძე ორ თუმანათ.
 ქ. მამუკი ფეხშიშველაშვილი ხუთ თუმანათ.
 ქ. ფეხშიშველაშვილი გიჟბერა ორ თუმანათ.
 ქ. ვარძიელაშვილი მოურავი ოთხ თუმანათ.
 ქ. ოთარა ვარძიელას-შვილს მივეც ცხენი (ერთის თუმნის), ტყვეთ იყო.
 ქ. ლვილოს მივეც ცხენი, ყიზილბაშებში დაიკარგა იმისი ძმა, იმისთვის.
 ქ. ზუბაშვილი გლახა დაიკარგა და იმისი გამოსაყვანათ მივეც ერთი თუმანი.
 ქ. მუქუთობას დაიკარგა სოსიაშვილი ბერი ცოლშვილითა, მივეც თხუთმეტი თუმანი.
 ქ. ჩუმაშვილი დაიკარგა, მივეც ექვსი თუმანი.
 ქ. კასრაძე სვიმონაში მივეც ოსებს სახსარი.
 ქ.

Verso:

იასე მაჩაბლის ნასყიდობა.

137. XVIII ს-ის შუახანები. ნივთების და საქონლის სია უცნობი პირისა. დედანი. თავი და ბოლო აკლია, მოხეულია. ზომა 31 X 12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მზედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 3590 Hd.
 დაახლოებით თარიღდება პალეოგრაფიულად.

... გამოპრთმევი. ასლანიშვილებმა უწინ გამომართვეს ოცის თუმნისა, არაგვის ერისთავს ერთი ოქროს თასი სამოცი ფლურისა, მდივანბეგს ერთი ვერცხლის გიდელი ორის თუმნისა, ერთი ოქროს დამნისტრი(?) ზარნიშანი, ერთი ვერცხლის შამდანი თხუთმეტი მინალთუნისა, ერთი ნაქსოვი ოცი მარჩილისა, ერთი ვერცხლით მოჭედული თოფი, ერთი ვერცხლის კულა ოცი მარჩილისა.

- ქ. ერთი ჯილა მეფეს ხუთი თუმნისა.
 ქ. სარდალს ერთი ბეჭედი თორმეტი თუმნისა.
 კიდევ ვერცხლის ჯამ-თასი ორის თუმნისა.
 ქ. მის ძმას ერთი ბეჭედი იაგუნდისა და ერთი წიგნი ორის თუმნისა.
 ქ. ერთი ტყვე, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ოქროთ მოჭედული კულა ვეზირს.
 ქ. ორი სპილენძის სურა ერთი თუმნისა რევაზ(ს).
 ქ. ორი ღიღი ორხოა, ორი თავ-ნაბადი მამბაშამა¹.

¹ „მიმბაშამა“ (?).

- ქ. შვიდი ფლური პაპუნა ციციშვილმა.
- ქ. ერთი ბედაური ცხენი და ორი ორხაო და ერთი თაქ-ნაბადი ლოპინამ.
- ქ. ერთი ჯახირი თოფი გვერდწითელმა.
- ქ. სამი ჯორი ბაჭიამ.
- ქ. ოცი ქაკი ცხენი ქალბალი-ხან.
- ქ. ორი მსახური ოთიამ მომიკლა და ასი სული ძროხა, სამასი ცხვარი იმან წამისხა.
- ქ. ქალაქის სასახლე შემხუთა ერთი, ცხრა ფლურ(ი) ფირან მოურავმა, ხუთი ფლური იმისმა ძმამ გამომართვა, ორი ფლური აღრინტალამ იმასთან შუამავლობისთვის

138. XVIII ს-ის შუახანები. ანგარიშის წიგნი უცნობი პირის. დედანი. ზომა 20×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
 საქ. სახ. მუხ. № 3572 Hd.
 დაახლოვებით თარიღდება პალეოგრაფიულად.

- ქ. იესემ აილო, ნუქარს რომ ცხენი მისცეს, თუმანი სამი.
- ქ. გირ(ა)ო კაცებზე აილო თუმანი სამი.
- ქ. პატარა ზოცაბიაზე არის თუმანი ორი.
- ქ. თოფჩიაშვილზედ არის მარჩილი ოცი.
- ქ. ოსიაურელს კაცზედ არის მილანთუნი (sic) რვა.
- ქ. გაყიდა ცხენი ერთი ორთუმან-ნახევრათ.
- ქ. გაყიდა წასახურავე ერთი თუმნათ.
- ქ. გაყიდა ხარი ორი.
- ქ. გაყიდა კამეჩი ერთი.
- ქ. გაყიდა ცხვარი და ბატკანი.
- ქ. თოფი გაყიდეს.
- ქ. ხმალი თითონ შემოირტყეს.
- ქ. კიდევ გირაო კაცებს ბარბაქაძეს გამოართვა მარჩილი ცხრა.
- ქ. ქაიხოსროს მდივნის დისწულს გამოართვეს მინალთუნი სამი.
- ქ. მატყლი გაყიდა ლიტრა ცხრა.
- ქ. ოთხი მილანთუნი პეტრიაზედ არის.


139. 1752 წლ. დეკემბრის 10. ანდერძის წიგნი მენალარიანთ ესტატეს ჯალაბის მარეხასი. პირი. ზომა 33,5 x 22 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრულ-ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 225 Sd.

ქ. ღმერთ წინაშე მე, მენალარიანთ ესტატეს ჯალაბმა მარეხამ, ამ თარხში (sic) ავით გავხდი და ეს ანდერძის წიგნი დავაწერინეთ ტერ-საკასთან, ტერ-არაქელასთან, გიორგი მამასახლისთან, ყანდინანთ გიორგისთან, იობას-შვილს ესტატესთანა. ვისაც ჩემი ახი ესაბით მართებს, ამ ანდერძის წიგნში სწერია. ღთის წინაშე ნაზარასთვინ მიმიცია თორმეტი თუშმანი და ნახევარი თავნი ჩემი იყო. რაც სარგებელი მოგვსლოდა, ნახევარი ჩემი იყო, ნახევარი იმისი იყო. ამისგან მიჭირ(ა)მს სამი თუშმანი, ერთი ყაბზი აქუს. ამას გარდა კიდევ ბიძასშვილისთვინ ბარათი ექნა და მე გამოვართი, ერთი თუშმანი ყაბზი აქუს. კიდევ მიჭირამს ერთი თუშმანი, ზოგი პური მიჭირამს, ზოგი დანახ(ა)რჯი ვიყავი. კიდევ ამას გარდა ნაზარასა და იმის დედას მართებს სამი თუშმანი და ექუსი მინალთუნი ალალ ახი. იმის ძმები არც მინასამს და არც მიმიცია. ამ სამს თუშმანსა და ექუს მინალთუნში ოცდაექუსი მინალთუნი ტატუნთ თაყას დედისა და ცოლისა გირაოები მქონდა და ნაზარას მივაბარე და ოცდაექუსი მინალთუნი ნაზარას გამოვართმევი და გირაოები მიეცა. კიდევ ხუთის-მინალთუნისა დაკაზმული პური მივე. ხუთი მინალთუნი ნაზარას დას მივე, რომ ემართა, იმას გამოვართვი და ისიც ნაზარას მივეცი. შეიქნა სამი თუშმანი და ექუსი მინალთუნი. ქალაქს შიგდიოდი ტივით და რაც თამასუქები და სიგლები მქონდა დამეკარგა. მოქალაქე სკანდარს ეპოვნა და ის თამასუქები და სიგლები ნაზარას გამოვართმევი და ისიც ნაზარას აქუს. ამ ნიშნით რომ იმაში ჩადები ორი თამასუქი მესანთლე ბალირას ჯალაბმა მამიტანა. ჩემ(მა) ქმარმა ბარამანთ რამაზს სახლ-კარი მიყიდა ცამეტ თუმნათა, ოთხი თუშმანი კომოგვცა და ცხრა თუმნის თამასუქი მოგვცა. ეს ცხრა თუშმანი იმათ მარცებს. ჭიკა გიორგის მართებს ერთი თუშმანი, მიწა მქონდა გირაოთა. ამას გარდა კიდევ მართებს ექუსი მინალთუნი სა(ა)მხანაკოთ. სარგებელი სანახევროთ მიმიცია. გოჩას-შვილს პაპუნას ჩემი სამი თუშმანი და ნახევარი ემართა. ამისგან ორი თუშმანი და ნახევარი მომცა, ერთი თუშმანი აშა მიყო. თუ თამასუქი გამოჩინდეს, რომ სამი თუმ(ან)-ნახევარისა იყოს, ხომ ერთ(ი) თუშმანი უნდა ძომცეს; თუ თამასუქში ორ-თუშმან ნახევარი ეწეროს, აღარა დარჩება რა. როსტომმა მამასახლის(ს) მართებს ერთი თუშმანი. მამასახლის როსტომას ჯალაბს მართებს ექუსი მინალთუნი. თუთას ჯალაბმა თექუსმეტი მინალთუნი გამომართვა ოც კოკა ტკბილათა; თერთმეტი კოკა კი აუღია, ერთი კოკა უჩუქებია დარვა კოკა ისევ თავყელის-შვილზე დარჩომილა. თუთას შვილს ბაღდასარს მართებს სამი თუშმანი. ტინიხიდს თავაქალას შვილს სულხ(ა)ნს მართობებს თორმეტი მინალთუნი. დანბარა(ა)ნთზე არის ფეტვისა ექუსი მინალთუნი. რუისელს შედანის-შვილს მართებს თორმეტი კოკა ტკბილი და ოთხი მინალთუნი თეთრი; შინაქუს ორი კოდი პური, ორი კოდი ქერი, სამი კოდი ფეტვი. ამ ჩემი ან-

დერძის წიგნისა გამიხდია ჩემი ვეკილი ტერ-საკა, მამასახლისი გიორგი, ყან-
დინაშვილი გიორგი, თუთაშვილი ბაღდასარა. ვისიც რამ დამეწეროს, ახალაღ
მართებს, ამათ გამოართვან. და ჯერ ჩემი სული ებრალებოდესთ და მე კარ-
გად დამ(მ)არხონ. რაც რომ ჩემს სამარხს და საორმოცეს და წირვას და ქა-
მას მორჩეს, ერთი თუმანი ახპატს¹ მიეციოთ, რვა მინალთუნი ტერ-საკას მიეციოთ
საორმოცეთ; სხვა რაც გადარჩეს, ჩემს რიგსა და ალერსა მორჩეს, სამსავ საყ-
დარს გაუყავით. თქვენის ქრისტეს გულისთვინ რომ ეს ოთხი კაცი ჩემს საქ-
მეზე მუყაითი იყავით. ერთი უშვილო დედაკაცი ვიყავი და ჩემი სული გებრა-
ლებოდეს, ამაში ქომაგი მიყავით. არის ამისი მოწამე ტერ-არაქელა, იობაშვი-
ლი ესტატე.

მე, ლომინანთ მექინაშვილს ისაიას, მარეხას იღრარით, დამიწერია, მო-
წამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქრისტისშობის ი გასულსა, ქკს უმ. მე, ჯულ(ა)-
ბანთ პაპუნას შვილმა დავითან, ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი გადავწერე.

სხვა ხელით: ქ. ამ ანდერძის სავადისა ასლი მე, ტერ-საკას, მაქვს.
ამისი მოწამე ვარ.



140. 1763 წლ. სექტემბრის 1. მეფის სახაბაზოს ნუსხა. დედანი. ზომა 34,5x11,5 სმ. დაწერი-
ლია თეთრ ქაღალდზე მხევეთული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი
ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3605 Hd.

ქ. ქკს უნა, ენკენისთვის ა.
სახაბაზოს ნუსხა.

- გ ქ. მეფის მურასა და ლავაში ჩარექი.
- გ ქ. დედოფლის მურასა და ლავაში ჩარექი.
- დ ქ. სუფრის პური ლიტრა.
- გ ქ. პატრიაქის მურასა და ლავაში ჩარექი.
- ბო ქ. სუფრის პური ლიტრა.
- გ ქ. გიორგი ბატონიშვილის მურასა და ლავაში.
- ბ ქ. ბატონი რძლის მურასა ჩარექი.
- დ ქ. ამათი სუფრის პური ლიტრა.
- ა ქ. ანა ბატონიშვილის პური ლიტრა.
წ	(თუმანი)	ქ. ა ბარათით მივე.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ე ჩარექი ბურნიოთი.
წ	(ორი თუმანი)	ქ. ანბარდარა ქიტესას მიმაცემინა. ქ. ბიჭის ხელით მივეც ა(თუმანი). ამის ბარათი დამეკარგა. არ ჩამიგდო. ქ. იქნა ჯამი იმ ერთის თუმნის გარდა წწ (ხუთი თუმანი და ოთხი მინალთუნი). ეს დანახარში (sic) უწინდელი ბატონის-შვილის ანგარიშის მიანგარი(შა) და დამიკ(ი)რა წ (ორი თუმანი), რომ ამის დამსწრე ისია თაყას-შვილი იყო და ჩვენი დანიელა, რომ ამათ მოგვარიგეს. დარჩა.
წ	(თუმანი)	ქ. ბიჭის ხელით მივეც.
ლკ	(ოცდაცამეტი თუმ.)	ქ. ენკენისთვის იე ქკს უოზ დანიელას ხელით მივე.
ლწწ	(ოცდა ჩვიდმეტი თუ- მანი და ოთხი მინალთ.)	იქს ჯამი ამ სამი ყალმისა.

Verso:

კც (ოცდარვა თუმანი) ქ. თავნი.
ქკს ჭო მაისის ა, ქკს უოზ ენკენისთვის იე, იქს თვე
წჰლ იქს ამის სარგებელი თუმანი ორშაურნახევრო-

ლ ³ ჰლნ	(ოცდა ჩვიდმეტი იქს. თუმ., ცხრა მინ. და ხუთმეტი შაური)	
ლ ³ წ	(ოცდა ჩვიდმეტი თუ- მანი და ოთხი მინალთ.)	ქ. ჩემი მიცემულის ჯამია.
ჰლნ	(ხუთი მინალთუნი და ხუთმეტი შაური)	ქ. ეს ჩემი მიცემული რომ გავიდეთ, დარჩება ჩემზე.

ქ. ჩემო სბ¹ დივანო, ეს ჩვენი ანგარიში ასე იყო, რომ თქვენაც გიწე-
რიათ. მერმე რუსეთს რომ მიდიოდა დანიელა, მე ჩემი¹ თამასუქი დანიელას
ვათხოვე, რომ მრავალი ლაპარაკიც გამოგვივიდა. მერმე დანიელამ მითხრა:
თერთმეტი მინალთუნი მიეც ტერტერას და თამასუქს მოგცემს. გულულანთ
სტეფანას ხელით გამოვგზავნე და არ აგელოთ. ახლა ნება შენია, თუ ბევრია
თუ ცოტა, კიდევ უწინდელი შაფალათი მოიგნეთ და, თუ გინდა ბევრიც იყოს,
მე მაპატივე. ღთია გულთამხილველი, რომ ანგარიში ასეა.

155. 1785 წლ. მაისის 4. არზა ფირიანთ სულხანას-შვილის გოგიას ქვრივის
ანასი კათალიკოზის ანტონი II-ისადმი. დედანი. ზომა 39x16,5 სმ. და-
წერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად იმზარება ორწერტილი
ყოველ სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 14594 Hd.

ქ. ღმერთმან მისის უწმინდესობის, ქათალიკოზ-პარტრიარქის, მეფის ძის
ანტონის ქირი მათის ყმის ფირიანთ სულხანას-შვილის გოგიას ქვრივის ანას
მოსცეს.

თქვენს უწმინდესობას ამას წინათაც გამოუცხადე ჩემი ქვრივ-ოხრობა.
თქვენ ბძანეთ მოხელე(ე)ბზედ, რომ ჩვენი სადგომი ქალაქში შუა-კარზედ სახ-
ლიც გაშინჯონ და გარეთ-უბნის ქოხების ადგილებიცა გაშინჯონ და გაზომონ
და თქვენ მოგახსენონ. თქვენმა მოხელეებმა გარეთ-უბნის ქოხების ადგილებიც
გაზომეს. ექვსასთერთმეტ ადლ-ნახევარი გამოვიდა. რომელიც ოთხი სიგელი
ხელთ გვიქირავსთ, იმ სიგლების ძალით გაზომეს. და ქალაქში ეს ჩვენი სად-
გომი სახლიც გაშინჯეს, მგონი, თქვენს უწმინდესობას კიდევაც მოხსენდა.
ხომ თქვენს უწმინდესობასაც მოეხსენება: ჩემი მზითვის თეთრი მქონდა ოთხ-
მოცდაათი თუმნამდინ, რომ სულ ჩემმა პატრონმა, თქვენმა ყმამ, გამომართო.
ზოგი ისევ ამ სახლისა და ქოხების ადგილების უწინდელი ვალები იყო დარ-

¹ საპიბ (?)

ჩომილი, იმაში მისცა და ზოგიც ახლა შამახიას თან წაიღო და წავიდა თქვე-
ნის ბრძანებით. ახლა ხომ იქ თქვენი ქირის სანაცვლო შექნილა. ორი
შ(ა)მახიელი კაცი მოსულან—ჩვენი ოცი თუმანი ემართა გოგიასაო, უნდა მო-
გ(ვ)ცეთო. არც ველწერილი უჭირავსთ. ჩვენ ვინ მოგვცა, რომ მივსცეთ. და ან
რათ იქნებოდა თქვენი ყრმა. მისაცემსა? როგორც ჩემი მზითვის თეთრი წაი-
ლო, ჰალბათ ხომ ერთი იმოდენაც თითონა ჰქონდა თანა, სულ იქ ჩაღუპეს.
ჯერ პირიქით ამ შამახიელებისგან ჩვენა გვაქს სათხოვარი, მაგრამ პატრონი
არა გვყავსთ. ერთი ერთის წლის ობოლი დამრჩა და ჩემის პატრონის მოხუ-
ცებულს დედა, მეც ახალგაზრდა ქალი გახლავარ. სარჩო არსაიდამა გვაქს და
სიცოცხლე. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ეს სახლი და გარეთ-უბნის ქოხების
ადგილები რომ არის ჩემის პატრონის დარჩომილი, ჩემის მზითვის ნახევარ
ფასათაც ძლივა ღირს. მზითვეი არავის დაჰკარგვია. ამის მოწყალებას გივედ-
რებით, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ეს სახლი და ქოხების ადგილეი ჩე-
მის მზითვის თეთრში მომეცეს, რომ სხვა მოვალ(ე)ებმა არ შემაწუხონ და
არც ვისმე ამ სახლთან და ქოხების ადგილებთან ჰქონდეს საქმე რამე, რომ
ჩემი მზითვეი, ჩემ მშობელთაგან მოცემული ჩემს სამკვიდროთ, არ დამეკარ-
გოს. ღმერთი გადღეგრძელებს, ამის წყალობა მიყავით. მაისის დ, ქკს უოგ.

ქ. ჩუქნი ბრძანება არის, ამ არზის პატრონო: მერე, რომელიც ამ არ-
ზით მოგიხსენებია, ქალაქში შუა-კარზედ სახლი და გარეთ-უბნის ქოხების ად-
გილები რომ არის, შენის მზითვის თეთრში გვიბოძებია. თუ ჩუქნი ყმას გო-
გიას მართებს ვისიმე რამე, ის ჩუქნი მოგვახსენონ. ჩუქნი გამოვიძიებთ და
სწორეს სამართალს მივსცემთ. ამ სახლთან და ქოხების ადგილებთან სხუას
ვისმე ველი არა აქუს შენს მეტსა, ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროს. რო-
გორც გინდოდეს ისე იხმარე. და თუ შენს ობოლს გამოზრდი და შენს მოხუ-
ცებულს დედამთილსაც გააძლებინებ, სანამ ცოცხალია, ის შენი პატიოსნება
იქნება. მაისის ზ, ქკს უოგ¹.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსი ირაკლი, მისის უწმინდესობის,
ჩვენის ძის პარტრიარქის ანტონის ბრძანებასა ვამტკიცებთ. მარტის გ, ქკს უოგ.

ერეკლე²

156, 1785 წლ. მაისის 20. ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა და ყასაბი ასატურას
შვილებისა. დედანი. ზომა 32,5X21,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახშარია ორწერტილი, წერტილი ან მკიმე.
საქ. სახ. მუხ. № 3655 HII.

ქკს უოგ, ამ წლის მაისის კ, ჩვენი და ყასაბ ასატურას შვილების ან-
გარიში ვნახეთ, თავილი და ხარჯი აქა სწერია.

რასაც ჩვენსას მოსაცემს არიან:

¹ მისდევს ხელჩართული.

² მერის ბეჭედი.

ქჳფმ	(ოცდაცხრა თუმანი, ქკს უად—ამ წელს, ქკს უად—ამ წელს, ქკს ხუთი მინალთუნ-ნა-ხევარი და ორი ბისტი)	ქ. უად—ამ წელს, ქკს უად—ამ წელს; ამ ოთხ წელიწადს რაც ამათ იჯარები სკერიათ, თვითონ გოგიას მოცემული ნუსხით ჩვენი წილი სარგო გვინდა.
მცუ	(ორი თუმანი, ორი მინალთუნი და ოთხი აბაზი)	ქ. მოცემულს საშარტლამოებს გარდა დანარჩონი ჩვენი წილი საშარტლამო გვინდა.
მჳ	(ერთი თუმანი და ხუთი მინალთუნი)	ქ. ბატონიშვილის ლეონის სამსახურში შემოსვლისათვის თავიანთ დაპირებული გვინდა.
მცლ	(თორმეტი მინალთ. და თოთხმეტი შაური)	ქ. როხროხაშვილის გიორგის შეპირებული გვინდა.
მჯ	(თვრამეტი მინალთ.)	ქ. გ ხარი მივე გოგიას ა—ჳ (ხუთი მინალთუნი), ა ძროხა—ძ (სამი მინალთუნი).
მ	(ერთი თუმანი)	ქ. ი ცხვარი და გ თხა მივე დავითას.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. ა ძროხა მივე ქაიხოსროს.
ბ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. ბ ძროხა მივე დავითას.
ლმმ	(ოცდათვრამეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ორი ბისტი)	ქ. ჯამი მ კალმისა ჩვენი მისაცემისა.

ლმჳქნლე	(ოცდათორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი, ცამეტი შაური და შვიდი ფული)	ქ. პირდაპირ ჩვენი დანახარჯის ჯამი აქ გამოვიტანეთ. არის.
მძტნე	(ხუთი თუმ., სამი მინალთ. და შვიდ-შაური-ერთი ფული)	ქ. ამ ზემო ორის კალმის თავილისა და ხარჯის ჯამს რომ ერთმანეთში გამოვედით, დარჩა ჩვენის მოსაცემისა, რომ ამისი გოგიამ თავისი ხელწერილი ბარათი მოგვცა ხუთის თუმნისა, სამის მინალთუნისა და შვიდ-შაური-ერთი ფულისა.

რაც ჩვენთვის ბარათით და უბარათოთ მოუციათ:

ქკს უად, ამ წელს ჩვენი დანახარჯი:

მწუთ	(ოცდაოთხი მინალთ., ორი აბაზი და თოთხმეტი ფული)	ქ. რმთ+ ლიტრა ცხვრის ხორცი, ა—სკე (ოთხ-შაურ ნახევარი).
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. ა ძროხა შიომ მოლარეთხუცეს მისცემის.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ბ ცხვარი კიდევ შიომ მოლარეთხუცეს.
მ	(თუმანი)	ქ. ა ბარათით თეთრი.
ჩ	(ერთი მინალთუნი)	ქ. ა ბარათით ე ლიტრა ღორის ქონი.
ც	(ექვსი შაური)	ქ. ა წყვილი წალა.

ა) უ	(ორი აბაზი) (სამი თუმანი)	ქ. ა წყვილი ქოშნი. ქ. ა ბარათით მდივანს.
წტრო	(შვიდი თუმანი, ორი მინალთუნი, ორი შაური და თოთხმეტი ფული)	ქ. ჯამი 0 კალმისა.
ქკს უდგე, ამ წელს ჩვენი დანახარჯი:		
ა) უფშ	(ხუთმეტი მინალთ., ათი შაური და ოთხი ბისტი)	ქ. მთ ლიტრა ცხვრის ხორცი, ა —სკე (აბაზი და ნახევარი შაური).
ჩტნ	(ერთი მინალთუნი და შვიდი შაური)	ქ. ვა+ ლიტრა ძროხის ხორცი, ა — ს (ერთი აბაზი).
ა) წ	(თოთხმეტი მინალთ.)	ქ. ა წყვილი წვრილი იანქეჩა მოგვცეს.
ღ	(თოთხმეტი შაური)	ქ. ა საერისთოს თოხლი.
უ	(ორი აბაზი)	ქ. ა წყვილი ქოშნი.
ქ	(სამი აბაზი)	ქ. ბ წყვილი წალა.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. ა ბარათით თეთრი.
ჩუ	(შვიდი აბაზი)	ქ. ა ბარათით თეთრი.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ა ბარათით ხორცის ფასათ.
ა)	(თუმანი)	ქ. ა ბარათით თეთრი.
ღპლ	(ოთხი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ექვსი ფული)	ქ. ჯამი ი კალმისა.
ქკს უდგე, ამ წელს ჩვენი დანახარჯი:		
წულე	(ოთხი მინალთუნი, ოთხი აბაზი და შვიდი ფული)	ქ. კა, ლიტრა ცხვრის ხორცი, ა —სკე (ოთხ-შაურ-ნახევარი).
ჩფ	(ერთი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. ა პატარა ხარის ტყავი.
ბტლე	(ექვსი მინალთუნი, ექვსი შაური და შვიდი ფული)	ქ. ჯამი ბ კალმისა.
ქკს უდგე, ამ წელს ჩვენი დანახარჯი:		
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. კ ლიტრა მარილი, ა — რ (ორი შაური).
ბ	(ექვსი შაური)	ქ. ა ლიტრა დაბახანის მატყლი.
ა)	(თუმანი)	ქ. ქაიხოსროს გაკეთებულის ხლმის იარაღის ხელფასი.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ბ ცხვარი.
ა) წტ	(თუმანი, ოთხი მინალთ. და ექვსი შაური)	ქ. ჯამი ღ კალმისა.
ქკს უდგე, ამ წელს ჩვენი დანახარჯი:		
ჯქნი	(რვა მინალთ., ცამეტი შაური და ორი ფული)	ქ. ლმ, ლიტრა ცხვრის ხორცი, ა —სკე (ოთხ-შაურ ნახევარი).

ჩ	(ერტი მინალთუნი).	ქ. ბ ლიტრა რკინა ა, ფ—(ათი შაური).
ჩყ	(ცხრა აბაზი)	ქ. იბ ლიტრა მარილი ა, რნ—(სამი შაური).
ა	(თუმანი)	ქ. ა ბართით თეთრი.
ჟ	(ოთხი აბაზი)	ქ. ბ წყვილი ქოში.
ტ	(ექვსი შაური)	ქ. ა წყვილი წაღა.
უ	(ორი აბაზი)	ქ. ა ბარათით თეთრი.
ფ	(ხუთი თუმანი)	ქ. ა ბარათით მდივანს.
ფცმნი	(შვიდი თუმანი, ორი მინალთ., ცხრამეტი შაური და ორი ფული)	ქ. ჯამი 5 კალმისა.
ქქს უო,	ამ წელს ჩვენი დანახარჯი:	
ცსნ	(ორი მინალთ. და ხუთი შაური)	ქ. ი ლიტრა ცხვრის ხორცი, ა—სკე (ოთხშაურ-ნახევარი).
ქმ	(სამი აბაზი და ორი ბისტი)	ქ. დ ლიტრა ძროხის ხორცის ფასი მიუციათ.
ცყუ	(ორი მინალთ., ოთხი აბაზი და თვრამეტი ფული)	ქ. ჯამი 6 კალმისა.
კაჭქნლე	(ოცდაერთი თუმანი, შვიდი მინალთუნი, ცამეტი შაური და შვიდი ფული)	ქ. ვ წლის ქულუ-ჯამი იქნება.
ა	(ხუთი თუმანი)	ქ. მამიდა ჩვენმა გოგიას დედამ თქვა: ჩემის ხელით მდივანს მიუტანე და ბარათი არ მოუციაო.
ქ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ჩვენის მსახურის ღთისიასათვის მიუციათ.
კუ	(შვიდი მინალთუნი და ორი აბაზი)	ქ. გოგიამ მე მანუჩარს მომცა.
ქ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ალიხანანთ პოლოსას შევაპირეთ.
ქ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ციკანაშვილისათვის მივაცემინეთ.
ხხ	(ექვსი მინალთუნი და ერთი აბაზი)	ქ. თვის შაურიღამ წამონაღები.
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. მეწვრილმანე პაპას შევაპირეთ.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. ა წამოსასხამი ნაბადი ვაყიდვინეთ.
აზ	(თექვსმეტი მინალთ.)	ქ. დ ადლი ჩიჩაგლი ხარა მამცა, ა ადლი წ (ოთხი მინალთუნი).
აუ	(ათმ. და ორი აბაზი)	ქ. მეწვრილმანე ასლანას შევაპირეთ.
ლბჭქნლე	(ოცდათორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი, ცამეტი შაური და შვიდი ფული)	ქ. ჯამი ია კალმისა ჩვენის დანახარჯისა.

157. 1787 წლ. თებერვლის 21. აზზა თომა და პაატა მეღვინეთხუცის-შვილე-ბისა, მირთმეული ერეკლე მეფისადმი ხიდისთავში მამულის წყალობის თაობაზე. დედანი. დაზიანებულია, სახელდობრ რამდენიმე ადგილას გახეულია და თავიც აკლია. ზომა 22,8X15,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ იხმარება წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 6693 Qd.

ქ. ლთნ ბედნიერის კელმწიფის კირი მოსცეს მეღვინეთხუცის-შვილს თომასა და პაატას.

(ჩვენს მოწყალე კელმწიფეს ამას მოვახსენებთ:

ქ. თქვენგან რომ ყმისა და მამულის წყალობა დაგვემართა. ჩვენი თან გამოყოლილის კაცებისაც ასე წყალობის იმედი გვებძანა: თქვენ იქავ წედისის გარეშემო (ბეი)თალმანი მამული მოძებნეთო და იმათთვისაც წყალობა დაგვემართებათო. ჩვენ ეს მოხსენება იმან გაგვაბედვინა, რომელიც ერთი-ორი თან გამოყოლილი კაცი გყავს, თავის შესაფარებელი ადგილი არა აქვსთ და ამისთვის ქვეყნის სამსახურსაც აკლიან და ჩვენიც ურგებელნი არიან. ქიდის-თავის გარეშემო თქვენი (სა)ხასო ბეისალმანი მამულები არის, რომ იქაურის მემკვიდრეს მოთაბარისა(?) კაცისაგან ვიცით. ამას გევედრებით, რომ იმ გამოყოლილის კაცებისათვისაც ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს და ბინა მიეცესთ, რომ ან თქენს საქვეყნოს ხარჯში არ გამოაქლდენ და ჩვენც გვარგონ რამე.

ზედელებიც ხომ თავეთს მამულს ველარ უდგებიან და ამ დროებში ისინიც იმათ შემოვახვიოთ, რომ არსად დაგვეფანტენ. ამ მოწყალეობას ვ(ი)თხოვთ. ფებერვლის კა, ქქს უოდ.

საბუთის თავში სხვა ხელით: . . . (ხედის)თავს ჩვენის ყმების . . . ერთი მთელი საკომლო მიწ(ა უპ)ოვნია. ჩვენ ეს მოხსენება გაუგონეთ (და) ერთის მთელის საკომლოს მიწის წყალობა . . . არ(ი)ს . . . თ თურმე . . . რაც ხიდისთავს ჩვენის ყმების ატენელების ბეისალმანი მიწები არ(ი)ს, ხიდისთავის მამასახ(ლისო) და . . . მთელი ზომით გაურჩიეთ და მოაბარეთ. ეს ასე აღასრულეთ, როგორც გვიბძანებია.

ალიწერა მარტის იზ, ქქს უოდ.

ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომოთ და ზომით მისცეთ.

□¹

¹ ერეკლეს ბეჭედი.

158. 1786 წ. დანახარჯის ნუსხა მანუჩარ' თუმანიშვილისა. დედანი. ზომა 22×9,2 სმ. დაწერილია მოთეთრო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 5419 Hd.
ხელის მიხედვით საბუთი მანუჩარ თუმანიშვილისა უნდა იყოს.

ქკს უოდ, ამ წლის საბეჭდავის ამანათქარის სურგუნანთ საკასაგან რაც მოგვიტანია, ამას ქვეით სწერია ბარათით და უბარათოთ.

ც	(2 მინალთუნი)	ქ.	ბარათით თეთრი.
ცლ	(2 მინალთ. და 14 შაური)	ქ.	ა ადლი დიზის არშია.
ც	(2 მინალთუნი)	ქ.	ა თოფი ნარმა ყმარწვილებისთვის.
ჩქ	(8 აბაზი)	ქ.	ა ბარათით მკერვალს გოგიას მუხის ხისათვის.
შ	(18 შაური)	ქ.	ა ბარათით მეწვრილმანე კაკალას.
ა ც	(12 მინალთუნი)	ქ.	ა ბარათით ავეტიქანთ სტეფანას ძველს ფარ-ჩის ვალში.
ცუ	(12 აბაზი)	ქ.	ბ ლეინი ბიჭებისთვის.
ცჳ	(14 აბაზი)	ქ.	ბ თოფი სამოსელი მოსამსახურისთვის.
ცს	(11 აბაზი)	ქ.	ა ლიტრა ბანმა.
ც	(2 მინალთუნი)	ქ.	შაქარაშვილს ასატურას გამოვართვი.
ცლ	(2 მინალთ. და 14 შაური)	ქ.	გ ლიტრა ერბო.
ძ	(3 მინალთუნი)	ქ.	ა ბარათით გიგუზას მისცემია.
ც	(2 მინალთუნი)	ქ.	ბ ლურჯი ლეინი.
ჩუ	(7 აბაზი)	ქ.	ა თოფი სამოსელი.
ქ	(5 მინალთუნი)	ქ.	ა მდივნის ბარათით.
		ქ.	ა ჩემის ბარათით ა წითელი ლეინი და ა ლიტრა ბანმა.

159. 1787 წლ. ნოემბრის 27. სასამართლოს განაჩენი პაპოა და ეგნატე თუმანიშვილების თეთრეულისა და ვალის გაყოფის თაობაზე. დედანი. ზომა 44×34 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან ტირე ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 3637 Hd.

ქკს უოე, ნუენბერს იმ. მისს უმაღლესობას ოქმით და შანშე ნილახვარის მოასილობით მის მონათათვის თუმანიშვილი პაპოასი და მისი ძმისწული ეგნატე მდივნის თეთრეულისა და ვალის გაყოფა ებძანებინა მოქალაქურის წესისაებრ. რაც ამ თარიღში ამათ გამოაცხადეს ვალი ან ქონება, რომ ორნივე მოდავეები ერთმანერთი სარწმუნო გახადეს, ის ქონება და ვალები ასე გაუყავით, როგორც ამის ქვემოთ გარჩევით დაიწერება.

ქ. რაც ნაღდი ქონება გამოაცხადა პაპოამ, ამას ქვემოთ დაიწერება:

რ ^ი ზ ^ქ	(ას ჩვიდმეტი თუ- მანი, ექვსი მინალთ- და სამი აბაზი)	ქ ^ქ უოგ, დეკემბერს კ ^ბ , ამ თარიღში მიცემული ა ფარდი სამხანაკო წიგნითა აქვს ზუბელაშვი- ლი ივანესთან. თავნის ჯამი არის რ ^ვ (ას ექვსი თუმანი); ამისი ა წლის მოგება პაპოას დაუხარ- ჯავს, დარჩება ია თვე; ამისი თვეში თუმანზე რ (ორი შაური) სარგებელი ვიანგარიშეთ, რომ იქ- ნება სარგებლის ჯამი რ ^ა ზ ^ქ (თერთმეტი თუმანი, ექვსი მინალთუნი და სამი აბაზი); ამ თარიღს იქით პაპოას მივეცი თ ამ ანგარიშით; ამისა ხეი- რი და შარი და პაპოასი შეიქნა. ჯამი არის ამ თავნისა და სარგებლისა.
ა ^ლ ბ	(ოთხმოცდა ოთხი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ ^ქ უოდ, დეკემბერს ა, ამ თარიღში ა ფარდი. სანათით გორელი ალაპაპას-შვილი სტეფანესა- თვის სარგებლით მიუცია ა (ოთხმოცი თუმანი). სანათის თარიღიდან ამ თარიღამდენ იქნება ა წელიწადი. ამისი სარგებლის ჯამი იქნება რ ^ბ (ცხრა თუმანი და ექვსი მინალთუნი). აქედამ ამის წინათ პაპოას დაუხარჯავს ე (ხუთი თუმა- ნი), ეს გაველ, დარჩა სარგებლიდან ლ ^ბ (ოთხი თუმანი და ექვსი მინალთუნი). ამით იქნება.
ა	(ერთი თუმანი)	ქ ^ქ უო, თიბათვის მ, ამ თარიღში ნაწერი სანათით თუმანის-შვილი ნიკოლოზისაგან უნდა თავნი.
ა ^ქ	(ხუთმეტი მი- ნალთუნი)	ქ ^ქ უფთ, ნუნებერს მ, ამ თარიღში ნაწერი სანა- თით აკოლას-შვილი გურგენასაგან უნდა თავნი, რომ ამისი სარგებელი პაპოას დაუხარჯავს.
ლ ^ბ	(ოთხი თუმანი და შვიდი მი- ნალთუნი)	ქ ^ქ უოა, თიბათვის ა დაწერილი სანათით ფერ- შანგიშვილი თომასაგან უნდა თავნი. დავწერეთ რომ ამისი სარგებელი პაპოას დაუხარჯავს.
ს ^ო წ ^ქ	(ორას ცხრა თუმა- ნი, ოთხი მინალთუ- ნი და სამი აბაზი)	ქ ^ქ იქნა ზემოთი ე კალამი საღი ასაღების ჯამი.
ი ^ე	(ხუთმეტი თუმანი)	ქ ^ქ აქადამ პაპოას შვილს იოსებას საქორწილოთ მი- ვეციოთ. რადგან პაპოას ოჯალზედ გარჯილობა ჰქონდა, უფრო მეტი მიეცემოდა, მაგრამ პირვე- ლი მიზეზი უქონლობა იყო და მეორე მიზეზიც ეს იყო, რომ იოსებ ამის წინათ რომ დანიშნუ- ლა, ნიშანი რ ^ა (ჩვიდმეტი თუმანი) ოჯახიდან გა- უგზავნია. ისიც იმას დანებდა. ანგარი(შ)ში არ შემოვიტანეთ. იმას გარდა აქადამაც მივეციოთ.
რ ^ვ ლ ^წ ქ	(ასოთხმოცდა თო- თხმეტი თუმანი, ოთხი მინალთუნი და სამი აბაზი)	ქ ^ქ ზემოთი ჯამიდან ქვემოთი ჯამი გაველ, დარჩა. პაპოასი და ეგნატეს საერთო ჯამია.

ქ. ამათი სალი ასალები და ვალები ასე გაიყო, როგორც ზემოთ სწერია.. მას გარდა რაც კიდეც პაპოას ასალები აქვს, ამის ქვემოთ ის დაიწერება, რომ რაც ამ ასალებებშიდამ გასალებმა, პაპოასი და ეგნატეს საერთო იქნება, შუა უნდა გაიყონ.

ქ. რაც პაპოას სანათით ასალები აქვს, აქათ დაიწერება.

კმ (ოცდარვა თუმანი) ქ. იოვანე მდივან-ბეგის თამასუქი აქვს ქკს უნბ, მარტის კდ ნაწერი.

ნ (ათი თუმანი) ქ. ასლანბეგიანთ ფასოას-შვილი ბაღდასარას სანათი ქკს უმ, დეკემბრის იე ნაწერი.

ნც (ოცდაორი მინალთ.) ქ. ამავ ასლანბეგიანთ ბაღდასარას ჯალაბისა და ამისი შვილი ფარსადანას სანათი აქვს ქკს უმა, მაისის ი ნაწერი.

ლა (ოცდათერმეტი თუმანი) ქ. ამავ ასლანბეგიანთ ფარსადანას სანათი აქვს სუნბათას სახელობით დაწერილი, რომ სუნბათას პაპოასი მართებია და სუნბათა(ს) შვილს ეს სანათი პაპოასათვის თავის მამის თანხაში მიუტია. ამ თარიღში ეს სანათი ყიზლარსა ჰქონდა გაგზავნილი, თარიღი ამიტომ არ დაწერეთ. თითონა თქვა, ჯამი არისო.

ლვ (თოთხმეტი თუმანი) ქ. მუშრიბიანთ მანუჩარაშვილი შაქროას სანათი აქვს, რომ სახლები გირაოთ უწერია, თავნის ჯამი არის. ქკს უფზ, მარტის იგ.

ლგ (ცამეტი თუმანი და ხუთი მინალთუნი) ქ. იაგოანთ პაპას სანათის სავადი აქვს. ქკს უნწ, დეკემბერს კვ.

ლბ (თორმეტი თუმანი) ქ. ვიშელანთ ესტატესი და გიორგის სანათი აქვს. ქკს ულწ, დეკემბერს ა.

ქ. თარხან-ალასაგან ა ფარდი შართალამა აქვს, რომ ამისგან თარხან-ალას ოქრო აულია და პაპოას ბიჭი სიმონასათვის ამანათი რომ გაუტანებია, რომ იმავ შართალამაში სწერია, ამის ზოგი რამ პაპოასათვის მიცემულა თარხან ალასაგან და ზოგი დარჩომილა ისე სადავოთ. რაც იქილამ გამოვა, საერთო იქნება, აქ ამიტომ საერთობა არ სწერია.

რბ (ას ათი თუმანი და შვიდი მინალთუნი) ქ. იქნა ზემო ზ კალამი დარჩომილი სანათების ჯამი.

ქ. რაც ამ თარიღში პაპოამ და ეგნატემ ვალები გაიზაცხადეს, ქვემოთ დაიწერება.

რგ (ასორმოცდა ექვსი თუმანი) ქ. ა სიით პაპოამ ვალები გამოაცხადა, რომ ის ვალები ეგნატემ იყაბულა და ხელი მოაწერა, ქეშმარიტი ვალები არისო, ის სია ისევ პაპოას მივეციოთ და ამისი ჯამი აქ დაწერეთ, რომ არის პაპოას ვალის ჯამი.

- რეცნვე** (ასორი თუმანი, ორი ქ. ა სიით ეგნატემ ვალები გამოაცხადა, რომ მინალთუნი, ერთი ის ვალები პაპოამ იყაბულა და ხელი მოაწე- შაური და ცხრა ფული) რა, ჭეშმარიტი ვალები არისო, ის სია ისევე ეგნატეს მივეციით და იმისი ჯამი აქ დავწე- რეთ, რომ არის ეგნატეს ვალის ჯამი.
-
- ნმცნვე** (ორას ორმოცდა რვა ქ. იქნა ზემოთი ბ კალმი ვალების ჯამი. თუმანი, ორი მინალ- თუნი, ერთი შაური და ცხრა ფული)
- ქ. ეს ვალები ასე გაეყავით, რომ საერთო ვალი იყო: ეგნატესი ერთი იმოღენა ვალი პაპოას. ვალიდამ შეუფარდეთ, რომ რაც იგნატეს ვა- ლის თანხა ქონებიდამ ერგებოდეს, იმოღენა ვალის თანხა ქონებიდამ პაპოას ერგოს. რაც პაპოას ვალი იგნატეს ვალზედ მოემატე- ბა, იმ ვალის თანხა სრულად პაპოას მიეცემა, ასე, როგორც ქვემოთ გარჩევით დავვიწერია, ვალიცა და ქონებაც. ეს ამიტომ ასე გაიყო, რომ ვალი ქონებასა სჭარბობდა.
- ქ. ეგნატეს ვალის ჯამი აქათ ჩამოვიტანეთ, რომ არის რეცნვე (ასორი თუმანი, ორი მინალთუნი, ექვსი შაური და ცხრა ფული).
- ნეძტვე** (სამოცდახუთმეტი თუ- ქ. ამავე ეგნატეს ერგება პირდაპირ ნაწერი მანი, სამი მინალთუნი, ქონებიდამ. ექვსი შაური და ცხრა ფული)
- ქ. პაპუას ვალიდამ ეგნატეს ვალს შეუფარდეთ რეცნვე (ასორი თუ- მანი, ორი მინალთუნი, ერთი შაური და ცხრა ფული).
- ნეძტვე** (სამოცდახუთმეტი თუ- ქ. ამავე პაპოას ამ ვალის თანხათ ერგება. მანი, სამი მინალთუნი, ექვსი შაური და ცხრა ფული)
- ქ. ამას გარდა პაპოას ვალს მოემატა ჯამი მავშე (ორმოცდასამი თუმანი, შვიდი მინალთუნი, თვრამეტი შაური და ერთი ფული).
- მავშე** (ორმოცდა სამი თუმა- ქ. ამ ვალის თანხა ერგება ყარშუ ქონები- ნი, შვიდი მინალთუნი, დამ. ექვსი შაური და ცხრა ფული)
-
- რედწქ** (ასოთხმოცდა თოთხ- ქ. იქნა ზემო სამი კალმის ჯამი. გ კალმი ვა- მეტი თუმანი, ოთხი ლის ჯამი არის ნმცნვე (ორას ორმოცდა მინალთუნი და სამი რვა თუმანი, ორი მინალთუნი, ერთი შაური და აბაზი) და ცხრა ფული).

ქ. პირდაპირ რომ ზ კალამი ასაღები სწვრია, რომ ჯამი არის თარხან-ალას სადავოს გარდა რიჯ (ას ათი თუმანი და შვიდი მინალთუნი), ეს თუ ან ამას გარდა ამ თარიღს უწინდელი ასაღები გამოჩნდება ასეთი, რომ ამ ანგარიშებში არ შემოსულ იყოს, სულ პაპოასი და ეგნატეს საერთო იქნება, შუა უნდა გაიყოს. ან ამ თარიღის უწინდელი ვალი გამოჩნდეს ასეთი, რომ პაპუას მამისაგან ან იგნატეს მამისაგან აღებული იყოს, ან იმათ დროინდელი დავა გამოჩნდეს, ორთავ პაპოამ და იგნატემ პასუხი უნდა გასცენ. ამას გარდა ამ თარიღს უწინდელი ან უკანდელი თუ ასეთი ვალი გამოჩნდეს, რომ ის ვალი პაპოას აღებული იყოს, თითონ პაპოამ უნდა გადინადოს; იგნატეს საქმე არ ექნება. აგრეთვე თუ იგნატეს აღებული ვალი გამოჩნდება, თითონ იგნატემ უნდა გადინადოს; პაპოას საქმე არ ექნება. ამას გარდა თუ ამ თარიღს უწინდელი ერთმანერტში თეთრისა ან აღებ-მიცემის მოკითხვის წიგნი ან დავთარი ან ყაბზი ან ბარათი ან პირობის წიგნი გამოჩნდება, ამგების ჰუქამი ბათილი არის. თუ ამათი ერთობის დროინდელი დავა რამ გამოჩნდეს, ბაინდურას თუ პაპოას სახელობით წამოედავოსთ ვინმე რასმე, რომ თეთრის სარშტისა და აღებ-მიცემის სარშტის დავა იყოს, პაპოას სიცოცხლეში ან პაპოას უკან ამ გვარს დავაზედ რაც გაუვით ან დაეხარჯებათ, საერთო იქნება; იგნატემ და პაპოამ ან პაპოას შვილებმან უნდა პასუხი გასცენ. მათი მონათ და ფერხთა მტვერთ ასე დავინახეთ, როგორათაც მოგვიხსენებია. ზძანება მათის უმაღლესობის აღსრულდეს. ნუენბერს კზ, ქკს უოე.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ :

ქ. ამ სამართლის ყაბული მაქუს მე, იესეს შვილს პაპუას. მე, იოსებმა პაპუას შვილმა, მამის ჩემის სიტყვით, დავწერე და მეც ყაბული მაქუს. ამ ანგარიშის წიგნი ორი დაიწერა: ეს ერთი მე დავბეჭდე, ეგნატის მივეც და ამისი მეორე პირი ეგნატემ დაბეჭდა და მე მომცა.

□¹ □² □³ □⁴

კ ი დ ე ვ ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ :

ქ. ამ სამართლისა და ანგარიშის მოსამართლენი გახლდნენ მუთოას-შვილი ოსეფა, თაყუას-შვილი ისაია, უზბაშიშვილი შაქაროა, ავეტიქანთ ოჭანეზა. ამათის მარტვათით ზემო ანგარიშის დამსწრელი (sic) და დამწერი ვარ, მისის უმაღლესობის (sic) მონა და ფერხთა ძიწა ყალოას-შვილი.

ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე მ ე ფ ი ს ო ქ მ ი ბ ე ქ დ ი თ :

ქ. ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დეკემბერს ა, ქკს, უოე.

□⁵.

¹ ბეჭედი წარწერით: „მონა ღთისა პაპოა“.

² ბეჭედი ქართულ-სომხურ-სპარსული წარწერით. ქართულად აწერია: „იოსეფ“, აზის თარიღი: „1733“.

³ ბეჭედი სომხური წარწერით.

⁴ ბეჭედი სომხური წარწერით.

⁵ ერეკლეს ბეჭედი.

160. 1778—1787 წ.წ. ხარჯის ნუსხა ერასტი გოსტაშაბის - შვილისა. დედანი. ზომა 47 X 16,2 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთი, ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 10476 Hd.
ნუსხის თარიღისა და პატრონის ვინაობისათვის იხილე აქვე საბუთი № 8678 Hd.
ანალოგიური საბუთი იმავე პირისა იხილე „მასაღბა“ I, გვ. 75—77 და აქვე №№ 2(დ, 8707 Hd.

- ქ. ქქს უფე, ბიძაჩემზე დანახარჯი ეს არის, რაც ამ ნუსხაში სწერია:
- ქ. კახეთიდან რომ ჩამოვიდა, შავი გამოუცვალე და ჯიგარი დაუქერვი-
ნე, კაბა სარჩულითა, სამი მილანთუნი.
- ქ. ქათიბი გადაუქრევინე, ორი მილანთუნი.
- ქ. ლეინის ნიფხავი სარჩულითა, თერთმეტი აბაზი.
- ქ. ლეინის პერანგი, რვა (ა)ბაზი და უზალთუნი.
- ქ. ქუდი ხუთი აბაზი.
- ქ. წინდები აბაზი.
- ქ. აბაზი ბეჭდის მოსაჭრელათ.
- ქ. ქაღების მოსაყვანათ რომ წავიდა, ჩემს ცხენებს გარდა, ერთი ცხენი
და კაცი უქირავე, მივეც ორი მილანთუნი.
- ქ. ხუთი აბაზიც თან გავატანე.
- ქ. თინანის კაბა ჩითისა, ხუთი აბაზი.
- ქ. თინანის შილა თასაკრავი სარტყელი, სამი აბაზი:
- ქ. ნენუას თავთა, ორი მილანთუნი.
- ქ. შვიდიში მასალითა, სამი მილანთუნი, ნენუას.
- ქ. ნენუას კაბა ლეინისა, სამი მილანთუნი და ორი შაური.
- ქ. ნენუას თავსახურავი ურუმული, ორი მილანთუნი.
- ქ. ნენუას მომის თავსაკრავი, სამ-აბაზ-უზალთუნი.
- ქ. ზურაბს ჩოხა ქოფაჩისა მასალითა, რვა მილანთუნი.
- ქ. ზურაბს ახალუხი ლეინისა მასალით, ოთხი მილანთუნი.
- ქ. ზურაბს ბოხოხი ერთი, წინდა ერთი, სამი აბაზი.
- ქ. ნახევარი ადლი ლე(ი)ნი, სამი შაური, ზურაბსა.
- ქ. მოურავს ნაბადი, ხუთი აბაზი.
- ქ. მოურავს შალვარი, ოთხი აბაზი.
- ქ. მოურავს ორი წყვილი ქალამანი, აბაზი.
- ქ. მამასახლის(ს) ქალამანი ორი წყვილი, აბაზი.
- ქ. მამასახლის(ს) ჩოხა, ხუთი აბაზი.
- ქ. მამასახლის(ს) ორი წყვილი ქალამანი, აბაზი.
- ქ. მოურავს ორი წყვილი ქალამანი, აბაზი.
- ქ. ექსი შაური წაღებისათვის, ზურაბს ძირი გამოუცვალა.
- ქ. განჯას რომ წავიდა, თერთმეტი აბაზი თან გავატანე, ათი ლიტრა
ფქვილი, ოცდაათი ლიტრა ქერი ყაზახში უყიდე ქიტეხასაგან.
- ქ. მამასახლის(ს) სარტყელი, აბაზი.

- ქ. ნენუას კაბა, მუსულის ლეინი ქობით, თექსმეტი აბაზი.
- ქ. თინანის ნიფხავი და პერანგი, ექსი აბაზი.
- ქ. ნენუას გრეხილის მძივი, სამი შაური.
- ქ. დარჩიას სიმამრს ორი მილანთუნი და სამი ლიტრა მარილი.
- ქ. დარჩიას ბიჭს მივეც ორი აბაზი.
- ქ. მოურავსა და მამასახლის(ს) ორთავე ქალამნები, აბაზი.
- ქ. მოურავს ნიფხავი და ქუდი, ოთხი აბაზი.
- ქ. თოფის კონდახი გაუყეთებინე სამ აბაზათ ზურაბს.
- ქ. ხელფებს ექსი შაურის ბოხოხი.
- ქ. სამშვილდელის კაცისათვის მიმაცემინა სამი აბაზი ზურაბმა.
- ქ. ხელფებს მივეც ნახევარი ალო, ორი გუთნის¹ ჯერი.
- ქ. ხელფებს მივეც ოთხი ლიტრა ფქვილი, აბაზათ რომ იყო.
- ქ. პეტრიასა და სეხნიას მივეც ორი მილანთუნი.
- ქ. განჯას რომ იყო ზურაბ ჩემს ნაიბათ, იქ მივეცათ ორი თუმანი, სამი მილანთუნი თეთრი, ერთი ატლასი, ერთი მოვი. როგორც უნდოდა, ისე მოიხმარა.

- ქ. ხელფებს ერთი ჩოხა უყიდე, ხუთი აბაზი.
- ქ. მოურავს ჩოხა უყიდე, ოთხ-აბაზ-უხალთუნი.
- ქ. მამასახლისი რომ ავათ იყო, დედაკაცი მოუყენე, ხუთი აბაზი მივეც.
- ქ. ზურაბს პირსახოცი, ორი აბაზი.
- ქ. თინანის ქოშები, აბაზი.
- ქ. ნენუას ქოშები, ექსი შაური.
- ქ. ნენუას ურუმული თავსახურავი და თავსაკრავი, თორმეტი აბაზი.
- ქ. ნენუას პერანგის ამხანავი, ორი მილანთუნი.
- ქ. მამასახლის(ს) პერანგი, ოთხი აბაზი და უხალთუნი.
- ქ. მამასახლის(ს) ნიფხავი, ექსი შაური.
- ქ. ზურაბის ქვაბები და ტაფა დაკალეს, ორი აბაზი.
- ქ. ხელფებს მივე ერთი კოდი პური წისქვილში აბაზათ რომ იყო.
- ქ. ხელფებს მივეც ცხ(ე)რის ტყავი.
- ქ. ზურაბს უნაგირი უყიდე გაწყობილი, ავეანდებს გარდა, ოთხ მილანთუნათ.

- ქ. ნენუას პერანგი ლეინისა, ორი მილანთუნი.
- ქ. მამასახლის(ს) ქალამანი, ორი შაური.
- ქ. მოურავს პერანგი ხამისა, ოთხი აბაზი.
- ქ. ნენუას ზონარი, ორი შაური.
- ქ. ზურაბს ლეიბი, თორმეტი აბაზი.
- ქ. ზურაბს ნაბადი, თექვსმეტი აბაზი.
- ქ. მოურავს ქალამანი, ორი შაური.
- ქ. ხელფები ურემს მოყვა, მივე აბაზი.
- ქ. მოურავს ბოხოხი, აბაზი.

¹ დედაწმი: „ქუთნის“.

- ქ. მოურავს სარტყელი, ექსი შაური.
- ქ. სენნიას აბაზი, ხარები რომ გამოვატანე.
- ქ. სამკერდული უყიდე, ექსი ბისტი, ზურაბს.
- ქ. ასრათას ქვა გა(ა)თლევინა, დამეხარჯა ექსი აბაზი.
- ქ. ერთი სტილი მატყლი საწინდეთ ზურაბს.
- ქ. მოურავს ქალამანი, ორი შაური.
- ქ. ამ ნუსხის დანახარჯი 68 ძრნ (12 თუმანი, 3 მინალთუნი და 3 შაური).

161. 1778—1787 წ.წ. ხარჯის ნუსხა ერასტი გოსტაშაბის - შვილისა. დედანი. ზომა 33×12 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელთ. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 2 ღძ.
თარიღისა და ნუსხის პატრონის ვინაობისათვის იხილე აქვე საბუთი № 8678 Hd.
ანალოგიური საბუთი ამავე პირისა იხილე „მასალები“ I, გვ. 75—77 და აქვე №№ 8707 Hd, 10476 Hd.

- ქ. ნენუას ხელსახოცი უყიდე თავსახურავათ, ექსი აბაზი.
- ქ. ზურაბს ბოხოხები დ(ა)ეკერვინებინა, ხელფასათ მივეც შვიდი შაური.
- ქ. მამასახლისის ახალუხი, ოთხი აბაზი.
- ქ. ზურაბს უყიდე ჩერქეზის ჩოხა, ორი მინალთუნი და ათი შაური.
- ქ. თინანოს ახალუხი ჩითისა, ექსი აბაზი.
- ქ. მოურავსა და მამასახლისსა ქალამანი, ერთი აბაზი. ზურაბს ტყავი გავაკეთებინე, მივეც ერთი აბაზი¹.
- ქ. ზურაბს ტყავი უყიდე ჩასაცმელი, სამი მილანთუნი და ათი შაური მივეც.
- ქ. მამასახლის(ს) ქამარი უყიდე, აბაზი.
- ქ. მოურავს უყიდე ჩოხა, ექსი აბაზი.
- ქ. ნენას მივეც გრეხილის მძივისათვის ორი შაური.
- ქ. მოურავს და მამასახლის(ს) უყიდე ოსური ნაბადი ხუთ აბაზათ.
- ქ. სენნიას მივეც სამი აბაზი, ბადალი რომ დაიჭირა.
- ქ. მოურავსა და მამასახლის(ს) ქალამნები, აბაზი.
- ქ. შაურის ძაფი უყიდე ნენუასა.
- ქ. ზურაბს ხუთი მინალთუნი მისცა მთავარეფისკოპოზმა, როგორც უნდოდა, ისრე დახარჯა.
- ქ. ზურაბს უყიდე ხანჯლის თაზმა(sic), შაური.
- ქ. ნენუას სააღდგომოთ შეუკერე სურათის ჩითის ახალუხი, მივეც სამი მილანთუნი.
- ქ. დათიასა და მამასახლის(ს) ერთი წყვილი ქალამანი, აბაზი.

¹ განსხვავებული შრიფტით აწყობილი დედნის ხელით შემდეგაა მიწერილი.

- ქ. გიორგის რომ ძუძუ გავაშვებინეთ, მაშინ ჩამოვიყვანეთ მამასახლისი, მაშინ ჩავაცვით პერანგი და ჩოხა, ცხრა აბაზი.
- ქ. ზურაბს პერანგი შეუკერეთ, ყარ(ა)იაზე რომ იყო, ცხრა აბაზი.
- ქ. მოურავს შალვარი მთიბათვეში, ოთხი აბაზი.
- ქ. ნენუას ქოშები მთიბათვეში, სამ.აბაზ-უხალთუნი.
- ქ. ნენუას პერანგის სახლათ ერთი ადლი ლეინი, ექსი შაური.
- ქ. ნენუას მადლი რომ გადიხადეს, ცხრა აბაზი დაიხარჯა. ქ. ამის ღან-ხარჯი 6 ცქრ (ოცდათორმეტი მინალთუნი და სამაბაზ-უხალთუნი).
- ქ. ხელფებს ერთი აბაზი მივეც, მამა რო მოკვდომოდა.
- ქ. ზურაბს კრიანესელი (სიე) მივეც, სამშაურათ ვიყიდე.
- ქ. მოურავს სარტყელი უყიდე, ხუთი შაური.
- ქ. მამასახლის(ს) ნიფხავი უყიდე, ცხრა შაური.
- ქ. მოურავს ბოხობი უყიდე, ექ(ს) შაურათ.
- ქ. ხელფებს დიაკვანს აბაზი მივეც წალისათვის.
- ქ. მოურავსა და მამასახლის(ს) ქალამნები, აბაზი.
- ქ. მოურავს ნაბადი უყიდე შვიდ აბაზად ცეცხლადისაგან¹.
- ქ. ბატონმა რომ ცხენი უბოძა დუშალიკათ, მივეც ოთხი აბაზი (და) ექ-სი შაური დასაქედათ.
- ქ. მოურავს უყიდე ყაზახს რომ წაველ მაშინ, პერანგი, ხუთი აბაზი².

162. 1778—1787 წ.წ. ხარჯის ნუსხა ერთი გოსტაშაბის-შვილისა. დედანი. ზომა 22 x 16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახ-მარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუხ. № 8707 Hd.
თარიღისა და ნუსხის პატრონის ვინაობისათვის იხილე აქვე საბუთი № 8678 Hd.
ანალოგიური საბუთი იმავე პირისა იხილე „მასალები“ I, გვ. 75—77 და აქვე №№ 2Qd, 10476 Hd.

- ქ. ორი შაურის წამლები უყიდე ზურაბსა, კახეთიდან რომ მოვიდა.
- ქ. მამახახლის(ს) უყიდე ქალამანი, ორი შაური.
- ქ. მამასახლის(ს) ბოხობი უყიდე აბაზათ.
- ქ. სეხნიას რვა აბაზათ მივეცი რვა აბაზი.
- ქ. მოურავს ნიფხავი უყიდე, სამი აბაზი.
- ქ. მოურავს ხანჯალი გაუკეთებინე, ხილენდარი და ტალი-კვესი უყიდე, მივეც ხუთი შაური.
- ქ. მამასახლის(ს) ჩოხა უყიდე, მივეც ხუთი აბაზი.
- ქ. მაზიარებელი რომ იყო ზურაბ, იმ ღამეს მივეც თერთმეტი შაური.

¹ ამ სიტყვაში „ძ“-ილი 'საეჭვოა, ის უფრო წაშლილ ასოს ჰგავს. ამიტომ უნდა იყოს: „ცეცხლადისაგან“.

² ეს სტრუქტონი დედნის ხელით და შავი მელნით აშიახვა მიწერილი.

- ქ. ნენუას უყიდე ერთი წულა ხუთ შაურათ.
- ქ. ერთი წყვილი ქალამანი მოურავსა, ორი შაური.
- ქ. მოურავს აბაზი საწირავათ და წინდის ფასათ მივეც.
- ქ. ზურაბს ერთი დეზი უყიდე აბაზათ.
- ქ. ზურაბს ერთი საშალი უყიდე, ხუთი შაური.
- ქ. დათიას უყიდე ჩოხა შავი, მივეცი ექვსი აბაზი.
- ქ. გოგიას უყიდე ქალამანი, ორი შაური.
- ქ. ერევანს რომ მივდიოდი, მივეც ერთი აბაზი ნენოას.
- ქ. ხუთი მინალთუნი მისცა ზურაბს მთავარეფისკოპოზმა.
- ქ. ნენას მისცა ერთი თუმანი მთავარეფისკოპოზმა.
- ქ. ოთხი ადლა სამი გოგიას პერანგათ, ოთხი აბაზი.
- ქ. სამშვილდიდამ რომ ჩამოველ, ზურაბას უყიდე ქოშები, მივეც ათი შაური.
- ქ. ზურაბის კაბა მაუდიც, მივეც ოცდათერთმეტი მილანთუნი.
- ქ. ბიჭებს ორი წყვილი ქალამანი.
- ქ. ამ სიის დანახარჯი.
- ქ. ერთი აბაზი, ახალუხის ზონარი ზურაბს უყიდე.
- ქ. ორი წყვილი ქალამანი დათიას, აბაზი.
- ქ. ბერუამ შეუტკერვინა ბოხოხი მარაბდას, ექვსი შაური, მოურავს.
- ქ. ცხრა ბისტრი მოურავის პაიჭები, მარაბდიდამ რომ მოვიდა, მაშინ უყიდე.
- ქ. ერთი აბაზი, თინანის ქოში. რომ ავიყარენით, მაშინ უყიდე.
- ქ. ერეენიდან რომ მოველი, ზურაბს უყიდე ნიფხავი-პერანგი, ოთხი მინალთუნი.
- ქ. მოურავს და მამასახლის(ს) მარაბდას ამოუსხით ორი წყვილი ქალამანი.
- ქ. მოურავს შალვარი უყიდე მანველასაგან, ხუთ-აბაზ-უზალთუნი მივეც.
- ქ. ორი აბაზი აღიდამ რომ წამოვალეზინე ხელფეხსა, მაშინ მივეც...¹.
- ქ. კიდევ მოურავს და მამასახლის(ს) მარაბდას ამოუსხით ქალამანი ორი წყვილი.
- ქ. თინანის შილა მივეც კოდაზედა და ერთი ნიფხავი ქალაქს რომ ჩავედით, მაშინ ჩაეაცვი.
- ქ. თათრებში რომ წაველ ჯარის იასაულათ, მაშინ გადაველ მარაბდას, მამასახლის(ს) გადუტანე შარვალი, ოთხი აბაზი და უზალთუნი მივეც.
- ქ. ბოლნის(ს) რომ წაველ, ნენუას უყიდე ქოშები, ორი აბაზი მივეც.
- ქ. იქ(ი)დამ რომ მოვედი, ზურაბს უყიდე წაღები სამ აბაზათ, მარაბდას გაუგზავნე მახარობლის ხელით.

¹ აქ კიდევ ერთი სიტყვაა გაურკვეველი: „ურაგ“.

163. 1787 წლ. ახლ. მზითვის წიგნი უცნობი პირისა. დედანი(?). ზომა 4,3,5×16,5 სმ. დაწვე-
რილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია
წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 6793 Hd.
ქაღალდის ჰვირნიშანი გვიჩვენებს 1787 წ. და საბუთიც მის მახლობელ ხანს უნდა იყოს
დაწერილბ.

- ქ. იალქანი ერთი თვლით და მარგალიტით.
- ქ. ჯილა ერთი.
- ქ. თითა სამი.
- ქ. ყელსაბამი თვლისა.
- ქ. ჯვარის ჯაჭვი თვლისა.
- ქ. ამბ(ა)რჩა მურასა.
- ქ. ჩამოსავლები და ლილი(?) მარგარიტისა.
- ქ. ბეჭედი ოთხი.
- ქ. ყოლბალები წყვილი ერთი.
- ქ. საყურ-ჟინელი(?)
- ქ. პირის მარგალიტი.
- ქ. პეპელა რვა.
საცხენოსნო იარაღი.
- ქ. ნაკერი თავსაზურავი.
- ქ. ნაკერი თავგადასაქირებელი.
- ქ. ნაკერი პირის სახვევი.
- ქ. ნაკერი ყელს საგდები.
- ქ. ტყავ-კაბა.
- ქ. ნაკერი ორთუქი.
- ქ. თაქალთო ნაკერი.
- ქ. ვეცხლის უნაგირი დაფერილი.
- ქ. რახტი დაფერილი.
- ქ. ავჟანტები ვეცხლისა.
სუფრის იარაღი.
- ქ. თასი რვა.
- ქ. სურა ორი.
- ქ. თას-ყაშული ერთი.
- ქ. იათული ერთი.
- ქ. სუფრა ყაშული ერთი ვეცხლისა.
- ქ. ჯამი ვეცხლისა ერთი თავისის ზარფუშით და თეფშით.
- ქ. ვეცხლის კოვზი ერთი.
- ქ. ვეცხლის ალთაფა და ტაშტი.
- ქ. სუფრა წყვილი, ერთი ფარჩისა.
- ქ. შანდამი ვეცხლისა ორი.
- ქ. ამასვე ზირანდაზი ორი და მაყაში ორი ვეცხლისა.

საპირფარეშოს ჩარალი:

- ქ. ხონჩა ვეცხლისა.
 - ქ. ჯამი ვეცხლისა.
 - ქ. თმისაყოფი ოქროსი.
 - ქ. ორი ჩხირი ოქროსი.
 - ქ. ჩოფი ოქროსი.
 - ქ. სადაფი მოქედელი ოქროთი.
 - ქ. მოსალესი მოქედელი ოქროთი.
 - ქ. საწებოე ვეცხლისა დაფერილი.
 - ქ. ნალბაქი ვეცხლისა დაფერილი.
 - ქ. ჩქიფი ოქროსი.
- მზითევი¹.

164. 1788 წლ. აპრილის 10. ტანისამოსის ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილისა. დედა-ნი. ზომა 31,8×10,8 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. ტექსტში არის შენიშვნები, შეტანილი იმავე ხელით, რომლებიც აწყობილია პეტიტით. განკვ. ნიშნად აკა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3371 Hl.
საბუთი დაწერილია მანუჩარ თუმანიშვილის ხელით.

ქკს უოვ, ამ წლის ჩ რაც შე შეკერილი ტანისამოსი მაქვს, ამას ქვეით სწერია.

- ქ. ა ყალამქრის ბანდიურუბი ახალუხი არმიანი.
- ქ. ა რეული ყალამქრის ახალუხი არშინთ ღათუა შაჩაბელს მივე.
- ქ. ა ბუთადარი ყალამქრის ახალუხი ფრიდონს.
- ქ. ა ჩაქსულა ყალამქრის ახალუხი.
- ქ. ა ისფერი დარიბაბთის ახალუხი რუსეთს თანა აქვს.
- ქ. ა დაბანბული ხარის კაბა ნაკერის სახლის პირით.
- ქ. ა ალისფერი დაბანბული გრანდიდურის კაბა თავისის ნაკერის საკვე-სრთ და სახლის პირით და სარჩევის(?) მასალით ოქროს დილი იდ.
- ქ. ა ალისფერი დარის კაბა დაბანბული ნაკერის სახლის პირით და სა-კვესეთი სარჩევის მასალით ოქროს დილი იდ. გლახა კალატოზს მივე.
- ქ. ა მწვანე ფრანგის ატლასის კაბა ნაკერის ყოშით. ტერ არაქილას შვილს.
- ქ. ა ფისტაი დარის კაბა ნაკერის სახლის პირით და საკვესით თავისის მასალით ოქროს დილი იდ. თაღიას(?) მივე.
- ქ. დ ყანაოზის შეკერილი გულისპირი.
- ქ. ა წყვილი აბრეშუმის პაქიჭი. შე ჩავიცივი.
- ქ. დ წყვილი ჩულქი, ა თეთრი, ა შავი, ა ლურჯი, და ა ქრელი.

¹ წარწერა საბუთის მეორე პირზე სხვა ხელით.

- ქ. ა გილანის უხარო წვივსაკრავი. მე შემოვირცყო
- ქ. ა წყვილი აბრეშუმის წინდა.
- ქ. ა წყვილი კიდევ აბრეშუმის პაჭიჭი. ბატონის რძალს მივე.
- ქ. ა წყვილი წითელი წალა წულა. ბატონის შვილს.
- ქ. ა აბრეშუმის ჰაბგა.
- ქ. ბ თირმა შალის ქუდის პირი ბ. დაიხარჯა იოვანე სარდლის-შვილს და ოსქ-
- აქიმს.
- ქ. ა ხავერდის ქუდის პირი. გივს.
- ქ. ა დარის ქუდის პირი.
- ქ. ა ახალი გამოკრილი შეიდიში სარჩულით.
- ქ. ა მუქი ხინაის მაუდის კაბა. იაკობს მივე.
- ქ. ა მქრქალი მაუდის კაბა სადათ შეკერილი. ყაზაჯს მივე.
- ქ. ა ძველი მაუდის კაბა.
- ქ. ა სოხბის ყელი(?) დარის კაბა ძველი სახლის პირნაკერი. ჯიმშერს.
- ქ. ა თალხის ლეინის კაბა. ყალანდარს.
- ქ. ა ნათლის მაუდის კაბა. ასლანას მივე.
- ქ. ა ადლი მწვანე მაუდი, გ ჩარეკი ჯიმშერს შეუკერე.
- ქ. ა წყვილი ორფერი ჩახური.
- ქ. ბ წყვილი თეთრი ჩახური. ესენი ორივე დავხარჯე.
- ქ. ბ ნახევარ-ნახევარ ბუთანდარის სარტყელი. დაიხარჯა ა. ა.
- ქ. ბ წყვილი მაუდის პაჭიჭი. ბატონის-შვილს დავიოს.
- ქ. ა წყვილი ისპანის წინდა შიშმა ჩაიცო.
- ქ. ა თეთრი ფრანგის შალის ოიმა(?) შიოს.
- ქ. ა სოსნისფერი ფრანგის შალის ოიმა. გივს.
- ქ. ა თეთრი ფრანგის შალის ჩოხა. მერაბ-ალას მამას(?).
- ქ. ა პატრა ჩითის ახალუხი. დაიკარგა.
- ქ. ა რუსული ჩითის ახალუხი. გოგიას მივე.
- ქ. ა სისამურის ქუდი. ჯიმშერს.
- ქ. ა ხინაი ყალმუხის ქუდი, მე გავცვითე.
- ქ. ა წკებლა განდიდურის ქუდი, შიოშმა გასცვითა.
- ქ. ა თეთრი საის ქუდი.
- ქ. ა რუსული ყურებიანი ქუდი.
- ქ. ა უსაპირო ყალმა კალმუხისა. დაიხარჯა.
- ქ. ა ლურჯი მაუდის ქუდი. გივმა დაიხურა.
- ქ. ბ ქუდის საპირე ძველი.
- ქ. ა ახალი რუსული ჩითის ახალუხი შესაკერავი. გივს.
- ქ. ა ჩაქსულა დარის ჩერქეზული ახალუხი. ბეცია უზაბაშს.
- ქ. ა ახალი ყვითელი დარის ახალუხი. იაკობს.
- ქ. ა დარის ჩერქეზული ქათიბი სინჯაბებით ჩემი. გოგია გურჯს მივჭყიდე.
- ქ. ა მაუდის ქათიბი კვერნის ბეწვით და ღილებით ჩემი.
- ქ. ა კრელი ხავერდის ქათიბი კვერნის ბეწვით და ღილით.
- ქ. ა მაუდის ლურჯი ქათიბი კალმუხის ბეწვით. იაკობს.

- ქ. ა ლურჯი ყაბალახი. მერაბ-ალანთ(?)
- ქ. ვ მოვის პერანგი ჩემი, ა ყმარწვილებს მივე, ა გოგიას მივე.
- ქ. ვ თეთრი პერანგი ჩემი.
- ქ. ე ნიფხავი ჩემი, ა და(ი)შალა. ა დაიშალა.
- ქ. გ წყვილი მწვანე რუსული ქოში. და(ი)ხარჯა.
- ქ. ა ლურჯი ყალმუხის ქუდი, დაიხარჯა.
- ქ. ა მწვანე მაულის ხირლა(?) თეთრის ბეწვით.

165. 1788 წლ. აპრილის 10. ფარჩისა, საფენისა და ქვეშაგების ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილისა. დედანი. ზომა 32,5 × 10,7 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. ტექსტში არის შენიშვნები, შეტანილი იმავე ხელით, რომლებიც პეტიტითაა აწყობილი. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3367 Hcl.

საბუთი დაწერილია მანუჩარ თუმანიშვილის ხელით.

ქკს უოვე, ამ წლის აპრილს ი, რაც შინ რაგინდარა არის ბოხჩებით:

- ქ. ე განიერი დიდი შილა. დაიხარჯა ა, ბ.
- ქ. დ ხუის გალესილი განიერი ჩითი. დაიხარჯა.
- ქ. ბ ჯიგარი ლეინი.
- ქ. ბ ნავთის ფერი ლეინი.
- ქ. დ ლურჯი ლეინი. დაიხარჯა გ, დაიხარჯა კიდევ ა.
- ქ. ა თოფი რუსის ყალამქარი სოსანი. ადლი ია⁺ ხატას(?) მივე გასასყიდათ. ფასიც გამოვართვი.
- ქ. თ+ ადლი და ო ჩარეკი რუსის ყალამქარი ხინაი(?) გორს დაიხარჯა.
- ქ. გ ადლი თეთრი რუსის ყალამქარი. გორს გავგზავნე, მე ახალუნათ. შევიკვრე.
- ქ. ა თოფი შრდალი განიერი წითელ წკეპლა ქვემოური ფრინველებიანი ჩითი. დაკვანებს პერანგათ.
- ქ. ა თოფი კაი ყაზიფური. დაიხარჯა.
- ქ. ა საბნის თალხი სოსნის ფერი ახალი მუმის ჩითის ფეხის ჩითი ყალამქრის. საბანს დაედო.
- ქ. ა ყალამქრის დიდი საბნის პირი.
- ქ. ა სამითლე ახალი ჯალაშაია სრულათ.
- ქ. ა ამისი ფეხის ჩითი ახალი მწვანე მილთონისა.
- ქ. ა ხუის საბნის პირი, ა ანდრია გაბაშვილს. ა დაიხარჯა.
- ქ. დ⁺ ადლი განიერი ხუმლა ნარმა. დაიხარჯა.
- ქ. ე ჩაუქეი და ცოტა ნაჭერი განიერი სანი. კვიმერს.
- ქ. ო აული სანის ნაჭერი.
- ქ. ა⁺ ადლი თავრიზის ჩადრა.
- ქ. დ⁺ თოფი გათეთრებული ნარმა. დაიხარჯა ო, ა, ბ.
- ქ. ბ⁺ ადლი ტილო წმინდა.

- ქ. ი ადლი წმინდა ლისკოვის ტილო. დახარჯა სულ.
- ქ. ვ ადლი მსხვილი ტილო.
- ქ. ე ადლი კრელი საჩარსავე.
- ქ. ა თოფი ყაზიფური. დახარჯა.
- ქ. ბ თოფი წმინდა კობალა ტილო.
- ქ. ბ თავი ქალაქის ჯალაშაია.
- ქ. ა ახალი სუფრა ჩითისა.
- ქ. ბ ადლი განიერი მსხვილი სეგაზის(?) ტილო. ბალიშისათვის დახარჯა.
- ქ. ო თოფი ხამი. დახარჯა.
- ქ. გ. ჩითი ლენი.
- ქ. ბ ნაქერი, თვითო ადლი იქნება, წმინდა ტილო.
- ქ. ე ვიწრო შილა. დახარჯა ლ¹.
- ქ. ბ წითელი ლენი. დახარჯა.
- ქ. ა ლურჯი ლენი. დახარჯა ჰ.
- ქ. ა ნავთის ფერი ლენი.
რაც საფენი არის:
- ქ. ზეითის ოთახისა ა დიდი ნაბადი.
- ქ. ა დიდი ორხუა.
- ქ. ა წყვილი ნაბადგადაკრული იანქეჩა.
- ქ. ა წყვილი მომცრო ახალი მასნათი.
- ქ. ბ მასნათი ნაბად გადაკრული.
- ქ. ბ ხალიჩა, დაბლა ოთახის ნალოში ძეს.
- ქ. გ ნაბადი, დაბლა ოთახის საფენი ნაბადი.
- ქ. ა ფარდაგი, ამავე ოთახის საფენი.
- ქ. ა წყვილი ქეჩა ცალი პირია იანქეჩა.
- ქ. ა წყვილი წვრილი ქეჩა.
- ქ. ა ახალი ფარდაგი.
- ქ. ა აბანოს ახალი ხალიჩა.
- ქ. ბ ძველი ფარდაგი.
- ქ. ა აბრეშუმის ჯიჯიმი შილის სარჩულით¹.
- ქ. ა გძელი ლეკური ხალიჩა ქუნთა.
- ქ. ა წყვილი წვრილი ქეჩა.
ქ. ქვეშაგების სია:
- ქ. ა ბუნბული ტილოს საპირით ხანუმის ზითვისა.
- ქ. ა ბალიში ხანუმის ზითვისა ყალამქრის ჩითით.
- ქ. ა ახალი საბნის მითელი უსაპირო.
- ქ. ბ ახალი დოშაკი ტილოთი და შილებით.
- ქ. ა დოშაკი ტილოთი და ლურჯის ლენით.
- ქ. ა ახალი გაკეთებული ყუთუქის დიდი ბალიში.
- ქ. ა ხავედის დოსი.

¹ ესა და მომდევნო 3 სტრიქონი მოთავსებულია აშიაზე ცალკე.

- ქ. ა ბალიში ჯიმშერისა.
- ქ. ა ლეიბი წკებლა ყუთნისა:
- ქ. ა რუსული ჩითის საბანი.
- ქ. ა პატარა ზეწარი.
- ქ. ა დარაის საბანი.
- ქ. ა დიდი რუსული არშია მოვლებული საბანი.
- ქ. ა ხანუმის საბნის მითელი.
- ქ. ა ლურჯი ტილოსი პატარა ლები.
- ქ. ა რუსული ყალამქრის საბანი.
- ქ. ა წკებლა რუსული ჩითის საბანი.
- ქ. ბ კარის ფარდა.
- ქ. ბ მოახლების საბანი.
- ქ. ა დორი მოახლებისა.
- ქ. ა თეთრი პატარა ლები.
- ქ. ა პატარა ბალიში კრაოტისა.
- ქ. ა ხათის დიდი მუთაქა.
- ქ. ა ძველი ხავერდის მუთაქა.
- ქ. ა ტილოს მუთაქა.
- ქ. ა დიდი ჩარსავი.
- ქ. ა ქურასაის საბანი.
- ქ. ა ამისი კრელი ჩარსავი.
- ქ. ა ტილოს ჩარსავი. კრაოტისა.
- ბ ქ. აბანოს ყადიფა გუჯრათი¹.
- ა ქ. ფუტა დიდი განფურისა.
- ა ქ. ფიცარზე გაშაშლელი ნარმა.
- ქ. ბ წყელი მაშია კაცისა.

166. 1788 წლ. აპრილის 10. ფარჩისა და სხვა ნივთების ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილისა. დედანი. ზომა 32×10,8 სმ. დაწერილია მოღურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. ტექსტში არის შენიშვნები, შეტანილი იმავე ხელით, რომლებიც პეტრიტითა აწყობილი. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3370 Hd. საბუთი დაწერილია მანუჩარ თუმანიშვილის ხელით.

ქკს უოვ, აპრილსი ი რაც ჩემს შავს ზანდუკში ძეს, ამას ქვემოთს წერია:
 ქ. იძ, ჩაქსულა ტოლული დარია. დახარჯა.
 ქ. ა აღისფერი ტოლული იეზდის დარია. გივს.
 ქ. ა(?) ნიმთანა ფისტი იეზდის დარია ნაქრით. შე შევიკერე.

¹ ესა და მომდევნო სამიქსტრიქონი-მოთავსებულია აშიაზე ცალკე.

- ქ. ა მარგალიტის გირაო აყბეური.
 - ქ. ბა¹ იეზიდის მოვი. ა ჩემს ბიძის ქალს თინთინას და ა ჩემს რძალს.
 - ქ. ა განჯის მოვი.
 - ქ. ა მირბაბის მოვი.
 - ქ. ა ახალი გამოქრილი ჩადრი დაიხარჯა. ბატონის რძალს.
 - ქ. დ ადლი ნასრხანის ჩითი. ფისცაი.
 - ქ. ბ კაი საწერელი ა- ვერცხლის თავით დაფერილი ბატონის რძალს ა.
 - ქ. ბ ყალამქრის ხონჩაფუში.
 - ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
 - ქ. ბ გუჯრათის ყადიფა. ჩემს რძალს.
 - ქ. ბ ყალამქრის დროორის პირი. ა დედოფალს,
 - ქ. ბ ყულის ბალიშის ყალამქრის პირი.
 - ქ. ბ თავთის ლეინი, ა აშხარბეგს. ა დაიხარჯა.
 - ქ. გ გუჯრათის ბოხჩა. გორს გავგზავნე, გაიყიდა.
 - ქ. ბ ყალამქრის თალხი ჩარყათი.
 - ქ. ბ ადლი ბუთალი ყალამქარი. დაიხარჯა.
 - ქ. ბ ტანი ნასხამი გილანის ლილი.
 - ქ. ბ ბუთადარი შალი.
 - ქ. ა მთელი თეთრი შალი.
 - ქ. ა წითელი შალი. გორს გავგზავნე მოვი და დაიხარჯა.
 - ქ. ა ადლი ლურჯი ზარ შტოფი. დაიხარჯა ელისაბეღ.
 - ქ. ბ ადლი და ე გრე ყვითელი ზარფარჩა. ელისაბეღ.
 - ქ. ბ+ ადლი ატმის ყვავილის ფერი ხავედი. ქიტესას.
 - ქ. ბ ადლი ჩაქსულა ატლას მარმათი.
 - ქ. ე+ ადლი ალი ხავედი. ქიტესა ამზარდარს მივე.
 - ქ. ე+ ადლი ყირმიზი ხავედი. ქიტესა ამზარდარს მივე.
 - ქ. ხ ადლი შავი ზარ ხავედი. ერვანს გავგზავნე სიძე სტეფანასთან გასასყო.
- დათ. აქვე მოვიდა, გაიყიდა.
- ქ. ა თეთრი კახური მერიდინი. შევალეზინე ფმარწვილეებისათვის.
 - ქ. ა წიკებლა ყუთანი. დაიხარჯა.
 - ქ. ა თოფი მწვანე მუნგის ხელსახოცი. გორს გასასყიდათ.
 - ქ. ე წითელი მუნგის ხელსახოცი. გორს (bis) გასასყიდათ.
 - ქ. ა ყაჯრის მწვანე აბრეშუმის არშია.
 - ქ. ბ ტანი თავისის ნაქრებით შეიდიში ჩემი სანიფხვე.
 - ქ. გ ნაქერი შეიდიში არის ადლი დე. ა ნაქერი მოკლე.
 - ქ. ა ადლი განჯის მოვის ნაქერი.
 - ქ. ბ ადლი ყალამქრის ჩითი დაიხარჯა, ცოტალ(ა) არის.
 - ქ. დ ადლი ჰინდის ყირმიზი თავთა.
 - ქ. ბ თოფი აჯისტანის წმინდა ჩადრა. დაიხარჯა.

¹ ეს ასოები შეიძლება ნიშნავდეს 2-ს და 1-ს, ე. ი. სულ 3-ს.

ქ. ა ყვითელს ჯიბის ბოხჩაში ძეს იმპერელის ოქრო ბ. სტანბოლის ახალი ნახევარ ოქრო კდ. კიდევ¹ ძეს სტანბოლის ოქრო, გირაოთ არის იბ. ზურმუხტის თვალი ბ და სხვა წვრი(ლი) ზურმუხტი რამთენიმე. მარგალიტი წვრილი მისხალი ო. იაგუნდი წვრილი მარცვალი მისხალი ბ წამლისა.

ქ. ა ამიანით ვერცხლის ნავერუხის შაური აცფ² (12 მინალთუნ-ნახევარი). დაიხარჯა.

ქ. ზ თავი თეთრი საღებავე. რაც იხარჯება, იწერება.

ქ. ა სათვალე ბუდიანი.

ქ. ა ქართლის ცხოვრება.

ქ. გ ღულა ვერცხლისა სირმა მისხალი რნ. დაიხარჯა მისხალი ლ, დაიხარჯა კიდევ მისხალი კ.

ქ. ა ვერცხლის ბილანი თავისის აბრეშუმის ზონრით.

ქ. ა ყ(ვი)თელი არშია სეტკა მისხალი დვ. ერევანს სიძე სტეფანას გაუგზავნე გასასყიდათ, აქვე მოვიდა.

ქ. ა ყაჯრის აბრეშუმის არში თავისის აბრეშუმის ქრელის საჩეხით.

ქ. ბ ნაქერი ყვითელი ქრელი სეტკა მისხალი დვ. ერევანს სიძე სტეფანას გაუგზავნე გასასყიდათ, აქვე მოვიდა.

ქ. ბ ადლი სოსანი ფრანგის შალი. დაიხარჯა.

ქ. ო ლურჯი თავრიზის თავთა. იხარჯება.

ქ. ა ლურჯი მოვი. ჩემთვის პერანგათ შევიკერე.

ქ. ა+ ადლი ყალამქარი, ანანას ახალუხათ ალი სოსანი დარა.

ქ. ა ოქროს ამბარჩა მურასა თვლებით მოქედელი.

ქ. ა თოფი ყალამქარი. დაიხარჯა.

ქ. ა+ ადლი თალხი ატლასის ნაქერი.

ქ. ა ვერცხლის მეორე ბინალი დაბალის ვერცხლისა.

ქ. ვი ადლი ჩიჩაგლი ხარა, გაიყიდა ადლი დ.

167. 1788 წ. ფარხის ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილისა. დედანი. ზომა³ 33,3×10,4 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. ტექსტში არის შენიშვნები, შეტანილი იმავე ხელით, რომლებიც პეტიტითაა აწყობილი. განყვთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

საქ. სახ. მუხ № 3768 Hld.

საბუთი დაწერილია მანუჩარ თუმანიშვილის ხელით.

ერთს ბოხჩაში რაც ძეს:

ქ. ა თოფი ქალაქის წკებლა ჩითი. დაიხარჯა.

ქ. ა თოფი ისფერი ქალაქის ჩითი.

ქ. ბ ხუის თეთრი ხებიანი ჩითი. დაიხარჯა.

¹ ეს სიტყვა წაშლილი უნდა იყოს.

² ეს რიცხვი გადახეულია.

- ქ. დ ნაქერი ჩითი.
- ქ. ბა¹ ნაქერი ხუის ვალესილი ჩითი.
- ქ. ა ტანი ხინაი მაული. ვოგია ნაზარბეგის. შვილთან დახარჯა.
- ქ. ა ტანი დურნაი მაული. ყალანდარს.
- ქ. ა ნაქერი ხინაი მაული.
- ქ. ა ტანი უსკუდი მაული.
- ქ. ა ნაქერი ისფერი მაული.
- ქ. ა ნაქერი ჯიგარი მაული. ჯიშურს.
- ქ. გ ნაქერი მაული ყვითელი და თალხი.
- ქ. ა ნაქერი ლურჯი ნიმი.
- ქ. ა ნავთის ფერი ლაინის დიდი ნაქერი.
- ქ. ბ თავი მუმის ხელსახოცი.
- ქ. ა წითელი ლეინი. დახარჯა.
- ქ. ა ადლი შილა.
- ქ. ე არეული ხუის ჩითი. სულ დახარჯა.
- ქ. ა ნაქერი სურმა ლეინი.
- ქ. ზ დიდი შულო აბრეშუმი უმი. დახარჯა.
- ქ. ბ საოლრე მიხაკის ფერი ზარიანი შტოფი. დახარჯა.
- ქ. რაც ფარჩა მაქვს:
- ქ. ა ტოლუდი ყირმიზი თუთი დაიბაბთი დიდი.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ყუმული ისფერი ატლასბაბი.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ყირმიზი თუთი ზარბაბი. იოსებ შვიჯანს გადავხურე.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ისფერი ატლასბაბი.
- ქ. ა დიდი ნიშთანა ყირმიზი დაიბაბთი ყუმული. უმარწვილებს შეუქერე.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ისფერი ზარბაბი ყუმული. ჩემს სიამარს შაია რომ შოუკვლა, იმაზე წავხურე.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ალის ფერი ზარბაბი ყუმული. ბეგთაბეგის-შვილს შვიჯანს სულხან(ს) წავხურე.
- ქ. ა დიდი ნიშთანა მწვანე ზარბაბი. მუხრანის ბაცონის დედას წავხურე.
- ქ. ა დიდი ნიშთანა ისფერი ბისტლული ზარბაბი.
- ქ. ა პატარა ნიშთანა ხათაია სადა. მუთაქთ დახარჯა.
- ქ. დეო მისხალი კრელი სეტკა². ზანდუეში შეს.
- ქ. ა პატარა ნიშთანა სადა ბანდურუბი. ლაჯვარდი ხათაია დეების პირათ.
- ქ. ა თოფი ქაშანის ყირმიზი ატლასი.
- ქ. ა სტოლისა თეთრი სუფრა.
- ქ. ი ამისი ხელსახოცი.
- ქ. ა კრელი ტილოს კრაოტის მიჩავდანი.

¹ ეს ასოები შეიძლება ნიშნავდეს ორსა და ერთს, სულ სამს.

² ეს სტიქონი ამ სიტყვის დასასრულამდე გადახაზულია.

168. 1790 წლ. დეკემბრის 22. ანდერძი გიორგი თუმანიშვილისა. პირი. ზომა. 30,5 x 20,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუხ. № 3685 Hd.

ქ. სახელითა წინაშე უფლისათა. როდესაც მუხთალმან სოფელმა არა აჯად უმართებლად გამხადა, უამმა სიკვდილისამ მისწრა, დავატყე თავსა ჩემს, რომ ამიერის სოფლიდამ საღმობა ვიწყე წუთის სოფლის გაუხარებელმა თუმანიანთ ბეჟანის შვილმან გიორგომა, უწინ ვახსენე სახელი სამებისა დამსწრეთ და მერმე ვთქვი ანდერძი ჩემი ყოვლის შესაბრალისად ქრისტიშობის კბ, ქკს უოჟ. გორს ავად გავხდი. ჩემს თავს შევატყევე, რომ ჩემი მორჩომისაგან იმედი გადავიწყვიტე, ჩემს მოძღვარს ავაქერეცს, დეკანოზს ტერ-ყაზარას, დაუძახე, ახსარება (sic) ვქენ და ეს ანდერძი წიგნათ დავაწერინე. ვინც ამ ანდერძის წიგნზე ხელი მოვაწერინე, ამათი დამსწრეობით ეს დავაწერინე. ასე რომე მე ოთარ მდივნისა და ზაქარაის შვილების მონახევრე ვარ, სულ თუმანიშვილებმა იციან. ესეც ყველამ იცის, დიდი ხანია გაყრილნი ვართ, დაშორებულნი, რომ ჩემთან საქმე არავისა აქვს, არც საძმოთ და არც სადაოთ. ჩვენი წილი მამულიდამ ან პაპისაგან, ან მამისაგან გაყიდულია, ხომ სიგელი ექნებათ და იმ გასყიდულს გარდა ჩვენი მამული მიწა, თუ ვენახი, თუ წისკვილი, თუ ყმა, რისაც მქონებელი ვართ, ჩემი წილი გორჯასპის-შვილების სულხანის და მანუჩარისათვის მიანდერძებია. მეც ამიტომ უანდერძე. ობოლი ვიყავ და ღარიბი, მამობაც და ძმობაც ამათ მიყვეს და ამათ გამზარდეს და მიპატრონეს, ამათით მიცხოვრია, რომ სხვა ილაჯი და პატრონი არავინა მყოლია. დღესაც მკვდარს სულხან და მანუჩარმა უნდა მიპატრონოს. ვისთვისაც მისაცემი დამიწერია, მისცეს და მკვდარიც უნდა დამმარხონ. ჩემი სული ებრალებოდესთ. ბატონო სულხან მდივანო და ბატონო მანუჩარ მდივანო, ეს მომიხსენებია, საცა თქვენთვის საფლავი გინდოდესთ, მეც თქვენს ფეხთით დამმარხეთ, თუ თქვენიც ნება იქნებოდეს, ჩემი ვალიც თქვენ უნდა მისცეთ. იოსებ მდივნისა რაც მმართვეს, თამასუქი აქვს. ძისცემთ. ჩემი რძლისა მმართვეს და თამასუქი გაქვსთ. იმის გარდა არავისი არა მმართვეს რა. ბატონო მდივანებო, დედა ჩემს ჩემზე დიდი ამაგი აქვს. მამა ჩემ(მ)ა პატარა მოიყვანა. ღარიბი იყო მამა ჩემი და კარგად ვერ შეინახა. მრავალი წვა და დაგვა გამოიარა. დაქორიანდა. ჩემზე მრავალი ამაგი ქნა, ახლაც დიდი ღარიბი არის. ათი თუმანი დედა ჩემს უნდა მისცეთ. ლთის მოყვარულნი ხართ და თქვენთვის სამადლო არის. თქვენი შვილების სადღევანლო იქნება. ქ. ჩემს მოძღვარს ტერ დავითას საორმოცე უნდა მისცეთ. ქ. ჩვენის ეკლესიის დეკანოზს ტერ-ყაზარას საორმოცე უნდა მისცეთ. ქ. სურფ-სტეფანეს დეკანოზს საორმოცე უნდა მისცეთ. ქ. ორი ცხენი მყავს; ერთი ბიძის ჩემის იოსეფისათვის მიმიცია. იმისიც მემართა რამე და მეორე ცხენს ხომ ვართაპეტს მიართმევთ და ის წაიყვანს. სხვა დამარხვისა ეხტიბარი თქვენია. ვიცი ცოცხალი გებრალეზოდით და გიყვარდით, მკვდარსაც ვიცი (sic) არ დამივიწყებთ. ჩემზე ეს თქვენი დანახარჯი

თქვენი შვილი ჯიმშიტის დანახარჯი იქნება. ჩემი ხმალი ბოლნისელი მარია-მასთან არის ერთის თუმნის გირაოთ. უნდა უბოძოთ და ხმალი თქვენ მოგერთვასთ. თქვენ იცით და ღმერთმაცა, რომ მე არაფერი მაქვს. ქ. ეს ჩვენი ანდერძი რომ დაეწერე, ყოველს გებეწვებით ბატონსაც, თავადსაც და აზნაურსაც, ყველამ მომიწონეთ, ნუ მომიშლით. ვინც ამ ანდერძის შლად ხელი ყოს, ქრისტეს სამართალში პასუხი გამცეს. დამამტყიცებელნი ამისნი აკურთხოს ლთმა. პატარა ვიყავ და ასე მაგონა ლმა.

ქ. ეს ანდერძის წიგნი მე თუმანიშვილმა ბეჟანის შვილმა ჩემის სიტყვით და ჩემის ნებით დავაწერინე და ყაბულიც მაქვს და მამის ჩემისაგანაც გკონდათ ერთად შეყრილობის წიგნი და მეც თქვენ ჩემს მაცხოვრებელს ბიძებს სულხან მდივანს და მანუჩარ მდივანს გაიანდერძებთ. რამაც ხორციელმა ადამიანმა ეს ანდერძი მოგიშალოსთ, ლთმა ის შეშალოს. მაინც ყოველის გზით ამ ქვეყნიდამ გაუხარელი მოვკვდი და ჩემი სული გებრალეობდეთ, ლთმა თქვენი სული შეიბრალოს. ქებაძის თამასუქით თორმეტი მინალთუნი მართებს, მაგრამ რაც ავი თუ კარგი ღალა იყოს იმაზედ, ის თამაზა გოგებაშვილმა იცის, ის კი ჩაუგდეთ.

გიორგი¹.

ქ. მე. დეკანოზი ახალსაყდრისა ტერ-ყაზარა, გიორგის მოძღვარი, ამ ანდერძის დამხდური ვარ. დაწერაზედაც მე ვიყავ და მოწამეცა ვარ. ეს ჩემი ბეჭედი ².

ქ. მე, თეთუნაშვილი დავითა, ამ ანდერძის მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია. ამის დაწერაზედაც დამისწრო.

ქ. მე, ზალიაშვილი იოსეფა, ამ ანდერძის მოწამე ვარ და დაწერაზედაც დამსწრე ვარ. ეს ჩემი ხელია. იოსეფ¹.

ქ. ჩვენ, ამილახვარმა ოთარმა, ამისი ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავებეჭდეთ ².

ქ. მე, ნიკოლოზ ორბელიანი, ამისი ასლი ვნახე და ამ სავადს ვებეჭადე.

²
ნიკ²

ქ. მე, ამილახორის შვილმა გიორგიმ ამისი ასლი ვნახე და კელი მოვაწერე და დავებეჭდე ².

ქ. მე, ომან ლაშქარ-ნივისმა, ამისი ასლი ვნახე და წინაშე ღმერთისა უმეტეს ნაკლებოდ გადავწერე. ეს ჩემი ხელია და ბეჭედი ².

ქ. ამისი ასლი ვნახე ამა სავადზე და მოვაწერე ხელი მე, ბაბალას შვილ- (მან) ავთანდილ. ავთანდილ¹.

პირველი გვერდის განის აშიაზე: ქ. ჩვენ, ბატონის-შვილმა იულონ, ამის ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავებეჭდეთ. მაისის თ, ქკს უპე ².

¹ ხელრთვა.

² ბეჭედი.

169. 1791 წ. ანგარიშის წიგნი მანუქარ მდივნისა და ერევნელი დაბალის არუთინასი. დედანი. ზომა 34×21,5 სმ. დაწერილია ლურჯ, თაბახის ქალაღებზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუხ № 3530 Hd.

ქ. მე, მანუქარ მდივნისა, და ერევნელი დაბალი არუთინას ანგარიში, თამასუქის გარდა, აქ სწერია გარჩევით.

რასაც ჩემსას მოსაცემს არის:

- ვჩ (ექვსი თუმანი და ქკს ჟოა, ამ წლის ყასაბხანის სარგო ჩვენ წილათ. ერთი მინალთუნი)
- ქქ (შვიდი მინალთ. ქ. ამისი საშართლამო ნახევარი ჩვენ წილათ. და სამი აბაზი)
- აღვ (თორმეტი მინალთ. ქ. ამ წელს მიბარებულის საკლავის სარგო ჩვენ და ათი შაური) წილათ.
ქკს უბგ, ღვინობისთვის 10 ქალაქიდამ რომ ავიყარენით, რაც ან თან წამოვიღეთ და ან იქ დავგვრჩა, დავსწერეთ, რომ აქ სულ გარჩევით სწერია: ჩემი მეუღლის ელისაბედის მშითვეი, რაც თან გამოვიტანეთ:

- | | |
|-----------------------------|---|
| ქ. ა პატარა ვერცხლის სარკე. | ქ. ა ბროლის სალესავი. |
| ქ. გ ვერცხლის თასი. | ქ. ბ სურმის ჩხირი. |
| ქ. ა ვერცხლის სამარაილე. | ქ. ბ თეთრი სანთლის კერასი(?) |
| ქ. ბ წვრილი ვერცხლის თასი. | ქ. ა დახატული გვრგალი (sic) ყუთი. |
| ქ. ბ ვერცხლის ნალბაქი. | ქ. ა ქარვა ხუთი მსხვილი კრიალოსანი თავის მარგალიტის ფუნჯით. |
| ქ. ა ვერცხლის შამდანნი. | ქ. ა მარჯნის წითელი კრიალოსანი. |
| ქ. ა ვერცხლის ფანბუხდანი. | ქ. გ წვრილი ქარვა ხუთი კრიალოსანი. |
| ქ. ა ვერცხლის საუმარაილე. | ქ. ა მსხვილი ქარვის კრიალოსანი. |
| ქ. ა ვერცხლის ჩოფი. | |

ქ. ა შავი ქარვის კრიალოსანი.
 ქ. ა შავი ქარვა ხუთი კრიალოსანი.
 ქ. ა ვარაყიანი კრიალოსანი.
 ქ. ბ დიდი ქარვის კრიალოსანი.
 ქ. ა სადაფის კრიალოსანი.
 ქ. გ ძვლის კრიალოსანი.
 ქ. ვ სხვა და სხვა კრიალოსანი.
 ქ. ა რევაზის აკვნის ჩანჩხურა.
 ქ. ა მოქედელი სადაფი.
 ქ. იზ სხვა და სხვა ჯაყოდანა.
 ქ. ა ქარვის კრიალოსანი დავითისა.
 ქ. ა ძვლის ტარი.
 ქ. ა ძვლის მარაო.
 ქ. ა ძვლის ყუთით სახვეწები.
 ქ. ა იზანფოხანის კალბი.
 ქ. დ ძვლის შაბაქა სავარცხელი.
 ქ. დ ხის შაბაქა სავარცხელი.
 ქ. ბ ლაქი წითელი და ჯიგარი.
 ქ. ა აბრეშუმის კისა(sic) დავითისა.
 შიგ ყრია შაური კ.
 ქ. ა ოქრომკედის საკიდი ქისა ჯიმ-
 შერისა. შიგ ძეს ზარმამუდის ნა-
 ხევარი ოქრო, ე მარგალიტის
 გოზგარი.
 ქ. ა ზურმუხტის ბეჭედი.
 ქ. ა იანგუნდის ბეჭედი.
 ქ. ა ალმასის ბეჭედი.
 ქ. ა იაგუნდის ლურჯი ბეჭედი.
 ქ. ა მინაქარი ბურნუთის ყუთი.
 ქ. ა დიდი რკინის მაკრატელი.
 ქ. ა იმპერი(ა)ლის ოქრო.
 ქ. დ ზარმამუდის ოქრო.
 ქ. ა კოსტანდინეს ოქრო.
 ქ. მ ბაჯალის ოქრო.
 ქ. თ ნახევარ სტანბოლის ოქრო.
 ქ. ა ბურლიანი დანა.
 ქ. გ თითბრის კლიტე.
 ქ. ა მარგალიტის ქინძისთავი.
 ქ. ა სათამაშო ქალაღი.
 ქ. დ სადაფის ფირფიტო.
 ქ. გ შავი ფირფიტო.
 ქ. ა ვერცხლის ჩქიფი იარაღით.

ქ. ა ქარვისა და ზ ძვლის კვირისტავი..
 ქ. ა მარგალიტის გულის ღილი.
 ქ. ა მინაქრის ყუთი.
 ქ. გ ზილფიალის შუშა.
 ქ. ბ მინაქრის ზილფიალის ქურქელი.
 ქ. ა ოქროს ყელსაბამი თვლებით და
 მარგალიტით.
 ქ. ა წყვილი მარგალიტის ჩამოსავლები.
 ქ. ა ოქროს ამბარჩა თვლებით.
 ქ. ა ოქროს ჯაჭვი ამბარჩით რომ თუ-
 თხმეტიანი.
 ქ. ა ვერცხლის სანაყურე.
 ქ. ა ყუთით(?) პირის მარგალიტი ია-
 ლანჩისა.
 ქ. გ + ყვითელი დიბა ადლი.
 ქ. ა ნაკერი აბრეშუმის სუზანი.
 ქ. ა აბანოს პერანგი.
 ქ. ა აბანოს ყალამქრის ყადიფა.
 ქ. ა თეთრი ჩიქილა.
 ქ. ბ თეთრი ლეჩავი.
 ქ. ა ყალამქრის ფუტა.
 ქ. ა პირსახოცი სავარცხლით ნაკერი.
 ქ. გ ფარჩის ქისა.
 ქ. გ მუშაბალის ლიფა.
 ქ. გ გუჯრათის ხელსახოცი.
 ქ. ა ყალამქრის ხელსახოცი.
 ქ. ა მუმის(?) ხელსახოცი.
 ქ. ა თეთრი ჩარსავი ოქრომკედით ნა-
 კერი.
 ქ. ა ისპანის სარკე.
 ქ. ა ნაკერი ბოხჩა.
 ქ. ა ნაკერი ბალიში.
 ქ. ა ფეხის ქვა ვერცხლიანი.
 ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
 ქ. დ პერანგი ოთხის მარგალიტის ქინ-
 ძისთავით.
 ქ. ე ამისი ამხანავი.
 ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
 ქ. ა ოსმალის დიბის ახალუხი თავის
 მორთულობით.
 ქ. ა ხარის ახალუხი თავის მორთულო-
 ბით.

- ქ. ა ალიდრის ახალუხი თავის მორთულობით.
- ქ. ა ყალამქრის ახალუხი თავის მორთულობით.
- ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
- ქ. ა ყალამქრის კაბა ოქროს დუგმით და ხელსახოცი.
- ქ. ა ჩიჩაგლის ხარის კაბა წყვილის არშით, რუსულის ჩალილული ოქროს დუგმით და ხელსახოცით.
- ქ. ა ყირმიზი დარაიბაბთის კაბა ოქროს დუგმებით და ხელსახოცით.
- ქ. ა ყირმიზი ხარის კაბა წყვილის არშით, გილანის დილით, ოქროს დუგმით და ხელსახოცით.
- ქ. ა ალის ფერი დარ(ა)იბაბთის კაბა ოქროს დუგმებით და ხელსახოცით.
- ქ. ა იეზდის ყირმიზი ზარბაბთის კაბა.
- ქ. ა ყირმიზი ატლასბაბის კაბა.
- ქ. ა დიბის სარტყელი.
- ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
- ქ. ა დარ(ა)იბაბთის ზეწარი.
- ქ. ა ყმარწვილის სადორბლე.
- ქ. ა ყმარწვილის ნიფხავი.
- ქ. ა ყმარწვილის ნაკერი პერანგი.
- ქ. ა ყმარწვილის ყალამქრის ახალუხი.
- ქ. ა ყმარწვილის დარაიბაბთის კაბა.
- ქ. ა ყმარწვილის დიბის ქურთუკი.
- ქ. ა ზარიანი ხელსახოცი.
- ქ. ა კიდევ ყმარწვილის პერანგი.
- ქ. ა ყმარწვილი(ს) პირსახოცი ნაკერის სავ(ა)რცხლით.
- ქ. ა წყვილი ჩახჩური ჯარბით(?) და წვივსაკრავით.
- ქ. ა ზარიანი ყალამქრის თავსაკრავი.
- ქ. ა ნაკერი პატარა ბოხჩა.
- ქ. ა წყვილი ნაკერი არტახები.
- ქ. ბ ყალამქრის იარახჩინი.
- ქ. ა რუსული ხელსახოცი.
- ქ. ა ზარიანი ლეჩავი.
- ქ. ა მუმის(?) თავსაკრავი.
- ქ. ა დიბის საბანი ყმარწვილისა.
- ქ. ა დარაის ბოხჩა.
- ქ. ა ლურჯი ხარის კაბა.
- ქ. ა იეზდის დარაის კაბა.
- ქ. ა ლაჯვარდი ხარის კაბა.
- ქ. ა ალიდრის გამოქრილი ახალუხი ხელსახოცი.
- ქ. ა ფერადით ნაკერი ლეჩავი.
- ქ. ა შილაის ნაკერი.
- ქ. ბ ნაკერი თავსაკრავი.
- ქ. ა ალის ფერი პერანგი.
- ქ. ა დიდი ვერცხლის სარკე.
- ქ. ა და(რა)იბაბთის საბნის პირი.
- ქ. ა ზარიანი დორი.
- ქ. ა ყალამქრის სუფრა სარჩულით.
- ქ. ა ხვედის დოშაკის პირი.
- ქ. ა ალისფერი ატლასბაბის ქათიბი.
- ქ. ა ყვითელი თირმა შალი.
- ქ. ო თირმა შალი თეთრი.
- ქ. ა ორფერი დავითის თირმა შალი.
- ქ. ა ყვითელი თავსახურავი შალი.
- ქ. ა წითელი თავსახურავი შალი.
- ქ. ა ჩაქსული თავსახურავი შალი.
- ქ. ა წითელი თისმა შალი.
- ქ. ა წითელი ქარიმხანის შალი.
- ქ. ა თეთრი დიდი თისმა შალი.
- ქ. ა ქიაფერის (sic) ლეჩავი.
- ქ. ა ნაკერი თეთრი ლეჩავი.
- ქ. ა დარაიბაბთის პარკი.
- ქ. ა ნაკერი იარახჩინი.
- ქ. ბ ყალამქრის იარახჩინი.
- ქ. ბ ნაკერი ქისა.
- ქ. ა ჯუნაის ჩიქილა.
- ქ. ო ყალამქრის ხელსახოცი.
- ქ. ა მუყაიშის თავსაკრავი.
- ქ. ა დიდი ყალამქრის ჩარყათი.
- ქ. ბ ლეჩავის სეტკა, არშია და ნაკერი.
- ქ. ბ წყვილი წითელი წულა.
- ქ. ა დიბის ქოში.
- ქ. ა მძივის გრეხილი.
- ქ. ა ბანის ხალიჩა.
- ქ. ბ შტოფის დიდი და პატარა ქისა.
- ქ. ა თავი ყალამქრის აბანოს ჩამქიჩი.
- ქ. ა თავი აბანოს ყალამქრის თავსაკრავი.

- ქ. ბ წამოსასხამი ჩადრი.
- ქ. ა დავითის ნაკერი ქუდი.
- ქ. ა ძელის სკივრი.
- ქ. ა წითელი ხვედის ქუდი.
- ქ. ა ვერცხლის საყინულე.

რაც ელისაბედის მზითვისა ქალაქს დარჩა და წაიღეს:

- ე (5 თუმანი) ქ. ა დიდი ორხუა.
- აგ (13 მინალთ.) ქ. ა ქეჩა.
- ავ (12 მინალთ.) ქ. ა ბუნბულის დიდი დოშაკი.
- კ (5 მინალთ.) ქ. ა საბნის მითელი.
- კ (5 მინალთ.) ქ. ა დორის მითელი ბანბით.
- კჳ (15 მინალთ.) ქ. ა ყუთლუკის ბალიში რუსული ჩითით.
- ძ (3 მინალთ.) ქ. ა თავის დასადები ფიცარი.
- ხ (6 მინალთ.) ქ. ა დიდი აბანოს სათილი ქაშანისა.
- ჩ (მინალთ.) ქ. ა თასი აბანოსი ქაშანისა.
- ჩხ (6 აბაზი) ქ. ბ სპილენძის ტაფა.
- წკ (25 მინალთ.) ქ. დ დუქინი კალის ქურქელი.
- კ (5 მინალთ.) ქ. ა დიდი თითბრის შამდანი.
- კ (5 მინალთ.) ქ. ა თითბრის ტაშტი.
- ხ (6 მინალთ.) ქ. ა თითბრის ალთაფა.
- ძ (3 მინალთ.) ქ. ა დარაის ფუტა.
- ა (თუმანი) ქ. ა მაუდის მუდახილით ნაკერი სუზანი.
- ძ (3 მინალთ.) ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
- წ (4 მინალთ.) ქ. ა ზარიანი დარაის ბოხჩა.

- ძხ (3 მინალთ. ქ. ა თეთრი ტილოს და 1 აბაზი) ჩარსავი.
- ქ (3 აბაზი) ქ. ბ აბანოს თავის ჩითები.
- ქ. ა იზხ (17 თუმ. და 6 მინალთ.)

რაც ხანუმის მზითვისა თან გამოვიტანეთ და ახლა ჰაზირშია:

- ქ. ა ტანი ნახმარი გილანის ლილი.
- ქ. ბ დარაის ბოხჩა.
- ქ. ა აბრეშუმით ნაკერი სუზანი.
- ქ. ა წითელი ატლასის კაბა დუგმებით.
- ქ. გ ახალი პერანგის ამხანაგი.
- ქ. ა ლაჯვარდი დარაის ახალუხ მასალით.
- ქ. ა ნაკერი ქურთუკი.
- ქ. ა სოსანი იეზდის დარაის კაბა.
- ქ. ა განდიდურის კაბა.
- ქ. ა მილთონის ჩითის კაბა.
- ქ. ა მუყაიშის თავსაკრავი.
- ქ. ა დიბის ტყავი შვინვით და თავის მარგალიტის კურთუბლით.
- ქ. ა ოსმალის დიბის საბნის პირი.
- ქ. ა თეთრი ჩარსავი.
- ქ. ა ზარიანი დორი.
- ქ. ბ პირსახოცი.
- ქ. ა დიბის ქათიბი გილანის ლილით-თეთრი.
- ქ. ა ბურსუს ხელსახოცი.
- ქ. დ მუშაბალის ლიფა.
- ქ. ა წყვილი მუშაბალის ჯორაბი.
- ქ. ა ნაკერი ქალის თავსადები.
- ქ. ა ჯიმშერის სათვალე იარალით.
- ქ. ბ წვრილი ოქროს თითა თვლებით.
- ქ. ა წყვილი მარგალიტის ჩამოსავლები.
- ქ. გ ზურმუხტის ბეჭედი.
- ქ. გ იაგუნდის ბეჭედი.
- ქ. ა ლაჯვარდის ბეჭედი.
- ქ. ა ფირუზის ბეჭედი.
- ქ. ოქროს ქულუჩა იაგუნდის თვლებით.
- ქ. ა ყვითელი დიბის ტყავი ბეჭვით.

რაც კიდევ ხანუმის მზითვისა ქალაქიდან დუშეთს გავეზავენეთ და იქ დაიკარგა, რომ ჯერ არ გვიპოვია:

- ქ. ა ტანი რუსული ნაკერი ღილი.
- ქ. ა დარაის ბოხჩა.
- ქ. ბ ყალამქრის ბოხჩა.
- ქ. ა ნაკერი ბოხჩა.
- ქ. ა ყალამქრის ჩამქერი.
- ქ. ბ ახალი ქალის პერანგი გრეხილით.
- ქ. ა ალისფერი დარაის ახალუხი მასალით ქალისა.
- ქ. ა ყალამქრის ახალუხი თავის მასალით ქალისა.
- ქ. ა ალისფერი დარ(ა)იზაბთის ახალუხი ქალისა მასალით.
- ქ. ა ყალამქრის სუფრა უსარჩულო დიდი.
- ქ. ა თეთრი ჩიქილა.
- ქ. ა წამოსახსამი ყადიფა.
- ქ. ა პირსახოცი თავისის ნაკერის სავარცხლებით.
- ქ. ა მძივის გრეხილი.
- ქ. ა დორის ჩითი.
- ქ. ა ქათიბის ნარმის შალითა.
- ქ. ა პერანგის ამხანავი შეუქერავი.
- ქ. ო მუმის(?) ხელსახოცი.
- ქ. ა თეთრი იარახჩინი.
- ქ. ბ თეთრი ნარმის ბოხჩა.
- ქ. ა თეთრი ჩიქილა.
- ქ. ა რუსული ხელსახოცი.
- ქ. ა ჯუნაია.
- ქ. ა ნაკერი თავსაკრავი.
- ქ. ა თეთრი დიბის ყურის ბალიში.
- ქ. ა ლურჯი დირაიზაბთის ყურის¹ ბალიში.
- ქ. ა ალისფერი დარაიზაბთის დიდი პარკი.
- ქ. ა ჯიგარი დარაიზაბთის ყურის¹ ბალიში.
- ქ. ა ყვითელი დიბის ყურის ბალიში.

- ქ. ა დიდი დარაიზაბთის პარკი.
- ქ. ა ნაკერი ხელსახოცი.
- ქ. ა თეთრი მუმის(?) თავსახურავი.
- ქ. ა გუჯარათის ხელსახოცი.
- ქ. ა დიდი ყალამქრის ჩარყათი.
- ქ. ო მუმის(?) თავსაკრავი.
- ქ. ბ მოვის ხელსახოცი.
- ქ. მილონის კაბის ორი სახელი.
- ქ. ა ვერცხლის ლანბაქი.
- ქ. ა ჟანბუხდანი თავის ნალბაქით.
- ქ. ა ვერცხლის სამარლიფე.
- ქ. ა სადაფი ვერცხლით მოქედილი.
- ქ. ა ვერცხლის უმარილის ყუთი.
- ქ. ა ვერცხლის ფერის ყუთი.
- ქ. ა პატარა ვერცხლის ყუთი.
- ქ. ა ვერცხლის წებოს თასი.
- ქ. ა ვერცხლის სასურმე.
- ქ. ა ვერცხლის დიდი სანემსე.
- ქ. ა ვერცხლის ბუდე ჩხირებისა.
- ქ. ა ვერცხლის თმის საყოფი.
- ქ. ა ბროლის სალესავი ვერცხლით.
- ქ. ა ვერცხლის კოვზი.
- ქ. ა ვერცხლის ჩქიფი.
- ქ. ა ვერცხლის სანემსე პატარა.
- ქ. ბ ვერცხლის მოქედილი სარკე.
- ქ. გ ისე დიდი და პატარა სარკე.
- ქ. ა პატარა მგვრგალი ყუთი.
- ქ. ბ ძვლის ნემსის ბუდე.
- ქ. ე ძვლის თითისტარი.
- ქ. ბ ძვლის დანა ქარქაშებით.
- ქ. ა მარგალიტის ქინძისთავი კარგი.
- ქ. ბ დანა და 8 დანატული ხის ფირფიტა.
- ქ. გ მარცვალი მარგალიტის ღილი.
- ქ. ა დანა, ვერცხლის სათითე ა, ჩამ ყუთი ა, წვრილი დურბინი ბ, კრია-ლოსანი იწ.
- ქ. ა ოიმისა ჩამოსავლები ბუზმეტი.
- ქ. ა საულვაშე მარგალიტისა თვლის ქულიჩებით.
- ქ. დ ძვლისა და ბ ხის სავარცხელი.

¹ დედანში: „ყულის“.

- ქ. ა ბროლის ნივრის(?) კო(ლო)ფი(?).
- ქ. ა ტანი შეკერილი ნახმარი რუსის ღილი.
- ქ. ა ალი ყანაოზის გამოკრილი ქალი პერანგი.

რაც ჩვენი თან გამოვიტანეთ:

- ქ. ა მდივანმა ჯიმშერს რომ უბოძა ვერცხლის ქარქაშინი დანა.
- ქ. ბ ოქროს მინაქარი სალტე ყალიონის მეფისა(?).
- ქ. ა ვერცხლის ბილანი.
- ქ. ა ოქროს მგვრგალი დიდი ფირუხქარი ხიროლის ღილი.
- ქ. ა შუშა ვერცხლი, იქნება მისხალი მე.
- ქ. ა ქალაღით დიდი და წვრილი თვლები.
- ქ. ა ქალაღით მცირე მარგალიტი.
- ქ. ა ქალაღით იაყუთის ხაქა.
- ქ. ა პატარა ყუთით დაფერილი ღილები.
- ქ. ა ვერცხლის იალთული.
- ქ. ა პირსახოცი ნაკერის სავარცხლით სოსიასეული.
- ქ. იგ ყრა ღიბის არშია.
- ქ. ა თეთრი ჯიმშერის შალი თისმა.
- ქ. ა თეთრი თისმა შალის ნაჭერი გირაო.
- ქ. ბ ადლი წითელი თისმა შალის ნაჭერი.
- ქ. ა მთელი შადა(?) თეთრი თაღლითი.
- ქ. ა ძვლის ჩიბუხი.
- ქ. ა ქართლის ცხოვრების წიგნი.
- ქ. ბ ყალამქრის ახალუხი არშიებით ჩემი.
- ქ. ა ისფერი დარაიბაბთის ახალუხი ჩემი.
- ქ. ა ყირმიზი ხათის ახალუხი ჩემი.
- ქ. ა მარმათ ხათის ახალუხი ჩემი.
- ქ. ა სოსანი მაუდის ოიმა.

- ქ. ა თალხი მაუდის ოიმა შეუსრულებელი..
- ქ. ა თალხი მაუდის კაბა.
- ქ. ა თოფი დუგუნი თეთრი ტილო.
- ქ. ა მქრქალი ნაშურის ლეინი.
- ქ. ა ქობაჩის შალი.
- ქ. ა სადალაქო ყალამქრის ფუტა.
- ქ. ა ადლი თალხი მაუდის ნაჭერი.
- ქ. ა ყალმუხის ბოხოხი.
- ქ. ა მაუდის თალხი ქუდი.
- ქ. ა რუსული საზამთრო ქუდი.
- ქ. ა სადამური ქუდი.
- ქ. ა ქობაჩის შალის ჩოხა ჩემი.
- ქ. ა წითელი ალაჯის ახალუხი ჩემი.
- ქ. ა ტილოს სარტყელი ჩემი.
- ქ. ა თალხი შალის სარტყელი ბუთალუ.
- ქ. ა თეთრი ბუთალუ შალის სარტყელი.
- ქ. ა წითელი აბრეშუმის სარტყელი.
- ქ. ბ ახალი პერანგის ამხანაგი.
- ქ. ბ ახალი პერანგი.
- ქ. ბ ნაცვამი პერანგი.
- ქ. ბ თეთრი პატარა პერანგი.
- ქ. ბ ვეცხლის თასი.
- ქ. ა ქალაქური სუფრა.
- ქ. გ წყვილი კრელი წინდა.
- ქ. ა წყვილი ორფერი ჩახჩური.
- ქ. ა წყვილი წითელი ჩახჩური ჯიმშერის.
- ქ. ბ თავი თეთრი მსხვილი მუმი.
- ქ. ა ჯიმშერის ხივთანი.
- ქ. ბ მაუდის ოიმა ჯიმშერისა.
- ქ. ა შალის ოიმა ჯიმშერისა.
- ქ. ა თეთრი ქურთუკი ჯიმშერისა.
- ქ. ა ალისფერი დარაიის კაბა ჯიმშერისა.
- ქ. ა ნაკერი ქურთუკი.
- ქ. ა ჯიმშერის სამურის ქუდი.
- ქ. ა ელისაბედის ყვითელი ყალბი ქათიბი.
- ქ. ა ჯიმშერის ახალუხი ყალამქრისა.
- ქ. ა ახალუხი ამისი ჩითისა.
- ქ. ა ელისაბედის ახალუხი ჩიჩაგლი მარმათისა.

- ქ. ა ახალუხი ამირყუთნისა.
- ქ. ა თეთრი ჩარსავი.
- ქ. ა ჯიმშერის იარაღი.

რაც რომ ქალაქიდან დუშეთს გავგზავნეთ, იქ დაგვეკარგა და ვიპოვეთ ჩემი:

- ქ. ა ყალამქარის ახალი ბოხჩა.
- ქ. გ. ა ადლი ყალბი თეთრი ფარჩა.
- ქ. თ. ა რუსის ადლი ყვითელი ზარიანი ფარჩა.
- ქ. ბ. ა ადლი ბ ნაქერი ი(ი)სფერი ხარა(?)¹.
- ქ. ა ჩარეკი ზარიანი ხავერდი².
- ქ. ა ტანი ალისფერი შალი.
- ქ. ც. ა ადლი ოსმალის ჩიჩაგლი მარმათი.
- ქ. ი. ა თავი საღეჩაქე³.
- ქ. ა წითელი შალის ხეთანი ღილით.
- ქ. ა ჩალის ფერი დარაის ოიმა⁴.
- ქ. ა ალი განდიდურის კაბა, იდ ღილი აკლია.
- ქ. ა ფისტაი დარაის კაბა⁵.
- ქ. ა ღრუბლის ფერი დარაის კაბა⁶.
- ქ. ა მუხაირი დარაის კაბა.
- ქ. ა კრელი ხავერდის ქათიბის პირი.
- ქ. ა ყვითელი ფისმა შალის ქათიბი.
- ქ. ა მქრქალი მაჟდის ქათიბი⁷.
- ქ. ა შალის კრელი დორების ქვეშ-საგები.
- ქ. ა შალის კრელი დორის პირი.
- ქ. ბ. ა ტილოს ღების საპირე ერთი დიდი, ა პატარა.

ამას ქვეით დაწერილი საქონელიც დუშეთს მოსულს საქონელს აკლია, რომ ჯერ არ გვიპოვია:

- ქ. ა სოსანი დარაის კაბა ჩემი.
- ქ. ა (ი)სფერი ხარის კაბა ჩემი.
- ქ. ა ხინაი შეუქერავი იეზდის დარაის ოიმა ბოხჩით.
- ქ. ბ. ა აბრეშუმის აბგა, ერთი გამოგიგზავნია, ჩემი არ არის.
- ქ. დ. ა მძიმე ფარჩის ქუდის პირი.
- ქ. გ. ა ცალი ჩულქი, ა წყვილი შავი, ა ცალი ლურჯი.
- ქ. დ. ა შეკერილი ყალამქარის ბოხჩა.
- ქ. ა პარკით და ხელსახოცით წიგნები ანგარიშისა, ზოგი გ(გ)ეპოვნია და ზოგი აკლია.
- ქ. ბ. ა ქალაღლით მრავალი რიგი ქიქის თელეები.
- ქ. დ. ა ვერცხლის დიდრონი ფოლაქები სახატეთ.
- ქ. ი. ა იდ ოქროს ღილი კაბისა.
- ქ. გ. ა ქვემოური ნარმა საჩიქილე ლურჯი ბოხჩით.
- ქ. ბ. ა წყვილი ისპანის მაშია.
- ქ. ბ. ა ადლი თალხი ბაშმაუდი.
- ქ. ა ადლი რუსის კრელი სახალათე.
- ქ. ა ისპანის შაქარი.
- ქ. ბ. ა მისრიდნის შაქარი, ა დიდი და ა პატარა.
- ქ. ა ფუთი ხამი შაქარი.
- ქ. ა მგრგვალის ყუთით კბ ყავის ფინჯნის ზარფი, ათი ვერცხლისა და თორმეტი დაფერილი ყვითელი.

¹ დედნის ხელით, სხვა მელნით სტრიქონს ზემოდან: „ეს მარამ დედოფალს მივართვი“.

² დედნის ხელით, სხვა მელნით სტრიქონს ზემოდან: „ელისაბედმა შეიკრა“.

³ დედნის ხელით, სხვა მელნით სტრიქონს ზემოდან: „ელისაბედმა შეიკრა“.

⁴ დედნის ხელით, სტრიქონს ზემოდან: „გაყვიდე“, ხოლო შემდეგ მიყოლებულია: „ჯიმშერმა შეიკრა“.

შერმა შეიკრა“.

⁵ დედნის ხელით, სტრიქონს ზემოდან: „ჯიმშერმა შეიკრა“, ხოლო სტრიქონის ბოლო-

ზედ: „აშინჯალელს მივე“.

⁶ სტრიქონს მისდევს: „გოგია მოლარეს მივე“.

⁷ სტრიქონს მისდევს: „დავშალე, კაბათ შეიკრე“.

ქ. ზ ოსმალის შალის ღირის პირი
ქრელი. ერთი მიპოვნია, ექვსი
აკლია.

ქ. ა ჩემი არშინი ყალამქრის ახ-
ლუხი.

ქ. ა ქათიბების ქრელი დიდი ბოხჩა.

ქ. ზ ადლი წითელი რუსის ჩითი.

ქ. ა ხელსახოცით ერთი დანა სამური
და სხვა სამურის ნაქრები. ამი-
სი ცოტა ნაქრები მიპოვნია და
სხვა აკლია.

რაც რამ ქალაქიდან დუშეთს
გავგზავნეთ და იქ დაგვეკარგა, რომ
ჯერაც ვერ გვიპოვნია:

ქ. ბ ყალამქარის კარის ფარდა.

ქ. ბ ყალამქარის დიდი მახსური ფარ-
და სასაბნისპირე.

ქ. გ. თოფი ყალამქარი.

ქ. ა ყალამქრის არშიებიანი კაი ფუ-
ტა.

ქ. ე ყალამქრის დიად წვრილი ფა-
რდა.

ქ. ბ ნახევარ ყალამქრის ჩარყათი
ერთი თასი.

ქ. ა ტანი ჩალის ფერი ფრანგის გა-
ნიერი თავთა.

ქ. ა ტანი მილთონის ჩითი.

ქ. ა თოფი ყირმიზი ფრანგის თავთა.

ქ. ა ტოლული წვეკლა დარაია.

ქ. ე იეზდის მოვი.

ქ. ვ ტოლული განჯის დარაია.

ქ. ვ განჯის კაი მოვი.

ქ. ა თოფი ყირმიზი იეზდის ყასაბი.

ქ. ა ლურჯი იეზდის ყასაბი.

ქ. ა ნიმთანა ალი დარაია.

ქ. ბ თოფი მირბაში ყირმიზი დიდი
ყასაბი.

ქ. ა. თელი-ოღლის ყუთნი.

ქ. ა ი(ი)სფერი აბრეშუმის ჩარყათი.

ქ. ბ ტოლული იეზდის დარაია.

ქ. ა მწვანე აბრეშუმის საშალვრე.

ქ. თ რუსის ადლი თეთრი ზარიანი
ფარჩა.

ქ. დ+ ადლი მწვანე ოსმალის ხარა.

ქ. ვ ადლი ი(ი)სფერი ოსმალის ხარა.

ქ. ბ ადლი ფისტაი განდიდური.

ქ. ა ჩარეჟი ზარი ხავედი რომ მო-
უქრიათ.

ქ. გ ჩარეჟი ალი საქობე.

ქ. ბ ადლი ნაყიშლუ მარმათი.

ქ. ა თოფი და ბ ნაქერი ისპანის ჩადრა.

ქ. ა. ადლი განიერი საპანი(?).

ქ. ა ქალღლით დაბალი არშია იე.

ქ. ა ადლი ყირმიზი დარაია.

ქ. დ გუჯრათის საბნის პირი კარგი.

ქ. ა ვერცხლის ოსმალის ხანჯალი.

ქ. ე დასტა რუსის ვარაყის ქალღლი.

ქ. ა ქალღლი წითელი და მწვანე დ
ფურცელი თვლის დასაფენი ფოია.

ქ. ა საწერილი გაწყობილი კარგი.

ქ. ბ საწერილი თავისის თავებით და ა
შაკრატელი.

ქ. ბ ყაჯრის არშია აბრეშუმისა და
ფუნჯი.

ქ. ა ტანი რუსული ნაკერი ღილი.

ქ. ა ყალამქარის ქუდი.

ქ. ა ტოლული მქრქალი თავრიზის და-
რაია.

ქ. ბ ნაქერი(?) წმინდა ტილო.

ქ. ბ ნიმთანა ალის ფერი ზარბაბი.

ქ. ბ ი(ი)სფერი ნიმთანი ზარბაბი.

ქ. ა სამ ადლიანი ყირმიზი იეზდის ხა-
თაია.

ქ. გ წვრილი ხათაია.

ქ. ა სამ ადლიანი დაბალი ი(ი)სფერი
ზარბაბი.

ქ. ა ადლი იეზდის ყირმიზი ზარბაბი.

ქ. ბ უბის სა(ა)თი.

ქ. ი აქრა ზარი რუფი არშია(?).

ქ. დ დანა ალთიმიშლული.

ქ. ა ვერცხლის ბილანი თავისის აბრე-
შუმის ზონრით.

ქ. ო ლიტრა ყინვარე შაქარი.
ქ. ა წითელი დიალ წმინდა ლეინი.
ქ. გ თეთრი შაქრის ყუთი.

ქ. ა იერუსალიმის კონდაკი ბუდით.
ქ. ბ ქალაღდის სურათი.
ქ. ბ ბოხჩა ზეიღამ დაფარებული.

184. 1796 წლ. დეკემბერი. წერილი მეითარი სოლომან (თარხნიშვილისა) თავისი ძმის დავითისადმი სამეურნეო საქმეების შესახებ. დედანი. ზომა 33,5 x 11 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 3777 Hd. საბუთს ათარიღებს ზუბოვის ხსენება, რომელიც „უკან გაბრუნდა“ 1796 წლის დამლევს, ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ.

ქ. ძმას ბატონს დავითს, მეითარი სოლომან მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და თქვენის მშვიდობის ამბავს ვიკითხან. მერმე, წიგნი მოგეწერა, მომივიდა. რაც მოგეწერა, ვცანი. ცხენების მოგეწერა. ბატონო, რომელიც მანდიყო რომ სულ ყათლანი მოსვლიათ, რომ კიდევ ვიშოვნო ვინ უნდა მოუაროს? ქერისა მოგეწერა. ქერი აღარ იყო, რომ თათრების ქერი არ დაგეხარჯა, ან რატომ არ გაუფრთხილდით? ახლა იმისთანა ცხენს ოც თუმნათ არ მისცემენ. ვინ მამცა, რომ ცხენი უშოვნო? ახლა სად არის ცხენი გასაყიდი? ოცდაათ თუმნათ, ორმოც თუმნათ ცხენი არ იშოვება. ვინ მომცა ორმოცი თუმანი, რომ ახლა ცხენში მივეც? სომხებისა მოგეწერა. რომელიც პირველნი კაცნი არიან, ეგ ნაფუზრები გაუყავ, რომელიც კიდევ იმისთანა კაცნი არიან, ზეითობალი გაუყავ და რომელიც დარჩებიან, მე მოვალ და ალბათ იმათაც ბინას მივეცემ, მაგრამ ახლავე კი უნდა დაღობონ. რომელიც შემძლებელნი არიან, ეგ ნაფუზრები მიე და რომელიც იმისთანა კაცნი და ციციურში, ამ გზობით თითოს ნახევარ-ნახევარ დღისა ეყოფათ, ამ გზობით. წიგნისა მოგეწერა, გორჯილა მოგეწერა. მზას არის. რას წამს თეთრი ჩამოვა, ვიყიდი და გამოგიგზავნი, ლიტრას შვიდ აბაზათ აძლევენ. ცხენებისა მოგეწერა. ჰაკ ცხენებს სთხოვე. მადამდის შენ მომწერდი, კიდევ ვთხოვე, მაგრამ არა გახდა რა თათრებისა: მანდ რაც რამ არის მამად. უსეინასი, ან პური, ან ფეტვი, ან არ და(ა)კლდეს რა და ან აქ არ გამოგზავნო. ბატონმა დასტური მისცა, უნდა წაიღოს. ეხლა იმისი შვილი მოვა და ერთს კარგს ცხენსაც მოიყვანს ფეშქაშათ. იმისი არც პურის დაკლება იქნება და არც ქერისა. ხუმრობა არ არის, არა დაუხარჯო რა. გაღმა რაც ჩვენი პური არის. იმის ჩამოტანას ეცადე და სამარღანიშვილთანაც ეცადე ჩქარათ. მეორეს, თუ აქაურს ამბავს იკითხამთ, ზუბოვი უკან გაბრუნდა, ალა მამათ-ხან ისევ თე(ი)რანს არის და ეს რუსები ასე ამბობენ, ენკენის თვემდის აქა ვართო. განაჩენისა რომ მოგეწერა, იმასაც ისე აღვასრულე, ღთი მოწყალე არის. მალაღაშვილთან იმ პურის საქმეს ეცადე. ძმაო დიმიტრი, რაც ამაში სწერია, ეს შენ აღასრულე, თუ დავით მანდ არ იყოს. და ეს წიგნი კი დავითს გაუგზავნე. თუ ღთი გიყვარდესთ, ჩემის ცხენის ამბავი შემატყობინე. და სარღლის ცხენსაც გაუფრთხილდი. ნადირაშვილს ქერო

აღარა აქვს, რომ გამოართოთ და დახარჯოთ. ათი კოდი ქერი გამოართვით, ვადაიტანეთ და დახარჯეთ. ეგ თეთრი მალე მოკრიფეთ და გამოგზავნეთ. ორი კოდი პური დავიბარე, ახლავე გამოგზავნე. დაბალს ულაცს აპკიდონ, სომხებმა მოიტანონ. პატარა წნილი, სტაფილო, მურაბა და ორი თუნგი არაყი ახლავე გამოგზავნე, რუსებს დავპირდი. აღარა მთხოვთ რა, თორემ ერთი ფული არა მაქვს, მე კი ვაგეცქვევით და მერმე თქვენ იცით.

ს ხ ვ ა მ ე ლ ნ ი თ ი მ ა ვ ხ ე ლ ი თ : ს ი გ ლ ი ს ა და ბ ე ქ ე ლ ი ს ა რ ო მ ე ლ ი ც ა მ ბ ა რ ა თ შ ი ს წ ე რ ი ა , ი ს ე ვ ა პ ი რ ე ბ .

185. 1797 წლ. თებერვლის 12. ბრძანება მეფის ძის ფარნაოზისა სააკაძე ზურაბისადმი მამულის სარჩელის თაობაზე მეღვინეთხუცი-შვილებსა და ალექსის-შვილებს შორის. დედანი. ზომა 23,3×13,8 სმ. დაწერილია მოლღორო ქალღმერთზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია ან ორწერტილი, ან წერტილი და ერთგან წერტილ-მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 6694 ცმ.

ქ. მეფის ძე ფარნაოზ გიბძანებ, სა(ა)კაძე ზურაბ! მერე, რასაც წამს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, მაშინვე ალექსის-შვილები აქ ჩვენთან უნდა გამოისტუმრო, მეღვინეთხუციშვილებს სამართალში უნდა ელაპარაკნენ და ჩვენგან(ნ) რომ ოქმი აქვსთ ბოძებული, ის თან უნდა წამოიღონ. საჩქაროთ უნდა გამოგზავნო. და რომელსაც მეღვინეთხუციშვილების ყმას, მაწონაძეს, მაგ ალექსი-შვილებისთვის მიწა მიეცესთ, ეგეც თან უნდა გამოაყოლო. მაგ სადაო მიწაში გავლა არ იქნება არც ერთის მხრიდამ, სანამდინ სამართლით არ გარდასწყდება.

ალექსიშვილებო, რაც სრული საბუთი გქონდესთ და ან მოწმე(ე)ბი გყვანდესთ, თან ჩამოიყვანეთ, რომ მას უკან სამართალში მიზეზი არა თქოთ რა.

ზურაბ სა(ა)კაძე, მაგ მამულზედ თვალ-ყური შენ უნდა დაიჭირო, რომ არავინ წა(ა)ხდინოს.

ფებერვლის იბ, ქკს უპე.

სა(ა)კაძე ზურაბ, სრულის საბუთებით და მოწმე(ე)ბით უნდა გამოგზავნო, რომ სამართალში მიზეზი აღარა თქონ რა. []¹.

ქ. ზურაბ სა(ა)კაძე, ვინემდისინ მეღვინეთხუცის-შვილებისა და ალექსის-შვილების სამართალი გარდაწყდებოდეს, ეგ ამათი სადაო მამული შენ გებარებოდეს. არც ერთის გავლა მაგ მამულში არ იქნება, მანამ ამათი სამართალი არ გარდაწყდება, []².

¹ მურის ბეჭედი ქართული მხედრული წარწერით, რომელიც აღარ იკითხება.

² მურის ბეჭედი.

186. 1797 წლ. აპრილის 10. ქალაქიდან მოსული ფარჩის ანგარიში. დედანი. ზომა 35,5×21,8 სმ. დაწერილია მორუხო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად აქა-იქ ნახ-მარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 8814 Hd.

- ქ კს უპე, აპრილის ი. ქალაქიდან მოსული ფარჩა ვისაც რაც მიეცა.
ქ. ბატნოას მიეცა გ შავი ლაინი.
ქ. ა ჯიგარი ლაინი.
ქ. ზ ადლი ნარმა საპერანგეთ.
ქ. გ ადლი წმინდა ბაცშავი ლაინი.
ქ. გ ადლი ნარმა ამის სარჩულათ.
ქ. გ ადლი ნარმა ნენოას შეიდიშის სარჩულად.
ქ. გ ნახევარი მუმია მათას, ნენოასა და რძალს სალამურ თავსაკრავებათ.
ქ. იზ ადლი ნარმა ბატნოასი და იოანესა და თომას ახალუხების სარ-
ჩულებათ.
ქ. ა₀ ადლი ლურჯი ლაინი რძალს ბოხჩის სარჩულად.
ქ. ა ადლი ლურჯი ლაინი ბატნოას ბოხჩის სარჩულად.
ქ. ორს გოგოს ზ ადლი რუსული ტილო.
ქ. ბ შილა პერანგებათ.
ქ. ბ ლურჯი ლაინი პერანგებათ.
ქ. ბ₀ ლურჯი ლაინი კაბებათ.
ქ. ა₀ ადლი წითელი ლაინი ამის ქობებათ.
ქ. ა წითელი ლაინი.
ქ. ა ლურჯი ლაინი.
ქ. ა თოფი ნარმა ამ ორი ლაინის სარჩულად.
ქ. ა მუმის ველსახოცი ორ თასაკრავათ.
ქ. ი ადლი ჩითი ახალუხებად.
ქ. თ₀ ადლი ხამი სარჩულად.
ქ. ა ადლი წითელი ლაინი ქობათ.
ქ. ბეჟანას ცოლსა და ქალებს ა წითელი ლაინი.
ქ. ბ შილა.
ქ. ე ადლი ნარმა.
ქ. ა ლურჯი ლაინი და ა ადლიც ნაქერი კაბათ.
ქ. + ადლი წითელი ლაინი ქობათ.
ქ. ბ ადლი ხამი.
ქ. კ ადლი ჩითი.
ქ. ა ადლი წითელი ლაინი.
ქ. ა ლურჯი ლაინი ბეჟანას პერანგათ.
ქ. ა თავი სათასაკრავე მუმია.

ქ. ნვასარას ახალუხათ ა ლურჯი ლაინი.
ქ. ამასვე სარჩულად ე₀ ადლი ხამი.
ქ. ამასვე პერანგათ ა ლურჯი ლაინი.

ქ. კეკანას სიმონას და ჰერაპიტას გ ლურჯი ლაინი პერანგბათ.
ქ. მოსიას ა ლურჯი ლაინი პერანგათ.

ქ. ჩემს ძიძას კაბათ ა ლურჯი ლაინი.

ქ. ამასვე ნაჭერი ერთი ადლი.

ქ. ო+ ადლი წითელი ლაინი ქობათ.

ქ. გ ადლი ლურჯი ლაინი.

ქ. გ ადლი ხამი სარჩულათ.

ქ. გი ადლი ნარმა ლეჩაქათ.

ქ. ო თასაკრავი.

ქ. ე ადლი ჩითი ახალუხის საპირეთ.

ქ. ე ადლი ლურჯი ლაინი პერანგათ.

187. 1797 წლ. ახლ. ქონების ნუსხა ერეკლე მეფისა(?). დედანი(?). ზომა 33,5x22,5 სმ.
დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 3668 Hd.
დაახლოებით ათარიღებს ქაღალდის კვირნიშანი, რომელიც გვიჩვენებს (17)97 წელს.

- | | | |
|-------|----------------------|---|
| o 3 | (ოთხმოცი თუმანი) | ქ. ა მინაქრის ხმალ-ჯავარდენი. |
| o 1) | (ათი თუმანი) | ქ. ა თოფი ფრანგული. |
| o 5) | (ხუთი თუმანი) | ქ. ა დანბაჩა ფრანგული. |
| o 83 | (ორ თუმან-ნახევარი) | ქ. ა წელსარტყამი იარაღი ბალთებით. |
| o 8 | (ორი თუმანი) | ქ. ა ღურბენი (sic) ამავე იარაღზე. |
| o 135 | (ოცდახუთმეტი თუმანი) | ქ. ბ სამკლავე თავის ჯაჭვებით და ჩაჩქანი. |
| o 15) | (ხუთი თუმანი) | ქ. ა საპირისწამლე ყადიმი ოქროს ყაწიმეჭით. |
| o 8) | (ორი თუმანი) | ქ. ა საპირისწამლე ვერცხლისა სვეადა. |
| o 12) | (თოთხმეტი თუმანი) | ქ. ა ხანჯალი ოქროთი მოკედილი. |
| o 15) | (ოთხმოცდაათი თუმანი) | ქ. ა ხანჯალი მურასა მინაქარი მარგალიტის ფო-ჩით. |
| o 5) | (ექვსი თუმანი) | ქ. ა ხანჯალი ეშმის ტარიანი გურჯანის ნაცვლის-ეული. |
| o 1) | (ოთხი თუმანი) | ქ. ა დორის პირი ნაჭერი. |
| o 1) | (ოთხი თუმანი) | ქ. ა პლაში თეთრის მაუდისა. |
| o 1) | (სამი თუმანი) | ქ. ა შალი თირმა თეთრი რიზაი(?). |
| o 1) | (ექვსი თუმანი) | ქ. ა შალი თირმა მწვან |
| o 1) | (ცხრა თუმანი) | ქ. ბ შალი თირმა ლ. ჯგებ(ი). |
| o 1) | (ოთხი თუმანი) | ქ. ა შალი საქათიზე პირის ფერი. |
| o 1) | (ექვსი თუმანი) | ქ. ა შალი სოსანი საქათიზე ჩარჭაშია. |
| o 1) | (ორი თუმანი) | ქ. ო წითელი ბუღათარი შალი. |

- 66 (თვრამეტი თუმანი) ქ. ა ქათიბი ჩაქსული შალისა სამურით და ლწ ოქრო ღილი.
- 67 (სამი თუმანი) ქ. ა ატლას-ბაბთის კაბა, ღილები დაფერილი.
- 68 (ექვსი თუმანი) ქ. ა ინის ფერი მაუდის კაბა ლწ ოქროს ღილით.
- 69 (ხუთი თუმანი) ქ. ა ქათიბი მწვანე სინჯაფით დაფერილ ღილით.
- 70 (ხუთი თუმანი) ქ. ა ჩოხაბარანი მწვანე ხავედისა.
- 71 (ხუთმეტი მინალთუნი) ქ. ა ჩოხაბარანი იეზდის დარაისა.
- 72 (ოთხი თუმანი) ქ. ა ხიფთანი ბადილისა დაძველებული.
- 73 (ერთი თუმანი) ქ. ა მუშანბა საწვიმარი დაფერილი ღილებით და ყაბალახი.
- 74 (ერთი თუმანი) ქ. ა ქურქის საპირე განდიდურისა.
- 75 (ხუთი მინალთუნი) ქ. ა შალვარი მწვანე ხარისა.
- 76 (ერთი თუმანი) ქ. ა კაბა დარაისა დაფერილი ღილებით.
- 77 (შვიდი მინალთუნი) ქ. ლ ღილი დაფერილი.
- 78 (სამი მინალთუნი) ქ. ბ პირსახოცი.
- 79 (ექვსი მინალთუნი) ქ. ა სარტელი ყალამქრისა.
- 80 (ორი მინალთუნი) ქ. დ წყვილი თეთრი წინდა.
- 81 (ათი თუმანი) ქ. სამური ერთმანერთზე გადაკრულ სოროვით რომ დაუწვრიათ, ფარდი იყო ერთი.
- 82 (ხუთმეტი მინალთუნი) ქ. ა სინჯაფი ძველი ქათიბის გადანაძრობი.
- 83 (ორ თუმან ნახევარი) ქ. ა ქათიბის კვერნა ძველი.
- 84 (ორი თუმანი) ქ. რდა ღილი დაფერილი კაბებზე არღვეული.
- 85 (ექვსი მინალთუნი) ქ. ა ნაბადი წამოსასხამი.
- 86 (ორი თუმანი) ქ. ა შლაპა თეთრი ბუნბულიანი და ბუზმეტიანი.
- 87 (ერთი თუმანი) ქ. ა ქოლგა.
- 88 (ერთი თუმანი) ქ. ა დურბინი ღიდი.
- 89 (თერთმეტი მინალთ.) ქ. კ ბ დანა-ჩანგალი წვანე ტარიანი.
- 90 (ორი თუმანი) ქ. ბ სტოლის სუფრა.
- 91 (ორი თუმანი) ქ. ა სახარება სტანბისა.
- 92 (ოთხი თუმანი) ქ. ა თვენი ჯელწერილი ხუცური.
- 93 (ერთი თუმანი) ქ. ა იეზდის დარაია ჩალის ფერი.
- 94 (ხუთი მინალთუნი) ქ. ა საქუდე კალმუხის ტყავი.
- 95 (ოთხი მინალთუნი) ქ. ბ წყვილი აბრეშუმის წინდა.
- 96 (ექვსი მინალთუნი) ქ. ბ აზრუმის სამოგვე.
- 97 ქ. ა დასტალაქი.
- 98 (ორი მინალთუნი) ქ. კა მარანდული საპონი.
- 99 (ორი მინალთუნი) ქ. ა ხანჯალი საია.
- 100 ქ. ა ხის ჯვარი.
- 101 ქ. დარაის ნაჭერი მუშამბა.
- 102 (სამი თუმანი) ქ. ა ტანი ორფერი მაუდი.
- 103 (სამი თუმანი და ორი მინალთუნი) ქ. დ ადლი მწვანე ბაშმაუდი.

o ႁ (ორი მინალთუნი)	ქ. წითელი ხარის ნაქერი.
o ႁ (ერთი თუმანი)	ქ. გ დიდი ფინჯანი ნალბაქებით.
o ႁ (ექვსი მინალთუნი)	ქ. ვ ყავის ფინჯანი.
o ႁ (ერთი თუმანი ნახევარი)	ქ. იბ ჩაის ფინჯანი ნალბაქებით.
o ႁ (ერთი მინალთუნი)	ქ. ბ ფაიფურის სტაქანი.
o ႁ (ერთი მინალთუნი)	ქ. გ ყავის ფინჯანი ზართებით.
o ႁ (ორი მინალთუნი)	ქ. ბ ბროლის საშაქრე.
o ႁ (ოცი თუმანი)	ქ. თ მარცვალი ლილი.
o ႁ (რვა თუმანი)	ქ. ა ბრილიანტის ნივთი, შუაში ლალი უზის.
o ႁ (ოცდაცამეტი თუმანი)	ქ. ა თითა წვრილი ალმასი უსხედს ნაწილივ.
o ႁ (თორმეტი თუმანი)	ქ. ა თითა კიდევ იბ მარგალიტით.
o ႁ (ერთი თუმანი)	ქ. ა კოლოფი ბურნიოთისა ლაყვარდი არქიერისეული.
o ႁ (სამი თუმანი)	ქ. ა კოლოფი სადა ბურნიოთისა.
o ႁ (შვიდი თუმანი)	ქ. ა შირმაის ბურნიოთის კოლოფი მილახვრისეული.
o ႁ (სამი თუმანი)	ქ. ბ პატარა სახარება.
o ႁ (სამი თუმანი)	ქ. ა მარჯნის კრიალოსანი.
o ႁ (ერთი თუმანი ნახევარი)	ქ. ა კრიალოსანი ქარვა ხუთოსი.
o ႁ (ხუთი თუმანი)	ქ. ა კოლოფი ბურნიოთისა ოქროთი მოქედლი.
o ႁ (ერთი თუმანი)	ქ. ა მარტორქის ფიალა.
o ႁ (შვიდი თუმანი)	ქ. ა თითა თვლებით გაწყობილი.
o ႁ (შვიდი მინალთუნი)	ქ. ა კრიალოსანი ქარვისა.
o ႁ (ორმოცი თუმანი)	ქ. ა წითელი იაგუნდის ბეჭედი.
o ႁ (რვა თუმანი)	ქ. ა ლურჯი იაგუნდის ბეჭედი დ პატარა ალმასით.
o ႁ (ათი თუმანი)	ქ. ა ლურჯი იაგუნდის ბეჭედი კიდევ.
o ႁ (სამი თუმანი)	ქ. ა ფირუზის ბეჭედი.

188. 1798 წლ. იანვრის 11. ქონების ნუსხა ერთეულ მეფისა, შედგენილი იოანე მდივანის მიერ. დედანი. ზომა 42,5 x 16 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 3585 Hd.

ღთით, ქკს უპვე, იანვარს ია კვირა დღეს რაც მისის უმაღლესობის ყუთებში ნივთი იყო მისის უგანათლებულესობის ბატონის-შვილის ვახტანგის იქ ბძანებით, ბატონის-შვილის ქეთევანის დასწრებით და ამა თანხლებით ენისელთ მოურავის-შვილის თამაზისა, მდივან-ნაზირ სვიმონისა, ბარამის-შვილი დავითისა და წყნარისახარისა, წერეთელი გლახასი და მე, მდივანი იოანეც, იქ ვახლდი, ამათღ დასწრებით, რაც იყო, ამას ქვემოთ დაიწერება.

ქე ქ. ერთს პარკში რუსის იმპერელია ოქრო ოცდაცხრამეტი. ამისი თოთხმეტი მდივანს იოვანეს ხარჯათ მიეცა. დარჩა.

- ბ ქ. ამავე პარკში საბყრანი ოქრო ორი.
- ა ქ. ამავე პარკში საბყრანი ოქრო კიდევ ერთი.
- ი ქ. ამავე პარკში ფრანგის სიქის ძველი ოქრო ათი, რომ ამ ოთხის კალმის ფუსულა შიგა ძვეს.
- ქ. მეორე პარკში იყო ოთხას ოცდა თხუთმეტი ბაჯალის ოქრო. ამ ოქროსი სამ დაფათ მდივანი იოვანეს ნეტარადხსენებულის ხარჯათმისცემია სულ.
- ქ. მესამე პარკში არის ახალი სტანბოლის ოქრო ას ოთხმოცდა თერთმეტი. ეს სრულებით მდივან-ნაზირ სვიმონს მიჰბარდა საწირავეებისა და სხვაფრივ ხარჯათ.
- რ ქ. მეოთხე პარკში არის რაშის(?) ოქრო ას ოცი. ფუსულაც პარკში ძვეს.
- ლ ქ. მეხუთე პარკში იალღუხის ოქრო არის ორმოცი. ფუსულა შიგა ძვეს. ამისი ოთხი საფერებლათ წყნარისახარს მიჰბარდა. დარჩა.
- ქ. მეექვსე პარკში არის ბაჯალი ოქრო გ, საბყრანი ა, თავრიზის ოქრო ბ, ნახევარი და მთელი სხვადასხვა სიქის ოქრო იბ. იქნა სულ თვრამეტი. ოქროს ღილისა იყო თ. ფუსულა გარჩევით შიგა ძვეს.
- ქ. ა ქალაღღში ახვევია ია კონსტანდინე ჯელმწიფის ფოსო ოქრო.
- ქ. ა ქამრის გობავი არის, შუაში ლალი უზის, გარეშე აღმასი, ბატონის დედოფლისა არის¹.
- ქ. ა ბრილიანტის ნივთი არის, შუაში იაგუნდი უზის. ბრილიანტი მოუქვილი არის.
- ქ. ა თითა არის; აღმასი უსხია. შიგ ნაწილი ძვეს.
- ქ. ა ვერცხლის კოლოფი არის. შიგ წმინდის ხარლამის ნაწილი ძვეს.
- ქ. ა ვერცხლის კიდევ კოლოფი. შიგ წმინდის პელაღიას ნაწილი ძვეს.
- ქ. ერთს ქალაღღში შეხვეული ლახვრის ბეჭდები.
- ქ. ერთს ქალაღღში შეხვეული ხუთის მინალთუნის ნოურუზის შაურები.
- ქ. ერთ ქალაღღში ახვევია ნაწილი, ზედ ბერძნულებ აწერია.
- ქ. ა თითა არის, შუაზე ზურმუხტი უზის, გარეშე იაგუნდი უსხის.
- ქ. ა კოლოფით წმინდის ქეთევან დედოფლის ნაწილი.
- ქ. ა სახარება ფირუზით და სხვა თვლით მოქედილი; ეს ბატონის დედოფლისათვის უბოძებია სურამს მოყვანაში.
- ქ. ა ფინიდის კოლოფი, შიგ წმინდის გიორგის ნაწილი არის და ერთისა სხვა ნაწილი არის, ზედ ბერძნულებ აწერია.
- ქ. ა ვერცხლის კოლოფი შიგ ნაწილები არის.
- ქ. ა ბურნიოთის კოლოფი მინაქარი ბრილიანტისა.
- ქ. ა ბურნიოთის სადა კოლოფი.
- ქ. ბ ფაზარი ვერცხლის ბუდეებით.
- ქ. ბ პატარა სახარება.
- ქ. ა მარჯნის კრიელესონი.
- ქ. ა ვერცხლის მუშია დანი მუშითა.
- ქ. ა ოქროს მინანქარი ხანჯალი, ფოჩები მარჯნისა. ეს იულონ ბატონის-შვილისა არის.

¹ განსხვავებული შრიფტით აწყობილი სხვა ხელით და მელნით სწერია.

- ქ. ა მოდიდო მარცვალი ქარვა ხუთის კრიელესონი.
- ქ. კიდევ ბურნიოთის კოლოფი.
- ქ. ა მარტო რქის თასი.
- ქ. ა ყალიონის ძირი მარტო რქისა.
- ქ. ა კიდევ თითა თვლებით გაწყობილი.
- ქ. ა იეშმის ბურნიოთის კოლოფი ოქროსი; ამისმა უწმინდესობამ მიიროთო
- ქ. ა ოქრომკედის ბოხჩა, შიგ ნაღველი ძეგს ორაგულისა.
- ქ. ა ღორის ფაზარი.
- ქ. ა ქარვის კრიელოსანი.
- ქ. ა კიდევ შირმაის კოლოფი ბურნიოთისა.
- ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: მეფის ძე ვახტანგ.

189. 1798 წლ. იანვრის 12. ბარამ ნაზირის-შვილის დავითისათვის ჩაბარებული ერთეულ მეფის ქონების ნუსხა. დედანი. ზომა 34 x 23 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 3584 Hd.

ქკს უპე, იანვრის იბ. რაც ბარამ ნაზირის-შვილს დავითს ებარა, სახელად დაიწერა.

- ვ ქ. ვერცხლის პუტლიკა:
- ვ ქ. ვერცხლის რუნკა.
- ა ქ. ვერცხლით მოჭედილი და ვერცხლის ტარიანი კოკოშა.
- ა ქ. ინდის კაქალზე ვერცხლით მოჭედილი და ვერცხლის ტარიანი ჰაზარფეშა.
- ქ. ერთის პარკით მელიქ მეჯლუმის იარაღი ოქროსი. ზურაბა ტერშიმოვანაშვილისაგან დაბეჭდილი იყო, არ გავსხენით.
- ა ქ. ვერცხლის ფოდნოსი.
- დ ქ. ვერცხლის კოვზი ბ, საწურავი ბ ჩაისა. იქნება ნაჭერი.
- ბ ქ. ვერცხლის ჩაიდან ერთი კათალიკოზს მიეცა. თავისი იყო.
- ა ქ. ვერცხლის ჩამჩა.
- ა ქ. ვერცხლის დიდი კოვზი.
- ია ქ. ვერცხლის კოვზი.
- ია ქ. ჩანგალი მწვანე ტარიანი.
- ია ქ. დანა მწვანე ტარიანი.
- ბ ქ. სტოლის სუფრა.
- ა ქ. სარკე.
- ა ქ. მახარებლებ-დახატულ(ი) შესაკრავი სახარება.
- ა ქ. ხელწერილი თვენი.
- ქ. წითელი ხავერდი დათუას თავლში წერებულა.
- ა ქ. იესდის დარაია.

- ა ქ. მწვანე რუსული ქოში.
- ა ქ. აბრეშუმის წინდა წყვილი.
- ბ₀ ქ. აზრუმის სამოგვე.
- ა ქ. ლაქი დასტა.
- ა ქ. ჩითმერდინი.
- ა ქ. კალმუხის საქუდე ტყავი.
- ა ქ. მუმის (?) ნაქერი.
- კა ქ. მარანდული საპონი.
- ა ქ. საია ხანჯალი პატარა.
- ა ქ. ხის ჯვარი.
- ა ქ. საყაბალახე დარაის მუშაბზის ნაქერი.
- ა ქ. ორფერი მაუდი ტანი.
- დ ქ. მწვანე მაუდი ადლი.
- ი ქ. ფუსტული განდიდური ადლი—ბატონს დაუხარჯავს.
- გ+ ქ. უნაბის ფერი დარაია ადლი—ბატონმა დახარჯა.
- ა ქ. წითელი ხარის ნაქერი საქისუ.
- კბ ქ. ოსმალის ქალაღი თაბახი.
- ა ქ. მურასი დიბა მიმთანა, თითონ ბატონს მიერთვა.
- დ ქ. დიდი ფინჯანი ლამბაქებით, ერთი კათალიკოზს.
- ვ ქ. ყავის ფინჯანი ლამბაქებით მირთმევია ამისი.
- იბ ქ. ჩაის ფინჯანი ლამბაქებით.
- ბ ქ. ფაიფურის სტაქანი.
- გ ქ. ყავის ფინჯანი ზარფებით.
- ა ქ. ბროლის საშაქრე-

ამავ დღეს ირინე მოლარეს რაც ებარა, ის დაიწერა.

- ა ქ. მურასა ხანჯალი პარკითა დაბეკდილი.
- ა ქ. წელსარტყამი მოჭედილი ხანჯალი.
- ა ქ. გურჯანის ნაცვლიშვილის მორთმეული თავმოკედილი ხანჯალი.
- ა ქ. ნაკერი დორის პირი.
- ა ქ. თეთრის მაუდის პალაში.
- ა ქ. თეთრი თირმა შალი.
- ა ქ. მწვანე თირმა შალი.
- ა ქ. ორფერი თირმა შალი ბატონის-შვილის იულონისა, იმასვე მიერთვა.
- ბ ქ. ლურჯი თირმა შალი.
- ა ქ. საქათიბე პირის ფერი შალი.
- ა ქ. სოსანი საქათიბე შალი არშიით.
- ა ქ. წითელი შალი.
- ა ქ. თირმა შალის ქათიბი სამურის ბეწვით, ლ^ს ოქროს დილით.
- ბ ქ. ატლას-ბაბთის კაბა. ორსავ კ დილი აქვს და ... ამისი ა ტყვეში მისცემია.

- ქ. განდიდურის კაბა ღილებით. თითოს აქვს მ ღილი. მოძღვარს მისცემია.
- ა ქ. მაუდის კაბა ინის ფერი მ ღილით.
- ა ქ. მწვანე მაუდის ქათიბი სინჯაფის ბეწვით და ღილები აქვს მ.
- ა ქ. მწვანე ხავედის ჩოხა ბარანი.
- ა ქ. თეთრის მაუდის ჩოხა ბარანი. ტყვეში მისცემია.
- ა ქ. დარაის ჩოხა ბარანი, ვარსკვლავი აკერია.
- ა ქ. ბადილის ძველი ხიფთანი.
- ა ქ. მუშანბის საწვიმარი, ღილი აქვს ნა.
- ა ქ. ყაბალახი მუშამბისა.
- ა ქ. მწვანე განდიდურის ქურქის საპირე.
- ა ქ. შეკერილი შალვარი ხარისა.
- ა ქ. წითელი საიის საწვიმარი ღილებით. ტყვეს მიეცა.
- ლზ ქ. ქათიბზე სხმულა ღილი ლზ.
- ფ ქ. შეკერილი სედიში არ დაგვიწერია.
- შ ქ. შეკერილი პერანგი არ დაგვიწერია.
- კ ქ. ქუდი, შეკერილი ახალუხი შ გაცემულა.
- გ ქ. დარაის ბოჩჩა. სხვისა ყოფილა, წაულია.
- გ ქ. ფუთა ყადიფა ნაქერი. არ დაიწერა.
- ე ქ. პირსახოცი, ამისი სამი გაცემული.
- ა ქ. ყალამქრის სარტყელი.
- ღ ქ. თეთრი წინდა წყვილი.
- ე ქ. ნარმის პერანგი გაცემულა.
- ბ ქ. დაკეტილი ყუთი. გასაღები ბატონს ახლავს. ცარიელი ყოფილა.
- ა ქ. სამური გარდაკერებული ერთმანერთზე სარკა(?)
- ა ქ. სინჯაფი ძველი ქათიბისაგან გაძრობილი(?).
- ა ქ. ქისიყის მოურავისეული მაულის ქათიბის კვერნა.
- ა ქ. მელის ქათიბი დარაით. კათალიკოზს მირთმევია, რომ თავისი ყოფილა.
- ბ ქ. წამოსასხამი ნაბადი. ამისი ერთი წერეთელს მისცემია.
- ბ ქ. თეთრის ბუმბულით შლაპა.
- ა ქ. ქოლგა.

ნინია გაბაშვილის თაჰვილი დაიწერება:

- ა ქ. თოფი ფრანგული.
- ა ქ. დამბაჩა ფრანგული.
- ა ქ. ხმალი ფრანგული გორდა(?) ოქროს იარაღით.
- ა ქ. მინანქრის ჯმალი ოქროს იარაღით.
- დ ქ. საპირისწამლე ბატონისა ყადიმი ოქროს ყაწიმით. ნაქერი არის დ.
- იბ ქ. წელსარტყამი ბალთებით იბ ნაქერი.
- ა ქ. სამკლავე ზარნიშანით წყვილი.
- ა ქ. ჩაჩქანი ზარნიშანი ყადიმი.
- ა ქ. ვერცხლის საპირისწამლე სევალით.
- ა ქ. დურბინდი.

მეშარბათის თაჭვილი:

- ბ. ქ. ვერცხლის ჯამი თავის თეფშითა, ნაქერი არის.
- ა. ქ. ვერცხლის სუფრა ყაშული.
- ა. ქ. ვერცხლის ზარფუში თეფშისა.
- ა. ქ. კოვზი ვერცხლისა.
- ბ. ქ. დანა ა, ჩანგალი ა, მწვანე ტარიანები. ნაქერი არის ორი.

კავალერიის ყუთში რაც იდვა:

- ა. ქ. სამეფო კავალერია ბრილიანტისა.
- ა. ქ. სამხრე ბრილიანტისა.
- ა. ქ. მურასა ჯვარი აღმასისა ოქროს ჯაჭვით.
- ა. ქ. ვარსკვლავი ბრილიანტისა მარგალიტ ნარევი.
- ა. ქ. ვარსკვლავი სირმისა.
- ბ. ქ. ლულა ოქრო.
- ა. ქ. დახვეული ლენტი სადა ლურჯი ა.

190. 1798 წლ. თებერვლის 8. სია ერეკლე II-ის ბოხჩაში ნახული ნივთებისა. დედანი(?) ზომა 34 X 14 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.

საქ. სახ. მუხ. № 3595^ა Hd.

ამ საბუთის პირს წარმოადგენს საქ. სახ. მუხ. საბუთი № 3595 Hd. რომელშიც ქორონიკონი არ მოიპოვება და ზოგიერთი აქ გასწორებული ციფრი გადაუსწორებლად დატოვებული, და რომელსაც ხელს აწერს „მეფის ძე ვახტანგ“. ამასთან, ორივე საბუთი ერთი ხელითაა დაწერილი.

ქ. ბატონის ჯიბის ბოხჩა ვნახეთ ბატონმა კათალიკოზმა, ბატონის-შვილმა ვახტანგმა, მოძღვარმა იასემ და მდივანმა სვიმონმა, ამაში იყო ერთი ბრილიანტის ბეჭედი.

- ქ. ერთი იაგუნდის წითელი.
- ქ. ერთი ლურჯი იაგუნდის.
- ქ. ერთი მწვანე ზურმუხტის ბეჭედი.
- ქ. ერთი დიდი კონსტანტინეს ოქრო.
- ქ. ერთი სხვა ძველი ოქრო, ერკემლის სახე ზის.
- ქ. ოთხი ოქროს შაური.
- ქ. რამდენიმე თავილების ნუსხა.
- ქ. ერთი სხვა პატარა ოქრო.
- ქ. ერთი იალღუზი.
- ქ. ერთს ქალაღში წვრილი ოქროს ღვეთები.
- ქ. ქაიხოსროსაგან მოსყიდული ბრილიანტის ბეჭედი.

- ქ. ერთი კიდემ სხვა ლურჯი იაგუნდის ბეჭედი.
- ქ. ერთი ფირუზის ბეჭედი.
- ქ. სამი ქვა გველის ნაკბენისა.
- ქ. ზოგი სხვა ქვები სამიოდე.
- ქ. ცხრა საბეჭდავი ბეჭედი.
- ქ. ერთი დანა ჯიბისა.
- ქ. ერთი სათვალე.
- ქ. ამ ნუსხაში რაც სწერია ერთათ-ერთს ხელსახოცში აწყვიდა და ალმას-
ხან ბატონის-შვილისაგან დაბეჭდილი არის და ბატონის დედოფლის ყუთში-
ძვეს. თებერვლის 17, ქკს უპე
- ქ. კაველერის ყუთში ძვეს ლურჯი კაველერია ბრილიანტისა.
- ქ. ერთი მარგალიტის ვარსკვლავი ბრილიანტით.
- ქ. ერთი ბრილიანტის სამხრე კაველერისა.
- ქ. ერთი ბრილიანტის ჯვარი.
- ქ. ორი შუშა ოქრო.

191. 1798 წლ. მაისის 31. ერეკლე მეფის იახტანში დაცული ნივთების სია. დედანი(?)
ზომა 23x18,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშ-
ნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3558 Hd.

რაც იახტნისა დავით ნაზირმა დამაწერინა და ვარდაგს მოებარა. მაისის
ლა, ქკს უპე.

- ქ. სამი ყავის ფინჯანი თითბრის ზართებით.
- ქ. ერთი დიდი ფინჯანი ნალბაქით და თავსაფარებით მწვანე.
- ქ. ორი კიდევ დიდრონი ფინჯნები ნალბაქებით, დასაფარებელი ერთსა-
აქეს.
- ქ. თვრამეტი ჩაის ფინჯანი ნალბაქებით სხვა და სხვა თაპრისა.
- ქ. ორი ფაიფურის სტაქანი.
- ქ. ორი საშაქრე ბროლისა; ამისი ერთი მწვანეა, მეორე თეთრი, ნაპირ-
გატეხილი.
- ქ. ხუთი ადლი წითელი ხავედი.
- ქ. ოთხი ადლი ჩვენი ბაშმაული.
- ქ. აზრუმის სამოგვე ერთი.
- ქ. ცამეტი მარანდული საპონი.
- ქ. ხუთი ფურცელი სიგლის ქალაღდი.
- ქ. ერთი ხის ჯვარი.
- ქ. ვერცხლის პატარა ჩაის საწურავი.
- ქ. წითელი ხარის ნაჭერი.
- ქ. ერთი ტანი ორფერი მაული.

ქ. ამ სიის ჩაის ფინჯანებისა ექვსი ფინჯანი ნალბაქებით ანასტასია ბატონიშვილს მიერთო, ერთი საშაქრეც.

ქ. ექვსი ფინჯანი და ნალბაქები თეკლე ბატონიშვილს მიერთო და ერთიც საშაქრე.

ქ. ოთხი ფინჯანი და ნალბაქი ივანე ბატონიშვილს მიერთო.
ბარამიშვილს მიეცა:

ქ. წვერის სახვევი ძველი ხელსახოცები.

ქ. სამი პატარ-პატარა დარაის ნაჭრები.

ქ. ერთი უბრალო ნახმარი დანა და ჩანგალი.

ქ. ერთი პატარა ნაჭერი სამოჯვე.

ქ. სამთლის ნამწვი.

ქ. ნახმარი აბრეშუმის წინდები ორი წყვილი.

ქ. მუშამბის ნაჭრები.

ქ. ლაქის ნამტვრევები.

192. 1798 წლ. ივნისის 21. სამეფო საფარეშოს აღწერის წიგნი. დედანი(?) ზომა 21,5×11 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 3594 II.

ივნისის კა, ქქს უპვ საფარეშო აიწერა, ფირანის თავილი.

ქ. ალაჩუხი თავის მოწყობილობით ა.

ქ. კარავი მურავისეული ფოშით, თეჯირით გაწყობილი.

ქ. ორხოა დიდრონი გ.

ქ. დიდი მასნადის ქეჩა ცალი ა.

ქ. ამის შემდეგი ქეჩა ცალი ა.

ქ. იანქეჩა წყვილი ა.

ქ. ქალაქური იანქეჩა წყვილი ა.

ქ. ნაბად-გადაკრული ძველი იანქეჩა წყვილი ა.

ქ. რკინის ფანოზი დ.

ქ. ზარული ახალი ა, ძველი ბ, გაწყობილი.

ქ. ვიწრო გრძელი ხალიჩა წყვილი ა.

ქ. მაფრაშა წყვილი გ.

ქ. მოგძე ნახმარი ხალიჩა ა

ქ. თათრული ფარდაგი მოდიდო ბ.

ქ. ახალი თეჯირი ბ.

ქ. ძველი თეჯირი დ.

ქ. ძველი კარავი აბელისეული ა.

ქ. მაშხალა ბ.

- ქ. ბარი გ.
 - ქ. დიდი ფარანი ბ.
 - ქ. შამდანი ე, მირიანისა და წყნარისახარის ორ შამდანს გარდა არის.
 - ქ. ცული ა, წალდი ა.
 - ქ. თითბრის მაყალი ა, სპილენძისაც ა.
 - ქ. მაშა წყვილი ბ, ათეშქამი წყვილი ბ.
- Verso:** მანიყას სადგომს რაც იყო.

193. 1798 წ. იარაღების ნუსხა ერეკლე მეფისა. დედანი(?). ზომა 22×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 3557 Hd. შინაარსიდან ჩანს, რომ საბუთი შედგენილია ერეკლე II-ის გარდაცვალების წელს.

რაც ბატონის ნეტარად-ხსენებულის იარაღები არის, ამას ქვევით სწერია.

- ა ქ. მინაქრის ჯავარდენი ხმალი თავისის ყაწიმით და ბალთები და საკიდით გაწყობილი.
- ა ქ. ყადიმი ხევსულული (sic) ხმალი ყაწიმით და საკიდით, სადა ოქრო.
- ა ქ. ყადიმი სამკლავები ჯავარდენი თავისის ხელგაჯით, ყაწიმით და სართავებით გაწყობილი. ორი პატარა სართავი აკლია, ომში შესწყვეტოდა წყვილი.
- ა ქ. თასკულა თავისის ჯაჭვით.
- ა ქ. ერთი დურბინდი. ცალი თვალი აკლია.
- ქ. ესეები მანიყას აბარია უკლებრად.
- ა ქ. ვერცხლის საპირისწამლე სევადიანი ბეჟან პეტრიას შვილს ბარებოდა, მოიტანეს. ჩემს ხემწიფეს დედოფალს აბარია.
- ა ქ. ყადიმი ოქროს ხანჯალი. მუდამ ზედ ახლდა ბატონს.
- ა ქ. ყადიმი ფრანგული თოფი თავისის სალტებით გაწყობილი.
- ა ქ. დამბაჩა ყადიმი, ესეც სალტებით.
- ა ქ. საპირისწამლე ყადიმი ოქროს ყაწიმით ვერცხლის სევადით არის.
- ქ. წელსართყამი ვერცხლის ბალთებით და სევადით და ჩანთებზე ფოლანკები ოქროს დაფერილი, ჩანთები ტყავი და წამლით გაწყობილი. ესენი ირინეს აბარია მოლარეს.
- ქ. მე რაც მებარა, ესეგია. ერთი ბარათი მეზომოს, რომ მე მქონდეს.

194. 1798 წ.(?) ნივთების სია ერეკლე მეფისა(?) დედანი(?). ზომა 30 X 10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ სახ. მუხ. № 3597 Hd.
საბუთი თითქოს ერეკლე II-ის გარდაცვალებისას უნდა იყოს შედგენილი.

დათუას თავლი.

- ვ ქ. ვერცხლის პუტლიკა.
- ვ ქ. ვერცხლის რუნკა.
- ა ქ. ვეცხლის მოქედილი ინდის კოკოშა.
- ა ქ. ინდოურის კაკლის აზარფეშა ვეცხლით მოქედილი.
- ქ. ა პარკით მელიქი მეჯღუმის იარაღი ზურაბა ტერ-შიმონას-შვილისაგან დაბეჭდილი.
- ა ქ. ვერცხლის ფოდნოსი გარსევანისეული.
- ა ქ. ვეცხლის სარძე.
- ა ქ. საწურავი ვეცხლისა, ჩაის კოვზი ბ.
- ბ ქ. ჩაიდან ვეცხლისა.
- ა ქ. ვეცხლის ჩამჩა.
- ია ქ. ვეცხლის კოვზი, ა დიდი კოვზი.
- ია ქ. ჩანგალი მწვანე ტარიანი.
- ია ქ. დანა მწვანე ტარიანი.
- ბ ქ. სტოლის სუფრა.
- ა ქ. სარკე.
- ა ქ. სახარება შესაკრავი.
- ა ქ. ხელნაწერი თვენი.
- ქ. ხავედი წითელი ადლი თავლსში(?) სწერია.
- ი ქ. განდიდური ფუსტული ადლი.
- ა ქ. დარაია იესდისა.
- ა ქ. რუსული ქოში მწვანე.
- ა ქ. კალმუხის ტყავი საქუდე.
- ბ ქ. წინდა აბრეშუმისა წყვილი.
- ბ. ქ. სამოგვე აზრუმისა.
- ა ქ. ლაქა დასტა.
- ა ქ. ჩითმერდინი.
- ქ. მუმაის ნაჭერი.
- კა ქ. მარანდული.
- ა ქ. ხანჯალი საია პატარა.
- ა ქ. ხის ჯვარი მოუქედავი.
- ქ. საყაბალახე დარაის მუშამბა.
- ქ. ა ტანი ორფერი მაუდი.
- ქ. დ ადლი მწვანე მაუდი.
- ქ. მიმთანა დარაია სამი ადლი და ერთი ჩარექი, უნაბის ფერი.

- ქ. წითელი ხარის ნაქერი საქისე.
- კბ ქ. ოსმალის ქალაღი თაბახი.
- ქ. ა მიმთანა ყვითელი დიბა.
- ქ. ოთხი დიდი ფინჯანი ლამბაქებით.
- ქ. ექვსი ყავის ფინჯანი ლამბაქებით.
- ქ. ჩაის ფინჯანი იბ ლამბაქებით.
- ქ. ფაიფურის სტაქანი ბ.
- ქ. ყავის ფინჯანი გ ზარფ(უ)შებით.
- ქ. საშაქრე ბროლისა.

195. 1799 წლ. თებერვლის 4. ანდერძის წიგნი შანშიათ ასულის შარუბანი საპირის პირი. ზომა 33,6 x 22,2 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ მუხ. № 414 Sd.

ქ. ლტის წინაშე მე, შანშიათ გიორგის ასული და მანდენანთ შაქარას მეუღლე შარუბან, რა ჟამს შეეწუხდი და ჩემის თავის სიცოცხლის იმედი გარდამიწყდა, მოვაყვანიე რამდენიმე სამღვდელონი და საერონი და ჩემი ანდერძი ამათთან გამოვაცხადე, როგორც ამ წერილში დამიწერიებია. თუმცა სხვა რამ რაც მებადა ყიზილბაშის ჯარის მოსვლის ჟამს დაგვარგე და მეც დაეტყვევდი, დამრჩა ჩემის მზითვისა ერთი დუქანი, რომ გირაოთ არის, და ერთი სახლი, რომ შერმაზანას-შვილს ავეტიქას მივყიდე და ამისი ფასი, სამოცდაათი თუმანი, ისევე ავეტიქაზედ არის. როგორც თამასუქი აცხადებს, ორმოცი თუმანი ჩემს დისწულს გოგაისთან მაქვს, სარგებლის გარდა. რომ ეს ორმოცი ჩემის სულისათვის ოცი თუმანი ელუსარემს უნდა მისცეს, ათი თუმანი ერმაწინს უნდა მისცეს, ათი თუმანი ახპატს უნდა მისცეს. ამას გარდა, საღედგანაც ასაღები მაქვს, იქილამ თეთმეტი თუმანი მის უმაღლესობას მეფეს გიორგის უნდა მიერთვას და ბატონს მარამ დედოფალს. ექვსი თუმანი მამასახლისის ისაიას მართებს თავისის ანგარიშითა, ორი თუმანი გორის ყდ წმიდის ეკლესიას უნდა მიეცეს, ხუთი ნინილთუნი ჩემს მოძღვარს სააკაშნის კრებულს ტერ-ოჰანას უნდა მიეცეს, ხუთი მინალთუნი გორძაკალს ტერ-სააკას უნდა მიეცეს, ორი მინალთუნი ჯიგრაშნის კრებულს ტერ-ხაჩატურას უნდა მიეცეს. სამის თუმნის ბეჭედი აშხარბეგის ქალს თალალას უნდა მიეცეს. ასორმოცდაათის მისხლის აზარფეშა ვერცხლისა ჩემის ძმის გიორგის შვილს იარალას უნდა მიეცეს. კიდევ ამის შვილს იოსებს უნდა მიეცეს ერთის თუმნის თასი და ერთის თუმნის თასიკ ამის დანიშნულს უნდა მიეცეს. ერთის თუმნის თასიკ იოანესა და ერთის თუმნის თასიკ ამის დანიშნულს უნდა მიეცეს. ჩემს რძალს თინათინას უნდა მიეცეს. ერთის თუმნის თასი სულხან მდივნის ვაჟების დანიშნულებს უნდა მიეცეს. შიოშისა და გივის მეუღლეებს ორ-ოლი იალღუზი. მანუჩარ მდივნის შვილს ჯიმშერს და ამისივე ასულს ელი-

საბედს უნდა მიეცეს თითო თუმნის თასი. ტერ-საჰაკას დას იაგუნდას უნდა მიეცეს ხუთი მინალთუნი. მამასახლისის ჯალაბს უსნიფერს უნდა მიეცეს ერთი თუმანი. კიდევ ამისი მმართვებს ხუთი მინალთუნი და ამას გარდა ლოგინის ფასიც უნდა მიეცეს. კიდევ მამასახლისი ისაიას ჯალაბისა მმართვებს თამასუქითა ერთი თუმანი, რომ ესეც უნდა მიეცეს. ჩემს რძალს ქეთევანს, გოდერძის დედას, უნდა მიეცეს ხუთი მინალთუნი. ჩემს მამულელს თამარხანუმას უნდა მიეცეს ერთი თუმნის თასი და ხუთის მინალთუნის ტანისამოსი უნდა ჩააცვათ. და ჩემს დამარხვაზედ დაიხარჯოს, ის ხომ თავის პატრონს უნდა მიეცეს. და ამ ზემო ნაწერებს გარდა ჩემის ასაღებიდამ რაც გადარჩეს, ჩემის დისწულის დათუას ქალის დასახსნელად უნდა მიეცეს. და ამას წინათ რომ ანდერძის წიგნი დამეწერიებინა, ის წიგნი დამიყენებია, ის ბათლი არის და რაც ამაში სწერია, ეს ნაწერები უნდა აღსრულდეს. სამართლის დღეს მოვალე იყოს, ვინც ის წიგნი არ მოშალოს. სრული და მტკიცე ანდერძი ეს არის, რომ ჩემო ძმაო გიორგი მოლარეც და ბატონო მდივანო მანუჩარ ეს ჩემი ანდერძი თქვენ აღმისრულოთ და ჩემი დისწული დათუაც თქვენთან დაისწრათ. მე, ჯიგრაშნის კრებულმა ტერ-ხაჩატურამ, დავწერე შარუბანას სიტყვით¹. თებერვლის დ, ქ¹კს უპზ.

ქ. მე, გორძაკალი და დეკანოზი ტერ სააკა, ამ ანდერძის დამსწრე ვარ¹.

ქ. მე, გორის მამასახლისი ისაია, ამ ანდერძის დამსწრე ვარ¹.

„სხრიკ ღოსოქსუ ქკაჲ ფაჲიქ ღნ.ესეჲ ანსკაგუნ აჲ. მისიქკან არე იოსანს არე ასარყანსანს“¹.

ქ. სავადი ასლთან თანასწორედ ვნახე, ისაი ფითუნოვ¹.

ქ. ამის ასლიდამ ეს სავადი გადმოვიღე, ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ არაქელ¹.

ქ. ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე, მელიქ-მამასახლისი დარჩია¹.

ქ. ამისი მკვიდრი წერილი ვნახე და ეს იმისი პირი დავბეჭდე მე, თუმანიშვილმა მდივანმა ეგნატიმ¹.

ქ. ამისი მკვიდრი წერილს ეს პირი შევაფარდე, თანაჲმად ვნახე, თაყოაშვილი².

ქ. სავადი ასლთან თანასწორ ვნახე, ფათოანთ ალა¹.

ქ. ამ სავადიდგან ჯელმეორედ გადმოვიღე, ტერ სვიმონ ტერ-ოსეფოვო მოლნინისა.

¹ მელნით დასმულია რგოლი უწარწეროდ.

² რგოლი წარწერით: „ისაია“.

196. 1799 წლ. თებერვლის 26. სამეფო საფარეშოს აღწერა, შედგენილი ალალუა ყარ-
ლანაშვილის მიერ. დედანი(?) გახეულია. ზომა 43x13 სმ. დაწერილია თეთრ ქა-
ლალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3598 Hd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბატონის დედოფლის, ბრძანებით საფარეშო აე-
წერ(ე) მე, ალალუამ, მანიქას თანდასწრებით, ფირან ფარეშს რაც ებარა. თე-
ბერვალს კვ, ქქს უპზ, დუშეთს.

ქ. ქისიყის მოურავისეული კარავი თავისის თიჯირითა და ფოშით, აბე-
ლისეული კარავიც ამაში ძეს. ეს ორი მათრაშით არის.

ქ. ერთის მათრაშით საყდრის კარვის ფოში.

ქ. დიდი მასნათის ქეჩა ერთი, ერთს მათრაშაში.

ქ. მელიქ აპოვის მორთმეული ლურჯიანი გძელი ხალიჩა ორი.

ქ. ტახტის პატარა ორხოა ტახტისა (bis) ერთი, ერთი მათრაშით.

ქ. დიდი ორხოა ერთი.

ქ. კიდევ მოდილო ორხოა ერთი.

ქ. ალაჩუხი თარაქამული თავისის ყოვლის გაწყობილობით, ნაბდებით და
ქარშიკებით.

ქ. სალაფარდა თეჯირი ექვსი.

ქ. ზარული სამი.

ქ. ქალაქური თაქნაბადი ერთი წყვილი, მათრაშით.

ქ. კიდევ მათრაშა ერთი.

ქ. საყდრის კარვის კანკელი ერთი.

ქ. ძველი თაქნაბადი ნაბად-გადაკრული ერთი.

ქ. ერთი დიდი თარაქამული ფარდაგი.

ქ. ერთი ხალი მოგძე.

ქ. შამდანი ხუთი, ამისი ერთი წყნარისახარსა აქვს ნათხთვარათ.

ქ. ფარანი ორი.

ქ. ბარი სამი.

ქ. ფისოსი ორი.

ქ. ფანოსი რკინისა ორი თავისის სპილენძის კალთებით.

ქ. ერთი მაშა, ერთი ათეშქეში.

ქ. თელავის ბაზრიდამ ნათხოვნი სპილენძის თანგირა და ჩამჩა.

ქ. მაყალი თითბრისა და სპილენძისა ორი.

ქ. სპილენძის კოკა სამი.

ქ. ყინულის ტაშტი ფეხებიანი ორი.

ქ. ცული ერთი, წალდი ერთი.

ქ. ძველი ტომარა სამი.

ქ. სამთლის ყუთი კლიტეებით ორი.

ქ. თალათინის სკამი ორი.

რაც ბურჯში იყო:

- ქ. ერთი ცალი მოდიდო ქეჩა.
- ქ. ხუთი წვრილი ქეჩა.
- ქ. სამი ცალი ნაბად-გადაკრული თქეჩაბადი.
- ქ. ერთი ცალი უნაბდო უნმარი თაქეჩაბადი.
- ქ. ერთი წყვილი ქალაქური ქეჩა.
- ქ. შვიდი თარაქამული ხალიჩა.
- ქ. ორი თარაქამული ფარდაგი.
- ქ. სამი გრძელი ხალიჩა მელიქ-აბოვისეული.
- ქ. ერთი უნაბდო ჯეჯიმის პირი.
- ქ. სამი მაფრაშით ესენი.
- ქ. ორი კიდევ თარაქამული ფარდაგი.
- ქ. ორი ლეკური ფარდაგი.
- ქ. ცხრა ნაბადი ქეჩებზე გადასაკრავი.

სახლში შლია:

- ქ. ორი წვრილი ორხოები.
- ქ. ერთი მოდიდო ქეჩა.
- ქ. სამი ცალი ქალაქური თაქეჩაბადი, ამისი ერთი პატარა.
- ქ. ერთი გძელი ხალიჩა.
- ქ. ორი წვრილი ნაბდიანი საწოლის ქეჩა.
- ქ. ცამეტი შეკრული წიგნი სამხლთო (sic) და საერო.
- ქ. ყდიდი(?) სურათები, ერთი.

სპილენძეული:

- ქ. ორი წყვილი მოდიდო ტაშტი და ალთაფა თავისის ფანჯრებით.
- ქ. ორი მომცრო ტაშტი თავის ფანჯრებით და ერთი ალთაფა.
- ქ. თერთმეტი თეფში.
- ქ. სამი ნალბაქი.
- ქ. შვიდი მათლაბა.
- ქ. ერთი გატეხილი პატარა ტაშტი.
- ქ. ორი კალის დიდი თეფში, ხუთიც მომცრო თეფში.
- ქ. ერთი პატარა ქვაბი თავის ხუფით.
- ქ. ორი თუნგი, ამისი ერთი დიდია.

ქ. ამაში რომ ცამეტი სამლთო და საერო წიგნი სწერია, ეს არის: ერთი სახარება, ერთი დაბადება, ზადიკი სამი—ამისი ერთი რუსულია, ერთი მხედრული. თვენი ორი თვისა, ერთი პატარა თვენი ქართველთ წმინდათა, ერთი თვენი ნახევარ წლისა, ერთი ქება-ქებათას თარგმანი, ერთი ძველის აღთქმის ისტორია მხედრული, ერთი ფუტკარი, ერთი არტილერიის წიგნი, ერთი კიდევ ამისი.

197. 1799 წლ. აპრილის 22. მანუჩარ მდივნის სახლიდან მუხრანის ბატონის და ელიაზარ მდივნის მიერ წაღებული ნივთების ნუსხა. დედანი. ზომა 21,7×16,8 სმ. დაწერილია მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი. საქ. სახ. მუზ. № 14406 Hd. საბუთი დაწერილია მანუჩარ თუმანიშვილის ხელით.

ქკს უკზ, აპრილის კბ. რაც ჩემის სახლიდამ წამოიღო მუხრანის ბატონმა და ელიაზარ მდივან(მა).

- ქ. ა ოქროს მრგვალ ჯაჭვი ამზარჩით.
- ქ. ა მარგალიტის ჩამოსავლები.
- ქ. ა ყელსაბამი ოქროსი, მარგალიტი.
- ქ. ა ჯვარი.
- ქ. ა ქაღალდით წვრილი მარგალიტი.
- ქ. ვ ქინძისთავი.
- ქ. ვ ქულიჩა ოქროსი, თვლებით.
- ქ. ა მარგალიტის ლილი.
- ქ. ა მინაქარი დიდი ოქროს ლილი.
- ქ. ა ალმასის ბეჭედი.
- ქ. ა ლურჯი იაგუნდის ბეჭედი.
- ქ. ა ზურმუხტის ბეჭედი.
- ქ. ბ წითელი იაგუნდის ბეჭედი.
- ქ. ა სეილანის ბეჭედი.
- ქ. ა სირმის ქისა მარგალიტის გოზგრით.
- ქ. პატარა ქალის ნინოს ყელსაბამი ფლუ(?)
- ქ. ბ თითა თავისის თვლით მარგალიტით.
- ქ. ფაიფურის სამარაილე ვარაყიანი ერთი.
- ქ. საქსონის ქურქელი ოთხი ღუჟინი.

სპილენძის ქურქელი:

- ქ. თუნგი ორი, ერთი დიდი და ერთი პატარა.
- ქ. ტასტი და ალთათა.
- ქ. სხვა ორი ტასტი კიდევ, ერთი დიდი სა(ა)ბანოე და ერთი პატარა.
- ქ. სათარი(?) ერთი.
- ქ. ჯამ-თასი ორი.
- ქ. ორი დიდი ქვაბი.
- ქ. ერთიცი იმაზედ მომცრო და ერთი პატარა.
- ქ. ერთი ტათა.
- ქ. ორი ყაბი.
- ქ. ორი ხუფი.
- ქ. ორი მაჯამა.
- ქ. ორი საძროხე.
- ქ. სუფრა ყაბული.
- ქ. ქაფქირი ჩამჩა.
- ქ. ორი შამდანი.
- ქ. ერთი ფარანი.

საფენი:

- ქ. ორხუა დიდი ერთი.
- ქ. იანქეჩა ერთი წყვილი.
- ქ. დიდი ქეჩა ერთი წყვილი.
- ქ. ჯეჯიმი აბრეშუმისა ერთი.
- ქ. ხალიჩა ორი.
- ქ. ფარდაგი ორი.
- ქ. მაფრაშა ხუთი.

გამდლისა:

- ქ. ტოლომა ყვითელის დიბისა, კვერნის ჩამოსაველებით.
- ქ. ქათიბი ორი ჩიჩაგლი წარისა, გილანის დილით და რუსულის დილით, ერთი სინჯაფხედ აკრავს და ერთი მკლავზედ.
- ქ. კაბა ოთხი: ჩიჩაგლი წარისა ერთი, ლუსტრანისა ერთი, განდიდურისა ორი.

- ქ. ახალუხი ყალამქრისა ორი.
- ქ. მოვი სამი.
- ქ. შეიდიში სამი.
- ქ. სარტყელი ქიშმინის შალისა ერთი.
- ქ. სარტყელი განდიდურისა შალის აშიით ერთი.
- ქ. ლეჩაქი მარმაშისა სამი.
- ქ. მუშის წელსახოცები.
- ქ. ჩადრი კალამქრისა.
- ქ. აბანოს პერანგი ერთი.
- ქ. ყადიფი ყალამქრისა ერთი.
- ქ. ფუტა ერთი.
- ქ. შილა ორი.
- ქ. საბანი ყალამქრისა.
- ქ. ლეიბი დარაისა.
- ქ. ზეწარი.
- ქ. ბალიში ყუითუქისა, ფრანგის ჩითი აკრავს, შალითით..
- ქ. დორო ხავედისა.
- ქ. მუთაქა ხათაისა შალითით.
- ქ. საფენი, ქვემოური ქეჩა, ერთი.
- ქ. ხალიჩა ერთი.
- ქ. ფარდაგი ერთი.
- ქ. თასი ვეცხლისა ოცდა ცამეტ მისხალ ნახევარი.
- ქ. ცხენის იარაღი: რახტი ვეცხლისა.
- ქ. ყაჯარი გილანის დარაისა.
- ქ. უნაგირი თავის გაწყობილობით.
- ქ. საწვიმარი.
- ქ. ჩექმა.
- ქ. სპილენძის ჭურჭელი: თუნგი ერთი.

- ქ. ტასტი ერთი.
- ქ. ქვაბი ერთი.
- ქ. ტაფა ერთი.
- ქ. ჯამები, თებზები და ნალბაქები.
- ქ. შამდანი ერთი.

ორი ახალგაზდა:

- ქ. ამათ თითო ქათიბი ჯარისა, მელაზედ გადაკრული.
 - ქ. ოროლი კაბა, თითო განდიდურისა და თითო ნაშურისა.
 - ქ. თითო სარტყელი ქარიმხანის შალისა.
 - ქ. ოროლი ახალუხი რუსული ჩითისა.
 - ქ. ოროლი მოვი.
 - ქ. ოროლი შეიდიში.
 - ქ. თითო ჩადრი, ოროლი მარმაშის ლეჩაქი და მუმისის ველსახოცები...
 - ქ. აბანოს პერანგები¹.
 - ქ. ყადიფები.
 - ქ. შილები.
 - ქ. ქვეშაგები: საბნები თითო თავთის ჩითისა.
 - ქ. ლეიბი ტილოსი.
 - ქ. თითო ზეწარი.
 - ქ. თითო ბალიში რუსული ჩითისა, შალითით.
 - ქ. თითო მუთაქა ტილოსი, შალითით.
 - ქ. თითო დორი ტილოსი.
 - ქ. თითო ხალიჩა.
 - ქ. თითო აქაური ქეჩა.
 - ქ. თითო ველი ცხენის იარაღი, სრულბით გაწყობილი.
 - ქ. თითო საწვიმრები.
 - ქ. თითო წყვილი ჩექმები.
 - ქ. სპილენძის ჯამები, თევზები, ნალბაქები.
 - ქ. თუნგი და ტასტი.
- მსახური ერთი:
- ქ. ორის ველის ტანისამოსით და ქვეშაგებით.

¹ დედანში: „პერანგები“.

280. 1809 წლ. იანვარი. ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა. დედანი. ზომა 20 X 22 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 8131 Hd.

წელსა ჩუთ, იანვრის თვეში:

ა	(3 მინალთუნი)	ქ. გრიგოლს მივართვი სიონში ოქრო ერთი.
ბ	(3 თუმანი)	ქ. კიდევ მივართვი ოქრო ათი.
გ	(4 თუმანი)	ქ. ორი წითელი ატლას-ბაფთი უყიდე.
დ	(2 თუმანი)	ქ. ლეკებისათვის საჩუქრათ მივართვი ორი თუმანი.
ე	(სამი თუმანი)	ქ. კიდევ მივართვი ხარჯათ სამი თუმანი გრიგოლს.
ვ	(3 მინალთუნი)	ქ. კიდევ მივართვი ბეჭვდისათვის სამი მანათი.
ზ	(5 მინალთუნი)	ქ. კიდევ მივართვი ძველის ყუთისათვის ხუთი მანათი.
ა	(8 მინალთუნი)	ქ. ჩემის სიდედრის მძძანებით ვიყიდე ქიაფერი რვა მანათისა.
ბ	(5 თუმანი)	ქ. საქათიბე ხარა ჩიჩაგლუ ადლი ცამეტი, ფასი ხუთი თუმანი.
გ	(3 თუმ. და 3 მინალთუნი)	ქ. ბეწვში, სარჩულში, ქობაში და ხელფასში მივეც სამი თუმანი და სამი მინალთუნი.
დ	(2 თუმ. და 6 მინალთუნი)	ქ. წითელი და შავი თირმა ვიყიდე უწინავე, სამოცი. ფასი ორი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

281. 1809 წლ. ნოემბრის 24. პირობის წერილი, მიცემული ეგნატე თუმანოვის შუალავრის ზვარის ვაზის გამკეთებლებისათვის კუთვნილი ფულის გადახდის შესახებ. დედანი. ზომა 21 X 17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქაიქ ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 7910 Hd.

1809 წელსა, ნოემბრის 24 დღესა ქუშმორე ამისა ჯელის მომწერმან მოგეც წერილი ესე ამ ტფილისის უეზდნის ზემცკის უპრავას, ასე რომე შულავრელებს, ჩვენის ზვარის ვაზის გამკეთებლებს, ჩემ წილად თეთრი რომ უნდა მიმეცა ოთხთუმან-ნახევარი თეთრი ფული, აქედამ მიმიცია იმათთვის თუმან-ნახევარი, რომლისაც თამასუქი იმათივე ვულნაწერი ამავე ჯელწერილთან წარმომიდგენია, და სამი თუმანიც ჩემის პენციის სეკდემბრის ტრეტის ანგარიშიდამ იანვრის დამდევს მიიღონ ტფილისის უეზდნის კახნაჩეის სა(ა)მ შანშიევისაგან, და ან მევე წარმოუდგინო უპრავასა ამას ზემო აღნიშნულს იანვრის პირველსში, რომელზედაც ჯელს ვაწერ კოლეჟკის სოვეტნიკი თავადი ეგნატე თუმანოვი.

282. 1810 წლ. ივნისის 8. ფულის ნუსხა, მანუჩარ თუმანიშვილის მიერ გარეჯის ონასტრის წინამძღვრისათვის გაგზავნილი. დედანი. ზომა 17,5 × 11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 3720 Hd.

რაც ამ პარკში თეთრი ძეს:

- მ) ქ. მთელი მანეთი, ნახევარ-მანეთი და ხუთშაურიანი არის თორმეტის თუმნისა.
- რ) ქ. ქალაქის აბაზი და რუსული აბაზი ოთხის თუმნისა.
- ლ) ქ. რუსის ორაბაზიანი ოთხის თუმნისა.

ქ. უფალო წინამძღვარო, წმინდის დავითის ყმის პატარძელულის კალატოზის-შვილის იოსების ხელით მოგართვი ერთის პარკით ოცი თუმანი, ამ ნუსხით, რაც ვერცხლის თეთრია. მდაბალი მანუჩარ თუმანის-შვილი მოგახსენებ. თიბათვის ო, ქკს უეშ.

283. 1810 წლ. ივნისის 16. პირობის წიგნი, მიცემული ზურაბ წერეთლის მიერ ვახუშტი წერეთლისადმი სამღებროთა გაერთიანების თაობაზე. დედანი. ზომა 34,5 × 22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3781 Hd.

ქ. ესე მტკიცე და უცვალბეელი პირობის წერილი მოგართვით თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს თავადს წერეთელს ბოქოულთ-უხუცეს ვახუშტის, ძმასა თქვენსა გიორგის, ბეჟანს და ყოველთა შთამომავალთა სახლისა თქვენისათა, ჩვენ, თავადმან წერეთელმან სახლთ-უხუცესმან ზურაბ და ყოველმან შვილმან და შთამომავალმან ჩვენმან, ასე რომე ჩვენ თვის-თვისად ჩვენს მამულშიდ სამღებროები გვქონდა. მაგრამ ახლა ჩვენის ნებით და კეთილის განზრახვით ასე გავრიგდით, რომ თქვენი სამღებროები მოშალეთ და ჩვენს სამღებროს შამოერთეთ, რომ საუკუნოდ ამის სანაცლოდ ჩვენის სამღებროდამ ორასი მარჩილი თქვენ უნდა მოგერთმეოდესთ. თქვენ სამღებრო აღარ უნდა გა(ა)კეთებინოთ და ჩვენ ეს ორასი მარჩილი ყოველ წელს უნდა მოგართვათ. არის ამისი მოწამე და გამრიგე ჩვენი სიძე თავადი თალხან (sic) მოურავი დავით და ბაქრაძე სვიმონ. მე, გიორგი მღდელს ოქრომჭედლის-შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ივნისის ივ, წელსა ჩყი.

□¹

პეჭედი.

284. 1810 წ. ახალდაბის ღალის ნუსხა (მანუჩარ თუმანიშვილისა). დედანი. ზომა 44,7 × 17,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 7127 Hd.

- ქკს უეშ, ამ წელსა ახალდაბას საერთო ღალა ქვემოთ დაიწერება.
- ბ. ქ. თავარანგელოზ ჩამოსწვრივ ჯომარდის მიწაში ამის სიძისა ქერი გადაბმული ძნა, ურემი.
- გ. ქ. მთახედ გზის პირზედ მურადაშვილი დავითასი თავის მიწაში ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ე. ქ. აქავ ხანიშვილისეულ მიწაში რუისელი მამა მასარაშვილისა ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ზ. ქ. აქავ ხანიშვილისეულ მიწაში რუისელი კაცისა ყანა მოუმკალი, დღიური. ვერ უპოვია¹.
- ზ. ქ. აქავ ყულიაშვილს გძელ მიწაში ხუროშვილი გიორგისა ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ბ. ქ. აქავ ხანიშვილისეულ მიწაში სამს ადგილას ურბნელი გვამარაძისა ყანა მოუმკალი, დღიური.
- ბ. ქ. აქავ ხანიშვილისეულ მიწაში ორ ადგილას სეხნიაშვილი გიორგისა ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა. ქ. აქვე ხანიშვილისეულ მიწაში მურადაშვილი დავითასი ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ბ. ქ. აქვე ხანიშვილისეულ მიწაში ხუროშვილი გიორგის ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- გ. ქ. უნაგირაში ჯომარდის მიწაში თანდიაშვილი ზურაბას ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ბ. ქ. აქვე მურადაშვილის მიწაში ფეიქარი გოგიას ყანა² გადაბმული ძნა, ურემი.
- გ. ქ. ხიხოტაზედ ანდრია დინარიძისა და ფეიქარი გოგიას ყანა გადაბმული ძნა, ურემი. ეგნატეს აულია¹.
- ა. ქ. აქავ კიკოლასი ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა. ქ. ყულიაშვილის ნაფუზარში დინარიძე ანდრიათ ქერი გადაბმული ძნა, ურემი.
- ა. ქ. ყულიაშვილის მიწაში თავის ვენახის გვერდზე ფეიქარი გოგიას ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა. ქ. ჰალაზედ ყულიაშვილის მიწაში ფშნის პირზედ თავისი და ხუროშვილი გიორგისა ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა. ქ. აქავ ზემოდამ ვარიანის ბოლოს ხოდაბუნში ჯავახი აბრამასი ყანა გადაბმული ძნა, ურემი.

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა სხვა ხელით სწერია.

² უკანასკნელი სამი სიტყვა გამეორებულია.

- გ ქ. ქალაზედ ჯომარდის ობლებისა თავის მიწაში ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ბ ქ. მურადანთ ვენახის გვერდზედ ჯომარდის ობლებისა თავის მიწაში ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ბ ქ. ნაიონჯევეში ჯომარდის ობლებისა ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა ქ. გზას ზემოდამ მურადაშვილი დავითასი თავის მიწაში ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ო ქ. აქავ მურადაშვილი დავითასი თავის მიწაში ქერი გადაბმული ძნა, ურემი.
- იე ქ. ტყის პირად მურადაშვილის მიწაში ჯავახი გოგილასი ყანა გადაბმული ძნა, სამეული.
- დ ქ. აქავ მურადაშვილი დავითასი თავის მიწაში ყანა გადაბმული ძნა, ურემი.
- ა ქ. აქავ საზუნანთ მიწაში დიკა შიოშვილი კიკოლასი გად(ა)უბმელი ძნა, ურემი.

ქ. ჯამი ურემი მგ კოდი.

ქ. აქავ ქერი ურემი დო კოდი.

ქ. აქავ გვარამაძისა მოუმკალის ორდღე-ნახევრისა¹.

285. 1812 წ. „მონსენება“ რომელიდაც ეკლესიის სანთლის შემოსავლის ანგარიშის თაობაზე. დედანი. ზომა 12,4 × 18,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 6864 Hd.

ქ. მინდობითა ღიისათა, ჩვენის ეკლესიის შემოსავლის ჩვენებისათვის უფალის დეკანოზის მეღქისედეკის წარმოდგენილის ანგარიშის ნუსხის პასუხად მოხსენება.

Ⓒ¹ ქ. ჩყდ წელსა, აპრილის თვის პირველიდამ—ჩყდ წელსა, მარიამობის თვის გასულს, რომ იქნება იზ თვე, ამდენის თვისათვის ეკლესი(ი)ს წილად სანთლის მოგებას აძღვეს სამ კალმად ათს თუმანს, ორ მინალთუნს და ორ შაურს. ამაზე თუ სიტყვა ქონდეს, ვართანას ელაპარაკოს.

Ⓒ² ქ. ჩყდ წელსა, ენკენისთვის პირველიდამ—ჩყდ წელსა, თიბათვის გასულს იქნება თვე პზ. აქედამ დ თვეს ბარგაშტს გამოდიან. დარჩება თვე ოშ. ამდენის თვისათვის თავის მოცემულს წერილში. ზ კალმათ ხსენებით ეკლეს(ი)ის წილად სანთლის შემოსავალს იწერება ოცდაოთხ თუმანს და შვიდ მინალთუნს თავის ჩვენებით. კშ³ თვის სანათლის შემოსავალი აკ-

¹ უკანასკნელი სამი სტრიქონი სხვა ხელით სწერია.

ლია ეკლესიას. ეს სასამართლოს გვარიით უნდა მოუკითხოთ ეკლესიას.
აქ ჯერ თავის ნაჩვენებები დაიწერა.

ლდ 36 (34 თუმანი, 9 მი- ქ. იქნება ბ კალმათ სანთლის შემოსავლის ჯამი.
ნალთ. და 2 შაური)

286. 1813 წლ. ახლ. მზითვის წიგნი ხოსრუას-შვილი მკედელი გოგიას ქალის
თალალასი. დედანი. ზომა 34,5x21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუხ. № 3567 Hd.
საბუთი დაუთარიღებელია, ქაღალდის ტვირნიშანი უჩვენებს 1813 წელს.
შდრ. აქვე საბუთი № 14723 Hd და 14722 Hd.

ქ. ლთით, მე, ხოსრუას-შვილი მკედელი გოგია, ვაძლევ მე ჩემს ქალს
თალალასს, რომელიც ქვემოთ ამისა დაიწერება:

ქ. 37ლი კელი:

ქ. ჩიჩაგ(ლ)უ ხარის ქათიბი წყვილის არშიითა და ფარშავანგის ღილითა.

ქ. მწვანე ატლასის კაბა. წყვილის არშიითა და ღილითა.

ქ. აღათურის ხარის არხალუხი.

ქ. მოვი და შეიდიში.

ქ. აღაბნის ჩიქილა არშიითა და თავისის ნაკერის თავსაკრავითა.

ქ. ყალამქრის ბოხჩა.

ქ. არშია დარის სარტყელი.

ქ. მეორე კელი:

ქ. თეთრი ჩიჩაგლუ ხარის კაბა.

ქ. ყალამქრის არხალუხი.

ქ. განდიდურის პერანგი.

ქ. შეიდიში.

ქ. აღაბნის ჩიქილა არშიითა. ყალამქრის თავსაკრავი და თავის ყალამ-
ქრის ბოხჩა.

ქ. მესამე კელი:

ქ. იეზდის დარაის კაბა.

ქ. დარაის არხალუხი.

ქ. მოვი და შეიდიში.

ქ. შილაის ჩიქილა, სამი თავსაკრავი და სამი ნაყრი კოპი.

ქ. მარმარის ჩადრი.

ქ. საღამური ჩიქილა თავის თავსაკრავითა.

ქ. ორი კელსახოცი, ერთი ტალიანციკი და ერთი მოვი.

ქ. ერთი ტილოს კელსახოცი.

ქ. შუბლის ფარჩა სამი გრეხილი.

- ქ. კიდევ ტილოს ჯელსახოცი.
- ქ. ერთი ტილოს პერანგი.
- ქ. ერთი ფარჩის ნაკერი ბოხჩა.
- ქ. ყალამქრის საბანი.
- ქ. დარაის ბუმბულის პირი თავისი ბუნბულითა.
- ქ. ბალიშის პირი შტოფის, თავის ბუნბულით.
- ქ. დორი ხვევრდისა.
- ქ. ჩასრავი (sic).
- ქ. ხალიჩა.
- ქ. ხუთი პირსახოცი თავისის ნაკერის ბუდითა და სავარცხლებითა.
- ქ. ერთი ნაკერი თავსადები ატლასისა.
- ქ. მარგალიტის ღილი და ქინძისთავი.
- ქ. მარგალიტის ბეჭედი.
- ქ. საპირისფარეშოს ყუთი თავის ვერცხლის იარაღითა: ნალბაქი, თასი, ჩოთი და სამი ჩხირი სარდაფი.
- ქ. სკივრი.
- ქ. სამი ცხრა ჭურჭელი.
- ქ. მამის ჩემის ნაქონი ვეცხლის თასი.
- ქ. ტაშტი და ალთაფა.
- ქ. ა ვერცხლის სურექა(?).

ქ. ამ ზემო ნაწერს მზითვევში რაც ვალით არის აღებული, ამის ქვეით დაიწერება:

ლ	(ოთხი თუმანი)	ქ. ჩიხაგლუ ხარის ქათიბა წყვილი, არშიითა და ფარ-შავანგის ღილითა. ფასი.
აქ	(თუმან-ნახევარი)	ქ. ყალამქრის საბანი თავის შალითა.
აჩ	(თერთმეტი მინალთუნი)	ქ. ბუნბულის პირი დორი და ბალიშის პირი შტოფისა. ფასი.
წ	(ოთხი მინალთ.)	ქ. ჩარსავი. ფასი.
d	(სამი მინალთუნი)	ქ. დარაის ბოხჩა. ფასი.
d	(სამი მინალთუნი).	ქ. ყალამქრის ბოხჩა. ფასი.
ხ	(ექვსი მინალთ.)	ქ. შეიდიში. ფასი.
ჩფ	(ერთი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. თავსადები და კოპი.
ა	(ერთი თუმანი)	ქ. ხალიჩა. ფასი.
ა	(ერთი თუმანი)	ქ. მარგალიტის ღილი. ფასი.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. საპირისფარეშოს ყუთი თავის იარაღითა. ფასი.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ჩიქილის ფიცარი. ფასი.
ჩუ	(შვიდი აბაზი)	ქ. სარკე. ფასი
ჩქ	(რვა აბაზი)	ქ. ტაშტი. ფასი.
ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. ორი პირსახოცი. ფასი.
ჩქ	(რვა აბაზი)	ქ. ორი გრეხილი. ფასი.

- ჰ (ხუთი მინალთუნი) ქ. ბუნბული ლიტრა ოთხი. ფასი.
- ძ (სამი მინალთუნი) ქ. შილაის ჩიქილა თავის არშიითა. ფასი.
ქ. ეს ზემო ნუსხა ჩემის ქალისაგან ამილია.
- ძქ (სამი მინალთუნი და სამი აბაზი) ქ. ქურქელი ორი ლიტრა და სამი სტილი. ლიტრის ფასი.
- წ (სამი თუმანი) ქ. ტერ-დავითანთ ქალის იაგუნდასაგან ავიღე ვალათ კაბის არშია, ალისფერი პერანგი, ალისფერი შეიდიში, ნაკერი თავსაკრავით. ფასი.
- წწ (თოთხმეტი მინალთუნი) ქ. გიორგი ალიხანოვისგან ავიღე ვალად ერთი იეზიდის დარაია და ერთი განჯის მოვი. ფასი.
- ჭ (შვიდი მინალთუნი) ქ. ტერ-სამოელანთ გაბრიელასაგან ავიღე ვალად ერთი შეიდიში და განდიდურის პერანგი. ფასი.
- ჩ (სამი თუმანი) ქ. ტერ-სტეფანასაგან ავიღე ვალი. ამითი ვიყიდე.
- ჩხ (თექვსმეტი მინალთ.) ქ. ერთი არშია დარი. ფასი.
- ც (შვიდი მინალთუნი) ქ. ორი ჩიქილა. ფასი.
- ჯ (რვა მინალთუნი) ქ. ჩადრი. ფასი.
- ჯ* (ექვსი მინალთუნი) ქ. ატლასის კაბის ცალი არშია. ფასი. ეს არშია ვიყიდე კუმუხის მეუღლისგან.
- ცხ (თერთმეტი აბაზი) ქ. ბაბალანთ ელიზბარასგან ავიღეთ ბანბა ხუთი ჩარქი. ბანბა.
ქ. სკივრი თავის ბიძა გოგიაშ უყიდა.

კვც (ოცდარი თუმანი და ორი მინალთ.) ქ.¹

287. 1813 წლ. ახლ. ვიდაც გოგიას მიერ ოჯახში შემოტანილი ქონების ნუსხა. დედანი. ზომა 34,4 × 21,6 სმ. დაწერილია მოლურჯო ქალღმრთელ მხედრული ხელით. განკვეთილნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 8672 Hd.
ქალღმრთელის კვირნიშანი გვიჩვენებს 1813 წ.

ჩემის სამაგიერო, რომელიც ჩემის მამლის ცოლისათვის, ქალის მზითვის გარდა, თავისთვის შემოუტანიათ ამ ათას-თხუთმეტს წელს, ამას ქვეით იწერება, ლთის წინაშე.

ქ. ა სოსანი ატლასი ტერ-აკოფანთგან იყიდა.

ქ. ა ჩიჩაგლუ ცისფერი ხარის ქათიბა თავის მასალით.

ქ. ა კიდევ სურმა ხარის ქათიბა.

ქ. ა ცისფერი დარაის არხალუხი.

ქ. ხითარაშვილისაგან იყიდა ორფერი დარაის კაბა.

¹ არც აქ და არც ამის ქვემოთ არაფერი არ სწერია.

- ქ. კიდევ იყიდა საკაბე რუსის ჩითი.
- ქ. კიდევ ყუზანანთ ბაინდურასაგან იყიდა ნავთის-ფერი საკაბე დარაია.
- ქ. კიდევ ალის ფერი დარაია იყიდა იეზდი ალელ ბეჟანანთგან.
- ქ. კიდევ ორფერი დარაია იყიდა გრიგოლასაგან საკაბე.
- ქ. კიდევ უყიდეთ მამის გლოვიარეზე (?) მწვანე ატლასი.
- ქ. ა ბურსის პერანგი.
- ქ. ა რეჰანი მოვი.
- ქ. ერთი შეიდიში.
- ქ. ბუმბული იყიდა თერთმეტი ლიტრა. ხუთი ლიტრა ქალს მისცა, ექვ-
სი დღეს შინა აქვს.
- ქ. ექვსი ბეჭედი იყიდა ოქროსი.
- ქ. ბაფერანთ რძლისაგან იყიდა სარხალუხე ყალამქარი.
- ქ. მოქალაქისაგან იყიდა ფუდა (?) ყადიფა დ.
- ქ. ერთი ხელსახოცი.
- ქ. უყიდნი(ა) ჩადრი, ამტელს წელს, მარმარისა.
- ქ. ა კვანჭიანთაგან.
- ქ. ა ტერ-დავითანთგან.
- ქ. ა ბურდულის ჯალაბისაგან.
- ქ. ა ბარამანთ ტასიასაგან.
- ქ. ა ერთი ფრანგ ბეჟანასაგან.
- ქ. ა ერთი ც ლაღება(ს)(?) ძმის(?) პეტრესაგან.
- ქ. ა ერთი ც ეზლა იყიდა.
- ქ. ტინისხიდიდამ გამოატანინა ერთი მოვი.
- ქ. ოჰანჯანანთგან იყიდა ერთი შალის სარტყელი.
- ქ. ხითარას-შვილისაგან იყიდა კიდევ ერთი შალის სარტყელი.
- ქ. იმერეთიდან მოუტანა თავის მახლმა, დედაზე რომ მგლოვიარე იყო,
საკაბე მწვანე ხარა.
- ქ. კიდევ სოსანი დარაია საკაბე.
- ქ. მოვი.
- ქ. ჩიქილა და თასაკრავი.
- ქ. ამას გარდა იყიდა განჯის საქონელი, ბოღჩით ტანსაცმელი, არც ერ-
თი ნაჭერი ჩვენ არ მოგვახმარა, არ ვიცით რა უყო.
- ქ. კიდევ ქალისათვის შეუკერა ერთი ხელი ტანისამოსი.
- ქ. ალისფერი ხარის კაბა.
- ქ. სურმა ხარის ქათიბა.
- ქ. ზოლი შალის სარტყელი.
- ქ. ფურფურის ჩიქილა თავის თასაკრავით.
- ქ. შეიდიში და მთელი მოვი.
- ქ. ნახევარ ყალამქარი.
- ქ. ერთი დორის პირი.
- ქ. ერთი თავი ყალამქარი.
- ქ. კიდევ იყიდა ყალამქრის სამი თასაკრავი.

ქ. ორი სარტყელი რუსის ჩითისა, ოქრომკედის ფუნჯითა.

ქ. ყაისიანთგან იყიდა მწვანე მუხაისი.

ქ. გილანის ღილი იყიდა დავრეშანთაგან.

ქ. მეორე ღილი იყიდა კიდევ ტერ-სტეფანანთაგან.

გოგიას, ჩემს მაზლს, რომ სიღედრი მოუკვდა, რაც დაიხარჯა ჩვენგან:

ქ. ზ ზურგიელი.

ქ. ე ლიტრა ბრინჯი.

ქ. რაც ქელეხზედ პური და ღვინო, ან შვიდ წირვაზედ, ან წირვა უყო, ყოველი თავისის ბრინჯით და თავისის ხარჯით, ჩვენის ოჯახიდა(მ) დაიმარხა და ხარჯიც ჩვენი იყო, ამისათვის რომ მიზეზი საოფლე იყო და ვერ მიუდგენ.

288. 1813 წლ. ახლ. დანახარჯის ნუსხა. დედანი. ზომა 34×21 სმ. დაწერილია მოლურჯო-ქალაღზე მხედრული ხელი. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3045 Hd. ქალაღს აქვს ჭვირნიშანი, რომელიც გვიჩვენებს 1813 წ. და საბუთიც მის მახლობელ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

ა	(12 მინალთუნი)	ქ. კეცხოველს მივე ფული.
ა	(თუმანი)	ქ. ხარ-კამბეჩში მივე ფული.
ე	(5 ¹ / ₂ თუმ.)	ქ. მთიელის ვალში მივე აქუას-შვილს (3 ¹ / ₂ თუმ.)-ამირაღას-შვილს ზაალისაგან აღებული (2 ¹ / ₂ თუმ.). ამდენი ვალი ამაშია მიცემული.
ა	(თუმანი)	ქ. ამირაღაანთ ზაალს მივე ფულის სარგებელში.
ა	(11 მინალთუნი)	ქ. ცხენში მივე წელს როსტომას. რომ ქალბატონს გაეგზავნა, ძეგვს მოჰკდომოდა ¹ . ეს მოიშალაო, თვითონ უყიდა და თავის ხელში მომკვდარა ² .
ა	(თუმანი)	ქ. ტერ-მარსელას მივე, იმისი ვალი მემართა ¹ . ეს ავაქა-შვილის ვალშია ჩავარდნილი.
ც	(2 მინალთუნი)	ქ. თავზე, დედაჩემი რომ მიიცვალა, ნახევარ-ლიტრა-სანთელში მივე.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ზეთში მივე.
ს	(აბაზი)	ქ. საკმელი ვიყიდე.
ჩყ	(9 აბაზი)	ქ. სამს ზურგიელში მივე.
ძფ	(3 ¹ / ₂ მინალთ.)	ქ. ყველსა და ღოშში მივე.
წუ	(4 მინ. და 2 ¹ / ₂ აბაზი)	ქ. ღვინოში მივე ფული.
ფნ	(11 შაური)	ქ. ქონის სამთელში და წნილში მივე.
უ	(2 აბაზი)	ქ. გადასახურავში მივე.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

² განსხვავებული შრიფტით აწყობილი შემდეგაა მიწერილი.

ს	(აბაზი)	ქ. მესაფლავებს მივე.
ხ	(6 მინალთ.)	ქ. ნავთ მარაღები ვიყიდე ხუთი, მივე ფული.
ქ	(მარჩილი)	ქ. მეორე დილაზე ყველი ვიყიდე ¹ .
ტნ	(7 შაური)	ქ. წმინდა სამთელი ვიყიდე საფლავისა საკუთ- ხავათ.
ცვ	(2 ¹ / ₂ მინალთ.)	ქ. თაღმელა დაურიგე ხუცებს და დიაკვნებს.
ხქ	(6 მინალთ. და 3 აბაზი)	ქ. ღვინოში მივე, სამი კოკა ვიყიდე.
ჩ	(5 აბაზი)	ქ. შობას ძღვენი გაუგზავნე.
ჩს	(6 აბაზი)	ქ. თათხუმს წყალკუთხევისას ძღვენი გაუგზავნე.
ჩ.	(5 აბაზი)	ქ. ამის მეორეს დღეს მერელოცს ძღვენი გაუგზავნე.
ჩქ	(8 აბაზი)	ქ. სამი მარხვის ძვენი მოუნდა.
ჩ	(5 აბაზი)	ქ. აღდგომას თათხუმს გაუგზავნე ძღვენი.
ჩს	(6 აბაზი)	ქ. აღდგომას ბატკანში მივე.
ფ	(10 შაური)	ქ. თევზი, ყველი, ღვინო ვიყიდე.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ამალღებს ძვენი გაუგზავნე.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ვართავარს ძვენი გაუგზავნე.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. მარიამობას ძღვენი.
ჩ.	(მინალთუნი)	ქ. სულთას ძღვენი.
ჯ	ამას გარდა შავის გამოსაცვლელად მოუნდა შინ:	
ჯ	(8 მინალთ.)	ქ. საკაბე დარაია თავის ქობით, მივე ფული ² .
ახ	(16 მინალთ.)	ქ. ქათიბაში მივე ფული.
ჯ	(8 მინალთ.)	ქ. ერთი ჩადრი.
ჩს	(6 აბაზი)	ქ. წულა ქოში.
ა	(თუმანი)	ქ. ჩემი შავის გამოსაცვლელად ვიყიდე ორი ნაშუ- რი, ორი ნარმა, ერთი ლურჯი, ერთი პერანგი, სარტყელი, ქუდი, ამაზედ დაიხარჯა.
ქ	(5 მინალთ.)	ქ. წირვაზე მამინდა ორი ცხვარი.
ძ	(3 მინალთ.)	ქ. ექვსი ლიტრა ბრინჯი.
ჩ	(მინალთ.)	ქ. ორი ლიტრა ყველი ¹ .
ჩფ	(1 ¹ / ₂ მინალთ.)	ქ. სამი წყვილი და ერთი ცალი დოში.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ხუთი ქათამი.
ჩ	(მინალთ.)	ქ. ნახევარ-ლიტრა ერბო, ზირა, სანელებელი, ნუ- ში, ქიშმიში.
ჩ	(მინალთ.)	ქ. სურბსენესათვის ¹ შაქარი, ხილი მოუნდა.
ძღ	(3 მინ. და 14 შაური)	ქ. ცხვრებში მივე ¹ .
უნ	(9 შაური)	ქ. კიდევ ზირა, სანელებელი და მწვანელი.
ღ	(14 შაური)	ქ. კიდევ ქათამები ვიყიდე.
ქ	(3 აბაზი)	ქ. კომსში (sic) მივე ¹ .
ცნ	(2 მინალთ. და 1 შაური)	ქ. ერთ კოკა ღვინოში მივე.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ყველში მივე ¹ .
ჩსნ	(6 აბაზი და 1 შაური)	ქ. თევზში მივე.
ხ	(აბაზი)	ქ. მოლოზნებს მივე.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

² ესა და მომდევნო 4 სტრიქონი გადახაზულია.

- ბნ (7 შაური) ქ. კიდევ დაიხარჯა წვრილათ.
 წ (4 მინალთ.) ქ. შვიდ წირვის ხონჩას მოუნდა.
 ცქ (13 აბაზი) ქ. კიდევ ტერ-გრიქოლას მივე წირვებისათვის.
 ყ (4 აბაზი) ქ. პურის გამომცხობს¹ მივე.
 ქ. გოგიამ იყიდა ორი სტილი ზეთი.
 ქ. ჭამი შხ კალმისა იმჰ (12 თუმანი და 9 მინალთ.) ამდენი ეს იოვანესაგან აღე-
 ბულის იდ (14 თუმანი) ამდენიამ არის მიცემული.
 თ² ქ. სტეფანაძეს მივე კიდევ, რომელიც ნუხსაში (sic) არის ჩადგებული.
 ქ.

289. 1814 წლ. იანვრის 4. ქონების სია იუსტიინე მთავარ-ეპისკოპოსისა. დედა ნი. ზომა 34×22 სმ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქალაღებზე მხედრული ხელით. საქ. სახ. მუხ. № 3527 Hd.

1814 წელს იანვრის 4 გარდაცვალებულის ყოვლად სამღვდელოს მთავარ-ეპისკოპოსის იუსტიინეს დანარჩომი.

- ქ. აზარფეშა.
 თ ქ. ნიკოლაოზ ამილახვრის თამასუქი სამოცდაათის თუმნისა.
 (sic) ქ. ნიკოლაოზის ბარათი არის—თორმეტი საღვთისაწაულო დაუხარჯავ ოზდა ათ თუმნად.
 უკვ წხნ ქ. ნიკოლაოზ ამილახვარის თამასუქი არის ოთხას ოცდიექვისი თუმანი, ოთხი მინალთუნი და ხუთი შაურისა.
 იბ ქ. ნიკოლოზის თამასუქი არის სამოცდა თორმეტის თუმნისა.
 ტ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი სამასი თუმნისა არის.
 რ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი ასი თუმნისა არის.
 ნ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ორმოცდაათის თუმნისა.
 რ ქ. ნიკოლაოზის ორი თამასუქი ერთად არის ასო თუმანი თეთრისა.
 რქ ქ. ამილახვარის ნიკოლაოზის თამასუქი ას ხუთი თუმანი და ნახევარისა არის.
 ქ. სია თამასუქებისა.
 ნ ქ. ნიკოლაოზ ამირახვარის თამასუქი არის ორასი თუმნის თეთრისა.
 ქ. კილაევის წერილი.
 ქ. ნიკოლაოზის დანახარჯის სია არის.
 ქ. ზუბალოვის ბარათი არის ასიგნაციის დახურდავებისა.
 (ს ქ. ნიკოლაოზ ამილახვარის თამასუქი ექვისის თუმნისა.
 რ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ასის თუმნისა.

¹ დედანში: „გამომცხობს“.

² 9 თუმანი(?)—თუმნის ნიშანი აკლია.

- რკგქ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ას ოცდა სამი თუმანი და ნახევარი.
- მღქ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ორმოცდაოთხი თუმანი და ნახევარი.
- წ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი ასის თუმნისა.
- ს ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ორასი თუმანი თეთრი.
- ჟმძქ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის სამოცდა თხუთმეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ათი შაური.
- რიგ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ას თექვსმეტი თუმანი თეთრი.
- პგ ქ. ნიკოლაოზის ბარათი არის ოთხმოცდა სამის თუმნისა.
- ა ქ. კოსტანტინე ციციშვილის თამასუქი არის სამის თუმნისა.
- ბ ქ. შანშეს თამასუქი არის ათის თუმნისა.
- გ ქ. ოკრიბის ქვის კრიალოსანი შავი.
- დ ქ. იოანე დამასკელი რუსის ეკლესიისა.
- ე ქ. ვეცხლის სინი რუსის ეკლესიისა.
- ვ ქ. ფინიფტის ჯვარი უჯაქოდ.
- ზ ქ. წამხდარი მიტრა.
- თ ქ. სადღესასწაულო.
- ი ქ. კონდაკი რუსული და ქართული.
- კ ქ. ორი-სამი თვენი.
- ლ ქ. ორი პარკი წიგნები.
- მ ქ. გატეხილი ორი ჯოხის თავი ძვლისა.
- ნ ქ. ლოცვანი, კონდაკი, ჟამნი, სადღესასწაულო ლოცვანი, პარაკლიტონი.
- ო ქ. ფილონი ყვითელი გრიზეთი.
- პ ქ. სტიხარი ცისფერი.
- ჟ ქ. მწვანე სტიხარი.
- რ ქ. ბისონი თეთრი სტოფისა.
- ს ქ. წირვის ჯოხის ხელსახოცი.
- ტ ქ. ონფორი დიბისა ვეცხლის რვას ღილით.
- თ ქ. პატარა ონფორი თეთრი სტოფისა ერთის ღილით.
- ი ქ. ოლარი თეთრი სტოფისა.
- კ ქ. წირვის ხელსახოცი.
- ლ ქ. ორი წყვილი საბუხარი, ერთი ნაკერი და ერთი სტოფისა.
- მ ქ. დარაიბაბთის გინგილა.
- ნ ქ. სარტყელი ნაკერი, ვეცხლის ბალთებით დაფერილი.
- ო ქ. მწვანე სტიხარი ლობდნისა(?).
- პ ქ. ხარის მანტია ცისფერი.
- ჟ ქ. ონფორი ჯივარი.
- რ ქ. ენქერი ნაკერი სირმითა.
- ს ქ. ბისონი შავის ხავერდისა.
- ტ ქ. დიაკენის სტიხარი ძველი.
- თ ქ. ლუკავიცა ხავერდისა (sic).
- ი ქ. განდიღურის ანაფორა.
- კ ქ. ჩაქსული ანაფორა.

- ქ. განდიდურის კაბა.
- ქ. ყალამქრის ახალუხი.
- ქ. შალის სარტყელი.
- ქ. ლეინის კაბა.
- ქ. მწვანე მაუდის ქათიბი ბეწვით.
- ქ. ლეინის კაბა.
- ქ. თაგალა ძველი.
- ქ. ორი თეთრი ქეჩა და ერთი ჯეჯიმი.
- ქ. დორი ხავედისა.
- ქ. წირვის ხალიჩა გრძელი.
- ქ. ძველი ხალიჩა.
- ქ. ორი ფარდაგი.
- ქ. ერთი ქეჩა.
- ქ. სპილენძის ფანარი.
- ქ. ჩითის საბანი, ბალიში.
- ქ. შანდანი თითბრისა.
- ქ. ქოშები ახალი.
- ქ. ორი ქვაბი, ერთი ტაფა და ქაფქირი.
- ქ. თუნგი და ტასტი, ორი ქვაბი კიდევ.
- ქ. ექვსი თუმანი ფული ყოფილა და მღღღებზე დახარჯულა.
- ქ. ორი იაბო და ერთი ქაკი ცხენი კვიციით და ერთი ჯორი.
- ქ. ფურ-კამბეჩები ზაქით.
- ქ. მარილის ქვა ოთხი და ერთი ნატეხი.
- ქ. ცული.
- ქ. შავი ბრილიანტი.
- ქ. ორი თეთრი ბრილიანტი.
- ქ. ერთი ბაზმანდის თვალი.
- ქ. ვეცხლის კოვზი და ჩანგალი და დანა.
- ქ. ოთხი თვალი პარკში ჩავდევით, დავბეჭდეთ. რაც თამასუქები იყო, ისიც ერთად ყუთში არი დაბეჭდილი.
- ქ. ერთი ბეჭედი ფირუზისა.
- ქ. კონდაკი ერთი.
- ქ. ონფორი შტოფისა ახალი.
- ქ. ახალი ბისონი თეთრი სტოფისა, ვეცხლის ლილებით, ექვსი.
- ქ. მანტია ახალი ჩიჩაგლუ ხარისა.
- ქ. საბუხარი ნაკერი ხავერდზე.
- ქ. დიდი დაფარნა ბადილა დიბისა.
- ქ. ჯონის ხელსახოცი ნაკერი.
- ქ. პატარა დაფარნა.
- ქ. დიდი ონფორი გლაზეთისა, ვეცხლის ლილებითა.
- ქ. ახალი ბისონი დიბისა, ოსმალური.
- ქ. ტაშტი და ალთაფა ვეცხლისა.

- ქ. სამი წირვის ხელსაზოცი თეთრი.
- ქ. ბისონი ყვითელი შტოფისა, ახალი.
- ქ. ენქერი შტოფისა.
- ქ. დიაკვნის სტიხარი ღიბისა, ძველი.
- ქ. ოლარი ხათისა.
- ქ. დიაკვნის სტიხარი სამოსლისა.
- ქ. ახალი დაფარნა ხათისა.
- ქ. ონფორი დიდი, ფერადით ნაკერი, ჩიჩიგ(ლ)უ ხარისა.
- ქ. დიაკვნის სტიხარი დარაისა.
- ქ. სამი თვენი.
- ქ. ორი მოლევნის წიგნი.
- ქ. ნაკერი ენქერი ახალი, ხავედზედ.
- ქ. ნაკერი საბუხრები მიწადაფენილი.
- ქ. ოლარი ძველი ღიბისა.
- ქ. ახალი ხავედის ანაფორა განდიდურ გადაკრული.
- ქ. ვეცხლის ყავადანი.
- ქ. ორი პატარა დაფარნა და ერთი დიდი ღიბისა, ახალი, ოსმალური.
- ქ. სტიხარი სადიაკვნო, ხათისა, ახალი.

1. კე ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის ოცდა ხუთის თუმნისა.
ქ. ხითარაშვილის ნასყიდობის წიგნი.
2. გ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი სამის თუმნისა.
3. გ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი სამის თუმნისა.
4. ვ ქ. ქალაქის მოურავის ცოლის თამასუქი ორის თუმნისა.
5. მ ქ. მარიამ ბატონიშვილის თამასუქი და მოურავისა ორმოცის თუმნისა.
ქ. ვანელის თამასუქი დახსნილი მთავარეპისკოპოზისაგან.
6. ჰ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი ხუთის მინალთუნისა.
7. დ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი ოთხის თუმნის.
ქ. ოსინაშვილის სიგელი.
8. ვ.ჰ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი ორი თუმანი და ხუთი მინალთუნი.
9. ე ქ. ზაზა ხითარაშვილის ორის თუმნის თამასუქი არის.
ქ. ურბნისის ეკლესიის ყმის სიგელი, რომ მთავარეპისკოპოზს უყიდა.
10. ი ქ. ზაზას ხითარაშვილის თამასუქი ერთის თუმნისა.
11. კ.ჰ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის თუმან-ნახევრისა.
12. დ ქ. თხუთმეტის მინალთუნის ბარათი.
ქ. ზაზას თამასუქი ორის თუმნისა.
13. ე ქ. ბეჟან არაგვის ერისთვის-შვილის თამასუქი არის სამოცის თუმნისა.
ქ. ნეტაფრასი ერთი ზაქარიასა, აქ გახლავს.
ქ. პანალია ორი ზაქარიასა აქვს.
14. ი.შ ქ. დათუა მაღალაშვილის თამასუქი თვრამეტის თუმნის, თამასუქი ზაქარიასა აქვს.
15. ი ქ. გაბრიელ სალთხუცის მაღალოვის თამასუქი ათის თუმნისა, ზაქარიასა აქვს.

16. ილ ქ. დავით ერისთავის თამასუქი, ზაქარიასა აქვს.
 მვ ქ. ბატონის-შვილის სოფიოს თამასუქი, ზაქარიასა აქვს.
 ც ქ. ანტონი ავალიშვილის თამასუქი, ზაქარიასა აქვს.
 კა ქ. ყავრის-შვილის თამასუქი, ზაქარიასა აქვს.
 ქ. ორი თამასუქი ზაზა ხითარაშვილსა აქვს.
 ქ. ერთი საათი ზაქარია ფავლენის-შვილს აქვს გასაღების გასაკეთებლად.
 ქ. ერთი საათი ნიკოლოზა ტერტერაშვილსა აქვს.
 ქ. ხუთის თუმნის თამასუქი ფრიდონ ფანიშვილსა აქვს. თითონ მიცვალებულმა მითხრა.
 ქ. მარანი აქვს კაქკაშვილსა.
 ქ. სამი ქვევრი ღვინო.
 17. ი ქ. გორელი ოსინანთ ქაიხოსროს თამასუქი ათის თუმნისა.

290. 1814 წლ. აგვისტო. ხორავის ხარჯის ნუსხა (მანუჩარ თუმანიშვილისა). დედანი. ზომა 21,5 x 17,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მანუჩარ თუმანიშვილის მიერ. მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი და ორწერტილი. საქ. სახ. მუხ. № 8014 Hd.

- ქ. ჩვიდ წელს, მაისის ა—მარიამობის გასვლამდინ ხორავის ხარჯი ამას ქვეით დაიწერება, ქკს ფბ.
- | | | |
|----|------------------------|-------------------------------|
| ჩფ | (მინალთუნ-ნახევარი) | ქ. ი ლიტრა მარილი. |
| ჩნ | (1 მინალთ. და 1 შაური) | ქ. ა ურემი ფიჩხი. |
| ცუ | (12 აბაზი) | ქ. ვ ლიტრა ყველი. |
| რნ | (სამი შაური) | ქ. ა ვარია. |
| ცქ | (13 აბაზი) | ქ. ბ ლიტრა ქონის სანთელი. |
| ტნ | (7 შაური) | ქ. ბ სტილი წმინდა სანთელი. |
| ხ | (აბაზი) | ქ. ა თიხის კოკა და ლიტრები. |
| წქ | (4 მინალთ. და 3 აბაზი) | ქ. იგ ლიტრა ხორცი. |
| ხყ | (6 მინალთ. და 4 აბაზი) | ქ. ლდ თუნგი ღვინო. |
| ტბ | (7 შაური) | ქ. კვერცხი. |
| უ | (2 აბაზი) | ქ. მაწონი. |
| ტ | (6 შაური) | ქ. რძე. |
| სნ | (5 შაური) | ქ. დალაქს. |
| ს | (აბაზი) | ქ. ფქვი(ლი)ს შემომტანს მუშას. |
| ჩ | (5 აბაზი) | ქ. ა ლიტრა ოსური ყველი. |
| ჩს | (6 აბაზი) | ქ. საყდარში. |
| უ | (2 აბაზი) | ქ. ქეთევანს და ფეფეს. |
| ს | (აბაზი). | ქ. ქალებს აბანოში. |

ა ¹ ცუ (12 მინალთუნი და 2 აბაზი)	ქ. ივ	ლიტრა თაფლი.
ცუ (12 აბაზი)	ქ. ბ	ურემი შეშა.
ცუ (14 აბაზი)	ქ. ბ	ლიტრა ქონის სანთელი.
ჩუ (7 აბაზი)	ქ. ა	ურემი შეშა.
ლ (14 შაური)	ქ.	ახალი ლობიო.
ფ (10 შაური)	ქ. ბ	სტილი წმინდა სანთელი.
ყ (4 აბაზი)	ქ.	კიტრი.
ქ (3 აბაზი)	ქ. გ	ულაყი ფიჩხი.
სნ (5 შაური)	ქ.	მე აბანოში.
ს (აბაზი)	ქ.	ქაღებს აბანოში.
რ (უზალთუნი)	ქ.	ტყემალი.
ცქ (13 აბაზი)	ქ.	მეწყლეს თიბათვეში.
ცხ (11 აბაზი)	ქ.	ხორცი.
ხუ (6 მინალთ. და 4 აბაზი)	ქ. ლ	თუნგი ღვინო.
ფ (10 შაური)	ქ.	თევზი.
ს (აბაზი)	ქ.	დალაქს.
უ (2 აბაზი)	ქ.	ზეთი.
ხ (აბაზი)	ქ.	თუთა.
რ (უზალთუნი)	ქ.	კვერცხი.
უ (2 აბაზი)	ქ.	რძე.
უ (2 აბაზი)	ქ.	მაწონი.
უ (2 აბაზი)	ქ.	ჩინურის და თიხის ქურქელი.
ყ (4 აბაზი)	ქ.	საყდარში.
უ (2 აბაზი)	ქ.	ლავეაში(?).
ჩხ (6 აბაზი)	ქ. იბ	ვარია.
ღნ (15 შაური)	ქ. ვ	ლიტრა ქარქვეტა.
ცუ (14 აბაზი)	ქ. ბ	ლიტრა ქონის სანთელი.
ტა (6 შაური და 1 ბისტი)	ქ. ბ	სტილი წმინდა სანთელი.
ა ¹ (1 თუმანი)	ქ. ნ	თუნგი ღვინო.
უ (2 აბაზი)	ქ. ა	ჩარეკი სელის ზეთი.
ქ (მარჩილი)	ქ.	რძე და მაწონი.
წ (4 მინალთუნი)	ქ.	ხორცი ცხვრის და ძროხის.
ს (აბაზი)	ქ. ბ	სტილი ალიბუხარი.
ყ (4 აბაზი)	ქ.	ლობიო.
ქ (მარჩილი)	ქ.	კვერცხი.
ქნ (13 შაური)	ქ.	ფიჩხი.
ჩქ (8 აბაზი)	ქ.	შეშა.
სნ (5 შაური)	ქ.	ნუში.
სნ (5 შაური)	ქ.	დალაქს.
რნ (3 შაური)	ქ.	ლავეაში.

აბ	(შაური)	ქ.	თიხის კურკელი.
ა	(აბაზი)	ქ.	ბადრიჯანი.
ბ	(აბაზი)	ქ.	ნიგოზი.
აბნე	(5 შაური და 1 ფული)	ქ.	მუხუდო, მუკაშარი და ოსპი.
აბნ	(17 შაური)	ქ.	ნესვი და საზამთრო.
ა	(4 აბაზი)	ქ.	მსხალი.
ა	(2 აბაზი)	ქ.	თევზი.
ა	(შაური)	ქ.	დანამასტაკი.
აბნ	(15 შაური)	ქ.	კიტრი.
აბნ	(5 შაური)	ქ.	ქათამი.
ა	(3 აბაზი)	ქ.	ვარია.
არ	(უხალთუნი)	ქ.	ხახვი.
არ	(უხალთუნი)	ქ.	მარილი.
არ	(მინალთუნი)	ქ.	საყდარში.
ატ	(6 შაური)	ქ.	ჩემთვის აბანოში.
ატ	(2 მინალთუნი)	ქ. ბ	ლიტრა ქონის სანთელი.
ა	(4 აბაზი)	ქ.	ზეთი სელისა.
არ	(მინალთუნი)	ქ. ბა ¹	ლიტრა ყველი.
ა	(2 აბაზი)	ქ. ა	ლიტრა ბრინჯი.
ა	(2 აბაზი)	ქ. დ	ლიტრა მარილი.
ა	(4 აბაზი)	ქ.	რძე და მაწონი.
არ	(უხალთუნი)	ქ.	აბანოსათვის ელისოს.
აბნი	(13 შაური და 2 ფული)	ქ. გ	ლიტრა წითელი ლობიო.
ა	(2 აბაზი)	ქ. დ	ლიტრა მწვანე ლობიო.
არ	(4 მინალთ. და 2 შაური)	ქ.	ხორცი ცხერისა.
ა	(4 აბაზი)	ქ.	ნესვი.
არ	(11 მინალთუნი)	ქ. ნე	თუნგი ღვინო.
ა	(14 შაური)	ქ.	მუკაშარი.
ატ	(6 შაური)	ქ.	ნიგოზი.
აფ	(10 შაური)	ქ.	ბადრიჯანი.
არქ	(8 აბაზი)	ქ. ბ	ურემი შეშა.
არუ	(7 აბაზი)	ქ.	ფიჩხი.
არნ	(3 შაური)	ქ. ა	სტილი წმინდა სანთელი.
არ	(მინალთუნი)	ქ.	საყდარში.
აბნ	(5 შაური)	ქ.	ფქვილი(ს) მუშას.
აბნ	(5 შაური)	ქ.	დალაქს.
ა	(აბაზი)	ქ.	სუხარი.
არ	(მინალთუნი)	ქ.	გოგის ნასყიდი.
ატუ	(12 აბაზი)	ქ.	თუნგი არაყი.

¹ ეს ასოები შეიძლება ნიშნავდეს 2-ს და 1-ს, ე. ი. სულ 3-ს.

291. 1814 წლ. ოქტომბრის 14. ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა. დედანი. ზომა: 33,5 × 21,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ. № 3766 Hd.

ჩყიდ წელსა, ივლისის ბ დღეს გრიგოლს მივართვი პატარკაცის-შვილს-პეტრეს ხელით, რომელიც ამას ქვევით სწერია:

ჟყ ქ. ა თავი შაქარი. ფასი შვიდი (მანეთი) და ოთხი აბაზი.

ყ ქ. ო სტილი ზაფრანა—ოთხი აბაზი.

ჩყ ქ. ა გირვანქა ყავა—ცხრა აბაზი.

ც ქ. ორი მანათის ჩაი.

აჩღ ქ. კგ თრიმა(?), თორმეტი წითელი, სამი შავი და თეთრი თრიმა რვა. ფასი თერთმეტი მანათი და სამაბაზ უზანთული (sic).

ყ ქ. ბ სტილი დარიჩინი, ფასი ოთხი აბაზი.

აჯ ქ. ყაჯარი და თოქალთო—ჩვიდმეტი მანათი.

ხ ქ. ცხენის იარაღი თავისის უზანგებით—ექვსი მანათი.

ჭ ქ. უნაგირი მოსართავით და ორთაყიშით—ხუთი მანათი.

ხ ქ. კაბის სარჩული და ხელფასი თავისი მასალით—ექვსი მანათი.

ეჯშ ამ ათი კალმის ჯამი ხუთი თუმანი, რვა მინალთუნი და თვრამეტი-შაური.

ამავ წელს—ჩყიდ, ოკდონბრის იდ დღეს.

აჯ ქ. გრიგოლს ქათიბის შალი—თვრამეტი მანათი.

ჩღ ქ. ამისი სარჩული რვა ადლ ნახევარი—რვა აბაზ უზანთული (sic).

ცუ ქ. ამისი ხელფასი მკერვლისა და ქურჭისა, ძაფით—თორმეტი აბაზი.

ცყ ქ. მიტროპოლიტისათვის თავთის ლეინი—თოთხმეტი აბაზი.

ჰ ქ. ამისთვის მელის ბეწვი სამი ფარდი—ცხრა მინალთუნი.

აც ქ. გრიგოლის ქათიბისათვის სინჯაფის ბეწვი ორი ფარდი. ფასი თორმეტი მანათი.

წუ ქ. ორის ქათიბის ხელფასი და ძაფის ფასი ორხი (მანეთი) და ორი აბაზი.

აყ ქ. ოქრომკედი მისხალი ოცდახუთი (ერთი თუმანი და ოთხი აბაზი).

ძ ქ. შ დასტა ფოშტის ქაღალდი—სამი მანათი.

ცუ ქ. დ დასტა დიდი ტანის ვარაყიანი—თორმეტი აბაზი.

ზ ქ. მესხს ორი თუმანი.

ე ქ. ლუარსაბ მაჩაბლის ქალის ბარათი რვა თუმნისა, მივეც ხუთი თუმანი.

წ ქ. ოთხი მანათი ოშპიტალი.

ჩ ქ. ერთი მანათი სტოროყს.

ა ქ. ერთი თუმანი მწერალს.

292. 1814 წლ. ნომბრის 6. წერილი ნონია მურადოვისა მანუჩარ თუმანოვისადმი სამეურნეო საქმეების შესახებ. დედანი, ზომა 34,4×22,4 სმ. დაწერილია. მოლქარჯო ქალაღღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი საქ. სახ. მუხ. № 6918 Hd.

მისს ბრწყინვალეებას, თავადს ტიტულარნის სოვეტნიკს მანუჩარს გოჯას-პის ძეს თუმანოვს, მოწყალე ველმწიფეს.

მღაბლად თავს გიკრავ და მუხლს გემთხვევი და თქვენს უვნებლად ბრძანებას ღმერთის მიერ ვინატრით. თქვენი წერილები მეზოდა. რაც გეზბანათ, ვისმინეთ და პასუხებიც ამ მიზეზით ვერ მოგახსენეთ: რაც ხანი ქაიხოსრო აქ ბრძანდებოდა, ამას უნდებოდი. ერთი ღღე თავი არ ღამანება, რომ ამის აქ ყოფნაში ერთი ჩანახი ღალა არა მქონია აღებული. რა წამოვიღა, მას აქეთ ვიწყე ღაღების აღება და ავკრიფე. ამას გარდა, ერედღს ფალვენი-შვილის ქაიხოსროს კაცებზედ რომელიც თქვენის თეთრის სარგებლის პურები გახლდათ და წერილიც გეზოდათ, მე და ნონია გიახელით და ავკრიბეთ და ჩამოვიტანეთ. სრულად ავიღეთ, ერთ კაც(ს) გარდა, რომელიც არის მაისურაძე ბერიკელა. ამან არ მოგვცა ორის თუმნის სარგებელი ე კოდი პური, და სხვა სრულად ჩამოვიტანინეთ და ორმოში ჩავყარეთ და გახლავსთ. ძღღე ერ(თ)ს კვირას შევასრულეთ ჩამოტანა. თქვენ რომ ღალის ნუსხა გეზოდა, იმის არავი(ს)რა მოუციათ და არც მოუცემლობის უარი უთქვამთ ამის მეტი, რომ წელს არ მოგვივიდა და ვერ მივეცემთო. გოგებაშვილმა გლახამ კი მამცა გ კოდი პური. მკედღიანთ რომ მიწა უჭირამთ, იმის წრეგანღელი ღალა, იგ კოდი პური ღალა მამცეს. და ამირანას მიწა რომ გახლავთ, იმის გ კოდი პური შარშან დავითა ბაბალაშვილმა მამცა. კიღღე ნონია ტერტერაშვილის მოცემული ხუთი კოდი პური, კოჩუაშვილისაგან მოცემული სამი კოდი პური. თქვენი ხუთი მინალთუნის სარგებელი რომელიც მამიწერია ფეტვის, გაცემულის პურზედ, თოთხმეტ კოდ-ნახევარი პური, ეს ოცღათგოამეტი კოდი პური და ნახევარი ერთ ორმოში გახლავთ და ამისას რას ბრძანებთ? აქაური ვენახები-სა თუ მოიხსენოთ, რვა კოკა ღვინო გვერგო და სამი ღიტრა ხახვი გვერგო და პური რაც აულიათ, ისეე გასაყოფი გახლავთ. ხახვი ზოგი ერედღს გავცვაღღე პურზედ და ზოგი კი გახლავთ. ამასაც როგორც იქნება გავცვლით. კულუხები ე კოკა ორთაგ გოგებანთაგან ავიღეთ და გამოვიტანე, ე კოკა აბრამასაგან, ე კოკა როსტომას-შვილისაგან და ა კოკა გოგილას ოზღებისაგან. ესენი კი ისე(გ) ისე გახლავთ, მურად(ა)ანთი კი ზეღღე არის.

ზურაბიშვილები მოგახსენებენ, ბარათი გვაქვსო, მურადაშვილისა ღალა და კულუხი ნახევარი ჩვენი არის და ნახევარი ორი წილი თქვენია და მესამედი ჩვენიო. მე კი ველი არ მოგვიღღე და თქვენ როგორ ბძანებთ? ეს ღვი-ნოები საძველოდ კი არ შეინახება და თუნგობითაც სამ შაურად ისყიდება. რას ბრძანებთ, ღრო რომ იყოს, გავყიდო, თუ როგორ მიბძანებთ? ქაიხოსროს თავისი წიგნი მივართვი და მითხრა, პასუხს მივსწერო. არ ვიცი, მოუწერია თუ არა. არჩილი ვნახეთ, ველაპარაკეთ. ას(გ) გვითხრა, თეთრის მიცემა კი

არ შემიძლია და სარგებელს პურს მივართმევო. ეს დავით მაჩაბელსაც მოვახსენე და მითხრა, მე ვნახამო, და თქვენც კიდეც ახალ მდივანბეგს ტერ-არაქელას-შვილს ისაკს წიგნი მოსწერეთ, რომ შემწვობა მისცეს. რევაზთან რომ წიგნი გებოძათ, მოუცლელიობის გამო ჯერ არ გხლებივარ და ამ ცოტა ხანში გაიხლება, ვნახამ და რასაც პასუხს მივიღებ, იმასაც მოვახსენებთ. ცხინვალს ტერ-მელიქსეთაშვილის ვენახის მოკრება რომ მოგეწერათ, აგრეთვე კიდეც მე და ნონია გაიხელით. თითონ სტეფანე კი შინ არ დაგვიხ(გ)და და ვიკითხეთ, რომ გაპარტახებულა და ერთის კოკისა არა ყოფილიყორა. ორი დღე ველოდით, არ ჩამოვიდა და ცოლს კაცი შეუგზავნეთ და იმედი მოგვცა, რომ ჩამოვა ჩემი ქმარი, მანდ თქვენთან გამოვგზავნიო, და ჯერაც არ ჩამოსულა. ჯიმშერისაძვის ქერი დაგიბარებია. ვისაც რა მოუციათ, ბარათით მოვახსენებ. ნიკოლოზ ამილახვარის ქერის ბარათი დაგიბარებიათ, არ მამცა და ამ წიგნთან მოგართვით. ყოჩუაშვილის მიწის გარიგება რომ მოგეწერათ, სამარაალია, რომ გაურიგებელი დარჩეს ამ მიზეზით: როდესაც იმ მიწას ხნევდნენ, გიორგი მოვიდა, ზურაბის-შვილს და მე შემოგვჩვილა, ჩემი ძმები მიწას ხნენ და ერთი ალო მაქვს ნასყიდო; იმათ თავიანთი წილი მოხნან და ჩემი წილი გაუშვან მოუხნავიო. კაცი გაუგზავნეთ და არა ქნეს, მძღავრობა იხმარეს. ახლა გაუჭირდათ და თქვენ გაუწუხებენ. რატომ მაშინ არ დაგვდეს პატივი? მაგრამ, რადგან შუა შემოსულხარ, ბატონი ბძანდებით და რომ ბძანოთ, თითო დღისა ჩვენი დათესილი ყანაც უნდა დაუთმოთ, არამ თუ იმაზედ ხელი ავადებინოთ. თავლის სყიდვა ხო აღრეც მამიწერია. რვა ლიტრა თავლი მქონდა ნასყიდი და ახლა ამ წიგნთან მოგართვით. ცოცხები არ იშოვება და თუ მიბძანებთ, ბირკის ცოცხს ვიშოვი და მოგართმევ. ვარცლისას ბეგრს ვეცადე ჭიკარტნითან, ხან პური ვაძლიე, ხან ფული და არ გაყიდეს. ი კოდი პური ერედულის პურიდამ ფქვილად და იე კოდი ქერი ჯიმშერისა კოჩუაშვილი ნინიას ხელით მოგერთმევა. პურის გასყიდვა გიბძანებიათ. პურის ვაჭარი რუსების მეტი არავინ არის და რუსების მიბარებას ურმები და ტომრები უნდა, ამა მე რა ვქნა მარტო. შენს მზესა ვფიცამ, ცოტა თუ ბევრი მე ყოველთვის თქვენს საქმეს და სამსახურს უნდები. რადგან ბძანებთ ამ პურის რუსების მიბარებას, კაცნი, ურმები და ტომრები მიჩინე და მივაბარებ. თეთრის სარგებელი კოჩუანთ პური მამცეს და აბელაშვილისა თქვენ მოგეწერათ—აქ მამცაო, და დარჩიაშვილი კი არ იძლევა—ქორწილს ვაპირობ და ახლა ვერ მივეცეო. ელისბარ კრისთავი იმერეთს არის. სელი გებძანათ, გამოახდევინეო. წელს ერთი კოდი სელის მეტი არა გვაქვს და ასლი სულ არა მქონია და არც არავის ჩვენს კაცებში მეგულება. ურმებისა მოგეწერათ: ნინია გოგებაშვილისა ა ურემი, გოგებაშვილი გლახასი ა ურემი, თანდიაშვილი ზურაბასი ა ურემი, აბრამასი ა ურემი, როსტომაშვილი ნონიასი და ჯომარდის ობლებისა ა ურემი, ა ურემი ნინუასი, ნახევარ ურემი კოჩუაშვილი გლახასი, ა ურემი კიდეც ახლა რომ კოჩუაშვილის გელით გაიხლებათ. რომელიც პური იყო მქედლიშვილებზედ, ვთხოვე და ტერტერასაც ვათხოვინე და არ მომცეს—მანამ არ გაგვყორან, აოას მივსცემთო. ამათი თასი რომ დაგებარებინათ, ამ უამად კო-

ჩუაშვილის კვლით მოგართვი. სიმინდებზე ხდება, ზოგს ტილი ეხვევა და ზოგი ახალია ასადები. თუ გასავალი რამ ჰქონდეს, მანდ დაიბარეთ და აწ ერთი გზით უწამლოთ რამე. ნოემბრის ე-სა, ჩყიდ-სა წელსა. თქვენ და ფირანიშვილის მამული რომ გახლავს წყაროს თავზედ, ბაშინჯალელი უმორჩილესი მოსამსახურე მამასახლისი ნინია, თანდროვი ნონია დადგა, საიტაშვილი გიგოლა, ცარელაშვილი სიმონა დავაყენეთ, ჩარეხაშვილი როსტომას ობლები დგანან, სახლები (ა)აშენეს. ფხაკუა დავობს, გვეჩხუბება და ამისი როგორ არის? რომელიც ვთხოვე და დამპირდი ბოძებას, იქნება დაგავიწყდათ, წყალობას ვითხოვთ მიბოძოთ.

თქვენი მონა, ნონია მურადოვი.

პირველ გვერდზე: ყოჩუაშვილს ურემზე უძევს დ ტომარა, გ ტომარა ფქვილი, ერთში თუ იქნება ა კოდის ოდენა.
ქ. დ. კოდი ქერი წელსა ხონია ბაშინჯალელმა..
ქ. ე კოდი ნინუაშვილმა.
ქ. გ კოდი ზაზამ.
ქ. გ კოდი ბერძენაშვილმა.

უკანასკნელ გვერდზე: მის ბრწყინვალეობას ტიტულიარის სოფეტნიკს მანუჩარს გოჯასპის ძეს თუმონოვს, მოწყალე კელმწიფეს.
ტფილისს

- ქ. ერედედამ (sic) ჩამოტანილის პურისა.
- ქ. ძველი ღალის ნუსხისა.
- ქ. მჭედლიანთ მოცემულის საყდრის მიწის პურისა..
- ქ. გლაზა გოგებაშვილის გ კოდი პური.
- ქ. ამირანას მიწისა გ კოდი პური.
- ქ. ნონია მურადოვის ე კოდი პურისა.
- ქ. კოჩუას-შვილის სარგებლის გ კოდი პურისა.
- ქ. ვენახების მოსავლისა და კულუხისა მოსავალი 5 კოკა.
- ქ. ბაღის მოსავლისა ხახვი ლიტრა სმ, პურიც სხვა.
- ქ. ჯიმშერის ქერი . . . რომ ემართათ იქიდან იე კოდი.
- ქ. თაფლი 5 ლიტრა მე
- ქ. ვერცხლის თასი გორი
- ქ. ახალდაბის კულუხი საკუთარი კოკა 5.
- ქ. ზურა . . . ან საერთო კულუხი.
- ქ. ლმ. კოდი პური ერთ ურემში უყრია.
- ქ. ჩემის დის ი კოდი პური კოჩიაშვილმა ჩამოიტანა ნინიამ¹.

¹ უკანასკნელი 16 სტრიქონი ქალაღის ზურგზე სწვრია მანუჩარ მდივნის ხელით.

293. 1815 წლ. მარტის 14. ანდერძის წიგნი ბაღდასარასი, დატოვებული მანუჩარ და შიოშ მდივნებისათვის. პირი. ზომა 45 X 17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ. № 14600 H.d.

მათ, ჩემს მოწყალეს და ჯელმწიფეს ბრწყინვალე თავადთ მდივანთ მანუჩარს და შიოშს), მდაბლათ თქვენის ყმის ზაღდასარასაგან მოხსენება.

რადგან მიწვეულ ვიქმენ (მ)ბრძანებელთა და სოფელი ესე განვლე და თქვენის ქირის სანაცვალოდ მივდივარ, ამისთვის მაქვს სრული გაბედვა და მოხსენება, რათა მეპატრონოს მეცა და შვილთა ჩემთა. რომლისაც მქონებელ ვარ ამისგან, რომელიც აღინიშნება ამას ქვევით ნუხსით, ჩემი ქონება ეს არის.

თ ქ. თამასუქი მაქვს ფხვენელი თაუშაგაძის. თუმანი ორ შაურად. ცხრა თუმნისა. სხვა თამასუქებიც მიქირამს ძველი. თუ გნებედეს, ანგარიში ძველზედ გამოართვი, თუ გნებავს—ახალზე, რომ ჩვენის ანგარიშით ორმოცდაათობმეტ კოდ პურად გადაუწყვიტეთ¹ და ეს პურიც ფქვილათ უნდა იანგარიშოთ². და ეს ზემოხსენებული თამასუქი ასე ცხრა თუმნათ დაუწერეთ. მერე ლაპარაკი არ დაიწყოს.

ბჟუ ქ. ფხვენის(ს) ფალვენის. შვილებს დათას და იმის შვილებს გლახას (და) სვიმონას მართებს თამასუქით სამი თუმანი, შვიდი მილანთუნი და ორი აბაზი. ამის გარდა სარგებელი არის დარჩომილი. რომელიც თერთმეტი კოდის პურის თამასუქი მაქვს, იმას თარიღს აქეთ სამი კოკა ნახევარი ტკბილი წრეულ გამოვართვი ფასათ ჩ (15 აბაზი). და რამტენიმე ოინი გასწიეს. ჩემი გირაო ვენახი ურიასთვის დაეგირავებინათ. მერე მე ხუთის თუმნის თამასუქი დამიწერეს და ის თამასუქი სასამართლოში ძვეს. და ამის ძმის სეხნიას ხვედრი ფული ამ თამასუქისა კი მამცა აცქ (12 მინალთუნი და 3 აბაზი), თავის სარგებლით. და დათაზე დარჩა ზემოხსენებული ფული.

ბქ ქ. ურზნის(ს) კოკოზაშვილზე არის თამასუქით (3 მინალთ. და 3 აბაზი).

ბ ქ. ბარათითაც არის იმაზე (4 აბაზი).

ქ. ტინისხიდს ყაყიდას შვილს შავერდას მართებს სარგებლის პური კოდი იე. თუთაშვილმა ქრისტესიამ იცის, ბაბალაშვილმა გიგოლამ და თეთრი ჩემ(მ)ა მოვალემ გამამართვა, რომელიც თერთმეტი თუმანი მემართა, იმაში.

ქ. ხელთუბანს კოჩუას. შვილს კამბეჩი თავის ზაქით შივაბარე წერილით. მომიკლა. არც ტყავი მოუცია და არც სხვა ანგარიში ამ კამბეჩისა გამიწმინდა.

ქ. რომელსაც სახლში ვიდექ, იმ სახლის ნაშენობა ჩემია სრულად და სამ თუმნად დაუგირავე ჯავახ ნონიას. სახლის ავეჯი სპილენძიული მქონ-

¹ დედანში: „გატაწყუტეთ“.

² დედანში: „იენგარიშეთ“.

და ორის თუმნისა და ისიც იმას მივეც. ჩენს აღებულ ვალში სხვა და-
ნარჩომი ან ლოგინი და ან ზუთიოდ ნაჭერი სპილენძი კი თან წაიღე
კახეთს.

ა ქ. თავშავაძეს სოსიას მართებს თამასუქით (1 თუმანი).

ბ ქ. ოპანჯანაშვილს მართებს ფული (6 მინალთუნი). კიდევ ეს ორი კა-
ლამი ამ თარი(ლ)ში ჩემი სახარჯით მე ავიღე. დაიწერა მარტის დ, ქკს
ფვ. ოპანჯანას-შვილს ექვსი მილანთუნი (sic) მევე, გამოვართვი.

ქ. კახეთს რაც ხანი ვიყავ, იქაურიც საქმეები ასე მომიხსენებია.

ქ. გოგნაშში თამასუქით ჩემი და ჩუხრუკაძის მართებს ივანეს გვარი თა-
მასუქები, სწერია შვიდ საპალნე ღვინოდ.

ბ ქ. უტოსა გვაქვს ნუსხით (sic) შიო ღურგალთან ექვსი მინალთუნი.

ცს ქ. ერთი საარაყე ქვაბი გვაქვს თავისი გამართულობით. ამასთან გვაქვს
გირაოთ ერთი ცული, ერთი ცელი, ერთი ბარი (11 აბაზი).

ჩს6 ქ. გოგოსანთ იოსებას მართებს ნუსხით (6 აბაზი და 1 შაური). ეს ოთ-
ხი კალამი ჩუხრუკიძესთან არის სანახევროდ.

ქ ჩემთვის ვიყიდე ოთახის ნაშენობა სიღნაღს, ორ-თუმან-ნახევარია. ის
ჩემია ამის ადგილით. ამას გარდა ერთი ვერცხლის თასიც აბარია მირ-
ზანელს ოპანჯანას თერთმეტის მინალთუნისა. ამის სიგლები, ძველიც
და ახალიც, მირზანელს ოპანჯანას აბარია. ეს არის ჩემი შეძლება,
ღვთის წინაშე.

დ ქ. ამავე ოპანჯანასი (მ)მართებს (4 თუმანი), მე რომ თავდებათ დაუყენე
სხვას. წერილიც აქვს.

ე ქ. ფეიქარი იასესი (მ)მართებს თეთრი თამასუქით (6 თუმანი).

იჭ ქ. ხუთი თუმანი და შვიდი მინალთუნი მატარებლიანთ არუთინას ცო-
ლისა (მ)მართებს თამასუქით.

ქ. ოთხი მილანთუნიც კიდევ სხვა უნდა მივცე და თამასუქი აქვს¹ ერ-
თის თუმნის. ის კი უნდა მომცეს.

ქ. ფერალას-შვილ(ი)ს ისაკას თამასუქი არის თორმეტის კოდის პურისა.
ნახევარი ამ პურისა ჩემია, ნახევარი ხუროს-შვილის მიქელას ქვრივისა
არის. ბატონის ჩემის დის მაიასი თეთრი რომელიც მემართა თამასუქით
თვრამეტი თუმანი, იმის ანგარიში ასე მაქვს: გავლილი სარგებელი მი-
მირთმევია, ოთხი თუმანი, ბატონის მანუჩარის ხელით. თავნიც ლობიო
ჩამოვიტანე, მაშინ მოვართვი. ერთის თუმნისაც ხომ ლობიო განომართვი
და მიბრძანე თუ: „მე მივცემ“. ეს გახდა რვა თუმანიო თავნი და
ამას გარდა დარჩება თავნი ათი თუმანი. ახლა ამას გვეედრებით,
რადგანაც ჩემი ახი ასაღები იყოს, იქიდანამ აიღოთ, რომ მაგას თავისი
თავნი შეუსრულდეს, რომელიც ჩემი ობლები არ დამიტყვევდეს, თავ-
ვის სულის სამეოხოთ.

¹ დედანში ამის შემდეგ: „და“.

ქ. ავლაბარში მეჯოგე ოტურას-შვილს ნონიას ცხენი მიბარია¹. ქართველების აღების ღამეს გიორგობისას მივებარე და საკვებავი არა უჭირავს რა და მანდაური განწესება თქვენ უკეთესად იცით, ის უნდა მიეცეს და ცხენი ჩემია. ამის იარაღი იმერული კეხია თავის აღვირით, ავშრით, თაქალთით. ერაპეტა არის ავლაბარში, მურადას-შვილმა გიორგიმ იცის, ესენი იმას მიბარია.

ახლა ჩემი ვედრება ეს არის, ჩემს საქმეს და ჩემს ობლებს თქვენ გაბარებთ. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ უნდა უპატრონოთ და მოუაროთ, ჩემო ველმწიფენო და ჩემო პატრონო. თქვენის მეტის მწყალობელი და პატრონი არაფერს მყავს. დაიწერა მარტის დ, ქქს ფგ. ღვთის წინაშე მე, ბაღდასარამ, ეს ანდერძი ჩემის სიცოცხლის დროს დავაწერინე, ეს ჩემი ხელია.

ქ. ბაღდასარას სიცოცხლის თხოვნით ამ ანდერძს ხელს ვაწერ, წმინდის სტეფანის დეკანოზი ტერ-გრიგოლა.

ქ. ამ ანდერძის მოწამე და დამსწრი ვარ მე, ისაია ამირალოვი, ბაღდასარის სიცოცხლის დროსა.

ქ. ამ ანდერძის დაწერის უამს მოწვეულ ვიქმენ ბაღდასარისაგან და ამის თხოვნით მოწმობა ესე მოვაწერე მე, ტერ-სტეფანემ.

ქ. მე, ახალი საყდრის დეკანოზმა ტერ-ბარსელამ, ამ ანდერძის ასლი ვნახე და ეს პირი გადმოვწერე.

რასწამს ეს ანდერძის წიგნი მოგივიდეს, ფხვენელი თავშევაძე გიორგი დაიბარე და ანგარიში გამოართვი, თორემ რუსეთს მიდის. ამას გარდა ამ გიორგის თორმეტი კოდი პური კიდევ სხვა მართებს და ჩემის სიძის ნონიას სახელზედ არის დაწერილი ბარათი, მე ამისგან დავხარჯე, და ძაგან უნდა მოსცეს ულაპარაკოთ.

ეს დათაც და ამის შვილებიც მანდ დაიბარე და როგორც რიგი იყოს სამართალი, ისე უანგარიშე და გაუსწორდი, ჩემო მოწყალეე ბატონო.

294. 1815 წლ. აპრილის 30. ვალის ანგარიშის ნუსხა, მილახვარის იოსებუ ყორღანაშვილის და მისი ძმისწულის ალაღუა ყორღანაშვილისა, დედანი. ზომა 34x22 სმ. დაწერილია ლურჯ ქალღმრთე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახშირია წერტილი.

საქ. სახ. მუხ. № 3883 Hd.

შდრ. აქვე საბუთი № 3691 Hd.

ჩემი წელს, აპრილის გასულს დავსწერეთ ეს ნუსხა, რომ ჩვენის განაჩენის ასაღებებდამ რაც გამოსულა, იმისი ვის რაც მიჰბარებია თავთავის თარიღით, ამას ქვეშოთ დაიწერება.

¹ ამ სიტყვის წინ ეწერა და წაშლილია: „მივებარე“.

კზ

ქ. ტერტერამელი დანელას მეუღლისა და იმის შვილის თამასუქებისა. ქკს უფთ, თიბათვის დამდექს. თავნი.

კდ

ქ. თაყოაშვილი ისაიას თამასუქისა. ქკს უფთ, მაისის ა. მამულის კვალად.

კე

ქ. კრწანელი ავეტიკას თამასუქისა. ქკს ფ, იანვრის გასულს.

მ

კ

ქ. იაგულაშვილის ზაალის თამასუქისა ერთი ორად. ნოემბრის იმ, ქკს უფგ.

ქ. იოანე ზეგთაბეგოვის თამასუქის თეთრი რაც მივიღეთ, გავიყავით.

ლ

ქ. ტერ-არაქელას თამასუქისა. ქკს უფდ, მარტის ა.

ლ
ც

ქ. კრწანელი პეტრუხას თამასუქისა. ქკს უფდ, დეკ-ნობრისთვის ა.

ნ

ქ. დავით ბებულდოვისა. ქკს უფდ, მარიაშობის ა.

ნ

ნ
ც

ქ. გიორგი ჩიქოანის თამასუქისა. ქკს უფთ, იანვრის ა.

ნ
დ

ქ. ტერ-ყაზარასი და იმის ძმის თამასუქისა. ქკს უფგ, მარტის ა.

ნ
დ

ნ
დ
რ

ქ. ჰაუშტრიანთ მარქარ დედასი.

ქ. გიორგი ნაზარბეგოვისა. ოქტომბრის თ, ქკს უფგ.

ნ
დ

ქ. ბასტამოვისა. ქკს უფგ, მაისის ა.

ნ
დ

ქ. ამისიფე თამასუქისა. ქკს უფზ, აგვისტოს თ.

ნ
დ

ქ. მენარმე ჰაზიას თამასუქისა.

ქ. ავეტიქ როტინოვის თამასუქისა. ქკს უფდ, ქრისტიშობის ი.

ნ
ვ

ქ. მუნთოანთ ოსეფას თამასუქისა ერთი ორად. მილახერიანთ იკისრეს, რომ მიკირტუმა იმათ უნდა გაუსწორდეს. ქკს ფბ, ქრისტიშობის ა.

ნ
ვ

ქ. ყალთან ბაღდასარანთ თამასუქისა ერთი ორად. ქკს უფე, ქრისტიშობის ა.

ქ. მელიქ ფრიდონას თამასუქისა. ქკს უფდ, დეკნობრისთვის ა.

ნ
ვ

ნ
ვ

ქ. სააკოვის თამასუქისა ჩემი წილი ანც, იმათი წილი ანჯ. თიბათვის იზ, ქკს უფზ.

ქ. იაკობ ჰაუშტროვის თამასუქისა. ქკს ფაჟ თიბათვის ივ.

ნ
ვ

ქ. მავრიანთ ნონიასი. ქკს უფე, ივნისის გასულს.

ნ
ვ

ქ. ამისიფე თამასუქისა. ქკს უფზ, ივნისის გასულს.

ნ
ვ

ქ. ზაქარაბეგიანთ ნიკოლოზასი. ქკს უფე, მაისის იბ.

ნ
ვ

- ოთხ ქ. ბოქოულიშვილის ცოლისა. ქკს უუზ, მაისის ა. რთჳ
- ქ. ანდრია ვასილიჩის ოქროებისა. ქკს უუზ, ოქტომ-
ბრის დამდეგს. ღწ
- ქ. ნალბანდ ყაზარასი ჩემი წილი იმ, იმათი წილი კწ.
ქკს უუზ, იანვრის ა. მე
- თ ჩრნ ქ. ჯარდანის-შვილის თეთრისა. ქკს უუთ, ნოემბრის
გასულს.
- ო ქ. ორთაქალის ბაღისა. ქკს უუე, აპრილის ა. მექქ

295. 1815 წლ. ნოემბრის 26. შოსრუას-შვილი მკედედი გოგიას მეფულის
სუსანას ქონების ანგარიში, შედგენილი გაყრასთან დაკავშირებით. დართული აქვს
მისი ქალის, თალალას, მზითვის ვალის ნუსხა. დედანი. ზომა 35,2x22,2 სმ. დაწე-
რილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ. № 14723 Hd.

ამ საბუთის შედარება საბუთებთან №№ 3567 Hd, და 14722 Hd. (იხ. აქვე) ცხადყოფს
მათს უშუალო კავშირს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ სამივე დასახელებული საბუთი და-
კავშირებული იყოს მეოთხე აქვე დაბეჭდილ საბუთთანაც № 8672 Hd.

ლთს წინაშე, მე, სუსანას, რაც ჩემის ქალის მინაცემ გარდა მაქ, ქვე-
მოთხრობე ამისა იწერება:

- ქ. ერთი თუმანი თეთრი.
- ქ. ერთი ნაპოვნი ოქრო ჩემი.
- ქ. ერთი იაკოფასაგან(ნ) პირისანახავათ შორთმეული ბეჭედი.
- ქ. მარმარის ჩადრი, შვიდი მინალთუნი მივეცი ეხლა.
- ქ. ერთი ძველი გრიზეთის ქათიბა, ჩემი დედამთილის სიკვდილზე ნასყიდი.
- ქ. ერთი ნაშურის კაბა, შარშან მარიობისთვის შეკერილი, მაცვია.
- ქ. ორი წვეილი პაიკი გავყიდე. ერთი თითონ სოსიას მივეციდე და ერთი
ოთხბაზიანი ჩიქილა ვიყიდე და ისა მხურამს.
- ქ. ლთს წინაშე ორი წელიწადია არხალუხი არცა მცმია და არც მაცვია.
- ქ. ერთი ყალამქრის თასაკრავი.
- ქ. ერთი ძველი შალის სარტყელი.
- ქ. ერთი ერევნული საბნისპირი.
- ქ. ამას გარდა ზანდუქის რამე, თუ ან გაცემული, ან სხვა რამე, უწილოდ
მაგისი იყოს, თუ ერთის ფარის მიპონოს (sic) სადმე რამე.
ამ ნუსხის ყაბული მაქს მე, სუსანასა.
ამ ჩვენ შემოტან(ილს) წერილებსგან(ნ) იგ(sic) ხსენილებულების გარდა,
რაც ან ჩვენი, ან მზითვისა დამალული იპოვნო, ჩვენ უწილო გავიდეთ.

მე, პეტრეს, დამიწერი(ა) ბიძაჩემის თხოვნით, ეს ხელი მოაწერეს. გიორგობის კვ, ქქს ფვ.

რაც ჩემის ქალის, თალალას, მზითვისათვის ვალი ავიღე:

- იბ (12 თუმანი) ქ. ჩემის ქალის მაიასაგან ვიყიდე თავისის მზითვის ტანისამოსი და სხვა ნივთი.
- ბ (3 თუმანი) ქ. ტერ-სტეფანასი მმართვეს.
- ა (1 თუმანი) ქ. ალელ ბეჟანაშვილის ისაიასი მმართვეს.
- გ (3 თუმანი) ქ. ტერ-დავითანთ ქალი იაგუნდასი მმართვეს.
- ვ (7 მინალთუნი) ქ. ტერ-სამოელაანთი მმართვეს.
- ჟ (7 მინალთუნი) ქ. ტერ-სააკანთ მარინესი მმართვეს.
- ც (2 მინალთუნი) ქ. ბაბალაანთ ელიზბარასი მმართვეს.
- ჩქ (8 აბაზი) ქ. ალაპაპაანთ ისაიასი მმართვეს.
- ჩქ (8 აბაზი) ქ. ალელი პეტრეს-შვილი გასპარასი მმართვეს. რკინა-წამოვიღე ახალდაბული, სახნის-საკვეთი რომ გავაკეთ(ე) და პური მამცეს, იმისი ფული.
- ჯამი გახდა ოცი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ერთი აბაზი.
- წქ (2 თუმანი და 4 მინალთუნი) ქ. გარდა ამისა, მოჯამაგირე მყავს ანდრია, უნდა მივცე.

296. 1815 წ. ალაღუა ყორღანოვის ანგარიში, წარდგენილი მედიატორთა წინაშე. დედანი. ზომა 34,5×22 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3891 Hd. შდრ. აქვე საბუთი № 3883 Hd.

ბრწყინვალე თავადთ ჩვენს აღმორჩეულთ მედიატორთ წინაშე ალაღო ყორღანოვისაგან თხოვნა.

განსვენებულის ბიძის ჩემის მილახვრის იოსებ ყორღანოვისა და ჩემი გასამყრელო მედიატორთ განაჩენები არის ცამეტი პუნქტი და განაჩენს გარდა ფურცლები მედიატორთაგან ხელმოწერილი და განაჩენთან ერთად მოცემულნი.

განაჩენის პირველი პუნქტი სრულიად დარჩომილ არს აღუსრულებლად, რომელსაც პუნქტსა შინა განჩინებულ არს ესრეთ: „რაც ნაღდი თეთრი აქვთ შინ თუ ვარეთ, ან ფარჩა, ყველა სამ წილათ უნდა გაიყონ, ორი წილი მილახვრისა და ერთი წილი ალაღუასი. რაც მილახვარს და ალაღოას ვალები აქვთ, თუ თავიანთის მეუღლეებისა, თუ ალაღოას ქალის მზითვეი, ჯერ პირველად იმ ასაღებებიდამ რომელიც ნაღდი გამოვიდეს, ესენი აიღონ და რაც ძირს გასაყოფი დარჩეს, მერე ის გაიყონ“. კურთხეულმა მილახვარმა შემდგომ განაჩენის მიღებისა აღასრულა ისე, როგორც განაჩენში ეწერა და რაც ჩა-

იგდო, საერთო ასაღებებიდამ მიიღო. რომლიდამაც რაც მიუღია, ქვემოთ
სახელდობ და თარიღებით დაიწერება.

- კ^შ (27 თუმ. და ქ. ტერტერაშვილი დანელას მეუღლის და იმის შვილის
5 მინალთ.) თამასუქებისა ჩყია წელს, ივნისის ა.
- კ^დ (24 თუმ.) ქ. ისაი თაყოვეისაგან ჩყია-ს წელს, მაისის ა-ს.
- კ^ა (20 თუმ.) ქ. ზაალ იაგულოვისაგან ჩყვ-ს, ჩყე-ს წელს, ნოემბრის ა-ს.
- რ^ა (4 თუმ.) ქ. ტერ-არაქელასაგან ჩყვ-ს წელს, მარტის ა-ს.
- რ^ც (10 თუმ. 2 მინ. და 10 შ.). ქ. კრწანელი პეტრუზასაგან ჩყწ წელს, ნოემბრის ა-ს.
- რ^ბ (100 თუმ.) ქ. დავით ბებუდოვისაგან ჩყვ-ს წელს, აგვისტოს ა-ს.
- მ^ც (5 თუმ. და 2 მინალთ.) ქ. გიორგი ჩიქოვანისაგან ჩყია-ს წელს, იანვრის ა-ს.
- კ^ე (25 თუმ.) ქ. ტერ-ყაზარასაგან ჩყწ-ს წელს. მარტის ა-ს.
- მ^შ (40 თუმ.) ქ. ჰაუშტრიანთ მარიამისაგან ჩყვ-ს წელს, აპრილის ა-ს.
- ნ^ა (50 თუმ.) ქ. ასატურას დუქნის სათაენო ჩყვ-ს წელს, იანვრის ა-ს.
- ნ^დ (35 თუმ.) ქ. ნაზარბეგოვისაგან ჩყწ-ს წელს-ს, ოქტომბრის თ-ს.
- რ^ი (110 თუმ.) ქ. ბასტამოვისაგან ჩყწ-ს წელს, მაისის ა-ს რ^ია (115 თუმ.).
აქედამ ე (5 თუმ.) მილაძერის მიცემული შტრაფი გამო-
ველ. დარჩა.
- მ^ე (5 თუმ.) ქ. მენარმე ჰახიაშვილისა ჩყია-ს, სექტემბრის ია-ს.
- ნ^ე (55 თუმ., 7 მინ. და 1 შაურთ) ქ. იოსებ მუნთოვეისა რ^ბ (140 თუმ.) თამასუქიდამ ჩყე-ს
წელს, მარტის ა-ს.
- რ^ლ (139 თუმ., 7 მინ. და 15 შ.). ქ. ამავე თამასუქიდამ ჩყთ-ს წელს, მარტის იე-ს.
- პ^ა (80 თუმ.) ქ. ყალოვისაგან ჩყვ წელს, დეკემბრის ა-ს.
- რ^ფ (75 თუმანი, 6 მინალთ. და 13 შაურთ) ქ. ბოქაულიშვილის თეთრიდამ ჩყთ წელს, მაისის ა-ს.
- რ^ჩ (9 თუმ., 1 მინ. და 3 შაურთ) ქ. ჯარდანიშვილისაგან ჩყია-ს წელს, დეკემბრის ა-ს.
- ფ^ა (500 თუმ.) ქ. ჩვენს საერთო ფრკაშოვებს არტურ და გეურქასთან მყოფი
რ^ნ (750 თუმ.) შავი ფული სათაენო იმავე ფრკაშოვების
ხელში შემდგარა რ^ფ (500 თუმ.) თეთრი ფული. ჩყე-ს წელს,
იანვრის ა-ს ჩემი წილი სათაენო მე არ დამანება და იმავე
თავით კურთხეულმა მილახვარმა გამოართო და მაგიერ
იმ სათაენოს თეთრისა და მოგების შეძინებისა ფრკაშო-
ვები ცარიელის ბარათების უკან ატარა და იმას აქეთ
ამდენის წლის ჩემის წილის მოგებიდამ ჩემი შესახვედრი
სათაენო მოაციდინა და ამდენს ხანს რაც მოგება შეხვედე-
ბოდა ჩემს წილს სათაენოს, ის თქვენმან მართლმსაჯულე-
ბამ განაგოს, რომ რა ერთი ზარარი მაქვს. ხოლო ამ
სათაენოს ჯამია თეთრი ფული.
- ფ^ბ (566 თუმ. და 5 მინ.) ქ. ამის გარდაკიდევ იმავე ფრკაშოვებთან მყოფი მ^ე (45 თუმ.)
და ფარსადან ასლანოვთან ვექსილით მყოფი მ^ე (800

თუმ.) შავი ფულები, რომელიც ჩყე-ს წელს, ივლისის ღვთაბოძა ჩემს მიუღია, რომელიც თქვენთანაც ცხად არს და ვაჭართაც იცოან, რომ იმ ჟამს ეოთი თუმანი შავი ფული იყო შვიდი სინალთუნი თეთრი ფული.

ჩუპავრ (1882 თუმ. ქ. ჯამი ზემო ოცი კალამი მილახვრის მიღებული ჩვენი საერთო სამწილად გასაყოფის თეთრებისა ათას რუგას ორმოცდაორი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ორი შაური, რომ ამ ჯამის ორი წილი მილახვრისაა და ერთი წილი მე უნდა მომცეს მილახვარმა.

სამათ გასაყოფის საერთო თეთრებისა რაც მე მიმიღია:

- რ (100 თუმ.) ქ. დავით ბებულოვისაგან ჩყე წელს, აგვისტოს ა-ს.
- რ (100 თუმ.) ქ. ტერ-ყაზარასაგან ჩყე წელს, მარტის ა-ს.
- რ (110 თუმ.) ქ. ბასტამოვისაგან ჩყე წელს, მაისის ა-ს რე (115 თუმ.). აქედან შტრაფი გასულა ე (5 თუმ.), დარჩება ჩემი მიღებული.
- დ (35 თუმ.) ქ. ამისიევე ვადის თამასუქისა ჩყე წელს, მაისის ა-ს.
- დ (64 თუმ. და 4 მინ.) ქ. როტინოვისა ჩყე წელს, დეკემბრის ი-ს.
- ფ (16 თუმ. და 5 მინ.) ქ. მელიქ ფრიდონისა ჩყე წელს, ოკტომბერს ა-ს.
- თ (9 თუმ.) ქ. მავრიანთ გირაო დუქნისა ჩყე წელს, ივლისის ა-ს.
- ვ (3 თუმ. 7 მინ. და 2 შაური) ქ. ზაქარა-ბეგიანთ გირაოსი ჩყე წელს, ივნისის იბ-ს.
- რკჯტნ (123 თუმ., 8 მინ. და 7 შაური) ქ. ბოქოულიშვილის თეთრისა ჩყე წელს, მაისის ა-ს.
- დ (4 თუმ. და 7 მინ.) ქ. ანდრეევისა ოქროებისა ჩყე წელს, ოკტომბრის გ-ს.
- პ (81 თუმ. და 9 მინ.) ქ. ნაზარბეგოვისა ჩყე წელს, ოკტომბრის თ-ს.
- ფ (15 თუმ.) ქ. იაკობ ჰაუშტროვისა ჩყე წელს, ივნისის იე-ს.
- ნ (58 თუმ.) ქ. იოსებ მუნთოოვის რ (140 თუმ.) თამასუქის დანარჩენი ჩყე წელს, ივნისის იე-ს.

დკუთნ (722 თუმ. და 9 შაური) ქ. ჯამი ზემო ცამეტი კალმის ჩემგან მიღებული საერთო სამ წილათ გასაყოფის თეთრებისა შვიდას ოცდაორი თუმანი და ცხრა შაური, რომლისააც ერთი წილი ჩემია და ორი წილი მე უნდა მივცე მილახვარს.

ხუთათ გასაყოფი თეთრებისა, რაც მილახვარს მიუღია:

- ნნ (153 თუმ.) ქ. სააკოვის მამული რომ გავყიდეთ ჩყე წელს, ივნისის იე-ს.
- ო (10 თუმ.) ქ. სულოვის მოცემული ბალის შენობისა ჩყე წელს, აპრილის ა-ს.
- პ (26 თუმ.) ქ. კრწანელი ავეტიქას ვენახი რომ გავყიდეთ ჩყიბ წელს, მარტის ა-ს.

რპთ (189 თუმ.) ქ. ჯამი სამი კალამი მილახვრის მიღებული თეთრებისა ასოთხმოცდაცხრა თუმანი, რომლისაც სამი წილი მილახვრისაა და ორი წილი მე უნდა მომცეს მილახვარმა.

ხუთ წილათ გასაყოფი თეთრებისა რაც მე მიმიღია:

მე (45 თუმ.) ქ. ნალბანდ ყაზარას სახლისა ჩუთ წელს, ანერის ა-ს.
ნაქ (51 თუმ.) ქ. სულოვეის მოცემული ბალის შენობის თეთრისა იყო გქ (63 და 3 აბაზი) თუმ. და 3 აბაზი). აქედამ ბეცია სარდალს და დავით მაღლოგს მისცემია ფიცის აცილებისათვის გ (2 თუმ.), მილახვარის მიღებული, რომელიც ზევით სწერია ე (10 თუმ.). დარჩა ჩემთან ამ თეთრისა ჩუზ წელს, აპრილის ა-ს

უპმ 196 თუმ. ქ. ჯამი ზემო-ორი კალამი ჩემი მიღებული ხუთად გასაყოფის სადა 3 აბაზი) ერთო თეთრებისა ოთხმოცდა თექვსმეტი-თუმანი და სამი აბაზი, რომლისაც სამი წილი მილახვრისაა და ორი წილი ჩემია. რაც ბიძაჩემმა მილახვარმა თეთრები უნდა მომცეს საკუთარ თავისის ქონებრიდამ.

ნა (72 თუმ.) ქ. სახლის ფასისა ჩემი წილი ჩუვ წელს, აპრილის პირველიდამ, რომელიც პირველის პუნქტისამებრ განაჩენში ნუსხით საბოლოთ დაწერილ არს და გარდაწყვეტილ.

ბ (2 თუმ.) ქ. საერთო ასაღებებისა დიმიტრი სავინოვის მისაცემი თეთრისა, რომ ორი წილიც მიიღო და ჩემი ერთი წილისაგანაც მიიღო ჩუიე წელს, თებერვლის ა-ს.

ლუცუნ (37 თუმ., 12 აბაზი და 1 შაური) ქ. ფურცლის ძალით მამულების ქონებისა, ჩემი წილი რომ უნდა დამიბრუნოს თვეში გჰმ (3 თუმ. 1 მინალთ, და 2 ბისტო), ერთი წლისა იქნება.

დქს (4 თუმ., 7 მინ. და 1 აბაზი) ქ. იმავე ფურცლით ფასსაკულის ვენახისა და კვეზერლის გიმინ. და 1 აბაზი) რაო ბალის იჯარისა ჩემი წილი გაუჩენიათ.

გქს (6 თუმ., 5 მინ. და 1 აბაზი) ქ. იმავე ფურცლით იმავე ღროს ჩვენის მოსავლის პურისა და წისქვილის მინდის, ჩემი წილი რომ გაუჩენიათ პური კოდი ლბ და ლიტრა ვ, რომ ამას შემდგომ პურის ფასი როგორ ძვირად ყოფილა ერთი ხუთათ და უფრო მეტათაც მაგრამ მე კოდს ორ მინალთუნათ ვაღებ. იქნება.

ე (3 თუმ.) ქ. იმავე ფურცლით ველისციხურის ჩვენის ვენახის ერთი ურმის ღვინისა ჩემი წილი გაუჩენიათ, რომ იქნება ას ოცი თუნგი.

გჯს (3 თუმ., 8 მინ. და 4 აბაზი) ქ. რახტების გაყოფაში ჩემი დარჩა იმათთან რახტის სირმა ვერცხლი მისხალი ოთ. პბ მისხალი რკინის გიდელა რომ ვერცხლეულის მაგიერ მომიწონეს და თითონ მაგიერი ნაშენი სირმა ვერცხლი აიღეს. იმისი რასათი უნდა მიბრუნოს მისხალი მთ. რომ ორივე იქნება მისხალი რაშ, ა—ტ (6 შაური) ჯამი თეთრისა¹

დ (4 თუმ.) ქ. იმავე ფურცლით დასადგმელი საათის ფასისა, რომელიც ნასყიდია ათ თუმან თეთრათ.

¹ განსხვავებული შრიფტით აწყობილი წაშლილია და ზემოდან აწერია: „ამის ფასი“.

კზჯ (22 თუმ. ქ. ტალავერი ბოქოულიშვილისაგან რომ ჩვენთან გიროთ იყო და იმის ქირას ჩვენის თეთრის სარგებელში ვიღებდით ქათა-
ლა 8 მი- ნალთუნი) ნაკჩელთაგან და ხან არლუთოვის ყმათაგან წელიწადში კზჯ (22 თუმ. და 8 მინ.) თეთრსა და ჩემის აშლის შემდგომ ბიძაჩემი რომ არლუთოვს დაუმოყვრდა, მაშინ მოყვრობის გამო სამ წელიწადს ის სოფელი მისცა არლუთოვს ჩემს უკითხავათ, რომლიდამაც ჩემი წილი ერთის წლგსა მერგება ბიძის ჩემისაგან.

რნგნს (156 ქ. ჯამი ზემო ნაწერი ცხრა კალამი თეთრებისა, რომელიც ბიძა-
თუმ., 6 აბა- ზი, 1 შაური) ჩემმა საკუთარ თავისის ქონებიდამ უნდა მომცეს ას ორმოც-

ქ (9 მინალთ. ქ. ამაში უნდა გამოირიცხოს. ფურცლისამებრ მე რომ მილახ-
ლა 3 აბაზი) ვარს უნდა მივცე ჩემის საკუთარიდამ ცხეხების საქედისა და წისქვილის ხარჯისა ცხრა მინალთუნი და სამი აბაზი.

ქ. იმავე ფურცლისამებრ მოთვალული სარალუჯისა ჩემი წილი უნდა მომცეს, რომელიც ნასყიდია სულხან მდიენიანთაგან კზ (22 თუმ.) თეთრ ფულად. ამისი ჩემი წილი ან თეთრი მომცენ, ან სარალუჯი გამიყონ.

ქ. მეთორმეტე პუნქტისამებრ დამალულებისათვის ვითხოვ მო-
ითხოვოთ სულიდამ, რომელიც პოლიციას გამოძიება უქნია და წარუდგენია სულში. ამავე პუნქტისათვის მოსთხოვოთ ჩემს სძალს-
ელისაბედს ტფილისის წახდენის შემდგომ რაც ქონება მო- გერჩა, იმის ნუსხსა ჩემის ხელით დაწერილი, რომელიც იმასა აქვს და იმისამებრ რაც არ შემოტანილ არს ჩემს გასამყრე-
ლოში ქონება, მასზედაც მეზოდოს თქვენისა ბრწყინვალეებისა-
გან განჩინებით კმაყოფილება.

ქ. სხვა პუნქტებისამებრ ჩვენი ყმა და მამული გაგვიწილოთ.

ქ. ფურცლისამებრ რაც დარჩომილი ავეჯეულობა აქვთ ჩემთან გასაყოფი, გაგვიყოთ. ეგრეთვე გუთნის იარაღი და თოფ-
იარაღი.

პირველის პუნქტის ძალით საერთო ასაღებებიდამ რაც ბიძა ჩემმა უნდა აიღოს, რომელიც განაჩენში ნუსხად სწერია, გამოკრებით:

ზვჯ (47 თუმ., ქ. შადინანთ აბელას ვალი.

7 მინ. და 10

შაური)

თ (9 თუმ.) ქ. თავისი ქალი მაიას ვალი.

უ (5 თუმ.) ქ. სულხან მდიენის შვილის გვიის ვალი.

დ (4 თუმ.) ქ. ანაშელანთ ნინოს ვალი.

ბზ (12 თუმ.) ქ. თავისი ქალი ქალლას ვალი.

მც (5 თუმ. ქ. ისაია ფითოაშვილის ვალი.
და 2 მინ.)

ნ (50 თუმ.) ქ. კურთხეულის მილახვრის მეუღლის შუშანას მზითვისა.

რლპლ (132 ქ. ჯამი ზემო შვიდი კალამი მილახვრის ვალებსა და მისაღები-
თუმ., 9 მი- თეთრებისა ას ოცდაათორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და
ხალ., 14 შაური) თოთხმეტი შაური.

პირველის პუნქტის ძალით საერთო ასაღებებიდამ რაც მე უხდა ავილო, რომელიც განაჩენში გამოკრებით ნუსხათ სწერია:

- ნეფფ (59 თუმ., 8 მინ. ქ. აქიმბაშის ვალი.
და 10 შაური)
- ნეჭრ (17 თუმ., 7 მინ. ქ. ივანე ბუჭყიაშვილის ვალი.
და 2 შაური)
- ნე (1 თუმ.) ქ. ოჭანეზა ბიჭის ვალი.
- ნეც (12 მინ.) ქ. ბაპყლის ვალი.
- ნე (60 თუმ.) ქ. მეექვსე პუნქტისამებრ ჩემი მეუღლის თეთრი.
- ნეპ (233 თუმ. და 5 მინ.) ქ. მერვე პუნქტისამებრ მზითვისა.
- ნე (62 თუმ.) ქ. მეცხრე პუნქტისამებრ ჩემის მეუღლის თეთრი.
- ნე (13 თუმ.) ქ. კიდევ ამავე პუნქტისამებრ ჩემის მეუღლისა.

ნეფცქ (447 თუმ. და 13 აბაზი) ქ. ჯამი ზემო ნაწერი რვა კალამი ჩემი ვალებისა და მისაღები თეთრებისა ოთხას ორმოცდაშვიდი თუმანი და ცამეტი აბაზი.

297. 1815 წ. ანგარიში, შედგენილი იოსებ და ალალო ყორღანოვების გაყრასთან დაკავშირებით. დედანი. ზომა 36x22 სმ. დაწერილია ნაცრისფერ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3889 Hd. შდრ. აქვე საბუთი № 3891 Hd, რომელიც განსაზღვრავს მოცემული საბუთის თარიღს.

გამოკრებილი ანგარიში

იოსებ და ალალო ყორღანოვთ გასამყრელოს მედიატორთ განაჩენისა.

იოსებ ყორღანოვის მიღებული სამათ გასაყოფის რაც იოსებ რაც ალალო თეთრების ჯამია ჩემბ ჯრ. აქედამ გამოირიცხება მილახ-ყორღანოვმა ყორღანოვმა ვრის იოსებ ყორღანოვის მისაღები ვალები რაბა ჰლ. დარ-უნდა მისცეს უნდა მისცეს ჩება იოსებ ყორღანოვის მიღებული ჩემბ ჯუ. აქედამ მი-ალალოს იოსებს ლახვრის იოსების შესახვედრი ორი წილი რომ დაუტეოთ, დარჩება იოსებ ყორღანოვთან ალალოს შესახვედრი თეთ-რი წებ ცუ. ეს ერთი ორად შედგება

ხუთათ გასაყოფის თეთრისა რომ მიუღია რაბ. ამი-სი სამი წილი მილახვრის შესახვედრი რომ დაუტეოთ, დარჩება იოსებ ყორღანოვთან ალალოს შესახვედრი ორი წილი თეთრი რეხ. ეს ერთი ორად შედგება

ალალოს მიღებული სამათ გასაყოფის თეთრების ჯამია რეხ უ. აქედამ გამოირიცხება საშუალოდამ ალა-ლოს მისაღები თეთრები რეხ ცქ. ხვედრი ერთი წილი

ჩრდგ წქ

რნა ც

რომ დაუტეოთ, დარჩება ალალოსთან იოსებ ყორღანოვის შესახვედრი ორი წილი რვაჰს. აქედამ გამორიცხება მილახერის იოსებისაგან საკუთრივ ალალოსათვის მისაცემი რვაჰს. დარჩება ალალოსთან ოსებ ყორღანოვის შესახვედრი 3. ეს ერთი ორად შედგება

3

ხუთათ გასაყოფისა რომ მიუღია ალალოს 1/2, ამისი ორი წილი ალალოს შესახვედრი რომ დავაგდოთ, დარჩება ალალო ყორღანოვთან იოსებ ყორღანოვის შესახვედრი სამი წილი თეთრი 5/8 ხ. ეს ერთი ორად შედგება

რეც

ჯამი ორისაჲ სათხოვრის თეთრებსა დარჩება გამორიცხული

რთი ხუ
 ჩრბ წუ

რნეც

298. 1815 (7). ხოსრუას-შვილის მკედელი გოგიას მეუღლის სუსანას ქალის თალღას მზითვის ნუსხა. დედანი. ზომა 34,5 x 21,3 სმ. დაწერილია ლურჯ ქალღმერთ მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 14722 Hd.

საბუთი დაწერილია იმავე ხელით, როგორც აქვე დაბეჭდილი საბუთი № 14723 Hd შინაარსითაც მოცემული საბუთი უშუალოდ დაკავშირებულია როგორც დასახელებულ საბუთთან, ასევე საბუთთან № 3567 Hd (იხ. აქვე), რომელიც განსაზღვრავს მის დახლოებით თარიღსაც და პატრონის ვინაობასაც.

ქ. ნაკერი თავის ქალა თავის დამ მიაზ აჩუქა.

მივეცი ოქროს ბეჭედი¹.

ქ. მარგალიტის ბეჭედი ორი მქონდა ჩემი და ერთი გავაკეთებინე და ხუთი მარგალიტი ვიყიდე, ორი აბაზი მივეცი და ლამბარაანთ სიმონას ორი შაური მივეცი თვალში და ვიყიდე, გავაკეთებინე და ისი მივეცი.

ქ. სარდაფი ქაიხოსრომ მოუტანა იმერეთიდან და აჩუქა.

ქ. სკივრი ჩემ(მ)ა ძმამ უყიდა თავისის თეთრითა.

ქ. ალთაფა ტერ-გრიჭორას ქალისაგან ვითხოვე და ისე გავატანე, რო იქავე აქს.

ქ. ბალიში მივეცი, საპირე ვალით ნასყიდი, და ბუმბული ჩემის ძმის გოგიასგან ნათხოვარა.

¹ ეს სამი სიტყვა მოთავსებულია სტრიქონებს შორის.

ქ. რაც სახლიდამ გამოვსულვარ, ოცდაცხრა ლენი მამიქსოვინებია, სულ ჩემის ქალისათვის მამისმარებია, რომ ვისთენაც მამიქ(ს)ოვინებია, ამას ქვემოთ სწერია.

ქ. თოთხმეტი ახალი საყდრის მილდისასათვის მაქსოვინებია.

ქ. ცხრა გიორგი ჯავახსა.

ქ. ოთხი სომხიშვილს დავითას.

ქ. ხუთი ხეჩიკაშვილს გოგიასა.

ქ. ჩემის ჩაფარიშის და ბაპითა ბეგალანთ ბიქი გიორგისაგან ცხრა სტილი ყაქი მიყიდნია და გამიკეთებია და ჩემის ქალის წერიმალი იმითი შე-მისრულებია.

ქ. ამ ლენებიდან ბუ(მ)ბულის, ან ბალიშისა, ან¹ საბნისა მითლათა, ან არხალუხების სარჩულად და ან პერანგის ამბანაკის სარჩულად რაც მოზღო-მია, სულ ჩემი ლენები მამისმარებია, ღმერთი ხომ მოწამე არის.

299. 1815 წლ. ახლ. მზითვის წიგნი მაიასი. დედანი. ზომა 34,5 × 21,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. სახ. მუხ. № 3502 Hd. დაახლოვ. ათარიღებს ქალაღის კვირნიშანი, რომელიც 1815 წ. უჩვენებს.

ღ-თ, მაიას მზითვეი ამას ქვეით იწერება:

9 (ხუთი თუმანი) ქ. გულის ჯვარი ოქროსი.
10 (ერთი თუმანი და ქ. ერთი თასი ვერცხლისა და სურა.
ორი მინალთუნი)

პირველი ტანისამოსი:

9 (ხუთი თუმანი) ქ. ქათიბი ჩიჩაგლუ ხარის წყვილის არშით.
10 (რვა მინალთუნი) ქ. ფარშევანგის ღილით.
11 (სამი მინალთუნი) ქ. მარჯნის კრიალოსანი.
12 (ორი თუმანი და ქ. ოსმალუს დიბის კაბა წელის ღილითა და ღუბ-
ხუთი მინალთუნი) მით და ხელმანდილი.
13 (ერთი თუმანი და ქ. სარტყლის თავის თვალი.
ხუთი მინალთუნი)
14 (ექვსი მინალთუნი) ქ. ალისფერი დარაის პერანგი თავისის გრეხილით.
15 (რვა აბაზი) ქ. მარგალიტის ღილი თავისი ქინძისთავითა, დედას მზითვისა.
16 (ხუთი მინალთუნი) ქ. მარგალიტის ბეჭედი.
17 (რვა მინალთუნი) ქ. შეიდიში თავისის მასალითა.
18 (ერთი თუმანი)²ჩიქილა თავისის არშითა.

¹ ეს სიტყვა დედაში განმეორებულა.

² აქ ერთი სიტყვა გაურჩევლად სწერია.

- ც (ორი მინალთუნი) ქ. ნაკერი იარახინი.
 ჰ (ცხრა მინალთუნი) ქ. ნაკერა თასაკრავი, კიდევ მუმიის თასაკრავი ქვე-
 შეთი, თავის კოპით.
 აც (ერთი თუმანი და ქ. მარმარის ჩადრი.
 ორი მინალთული)
 ჰ (ხუთი მინალთუნი) ქ. ყალამქრის ბოხჩა.
 ცუ (ორი მინალთუნი ქ. დედამთილის ჩიქილა.
 და ორი აბაზი)
- მეორე ხელი:
- აბ (ერთი თუმანი და ქ. კაბა ჯანდიდურისა თავისის მარგალიტის მაჯით.
 ექვსი მინალთუნი)
 ჯ (რვა მინალთუნი) ქ. ყალამქრის არხალუხი.
 ხ (ექვსი მინალთუნი) ქ. ალაბნის პერანგი თავისის გრეხილითა.
 ჯ (რვა მინალთუნი) ქ. შეიდიში თავისის მასალითა.
 ხ (ექვსი მინალთუნი) ქ. ალაბნის ჩიქილა სამის თავსაკრავით.
 ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. ხელის ხელმანდილი.
 ქ (ხუთი მინალთუნი) ქ. დარაის ბოლჩა.
 ა (ერთი თუმანი) ქ. ერთი დიბის სარტყელი და ერთი ჩიგინას შალხ.
 მესამე:
- მ (ცხრა მინალთუნი) ქ. თეთრი ჩიქინის კაბა.
 ქ (ხუთი მინალთუნი) ქ. ყალამქრის არხალუხი.
 მ (ხუთი მინალთუნი) ქ. გელგაზის მოვის პერანგი თავისის გრეხილითა.
 ჯ (რვა მინალთუნი) ქ. შეიდიში თავისის მასალით.
 ძ (სამი მინალთუნი) ქ. მარმარის ჩიქილა.
 ძ (სამი მინალთუნი) ქ. . . . ¹ ყადიფა.
 ჯ (რვა მინალთუნი) ქ. ოთხი პირსახოცი თავისის სავარცხლის ბუდითა.
 ორი დედასი იყო.
- ც (ორი მინალთუნი) ქ. დარაის ბოლჩა.
 ქ (ხუთი მინალთუნი) ქ. ხაიათი.
 აც (თორმეტი მინალ- ქ. საპირესფარეშის ყუთი თავისის ვერცხლის იარა-
 თუნი) ლითა.
- ჩქ (რვა აბაზი) ქ. სალამური ჩიქილა თავისის თასაკრავით ².
 ძ (სამი მინალთუნი) ქ. სარკე ტანჩასაცმელი.
 ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. საპირისფარეშის დარაის ბოლჩა.
 ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. თავდასაბანი ფუთა ბამბისა.
 ქ (ხუთი მინალთუნი) ქ. ტაშტი და ალთაფა.
 ა (ერთი თუმანი) ქ. შვიდ-შვიდი ნაქერი ქურტყელი.

¹ აქ ერთი სიტყვა გაურჩევლად სწერია.

² ამასა და ზემო სტრიქონს შუა დედნისავე ხელით წერია: აქ. ქალის პირსახოცი თავისის სავარცხლით, დედასი იყო; ერთი მინა(?) გრეხილი, ერთის მარგალიტის დილი და ერთი პირსახოცი, ორი პატარა ყუთი*.

ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. ერთი შამდანი.
გ	(სამი თუმანი)	ქ. საბანი ყალამქრის, თავის მასალით.
აჭ	(ხუთმეტი მინალ- თუნი)	ქ. ბუმბული დარაის.
აქ	(ხუთმეტი მინალ- თუნი)	ქ. დორი ხავერდისა.
ა	(თუმანი)	ქ. ბალიში ყურთუქისა სემტობის(?) საპიროთი.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ჩარსავი.
ა ც	(თორმეტი მინალთ.)	ქ. ხალიჩა.
ქ	(სამი აბაზი)	ქ. ჩიქილას ფიცარი.
ა	(თუმანი)	ქ. სკივრი.
ჩქ	(რვა აბაზი)	ქ. დანა და მაკრატელი.
უ	(ორი აბაზი)	ქ. თეთრი საპნები.
რ	(უხალთუნი)	ქ. განჯაფა.
ა ჩ	თერთმეტი მინალ- თუნი)	ქ. ნიშნის მომტანს მივე ფული.
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. სიძის მოსაკითხი გაგზავნა, როდესაც ავად ჰყვანდა. დაიხარჯა ფული.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. წინდა, პაიჭი და მუხლსაკრავი მიართვა.
ა	(თუმანი)	ქ. სიძის ნახვაზე დაიხარჯა საყდარში ფული.
გ	(სამი თუმანი)	ქ. ქალი დავ(ა)ქორწილე, მომინდა ხარჯი ფული.
ჯ	(რვა მინალთუნი)	ქ. ბეორეს დღეს გამიგზავნია ძღვენი—ერთი ცხვარი და ერთი ტიკი ღვინო.
ბ	(ორი თუმანი)	ქ. სიძე დავპატიყე მეორეს დღეს, მომინდა ხარჯი.
ა	(ერთი თუმანი)	ქ. ა სურა ვერცხლისა ¹ .
მ	(ორმოცდა თერა- მეტი თუმანი)	ქ. ჯამი მზითვისა ¹ .

300. 1815 წლ. ახლ. იუსტიციის მროველის ქონების ნუსხა. დედანი. ზომა 34,4 x 21,8 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმა-რია მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 14145 Hd. ქაღალდის ჰვირნიშანი გვიჩვენებს [18|15 წ. და საბუთიც მის მახლობელ ხანს უნდა იყოს დაწერილი.

- ქ. აზარფეშა.
- ქ. ლეინის კაბა².
- ქ. თაგალა ძველი³.

¹ ეს სტროქონი დედნისაგან განსხვავებული ხელით და მელნით სწერია.
² მეორე ამგვარსავე საბუთში (№ 14146 Hd) ამის შემდეგ სწერია: მეტეხის მღუდელს ბეთ-ლემს მიეცა საწირავათ".
³ იქვე (14146 Hd): „გორის ცკლესი(ი)ს მღუდელს ანდრიას მიეცა საწირავა ნ ო".

- ქ. ორი თეთრი ქენჩა.
- ქ. ერთი ჯეჯიმი.
- ქ. ორი ფარდაგი¹.
- ქ. ორი ქვაბი.
- ქ. ერთი ფარანი².
- ქ. ქაფქირი და ტაფა³.
- ქ. ცული.
- ქ. ქვაბი⁴.
- ქ. ექვსი თუმანი თეფრი⁵.
- ქ. ერთი ფურკამბეჩი.
- ქ. ცამეტი კოკა ღვინო⁶.

ამ ზემო ნაწერის ნუსხით ჩვენ გვქონდა და კიდევ რაც მიტრაპოლიტი-მა ვარლაამა მიიღო ნიშნად, ამას ქვემოთ აღიწერება:

- ქ. ცხენი ერთი.
- ქ. ჯორი ერთი.
- ქ. ხავედის ანაფორა.
- ქ. მაუდის ქათიბი ყაზახის მელაზედ გადაკრული.
- ქ. კაბა განდიდურისა.
- ქ. ახალუხი ყალამქრისა.
- ქ. უბრალო შალის სარტყელი.
- ქ. ხარის ანაფორა ჩაქსული.

ქ. ამ ზემო ნაწერს ნუსხას გარდა რაიცა დანაშთენი არის მიტრაპო-ლიტის იუსტინესი; ამას ქვემოთ აღიწერება:

- ქ. ერთი საათი ზაქარია ფავლენის-შვილსა აქვს.
- ქ. ერთი საათი ნიკოლოზ ტერტერას-შვილსა აქვს.

ქ. ხითარაშვილის ზაზას სახლების განაჩენის კობიო გორის სასამართ-ლოში არის, რომ ის სახლები მიტრაპოლიტს იუსტინეს დარჩა თავის ვალში.

ქ. თვრამეტის თამასუქით არის სხვათა და სხვაზედ გავალებული ორას-ოცდა ხუთის თუმნისა და ნახევრის თეთრის ფულისა. ამავე თამასუქებიდამ მიიღო მიტრაპოლიტი ვარლაამ(მ)ა სამოცის თუმნის თამასუქი ბეყა(ნ) არა-გვის ერისთოვის ეკლესიისათვის.

¹ იქვე (№ 14146 Hd): „ერთი ურბნისის დეკანოზს პართენს მივეცით საწირავათა“.

² იქვე (№ 14146 Hd): „და ერთი ქენჩა სანთელს-საკმლისათვის მივეცით გორს და ურბ-ნისის ეკლესიაში გავგზავნეთ.“

ქ. ჩითის საბანი და მუთაქა ლეიბი მაქსიმე მლუდელს მივეცით მიტრაპოლიტის მოძღუარს.

ქ. შანდალი თითობისა (sic) საფლავზედ დაუდგით“.

³ იქვე (№ 14146 Hd): „სპილქნძისა“.

⁴ იქვე (№ 14146 Hd): „ქვაბი კოლიოსათვის მივეცით კოლიოსათვის ეგსტათი მლუდელსა-ურბნისასა“.

⁵ იქვე (№ 14146 Hd): „საწირავათა და ს(ა)იმტვერიოთ მივეცით იქვე მიცვალებულისათვის“

⁶ იქვე (№ 14146 Hd): „სამი ქვევრი ღვინო მიცვალებულზე დაიხარჯა“.

ქ. კიდევ ოცდაერთის თუმნის თამასუქი მიიღო მიტროპოლიტმა ვარ-
ლაამ(მ)ა საწირავად კრებულით ყავრიშვილისა.

ქ. კიდევ თექვსმეტის თამასუქით არის ნიკოლოზ ამილახვაროვზე ორი
ათას ასოცდარვა თუმნისა თვლები დაბეჭდილი და ერთი პატარა ვეცხლის
ყავადანი, ესენი ერისთოვსა თორნიკეს აქვს.

301. 1816 წლ. ახლ. ანგარიშის წიგნი მილახვრის იოსებ ყორღანაშვილისა და
ალალუა ყორღანაშვილისა, შედგენილი ამ უკანასკნელის მიერ. დედანი. ზო-
მოდ 33x20,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელთ. განკვეთ. ნიშნად ნახმარია
წერტილი.

საქ. სახ. მუხ. № 3893 Hd.

საბუთი 1816 წ. ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი, რადგან უკანასკნელად მისში
ეს წელია მოხსენებული. საბუთში იხსენიება მხოლოდ „მილახვარი“, მაგრამ სხვა საბუ-
თებთან შედარებიდან (იხილე აქვე № 3883 Hd., № 869 Hd და სხვ.) ცხადი ხდება, რომ
ეს მილახვათი არის იოსებ ყორღანაშვილი, ხოლო საბუთს სწერს მისი
ძმისწული ალალუა.

ჩვენის საერთო ასაღებებისა ვის რაც მიგვიღია:

- ქ. ტერტერაშვილი დანელას მეუღლისა და იმის შვილი-
სა ორი თამასუქის საქმე გარდაწვევით 6 თეთ-
რად. აქედამ 63-სა ვადით თამასუქი იმათ მიიღეს
და 63-სა ვადით თამასუქი მე მივიღე. დანარჩომი 63
თეთრი და ვადის თამასუქების სარგებელი 63 სრუ-
ლად იმათ მიუღიათ ქკს უფთ, მთიბათვის ა-ს.
- ქ. ყორღანაშვილი რევაზს თამასუქი 6-სა დარჩომილა
- ქ. ისაია თაყოვეისა 6-ს თამასუქში იმათ მიუღიათ ქკს
უფთ, მაისის ა
- ქ. ხაალ იაგლოვის 6 თამასუქში მიუღიათ ქკს უფვ,
ნოემბრის ა-ს
- ქ. იოანე ბეგთაბეგოვის თამასუქისა ერთი ორად 6 მი-
ვიღეთ და გავიყავით ჩყოვ, იანვრის ა
- ქ. ოქრომჭედლის-შვილის ასატურასი სამართალშია
- ქ. ამის ძმის ნონიასიც სასამართლოშია
- ქ. ტერ-არაქელას 6 თამასუქში მიუღიათ ქკს უფდ,
მარტის ა
- ქ. კრწანელი პეტრუზას თამასუქისა მიუღიათ ქკს უფვ,
ნოემბერს
- ქ. ჩითახანთ ალას ჯალაბის თამასუქი დარჩომილა
- ქ. დავით ბეგბულოვის 6 თამასუქი დამ მიგვიღია
- ქ. ჩათახანთ ალაზე უთამასუქო თალაბი დარჩომილა
- ქ. გიორგი ჩიქოანის 6 თამასუქისა მიუღიათ იანვრის ა,
ქკს უფო

ქს ქ

32

3

რგვძუ

33 ხლ

6

6333

6

6

63

- ქ. ტერ-ყაზარას რვა თამასუქში მიგვიღია ქკს უჟვ,
 მარტის ა ს
- ქ. ტერ-ისაიანთ თამასუქისა დარჩომილა
- ქ. ამილახერის-შვილის ნიკოლოზის თამასუქი დარჩომილა
- ქ. ჰაუშტრიანთ მარიამას მ თამასუქისა მიუღიათ
- ქ. ტულთანთ ორივე თამასუქების საქმე სამართალშია
- ქ. ჰასრათანთ ოჰანეზას თამასუქისა დარჩომილა
- ქ. ამისივე მეორე თამასუქისა დარჩომილა
- ქ. ჯალათანთ ალალოას თამასუქისა სუდშია
- ქ. ასატურას საამხანაყო ნ თეთრის სათავნოს ქკს უპც,
 თებერვლის თ, ქკს უჟვ, იანვრის პირველს უფრო
 უწინ დაეხარჯათ
- ქ. ასატურასი და გეურქასი საამხანაყო ლჟ შავი ფუ-
 ლის თანხა გათეთრფულეზულა და მაშინვე მიუღია
 იმასვე მოტანის წელს ჩყე, იანვრის ა
- ქ. გიორგი ნაზარბეგოვის რწ თამასუქში მედიატორებ-
 მა გაგვიჩინეს სწჳჳ; ამაში მილახვარს მისცა თვის
 წილად თამასუქი მკტ და მე მომცა ჩემ წილად
 თამასუქი მაცქნ და თეთრათ მოგვცა ნაზარბეგო-
 ვი რკვჳნ. აქედამ საერთო დანახარჯი გამორი-
 ცხულა ვჯშნ, დარჩომილა საერთო თეთრი რგჳ.
 აქედამ მიგვიღია ორთავე ბიძა-ძეთ ოკლომბერს
 თ, ქკს უჟვ
- ქ. ბასტამოვის ნ თამასუქი გარდავწყვიტეთ სგე თეთ-
 რად. აქედან მილახვარს და მე მიგვიღია ქკს უჟვ,
 მაისის ა.ს თეთრი
- ქ. ამავე თეთრის დანარჩომი ვადის თამასუქისა მიმიღია
 შტრაფ-გამორიცხული ქკს უჟვ, აგვისტოს იე-ს
- ქ. ავთანდილას საამხანაქოსი დარჩომილა
- ქ. მენარმე ჰახიაშვილს მ თამასუქისა მიუღიათ ქკს
 უჟთ, სექტემბერს ა, სხვა დარჩომილა
- ქ. როტინოვის ნ თამასუქისათვის მედიატორებმა გარ-
 დასწყვიტეს გეწ, აქედამ საერთოთ დაგხარჯეთ ა,
 დარჩა რომ მივიღე ქკს უჟვ, დეკემბრის ი
- ქ. სულეიმან-ფაშას ყაბზი დარჩომილა
- ქ. ყალოანთ მარტირუზას თამასუქი დარჩომილა
- ქ. ფარსადან ასლანოვის ვადის თამასუქისა ყ შავი ფუ-
 ლი, რომელიც უჩემოთ მოატანინა და მიიღო, რომ
 იმ ჟამს ერთი თუმანი შვიდი მინალთუნი თეთრი
 იყო, მაგრამ მე თხუთმეტი მინალთუნი ერთ თუმ-
 ნად ჩავაგდე თეთრად, რომ იქნება
- ქ. იოსებ მუნთოოვის რწ თამასუქისა შემდგარა სწჳ წყ-
 აქედამ მილახვარს მიუღია ჩყე-ს წლის, მარტის
 ია-ს ა ნუსხით

კო ჟმ ჯ

მ

ფ

მკტ მაცქნ

ლმ მა ჰ

რმ რმ

მგძტ

მ

მდ წ

ფლ ცჳ

მე კნ

- ქ. ნუსხითა და ბარათით ჩუთ წლის, ოკდომბრის იბ-ს
- ქ. ჩემგან მიღებული ნაპატიებსა და დანახარჯს გამო-
სული ჩყივ-ს წლის, იენისის იე-ს
- ქ. თანდილა კვეზერლის თამასუქი სასამართლოშია
- ქ. ამისივე მეორე თამასუქისა აქავე
- ქ. ყალოაშვილი ბაღდასარას $\overline{\text{მ}}$ თამასუქისა მიუღიათ
ქკ-ს უფდ, დეკემბრის ა
- ქ. ხინდილაშვილის თამასუქი სასამართლოშია
- ქ. შადინაანთ ოსტეფას $\overline{\text{ლ}}$ თამასუქის საქმე გარდავწყვი-
ტეთ $\overline{\text{იე}}$, რომ ამისი $\overline{\text{ი}}$ იმათ მიიღეს და $\overline{\text{ფ}}$ მე მივიღე
- ქ. ყასაბ ასატურაშვილის თამასუქისა ნახევარი მივიღეთ
და ერთად თავ-თავისი წილი გავიყავით და დავი-
თას წილი თამასუქის სუმმას (sic) ნახევარი დარ-
ჩომილა
- ქ. სააკოვის თამასუქისა $\overline{\text{ჰ}}$ თავნში და ამის სარგებელ-
ში სუდა ი რასპრავის ექსპედიციიდან გირაო მა-
მულეზი მამულად მოგვცა; მერე ის მამულეზი ჩვენ
მივიყიდეთ ზუბალოვს $\overline{\text{რნ}}$ თეთრად, რომ ეს მამუ-
ლის კვალად უნდა გივიყოთ, რომ ამა თეთრისა
სამი იმისია და ორი ჩემი, რომ ეს თეთრი სრუ-
ლიად იმათ მიუღიათ ქკ-ს უფზ, მთიბათვის იე-ს
ეს რადგან მამულის კვალად იყო გასაყოფი და თეთ-
რის რიცხვში ჩავაგდეთ გასაყოფად, ამისთვის
ანგარიშის გასასწორებლათ დაემატებათ იმათ
- ქ. მელიქ ფერიდონის $\overline{\text{ნ}}$ თამასუქისა მიმიღია ქკ-ს უფდ,
ღვინობისთვის ა
- ქ. გარსოაანთ ქაიხოსროს ჯალაბის თამასუქის $\overline{\text{ი}}$ საერ-
თოთ დანარჯულა
- ქ. შაბანასოანთ გოვიას $\overline{\text{იე}}$ თამასუქისა საერთოთ თავ-
თავის წილი მიუღიათ
- ქ. ჰაუშტროვის იაკობის $\overline{\text{იე}}$ თამასუქისა ქკ-ს ფა, იე-
ნისის იე
- ქ. ამისივე $\overline{\text{ნ}}$ თამასუქი მედიატორებს ჩაუტარებიათ
- ქ. მეთევზე აბელას თამასუქების $\overline{\text{კ}}$ და $\overline{\text{ლ}}$ თამასუქების
საქმე სასამართლოშია
- ქ. ალი-აღას $\overline{\text{იღ}}$ თალაბი დარჩომილა
- ქ. ივანე ნაზერის ცოლის $\overline{\text{იე}}$ თალაბი მივიღია ორთავ
მხარეთ თავ-თავისი წილი
- ქ. დიმიტრი საგინოვის $\overline{\text{ლ}}$ თალაბი შედგა და მივიღეთ
ხაზინის ექსპედიციიდან $\overline{\text{ი}}$ ჯ ქკ-ს ფგ, თებერვ-
ლის ა
- ქ. თაყა დავითას თალაბი დარჩომილა

როლქლნ

50

3

რნგ

ლბ

ივპ

იე

ფც

ბ

- ქ. გაგრიანთ ნონიას ო თამასუქის საქმე გარდაწყვეტი-
ლა და ქკს უფზ, ივლისის ა-ს ამ თარიღამდინ ვა-
დით თამასუქისა მიმილია
- ქ. ამაშივე რომ ბალის თეთრისა მიცემულა ეწ ანგარი-
შის გასასწორებლათ, აქედამ გამოვრიცხე ძქ, და-
რჩება რომ მიმილია ქკს უფე, ივლისის ა
- ქ. ყოლჩი გოგიას კ თალაბი დარჩომილა
- ქ. მელქონთ შაქარას შვილის კუ თალაბი დარჩომილა
- ქ. ზაქარ-ბეგიათ ნიკოლოზას თალაბი გარდავწყვეტიეთ
ორისავე მხრის თანხმობით ო. აქედამ საერთოთ
დახარჯულა დცშ. დანარჩომი მიმილია ივნისის იბ,
ქკს უფე
- ქ. იოანე პენტელაშვილის თალაბი ა ჯ დარჩომილა
- ქ. გორის ტერ-სააკას თალაბი ვ მიგვილია ჩვენ ორთავე
ბიძა-ძეთ
- ქ. ცხინვალელის მურადაშვილისაგან პურძს თეთრის თა-
ლაბი ჯერ დარჩომილა
- ქ. გირაო მურასა ქამარი ხ-სა დარჩომილა
- ქ. ბოქაულის-შვილის გირაო ტალავრის თეთრის საქმე
გარდასწყდა სპ. აქედამ საერთოდ დახარჯულა და
ოქროებს დაჰკლებია ზჭ, დარჩომილა რუთჭ. აქე-
დამ რაც მიგვილია ორთავე მხარეთ ქკს უფზ.
მაისის ა-ს
- ქ. ფარსადან ასლანოვისაგან კიდევ გეურქასა და ასა-
ტურასთვის მიბარებული შავი ფული შე. ესეც იმ
დროს თეთრი გამხდარი მიუღია ამავე სათავენო-
ზედ აღრევე
- ქ. ქიშიშიოვისაგან ვართაბეტს შეპირებული ორთავე გა-
ვიყავით
- ქ. უეზდის სუდის ანდრევეისაგან კ ლალენდიის (sic) ოქ-
როსი ქკს უფზ, ოკდომბრის გ-ს
- ქ. კამენდატს იბ ლალენდიის ოქრო დარჩომილა
- ქ. ეგნატი მდივანისაგან ა თალაბი ჩემზედ მიღებულად
აღირიცხება
- ქ. ქობანანთ გირაო ორი დუქანი დამწვარია და დაქ-
ცეული
- ქ. თაჰმინით (sic) რომ სარგებლები სწერია ვითამც სა-
ერთო ასაღებისა, ის ამაო არის
- ქ. დარეჯან დედოფლისაგან წერილით ასაღები დფრ-
ჩომილა
- ქ. ვანაჩენში ხსენებულს ასაღებებს გარეთ მიიღეს სა-
ერთო თალაბი ჯარდანის-შვილის გიორგისაგან
ქკს უფთ, დეკემბრის ა-ს

თ

ბ შ

აქრ

აგ ხქნ

რკავტნ

ნგ ხქნ

დ ქ

აზრნი

ქ. ორთაქალის ბაღის შენობის თეთრი რომ მივიღეთ პოლიციიდან ფქქ , აქედამ ბეცია სარდალს და დავით მაღალოვს მისცემია ფ ; ტერ-დავითას ცოლისათვის პოლიციას გამოერიცხა იმ თეთრიდამ შაგრიანთ ვალისათვის ფქ , რომელიც ზევითაც ჩემზედ თალაბი სწერია. დაგვრჩა ამ თეთრისა ფქქ , რომ ეს თეთრი მამულის კვალად არის გასაყოფი. აქედამ მილახვარს მიუღია ფ , თეთრის გასასწორებლად ამას დაუმატე ფ — იქნება, აპრილის ა, ქქს უქმე

ობ

მე მიმიღია ფქქქ , აქედამ უნდა ამოერიცხო თეთრის გასასწორებლად ფ ტყე; დარჩება ჩემთან ქქს უქმე, აპრილის ა-ს

მბსკე

ქ. ნალბანდ ყახარას სახლი რომ გავყიდეთ, იმის მიმიღია ქქს უქმე, იანვრის ა, რომ მამულის კვალად არის გასაყოფი მეცამეტე პუნქტისამებრ

მე

ქ. თამაშშანთ ხეჩატურას თამასუქი რომ სუდა ი რასპრავაში არის წარდგენილი და მამულის კვალად უნდა გავიყოთ მეცამეტე პუნქტისამებრ

ქ. ამბარდანი ქიტესას თამასუქი რომ სუდშია და გადასწყვიტა და ამის გირაოები მამულის კვალად უნდა გავიყოთ მეცამეტე პუნქტისამებრ

ქ. ჰაუშტრიანთ ოპანეზას გირაოსი რომ სუდა ი რასპრავიდან სიგელი უნდა მივიღოთ და მეცამეტე პუნქტისამებრ მამულად უნდა გავიყოთ

302. 1816 წლ. ახლ. ვალის ანგარიშის წიგნი ა და ლ უ ა ყ ო რ დ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს ა. დედანი. ზომა 36x22 სმ: დაწერილია რუხ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3890 Hd. თარიღსა და წიგნის პატრონის ვინაობას განსაზღვრავს საბუთი № 3893 Hd (იხ. აქვე).

სარგებლები	იმათგან მიღებულისა	ჩემგან მიღებულისა
ქ. ტერტერაშვილი დანელასი	ქქქ	
ქ. თაყოვეისა	ქლ	
ქ. კრწანელი ავეტიქასი	ითქ	
ქ. ზაალ იაგულოვისა	ქ	
ქ. ტერ-არაქელასი	ქლ	
ქ. კრწანელი პეტრუზასი	ოცფ	
ქ. დავით ბებულოვისა	ჩ.	

რ

სარგებლები	იმათგან მიღებულისა	ჩემგან მიღებულისა
ქ. გიორგი ჩიქოიანისა	ეც	
ქ. ტერ-ყაზარასი	ქე	ჟმ ზ
ქ. ჰაუშტრიანთ მარიამასი	ჟ	
ქ. ასატურასი და გეურქას შავი ფული რომ გათეთრფულე-ბულა და გამხდარა ფ	ფ	
ქ. ნაზარ-ბეგოვიდამ	ლე	მაჰ
ქ. ბასტამოვისა	რეე	რეე
ქ. კიდევ ამისი ვადისა		ლგ ძტ
ქ. მენარმისა	ე	
ქ. როტინოვისა		დვ
ქ. ფარსადან ასლანოვისა	ფლცჰ	
ქ. მუნთოევისა	ნეტნ	
ქ. ამისივე	რლთქლნ	
ქ. ამისგანვე		ნე
ქ. ყალოოვისა	ნ	
ქ. მელიქ ფრიდონისი		იბ ჩსნ
ქ. იაკობ ჰაუშტროვისა		თ ეუ ¹
ქ. მავრიანთი		ჯ ³
ქ. სამონოვისა	დხ ²	გ ქრ
ქ. ზაქარბეგიანთი		რკა ჯტნ
ქ. ბოქაულიშვილისა	რეხქნ	
ქ. ასატურასთან კიდევ შავგათეთრებულისა	ნვხქნ	
ქ. ანდრეი ვასილიჩისა		დჯ
ქ. ჯარდანიშვილისა	თ ჩრნი	
ქ. ხუთათ გასაყოფის თეთრების ჯამი	რგ	ჟმ ჰქ
<hr/>		
ჯამი ორისავე მხრისაგან მიღებულის სარგებლებისა	ცმდ ჩუ	ლგ ცვ
ქ. სააკოვის მამულის კვალად გასაყოფია	რნგ	
ქ. ბალიას თეთრისა	ე	მე ჰქ
ქ. ნალბანდის სახლისა		მე
ქ. მავრიანთ დუქნისა თავი ბალის თეთრიდამ მოცემული		ეწ

¹ ეს რალაც გადასწორებული რიცხვის მაგივრად სწერია დედნისაგან განსხვავებული ხელით.

² ეს რიცხვი წაშლილია და მის მაგივრად დედნისაგან განსხვავებული ხელით სწერია: „გ“.

³ ეს რიცხვი დედნისაგან განსხვავებული ხელით სწერია.

თავნი და სარგებელი შემდგარი	იმათი მიღებული	ჩემი მიღებული
ქ. ტერტრაშვილი დანელას მეუღლისა	ნე	
ქ. თაყოვეისა	მც	
ქ. კრწანელი ავეტიქასი	ნზ	
ქ. იაგულოვისა	მ	
ქ. ტერ-არაქელასი	ც	
ქ. კრწანელი პეტრუზასი	კქ	
ქ.	—	
ქ. ჩიქოანისა	ოწ	
ქ. ტერ-ყაზარასი	ნ	რფზხ
ქ. ჰაუშტრიანთ მარიამასი	კ	
ქ. შავი ფული გათეთრებულათ მიღებული	ჩ	
ქ. ნაზარბეგოვისა	ი	რფგჯ
ქ. ბასტამოვისა	სლ	სლ
ქ. ამისივე ვადისა		ფგხქ
ქ. მენარშისა	ი	
ქ. ფარსადან ასლანოვისა	ჩქქ	
ქ. მუნთოევისა	სოთქფ	
ქ. ამისივე	რიაწრ	
ქ. ამისივე		ოსრ
ქ. ყალოოვისა	რი	
ქ.		
ქ. ჰაუშტროვისა		კბ
ქ. მავრიანთი		მქ
ქ. სამონოვისა	თქ	
ქ. ბოქაულიშვილისა	რნაძტ	ნფზხლ
ქ. ანდრევისა		
ქ. ჯარდანიშვილისა	მც	
ქ. ხუთათ გასაყოფები	ტკვ	რჟა ჰხ
	ძღმთჯრ	ჩრფზხქ

303. 1817 ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა. დედანი. ზომა 11 x 6,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. ვანკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 3711 Hd.

რაც ჩარუხაშვილს გოგიას სურსათში და თავის სამსახურში მოუცია:

- | | | |
|----|---------------------------------|--|
| | | ქკს უჟშ—ოთხი კოდი ფქვილი. |
| 3 | (შვიდი მინალთუნი) | ქკს უჟთ—თეთრი მოიტანა. |
| | | ქკს ფ—არ(ა) მოუცდა რა. |
| წ | (ოთხი მინალთუნი) | ქკს ფა—თეთრი მოიტანა. |
| | | ქ. ამანვე მოიტან(ა) ერთ(ი) ურემი შეშა. |
| ხქ | (ექვსი მინალთუნი და სამი აბაზი) | ქკს ფბ—თეთრი მოიტანა. |
| | | ქკს ფგ—არა მოუცია რა. |
| ქ | (ხუთი მინალთუნი) | ქკს ფდ—თეთრი მოიტანა. |
| ს | (ერთი თუმანი) | ქკს ფე—თეთრი მომიტანა ¹ . |

304. 1817 წლ. ახლ. იოვანე ბატონიშვილის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი ნივთების ნუსხა, შედგენილი მანუჩარ თუმანოვის მიერ. დედანი. ზომა 32,5 x 20 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. ვანკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3500 Hd.

მისს უგანათლებულესობას სრულიად საქართველოდსა და სხვათა მეფის გიორგის ძეს უფალს იოვანეს რუსეფილამ რაც ნივთი გამოგზავნა გასასყიდლად, რომ იმისი ფასი წმინდას დავით-გარეჯის მონასტრის გალავანს გაკეთებაზე უნდა მოხმარებოდა მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის სძლის უფალის ქეთევანისაგან, მე, მათს მონას თავადს მანუჩარ თუმანოვს გორჯასპის ძეს, მებოძა, ამას ქვემოთ სახელ-სახელდობ თვითეულად დაიწერება.

- | | |
|-----|--|
| გ | ქ. სამი დიდი ფარდა მწვანე ჩიჩაგლის ხარისა, კრელის აბრეშუმის არ-შიით და მწვანე აბრეშუმის ფოჩით. ორი ფარდა მწვანეს თავთის სარჩულით და ერთი ფარდა უსარჩულო. |
| ბ | ქ. ორი დიდი მასნათის ქეჩის სიგძე ყირმიზს ატლასზე ოქრომკედით ნაკერი სუზანი კრელი დარაის კობით, და ფუსტული(ს) თავთის სარჩულით. |
| ი | ქ. ათი თოფი სალექაქე წმინდა ინდის ჯუნაია. |
| რნგ | ქ. ოთხი გვარი ფერით ფრანგის ატლასი რუსის ადლი ას ორმოცდა ცამეტი ადლი. |

¹ ეს სტრიქონი სხვა მელნით სწერია.

- ზ ქ. საფილონე შტოფის თეთრი ფარჩა, ზარიანი, რუსის ადლი შვიდი.
 იბ ქ. სასტიხრე მწვანე შტოფი, ზარიანი, რუსის ადლი თორმეტი.
 აო ქ. საოლარე ჩაქსული ზარიანი ფარჩა რუსის ადლი ერთ ნახევარი.
 ლე ქ. არშია შესამოსლისა მსხვილი¹ და წვრილი ყვითელი ოქრომკედისა რუსის ადლი ოცდათუთხმეტი.

ამ რვა კალმათ ხსენებულის საქონლისა რაც გაყიდულა, სახელდობ ამას ქვეით სწერია.

- აუ (სამი თუმანი და ოთხი აბაზი) ქ. ია ადლი ქალაქისა გაიყიდა, ერთი ადლი თოთხმეტ აბაზათ, იქნება ატლასის ფასი.
 ახ (სამი თუმანი და ექვსი მინალთუნი) ქ. იე ადლი ქალაქისა გაიყიდა ატლასი, ერთი ადლი თოთხმეტ აბაზათ, იქნება.
 აი (ექვსი თუმანი და ერთი მინალთუნი) ქ. ლე ადლი ქალაქისა გაიყიდა ატლასი, ერთი ადლი ორ მინალთუნათ, იქნება.
 აბ (ხუთი თუმანი და ხუთი მინალთუნი) ქ. კზე ადლი ქალაქისა გაიყიდა ატლასი, ერთი ადლი ორ მინალთუნათ, იქნება.
 ავ (სამი თუმანი და ორი მინალთუნი) ქ. ივ ადლი ქალაქისა გაიყიდა ატლასი, ერთი ადლი ორ მინალთუნათ, იქნება.
 ბ ადლი ქალაქისა გასყიდვის ზომაში წაიწყო ატლასი ორი ადლი.
 გ ადლი ქალაქისა ატლასი ორ ნაჭრათ ისევ არის გაუსყიდავი.
 დ კალიად აქ ხსენებულის ატლასის ჯამი არის ქალაქის ადლით ადლი ას შვიდი.
 ე (ოთხი თუმანი) ქ. ბ თოფი სალეჩაქე ჯუნაია გაიყიდა, ერთი ორ თუნათ, იქნება.
 ეკ (ხუთი თუმანი, ორი მინალთუნი, სამი აბაზი და ერთი შაური) ქ. სამი თოფი სალეჩაქე ჯუნაია გაიყიდა, თვითო თავობით, ერთი თავი ცამეტ აბაზათ. ერთი თოფი იყო შვიდ თავს ერთ ჩარექ ნაკლები. იქნება სამის თოფისა თავი ოცი და ერთი ჩარექი. ამის ფასი(ს) ჯამიც იქნება.
 ენ (რვა თუმანი და ერთი მინალთუნი) ქ. დ თოფი სალეჩაქე ჯუნაია გაიყიდა თვითო თავობით, ერთი თავი სამ მინალთუნათ. ერთი თოფი იყო შვიდ თავს ერთ ჩარექ ნაკლები. იქნება ოთხის თოფისა თავი ოცდა შვიდი. ამის ფასის ჯამიც იქნება.
 ეო (სამი თუმანი და ხუთ მინალთუნი) ქ. ე ქალაქის ადლი საფილონე შტოფი თეთრი გაიყიდ(ა) ერთი ადლი შვიდ მინალთუნათ, იქნება. ამას არა ვყიდდი, შენახვით წახდება და(ე)ტყო და იმისათვის გავეყიდე.
 ეპ (რვა მინალთუნი და ათი შაური) ქ. აო ადლი რუსის საოლარე ზარიანი ფარჩა გაიყიდა.

¹ დედანში: „მსხვალი“.

ამ ათ კალმათ გასყიდულის საქონლის ფასისა თეთრათ მანეთის ფულათ ჯამია ორმოცდა ორი თუმანი, რვა მინალთუნი და ცხრაშეტი შაჟური—მეჯუნ, ამდენი.

უგანათლებულესო სრულიად საქართველოდისა (sic) და სხვათა მეფის გიორგის ძეო უმოწყალესო კლემწიფევ უფალო იოვანე, თქვენის უქვენაესის მონის მანუჩარ თუმონოვის გორჯასპის ძის თხოვნა რომ გენებებინათ და წერილის ბოძებით გენებათ ჩყიდ წელს, დეკემბრის ლ, თქვენი ბძანება და ჩემთვის ნაბოძები მოწყალეების წერილი თქვენი ამისმა მალალ ღირსებამ არხი. მანდრიტმა უფალმა ილარიონ და ამისმა კეთილშობილებამ მიხაილ სარაჯოვმა კეთილის სახით ჩყიზ წელსა და ივნისის 6 გამომიცხადეს და მომცეს თქვენი ნაბოძები წერილი ჩემთან მოწერი(ლი) და ნუსხა თქვენის ნაბოძების საქონლისა; ბძანებისამებრ თქვენისა მეც ვაჩვენე¹ ამათ გასყიდული საქონლისა ანგარიში და გაუსყიდავი ნივთებიც მივაბარე ჩყიზ და იანვრის იბ. იქმნა გაუსყიდავი ნივთნი რა და რაც მიბარდათ, ამას ქვეით სახელდობ მოხსენებულთა.

- გ ქ. სამი დიდი ფარდა მწვანე ჩიჩაგლის ხარიისა, კრელის აბრეშუმის არშიით და მწვანე აბრეშუმის ფოჩით. ორი ფარდა მწვანე, თავთის სარჩულით და ერთი ფარდა უსარჩულო.
- ბ ქ. ორი დიდი მასნათის ქეჩის სიგრძე ყირმიზის ატლასზე ოქრომკედით ნაქერი სუზანი, კრელის დარაის ქობით და ფუსტულის თავთის სარჩულით.
- ო ქ. ერთი თოფი საღეჩაქე წმინდა ინდის ჯუნაია და ცხრა თოფე ამისი ამავე ფურცელზე გასყიდულათ სწერია.
- იბ ქ. სასტიხრე მწვანე შტოფი, ხარიანი, რუსულის ადლით თორმეტი.
- ე ქ. ორი ნაქერი ატლასი ქალაქის ადლით ხუთი ადლი და ამისი ქალაქის ადლით ას ორი ადლი ამავე ფურცელზე გასყიდულათ სწერია.
- ლე ქ. არშია შესამოსლისა მსხვილი და წვრილი ყვითელის ოქრომკედლისა რუსის ადლი ოცდაათუთხმეტი.

305. 1819 წლ. დეკემბრის 19. საჩივარი ალალო ყორდანოვისა ქონების გაყოფის თაობაზე, წარდგენილი მედიატორთა წინაშე. დედანი. ზომა 33x20 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 3895 Hd.

ამისი პირი მივეც პაკეთით მედიატორთ ჩყით წელს, დეკემბრის ით დღესა. ბრწყინვალეთ თავადთ ჩვენს აღმორჩეულთ მედიატორთ წინაშე ალალო ყორდანოვისაგან თხოვნა.

რადგანც აწ მერვე თვე არის რა თქვენ აღმოგირჩიეთ და ჩემთ მოპასუხებთ არ იგულსმოღგინეს ერთად შეყრა და პირისპირ თქვენთან ლაპარაკი

¹ დედანში „ვაჩვენენე“.

და საქმის შესრულება, ამისთვის ორის ამ აკინძულის ფურცლით განვაცხადებთქვენს წინაშე ჩემს საჩივარსა და სათხოვარსა.

განსვენებულის ბიძა ჩემის მილახვრის იოსებ ყორღანოვისა და ჩემი გასამყრელო მედიატორთ განაჩენი არის ცამეტი პუნქტი და ერთი ცალკე ფურცელი მედიატორთაგან ხელმოწერილი და განაჩენთან ერთად მოცემული.

განაჩენის პირველი პუნქტი ს'დ დარჩომილ არს აღუსრულებლად, რომელსა პუნქტსა შინა განჩინებულ არს ესრედ: „რაც ნაღდი თეთრი აქვთ შინ თუ გარეთ, ან ფარჩა, ყველა სამ წილად უნდა გაიყონ; ორი წილი მილახვრისაა და ერთი წილი ალალოასი. რაც მილახვარს და ალალოას ვალები აქვთ, თუ თავიანთი მუელღეებისა, თუ ალალოას ქალის მზითვევი, ჯერ პირველად იმ ასაღებებიდამ რომელიც ნაღდი გამოვადგეს, ესენი აიღონ და რაც ძირს გასაყოფი დარჩეს, მერე ის გაიყონ“.

კურთხეულმა მილახვარმა შემდგომ განაჩენის მიღებისა აღასრულა ისე, როგორც განაჩენში ეწერა და რაც ჩაიგდო, საერთო ასაღებებიდამ მიიღო, რომლიდამაც რაც მიუღია, ქვემოთს სახელდობ და თარიღებით დაიწერება.

სამ წილად გასაყოფის თეთრებისა რაც მიუღია:

ქ. ტერტერაშვილის დანელას მუელღისა და იმის შვილის თამასუქისა ჩყია წელს, ივნისის ა—კჳ 3 (27 თუმანი და 5 მინალთ.).

ქ. ისაია თაყოევის თამასუქისა ჩყია-ს წელს, მაისის ა-ს—კდ (24 თუმ.).

ქ. ზაალ იაგულოვის თამასუქისა ჩყე-ს წელს, ნოემბრის ა-ს—კ (20 თუმ.).

ქ. ტერ-არაქელას თამასუქისა ჩყე-ს წელს, მარტის ა-ს—დ (4 თუმ.).

ქ. კრწანელი პეტრუხას თამასუქისა ჩყმ-ს წელს, ნოემბრის ა-ს—ე ცფ (10 თუმ., 2 მინალთუნი და 10 შაური).

ქ. დავი თბებულოვის თამასუქისა ჩყე-ს წელს, აგვისტოს ა-ს—წ (100 თუმ.).

ქ. გიორგი ჩიქოვანის თამასუქისა ჩყია-ს წელს, იანვრის ა-ს—ფც (5 თუმ. და 2 მინალთ.).

ქ. ტერ-ყაზარას თამასუქისა ჩყმ-ს წელს, მარტის ა-ს—კდ (25 თუმ.).

ქ. ჰაუშტრიანთ მარიამას თამასუქისა ჩყე-ს წელს, აპრილის ა-ს—წ (40 თუმ.).

ქ. ასატურას დუქნის სათავენო ჩყე-ს წელს, იანვრის ა-ს—ფ (50 თუმ.).

ქ. ნაზარბეგოვის თამასუქისა ჩყმ-ს წელს, ოქტომბრის თ-ს—ღე (35 თუმ.).

ქ. ბასტამოვის თამასუქისა ჩყმ-ს წელს, მაისის ა-ს—წიე (115 თუმ.); აქედამ მილახვრის მიცემული ფ (5 თუმ.) შტრაფი გამოველ, დარჩება—წი (110 თუმ.).

ქ. მენარნე ჰახიაშვილის თამასუქისა ჩყია-ს წელს, სექტემბრის ია-ს—ფ (5 თუმ.).

ქ. იოსებ მუნთოოვის ასორმოცი თუმნის თამასუქიდამ ჩყე-ს, მარტის ა-ს—წფცნ (55 თუმ., 7 მინალთ. და 1 შაური).

ქ. ამავე თამასუქიდამ ჩყთ-ს წელს, მარტის იე-ს—რლთ ჯღნ (139 თუმ., 7 მინალთ. და 15 შაური).

ქ. ყალოოვის თამასუქიდამ ჩყე-ს წელს, დეკემბრის ა-ს—ჴ (80 თუმ.).

ქ. ბოქოულიშვილის თეთრიდამ ჩყთ-ს წელს, მაისის ა-ს—რე ხღნ (75 თუმ., 6 მინალთ. და 15 შაური).

ქ. ჯარღანიშვილისაგან ჩყია-ს წელს, დეკემბრის ა-ს—რჩჩნ (9 თუმ., 1 მინალთ. და 3 შაური).

ქ. ჩვენს საერთო ფრქვაშიკებს ასატურ და გეურქასთან მყოფი ლნ (750 თუმ.) შავი ფული იმავე ფრქვაშიკების ხელში შემდგარა ფ (500 თუმ.) თეთრი ფული ჩყე-ს წელს, იანვრის ა-ს და ჩემი წილი სათავენო მე არ დამანება და იმავე თავით მილახვარმა გამოართო და მაგიერ იმ სათავენოს თეთრისა და მით მოგების შექმნებისა ფრქვაშიკები ცარიელის ბარათების უკან ატარა და იმას აქეთ ამდენის წლის ჩემის წილს მოგებიდამ ჩემი შესახვედრი სათავენო მოაციდინა და ამდენს წელიწადს ჩემი წილი სათავენო რაერთს მოგებას მოსცდენია, ის თქვენმა მართლმსაჯულებამ განაგოს, რომ რაერთი ზარარი მაქვს, ხოლო ამ სათავენოს ჯამია თეთრი ფული—ფ (500 თუმ.).

ქ. ამას გარდა კიდევ იმავე ფრქვაშიკებთან მყოფი მგ (45 თუმ.) და ფარსადან ასლანოვთან ვექსილით მყოფი ყ (800 თუმ.) შავი ფულები, რომელიც ჩყე-ს წელს, ივლისის ლ-ს ბიძა ჩემს მიუღია, რომელიც თქვენთანაც ცხად არს და ვაჭართაც იციან, რომ იმ ჟამს ერთი თუმანი შავი ფული იყო შვიდი მინალთუნი თეთრი, რომ ამ ორი კალამი შავი ფულების თავნის ჯამი იქნება თეთრი ფული—ფჳჳ ჰ (566 თუმ. და 5 მინალთ.)

ჩუბაჯრ ქ. ჯამი ზემო ოცი კალამი მილახვრის მიღებული თეთრებისა ათას რუაას ოთხმოცდა ორი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ორი შაური, რომ ამ ჯამისა ორი წილი მილახვრისაა და ერთი წილი ჩემია.

იმავე სამ ნაწილად გასაყოფის თეთრებისა რაც მე მიმიღია:

ქ. დავით ბებულაოვისაგან ჩყე-ს წელს, აგვისტოს ა-ს—რ (100 თუმ.)

ქ. ტერ-ყაზარასაგან ჩყშ-ს წელს, მარტის ა-ს—რ (100 თუმ.).

ქ. ბასტამოვისაგან ჩყშ-ს წელს, მარტის ა-ს—რთე (115 თუმ.); აქედამ ჩემგან მიცემული საერთო შტრაფი ე (5 თუმ.) გამოვრიცხე, დარჩება—რთ (110 თუმ.).

ქ. ამისივე ვადის თამასუქისა ჩყთ-ს წელს, მაისის ა-ს—ლმ (35 თუმ.).

ქ. როტინოვის თამასუქისა ჩყე-ს წელს, დეკემბრის ი-ს—მლწ (64 თუმ. და 4 მინალთ.).

ქ. მელიქ ფრზონის თამასუქისა ჩყე-ს წელს, ოქტომბრის ა-ს—მგჰ (16 თუმ. და 5 მინალთ.).

ქ. მავრიანთ გირაო დუქნისა ჩყთ-ს წელს, ივლისის ა-ს—ლ (9 თუმ.).

ქ. ზაქარა-ბეგიანთ გირაოს ნივთებისა ჩყზ-ს წელს, ივნისის იბ-ს—გჯრ (3 თუმ. 7 მინალთ. და 2 შაური).

ქ. ბოქაულიშვილის თეთრისა ჩყთ-ს წელს, მაისის ა-ს—რკგჯტნ (123 თუმ., 8 მინალთ. და 7 შაური).

ქ. ანდრეევის ოქროებისა ჩყთ-ს წელს, ოქტომბრის გ-ს—ლჳ (4 თუმ. და 7 მინალთ.).

ქ. ნაზარბეგოვის თამასუქისა ჩყშ-ს წელს, ოქტომბრის თ-ს—კაჰ (81 თუმ. და 9 მინალთ.).

ქ. იაკობ ჰაუშტროვის თამასუქისა ჩყიგ წელს, ივნისის იე-ს—მე (15 თუმ.).

ქ. იოსებ შუთოევის ასორმოცი თუმნის თამასუქის დანარჩენი ჩყიგ წელს, ივნისის იე-ს—მე (58 თუმ.).

ლბუნ ქ. ჯამი ზემო ცამეტი კალამი ჩემგან მიღებულის თეთრებისა შვიდას ოცდაორი თუმანი და ცხრა შაური, რომელიც ორი წილი მილახვრისაა და ერთი წილი ჩემია.

ხუთათ გასაყოფი თეთრებისა რაც მილახვარს მიუღია:

- რპთ ქ. მილახვარის მიღებული სააკოვის მამული რომ გავყიდეთ ჩუთ-ს წელს, იენისის იე-ს— $\overline{\text{ჩნგ}}$ (153 თუმ.); სულოევის მიცემული ბალის შენობისა ჩყზ-ს წელს, აპრილის ა-ს— $\overline{\text{ი}}$ (10 თუმ.); კრწანელი ავეტიკასეული ვენახი რომ გავყიდეთ ჩყბ წელს, მარტის ა-ს— $\overline{\text{ჰ}}$ (26 თუმ.). ჯამი სამი კალამი მილახვარის მიღებული თეთრებისა ასოთხმოცდაცხრა თუმანი თეთრი ფული, რომელისაც ხუთის წილიდამ სამი მილახვარისაა და ორი წილი ჩემია.

ხუთათ გასაყოფის თეთრებისა რაც მე მიმიღია:

- ყვ ქ. ნალბანდ ყაზარას სახლისა ჩუთ-ს წელს, იანერის ა-ს— $\overline{\text{მე}}$ (45 თუმ.); სულოევის მოცემული ბალის შენობის თეთრი იყო $\overline{\text{აგ}}$ (63 თუმ.); აქედამ ბეცია სარდალს და დავით მალალოვს მისცემიათ ფიცის აცილებიანთის $\overline{\text{ბ}}$ (2 თუმ.); მილახვარის მიღებული, რომელიც ზევით სწერია $\overline{\text{ი}}$ (10 თუმ.). დარჩა ჩემთან ამ თეთრისა ჩყზ-ს წელს, აპრილის ა-ს— $\overline{\text{ნ}}$ (51 თუმ.). ჯამი ამისი ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი და სამი აბაზი, რომელიც ხუთი წილისა სამი მილახვარისაა და ორი წილი ჩემია.

რაც ბიძა ჩემმა მილახვარმა თეთრები უნდა მამცეს თავის საკუთარის კონებდამ:

- ქ. სახლის ფასისა ჩყვ-ს წელს, აპრილის ა-ს რომელიც პირველის პუნქტისამებრ განაჩენში ნუსხის ბოლოს სწერია— $\overline{\text{აბ}}$ (72 თუმ.).
- ქ. საერთო ასაღებების დიმიტრი საგინოვის მისაცემი თეთრისა, რომ ორი წილიც მიიღო და ჩემის ერთი წილისაგანაც მიიღო ჩყიე წელს, თებერვლის ა-ს— $\overline{\text{ბ}}$ (2 თუმ.).
- ქ. ფურცლისამებრ მამულების ქირებისა ჩემი წილი რომ უნდა დამიბრუნოს თვეში $\overline{\text{გჩმ}}$ (3 თუმ., 1 მინ. და 2 ბისტი), ერთი წლისა იქნება— $\overline{\text{ლზტუნ}}$ (37 თუმ., 2 მინ. და 9 შაური).
- ქ. ფურცლისამებრ ფასასაეულის ვენახისა და კვეზერელის გირაო ბალისა ჩემი წილი იჯარის თეთრები რომ მიუღია— $\overline{\text{დჰს}}$ (4 თუმ., 7 მინ. 1 აბაზი).
- ქ. ფურცლისამებრ იმავე დროს ჩვენის მოსავლის პურისა და წისქვილის მინდისა ჩემი წილი პური კოდი ლბ, ლიტრაც ვ, რომ ამის შემდგომ პურის ფასი როგორ ძვირათ ყოფილა, ერთი ხუთათ და უფრო მეტათაც, მაგრამ მე კოდი ორ მინალთუნათ ჩამიგდია. იქნება— $\overline{\text{ვჰბ}}$ (6 თუმ., 5 მინ. და 1 აბაზი).
- ქ. ფურცლისამებრ ველისციხურის ჩვენის ვენახის ერთი ურმის ღვინისა ჩემი წილი გაუჩენიათ, რომ იქნება ასოცი თუნგი— $\overline{\text{გ}}$ (3 თუმ.).
- ქ. რახტის გაყოფაში ჩემი დარჩა იმაზედ რახტის სირმა ვერცხლი მისხალი ოთ. ოთხმოცდაორი მისხალი რკინის გიდელა რომ ვეცხლის ალაგს მოძიწონეს და იმის მაგიერი ნაშენი სირმა ვერცხლი აიღეს, რადგან ის გიდელა რკინათ გამოდგა, ანისი ჩემი რასათი უნდა მომიბრუნოს მისხალი $\overline{\text{ნ}}$, რომ ორეც იქნება სირმა ვერცხლი რკთ. მისხალი ექვს შაურათ იქნება— $\overline{\text{გჯუბ}}$ (3 თუმ., 8 მინ. და 14 შაური).

- ქ. იმავე ფურცლით დასადგმელი საათის ფასისა, რომელიც ნასყიდია ათ თუმან თეთრად—**ღ** (4 თუმ.).
- ქ. სოფელი ტალავერი, რომელიც ბოქოულიშვილისაგან ჩვენთან გიროათ აყო და იმის ქირას ჩვენის თეთრის სარგებელში გარდაწყვეტით ვიღებდით ხან ქაფანაკელთაგან და ხან არლუთოვის ყმათაგან წელიწადში **კ** ჯ-სა თეთრსა და ჩემის გაყრის შემდგომ ბიძა ჩემი არლუთოვს რომ დაუმოყვრდა, მაშინ მოყვრობის გამო სამ წელიწადს ის სოფელი დაანება არლუთოვს, რომლიდამაც ჩემი წილი ერთის წლის ქირა უნდა მომცეს—**კ** ჯ (22 თუმ. და 8 მინალთ.).
- ქ. იმავე ფურცელით მოთვალული ოქროს სასალუჯისა ჩემი წილი უნდა მომცეს, რომელიც ნასყიდია სულხან მდივნიანთაგან **კ** (22 თუმ.) თეთრ ფულად.

ვითხოვ, ზემო ათი კალამი რაც ბიძა ჩემმა თავისის საკუთარიდამ უნდა მომცეს, იმისი ჯამი თქვენ შეადგინოთ და იმ ჯამიდამ გამორიცხოთ ცხრა მინალთუნი და სამი აბაზი, რომელიც მე უნდა მიეცე ჩემის საკუთარიდამ ბიძა ჩემს ფურცლისამებრ ცხენების საჭედისა და წისქვილის ხარჯისა.

ქ. განაჩენის პუნქტისამებრ ჩვენი ყმა და მამული გაგვიწილოთ.

ქ. ფურცლისამებრ რაც დარჩომილი ავეჯეულობა აქვთ ჩემთან გასაყოფი, გაგვიყოთ; ეგრეთვე გუთნის იარაღი და თოფიარაღი.

ქ. მეთორმეტე პუნქტისამებრ დამალულებისათვის ვითხოვ მოითხოვოთ სულიდამ რომელიც პოლიციის გამოძიება წარდგენილ არს იქ და იმავე მეთორმეტე პუნქტისათვის მოსთხოვოთ ჩემს სძალს ელისაბედს ტფილისის წახდენის შემდგომ რაც ქონება მოგვრჩა. იმისი ნუსხა ჩემის ხელით დაწერილი იმასა აქვს და ის გასინჯოთ. რაც იმ ნუსხისა დაუკლიათ და არ შემოუტანიათ ჩემს გასაპყრელოში, მასზედაც მებოძოს ამავე მეთორმეტე პუნქტისამებრ კმაყოფილება.

პირველის პუნქტისამებრ საერთო ასალეებეზიდამ რაც ბიძა ჩემმა უნდა მირილოს, რომელიც განაჩენში ნუსხად სწერია გამოკრებით:

ქ. აბელ შადინოვის ვალი—**მ** ჯ ჯლ (47 თუმ. 7 მინ. და 14 შაური).

ქ. თავის ქალი მაიას ვალი—**თ** (9 თუმ.)

ქ. სულხან მდივნიშვილი გივის ვალი—**ფ** (5 თუმ.).

ქ. ანაშელანთ ნინოას ვალი—**ღ** (4 თუმ.).

ქ. თავისი ქალი ქალოას ვალი—**ნ** (12 თუმ.).

ქ. ისაია ფითოევის ვალი—**ფ** ც (5 თუმ. და 2 მინ.).

ქ. კურთხეული შუშანას მზითვის თეთრი—**ნ** (50 თუმ.).

რლბჰლ ქ. ჯამი მილახერის ვალებისა და მისალევი თეთრებისა ასოცდა თორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და თოთხმეტი შაური.

საერთო ასალეებებისა რაც მე უნდა ავიღო პირველის თუ შემდგომის პუნქტისამებრ, რომელიც განაჩენში გამოკრებით ნუსხათ სწერია:

ქ. აქიმბაშის ვალი—**ნ** ჯ ჯ (59 თუმ., 8 მინ. და 10 შაური).

- ქ. ივანე ბუჭეიაშვილის ვალი—**ივ** (17 თუმ., 7 მინ. და 2 შაური).
 ქ. ოპანეზა ბიჭის ვალი—**ი** (1 თუმანი).
 ქ. ბაჰყლის ვალი—**ი** (1 თუმ. და 2 მინ.).
 ქ. მეექვსე პუნკტისამებრ ჩემის მეუღლისა—**ი** (60 თუმ.).
 ქ. შერვე პუნკტისამებრ მზითვისა—**ი** (233 თუმ. და 5 მინალთ.).
 ქ. მეცხრე პუნკტისამებრ კიდევ ჩემის მეუღლისა—**ი** (62 თუმ.).
 ქ. ამავე პუნკტისამებრ კიდევ ჩემის მეუღლისა—**ი** (13 თუმ.)

ქ ქ. ჯამი ჩემი ვალებისა და მისაღების თეთრებისა ოთხას ორმოცდა შვიდი თუმანი და ცამეტი აბაზი.

განაჩენისა და ფურცლის ძალით ჩვენი ორისავე მხრის ანგარიშები ეს არის, რომელიც სახელდობ თვითთულად და ცალ-ცალკე ზემორე დამიწერია: სამათ გასაყოფი თეთრებისა რომელ მხარეს რა მიგვიღია, ხუთათ გასაყოფის თეთრებისა რომელს მხარეს რა მიგვიღია, საკუთრივ ვინ რომელ მხარეს რა უნდა მისცეს, ანუ რომელმა მხარემ საერთო თეთრებიდამ რა უნდა მიიღოს, ყოველი სახელდობ და ჯამებით ამაში აღწერილ არს. ვითხოვ თქვენის ბრწყინ-ვალეებისაგან გამოუცხადოთ ჩემს მოპასუხეთ და ვითა ჯერ არს მოსთხოვთ ამაზედ პასუხი და შემდგომ ესენი თქვენ იანგარიშოთ და რომელ მხარეს რომლისა რა დაედვას, აწინდელის თქვენთან შეკრებილობისამებრ გვიბოძოთ განჩინებით კმაყოფობა.

306 1819 წ. ანგარიშის წიგნი მანუჩარ თუმანოვისა. დედანი. ზომა 9×11 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუხ. № 7965 Hd.

ქ. რევაზა ალაფს ერთი თუმანი მიეცე, რომ რაც ამ ნუსხაში (sic) სწე-
 ზია, ესენი მიყოდეს (sic)¹.

ბს (16 აბაზი) ქ. დ კოდი წითელი ლობიო გამოეგზავნა.

ჩყ (9 აბაზი) ქ. გ კოდი სისირი.

ჩ (5 აბაზი) ქ. ბ კოდი წითელი მუხუდო გამოეგზავნა.

ფ (10 შაური) ქ. ა კოდი ოსპი.

ფ (10 შაური) ქ. ა კოდი ბავლა.

ბს (16 აბაზი) ქ. მ ლიტრა მარილი გამოეგზავნა.

Verso იმავე ხელით: ჩყით. თავადი მანუჩარ თუმანოვი მოგახსენებ.

¹ თუ „მიყიდოს“ (?)

307. 1819 წ. ანგარიშის წიგნი ა ლ ა ლ ო ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა. დედანი. ზომა 20×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი-საქ. სახ. მუხ. № 3886 Hd. შდრ. აქვე საბუთი № 3884¹ Hd.

რაც ყარამან ჯორაევის თამასუქის ანგარიშში მომბარებია ჩემი საკუთარის თეთრიდამ:

- ქ. იოანე აქიმს მივე, მილახვართან რომ გავისტუმრე, წამლების ფასათ; დეკემბრის ზ, ჩყიწ წელს, თეთრი ფული 8 (3 თუმანი), მილახვარის წიგნის ძალით.
- ქ. ბაბანამ მთხოა და გაუგზავნე ჩემის შვილის დავითის ხელით ჩყით წელსა, იანვრის ა, თეთრი ფული 9 (5 თუმ.).
- ქ. კიდევ მიერთო ბაბანამ ხუთი თუმანი თეთრი ჩყით-ს წელს, იანვრის იე-ს.
- ქ. ეს ხემო წერილი ცამეტი თუმანი თეთრი ფული მივიღე ბაბანა კილაძემ.
- ქ. კიდევ მივიღე ათი თუმანი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე. იანვრის 24, 1819 წელსა.
- ქ. პაიჭაძის ვალში თებერვლის პირველს მიეც ათი თუმანი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.
- ქ. სამი თუმანი თეთრი ფული მივიღე. ბაბანა კილაძე.
- ქ. კადევ მივიღე 1819 წელს, მარტის 14 ხუთი თუმანი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე—9.
- ქ. ამავ დღეს მიიღო ბაბანამ ერთი თუმანი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.
- ქ. კიდევ მივიღე ხუთი მინალთუნი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.
- ქ. კიდევ მივიღე თორმეტი მინალთუნი და ორი აბაზი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.
- ქ. კიდევ მომბარდა ოცდაშვიდი მინალთუნი და ოთხი აბაზი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.
- ქ. კიდევ მივიღე ცხრამეტი მინალთუნი და სამი აბაზი თეთრი ფული. ბაბანა კილაძე.

308. 1819 წ. ანგარიშის წიგნი ა ლ ა ლ ო ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა. დედანი. ზომა 16×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 3884² Hd. საბუთი დაწერილია ა ლ ა ლ ო ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა -ხელით.

ჩყიე წელს, დეკემბრის შვიდიდამ ჯორაევისაგან მოცემულის თამასუქისა თეთრი რომ მთხოეს ბაბანამა და შიოშმა, რაც მივეც და როგორცა, ამას ქვემოთ დაიწერება.

- გ (3 თუმანი) ქ. ამავე დეკემბრის ზ-ს კურთხეულის გაბრიელ მი-
ლახერის წიგნით იოანე აქიმოვს სააქიმოთ მივე
თეთრი და გავისტუმრე.
- ე (5 თუმანი) ქ. ჩყით-ს წელს, იანერის პირველს ჩემის შვილის და-
ვითის ხელით გაუგზავნე თეთრი სადგომსა.
- ფ (5 თუმანი) ქ. კიდევ ამავე თვის იე-ს მიიღო თეთრი ბაბანამ.
- ო (10 თუმანი) ქ. კიდევ მიიღო თეთრი რიგის გადასახდელათ, სო-
ფელში რომ მოვიდოდა, იანერის კდ.
- პ (10 თუმანი) ქ. პაიჭაძის ვალში მიმაკვამინა და მილახერის თამა-
სუქი დამასხნევიანა, თებერვლის ა.
- ბ (3 თუმანი) ქ. ამავე თარიღში მიიღო თეთრი.
- ვ (5 თუმანი) ქ. მარტის იდ ლაზარეს ხელით თეთრი ორჯელ აჰ (15
მინალთ.), ბ შალის ჩარღათის ფასი აჰ (15 მინ.),
ზ რუსული ჩარეკი მაუდის ფასი აჰ (14 მინ.),
ერთი შავი მაუდის ფასი ჩჰ (1 მინ. და 18 შაური),
თეთრად მივე წრ (4 მინ. და 2 შაური), რომ იქმნა.
- ჰ (15 მინალთუნი) ქ. კიდევ ბაბანამ თეთრათ გამომართო ა (1 თუმ.)
და მეორედ ჰ (5 მინ.), იქნება.
- ქ. ლაზარეს ხელით სახარჯო ეთხოვნა და გაუგზავნე
მარტის კ-ს ჰ (5 მინ.), ბ დიდი ქისის ფასი ჰ
(5 მინ.), ბ წერილი ქისის ფასი ცუ (2 მინ. და
2 აბაზი), ტილოს ფასი გამომართო ლაზარემ ძ
(3 მინ.), კიდევ ლაზარეს ხელით სახარჯო გაუგზა-
ვნე ჰ (7 მინ.) და კიდევ ჰ (5 მინ.)¹.
- ა (12 მინალთ. და 2 აბაზი) ქ. მარტის კ ლაზარეს ხელით სახარჯოთ ჰ (5 მინ.),
ბ დიდი ქისების ფასი ჰ (5 მინ.), ბ წერილი ქისის
ფასი ცუ (2 მინ. და 2 აბაზი).
- ბ (2 თუმ., 7 მინალთ. და 4 აბაზი) ქ. ლაზარეს ხელით სახარჯო ჰ (5 მინ.), ტილოსათვის
ძ (3 მინ.), კიდევ ლაზარეს ხელით სახარჯოთ ჰ
(7 მინ.), კიდევ ლაზარეს ხელით სახარჯოთ ჰ (5
მინ.), ა ლიტრა ალიბუხარი ცხ (2 მინ. და 1 აბაზი),
ბ გირვანქა თუთუბო ქ (1 მარჩ.), შიოშმა მიიღო
თეთრი ჰ (5 მინ.).
- გ (19 მინალთ. და 1 მარჩილი) ქ. ე ჩარეკი ალიბუხარი ცჰ (2 მინ. და 1 მარჩილი), ა
თეთრი შალის ჩარღათი ჰ (7 მინალთ.), ბ გირვანქა
ზაფრანა ძუ (3 მინ. და 2 აბაზი), ა დიდი ღიბის
ქისა წს (4 მინ. და 1 აბაზი), ბ პატარა ღიბის ქისა ცუ
(2 მინ. და 2 აბაზი). იქნება ჯამი ამისი.
- დ (48 თუმ., 4 მინ. და 4 აბაზი) ქ. დარჩა თეთრი. ამაში მიიღო შალის ჩარღათები
ყვითელი და თეთრი.
- ე (15 მინალთ. და 1 აბაზი) ქ. ამისი დარჩა ჩემთან ჩ (1 მინ. და 6 შაური); ქ.
შავი ფულისა რ (2 შაური); ქ. შალისა ჩ (1 მინ.).

¹ ეს პარაგრაფი გადახზულია.

309. 1818 წლ. აპრილი. შემოსავალ-გასავლის წიგნი მოლნინის ეკლესიისა. დედანი. ზომა 34x22,2 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია მრავალწერტილი. საქ. სახ. მუხ. № 8693 Hd.

მოლნინის ეკლესიის შემოსავალი და დანახარჯი ჩიქვ წლიდამ მოკიდებული ვიდრე ჩიქვ წლამდისინ

წლის რიცხვი	საეკლესიო შემოსავალი	კონიას და ბაბელას დუქნის ქირა	ტერ-ნიკოლოსას შვილების დუქნის ქირა	ბრჯანოს ტეფანას დუქნის ქირა	მეტეორკლის დუქნის ქირა	სრულებით შემოსავლის წლის ჯამი	დანახარჯის ჯამი თვითწლის წლისა
ჩიქვ	ე ცლ					ე ცლ	ე ჰსმ
ჩიქზ	ზ რშკე					ზ რშკე	ი ახშკ
ჩიქც		ჰ				ჰ	
ჩიქთ	ზ ცლ	ე ბქ			ა შკ	ი ლხრკ	ე ეწყმე
ჩყ	თ ბქ	ე ბქ			ა შკ	ი ეხსმე	გ ბტო
ჩყა	თ შუნქე	ე ბქ			ა შკ	ი ხყნმე	თ ძს
ჩყბ	მ წშმ	ბ წ				ი ჯშმ	ბ ბტე
ვიდრე ივნისამდე.							
ივნისიდან დეკემბრამდე	გ რკ	ბ წ			ა შკ	ვ ხმ	თ ხლ
ჩყგ	მ ტშნიე	ბ ხლნ	ა ბყნ		ა შკ	ი ლშნლე	ე ბტ
ჩყდ	ბ წშკე	მ ყ	მ ტყ		ა შკ	კ ძფმე	თ ერფნმე
ჩყე	ბ შფხ	მ რქ	მ ტყუ		ა შკ	კ წტნ	თ ერფნმე
ჩყვ	ი ჰლ	მ რქ	მ წწ		ა შკ	კ მ ცრკ	მ ტტრკ
ჩყზ	ე შუკ	ი ბქ	ი ჯ	ე ც	ა შკ	თ რყმ	თ მ ცშე
ჩყც	ზ ტყ	ი ბქ	ი ბ	ი ლწ	ა შკ	მ ექშლ	თ ჯშმ
ჩყთ	თ წკ	ი ბქ	ი ბ	ი ლწ	გ ცლ	მ ბხტკ	თ ხშ
ჩყი	თ რნმ	ი ბქ	ი ბ	თ ლწ	ბ	მ ვლმნ	მ ეჯშნკ
ჩყია	ზ ძსნმე	ყ ყ	მ	თ ხ	ბ	თ ა შმნმე	ვ რქნ
ჩყიბ	თ შმ	თ ბქ	ი ა ცყმ	ი ლწ		მ ლტნმ	თ ჯძმ
ჩყიგ	ი რუნე	ი ბქ	ი ბ	ი ლ		მ მ რნიე	კ მ რშლ
ჩყიდ	მ რლნ	ი ბქ	ი ა ძ	ი ბტ		მ ვტნ	ი ლ ჰტნ
ჩყიე	ი ფნ	ი ბქ	ი ჯ	გ ც	ვ შ	მ ეწნ	თ ვ ხუ
ჩყივ	ი ზ ცქკე	ი ბქ	ი ჯ	ი ლწ	ჯ ფ	ნ ე ჯ ლკე	ი ე ბტნ
ჩყიზ	ე ცფნ	თ ბქ	თ ბქ	ი ბძქ	ა რყ	თ ტტრნ	ი ბტლნკ
ჩყიძ	ე ძრნ	გ ბუ	გ ც	ბ	წ ფ	ი ე წყნ	ა შპნკ

აპრილამდინ.

310. 1820 წლ. თებერვლის 22. ქონების ნუსხა ლუარსაბ თარხნიშვილისა, გაგზავნილი დავით თარხანოვისადმი. დედანი. ზომა 34,5 x 21,6 სმ. დაწერილია ლურჯი ქაღალდის ორ ფურცელზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად რამდენსამე ადგილას ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
სახ. სახ. მუხ. № 8322 Hd.

დღეს აქ ამ პერობილობაში რაცა მაქვს სახმარად, ამას ქვემოთ სწერია. ამაზედ მეტი არა მაქვს რა და, ვინ იცის ღის მეტმა, რომ უეცარი სიკვდილი შემემთხვეს, ვინც იყენეთ პატრონი ჩემნი, ამაზედ მეტს ნურას მოიკითხავთ, არც არა მაქვს.

ქ. ხატი ყდ წმიდისა ღთის-მშობლისა, რუსულად მოქედლი, მინა დაფარებული.

ქ. ხატი წმინდის ნინა მოციქულთა თანასწორისა, ამსახეთვე მოქედლი მინით.

ქ. ხატი დიდისა მღვდელთ-მთავრისა წმიდისა ნიკოლაოზისა, ძველის მხატვრობისა, ბუდით. და აქვს ესე გვირგვინის მოსაქედათ პეპუა ოქრომქედელს; ცუ (14 აბაზი) ვერცხლი მივეც და ორი ოქროს შაური. ხელუასი არ მიმიცია, უნდა მიეცეს.

ქ. ხატი ჯვარცმისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მინაზე დახატული, პატარა.

ქ. ხატი უბისა, პატარა, თითბრისა, ღთის მშობლისა, ბუდითა.

ქ. ხატის შამდანი თითბრისა, პატარა.

ქ. ლოცვანი მხედრული, შუალამისა.

ქ. დაუჯდომელი პატარა, (მ)ხედრული.

ქ. წიგნი ჩემგან გადმოწერილი, ევროპის ცხოვრება.

ქ. წიგნი ესოაქვს ცხოვრებისა.

ქ. ლექსიკონი გამოკრებილი, ჩემი დაწერილი, სამი რვეული.

ქ. პატარა მაკრატელი.

ქ. პატარა ჯიბის დანა, ორპირი.

ქ. პაწაწა მისხლის სასწორი.

ქ. სარკე ირიბი, ხის ყდაში ზის, გატეხილიც არის.

ქ. ხალიჩა ერთი.

ქ. ფარდაგი თარაქამული, ძველი, ერთი.

ქ. ფარდაგი ქუთრთული, ძველი, ერთი.

ქ. ქეჩა ცალპირი, მასნათისა, ნახმარი.

ქ. საბანი ყალამქრისა, მითლიანი.

ქ. ლეიბი მატყლისა, წითელი შილით, თავის ძველის ზეწრითა.

ქ. ბალიში შუბლისა, თავთის ხეებიანის ახალის ჩითისა, ძველის საპირით, საურით.

ქ. ყურბალიში ყუისა, რუსული ჩითის საპირითა და საურითა.

ქ. მუთაქა ტილოსი ნარმის საურითა.

ქ. ბიჭის ქვეშსაგები ნაბადი, ნახევარი.

- ქ. სუფრა დაჩითული, ძველი.
- ქ. სუფრა სტოლისა, თეთრი, დუგუნის ტილოსი, ორი ადლისა.
- ქ. სასუფრე ტილო, თეთრი, დუგუნისა, ახალი, გამოუჭრელი, ცხრა ადლი.
- ქ. ხელსაწმენდი ხელსახოცი დუგუნისა, პატარა.
- ქ. ქვაბი სპილენძისა, პატარა, ნახევლიტრის (sic) ხორცისა..
- ქ. ტაფა ზომიერი.
- ქ. ქაფქირი ზომიერი.
- ქ. ჩამჩა ზომიერი.
- ქ. ლანგარი პატარა, ღრმა, არშიიანი.
- ქ. აქანდაზი სპილენძისა, დიდი.
- ქ. ზედადგარი ახალი, ზომიერი, მთელი.
- ქ. ცული, დიდი ზომიერი.
- ქ. ხორცის საჩეხი წალდურა, ტარიანი..
- ქ. შამფური სახაბაზოსი, დიდი, კავ-მოტეხილი..
- ქ. შანდალი ახალი. დიდი, თითბრისა.
- ქ. მაყალში (sic) ერთი.
- ქ. ტაშტი სპილენძისა, ხელის საბანი, დიდი, ახალი და მოკალული.
- ქ. თუნგი სპილენძისა, ხელის საბანი, პატარა
- ქ. ჩაიდანი რუსული, დიდი, თუნუქისა, თავის თავსახურავით.
- ქ. როდინი, მარილის სანაყი, ჩალხში გამოყვანილი, დიდი, თავისის ქვითა..
- ქ. მარნის მინა, დიდი, ძმრისა.
- ქ. მარნის მინა, პატარა, ოტკისა, თეთრი.
- ქ. პუტლიკა, შავი, ოტკისა.
- ქ. პუტლიკა, შავი, მელნისა.
- ქ. პატარა მინა, პირგანიერი, ზეითუნე დგას.
- გ ქ. სტაქანი სამი, ორ-ოლ-შაურიანი.
- გ ქ. ჩაის ნალბაქი ორი და ფინჯალი ერთი; ძველის ქარხნისა ვარაყიანი.. მეორე ფინჯალი დამტვრეული არის.
- ქ. ჩაის საწურავი თითბრისა.
- ქ. ჩანგალი რკინისა, ტარგატეხილი.
- ქ. დანა, ხანჯლის შვილი, ხახვის საჭერი..
- ქ. კრაოტი ახალი, დიდი, ნიგვზისა, მოსაშლელი ბულღებიანი, ტილო გა-ბპული.
- ქ. კრაოტი მეორე, წვრილი, ჩამოსასხდომი, ახალი, ნიგვზისა, მოაჯირიანი..
- გ ქ. სკამი სამი, ორი ნიგვზისა და ერთი სხვა ხისა.
- ქ. სტოლი ფეხებ-დასხმული, პატარა, ნიგვზისა, ძველი..
- ქ. სტოლი მეორე, დიდი, ნიგვზისა, ესეც უბრალო არის..
- ზ ქ. ჯამი ქაშანურისა¹ შვიდი.
- ვ ქ. თეფში ქაშანურისა ექვსი.

¹ დედანში: „გაშანურისა“.

ქ. ტიკი ერთი, დიდი, ცალ-ფეხ-ნაკლები.

ქ. ტიკჭორა ახალი, ხუთი თუნგისა.

ხურჯინი თარაქამული, ნახმარი.

ტომარა თარაქამული, თეთრით და შავით ქრელი.

3

ფიცარი დარაბა, სქელი, ექესი, ხმელი.

ქ. წყალის კოკა ორი, ერთი მთელი დიდი და მეორე პატარა პირმოტეხილი.

ქ. საღვინე ინგლისისა, მთელი, ხუთჩარეკიანი, ქრელი.

ქ. საღვინე ორი ქვისა, ნახევთუნგნიანი, საწყაო ჩარეკა ერთი, თიხისა.

ქ. სადალაქოს უჯრა, ორი სამართებელი, საღვსავი ერბოს წონა, თასმა, ფუტა ძველი ჩითისა; საულვაშე, ნაკერი, ცალის ყვითელის ზორნით; პირსახოცი; სავარცხელი ორი, ხისა; სასაპოვნი; რუსული მანიშკა სამი, ყალამქრისა; დალსტუკი ერთი, შავი, წმინდა აბრეშუმისა, ნახევარტუბეთი; ესენი თავისავე ძველს ლურჯს ბოხჩაში აწყვიდა.

ქ. მეორე ახალი ლურჯი ბოხჩა ბამბისა. ამაში ნიფხავ-პერანჭვი არის ორი, მსხვილი თეთრი ნარმისა, ადლი სამ შაურიანი.

სხვა არა მაქეს, რაც ზედ არ მაცვია, ამის მეტი.

ქ. ყუთი ძველი. ამაში წიგნები არის და ქალაღებები და სიგლები არის, ორათ შეკრული, ზაზა უზბაშის შეილებისა დავითისა და ივანესი მობარებული. ესენი იმათ უნდა მიეცეს; ხელსახოცებში არის შეკრული.

ქ. სასხორული მამულის წიგნები არის კიდევ ამავე ყუთში, სიგლები და განაჩენი მეფის გიორგისა და უპრავის ბრძანებები. ეს ჩვენი არის, გაბრიელ დანდურისაგან მობარებული.

ქ. მეორე ყუთი პატარა. ამაში ის ფინჯლები არის.

ქ. ერთი მურაბის ქილა თიხისა, მაღალი.

ქ. ჩიბუხი ოქრომკედის ნაკერის ტარიანი და მარტორქის იმამითა, რომელიც ჩემა დამ მიბოძა ეს ჩიბუხი.

ეს არის, ძმანო, თუ სიკვდილი შემემთხვას, ამაზედ მეტს ნურას მოსძებნით, არა მქონია რა ამის მეტი. არც თეთრი მაქეს და არც ნივთი. ფებერვლის კბ, ჩუკ წელსა. ლუარსაბ თარხნის-შვილი ხელს ვაწერ, ლუარსაბ¹.

ძმაო საყვარელნო (sic), რადგან მიმწურა სიკვდილსა მრავალმან მწუხარებამან ჩემმან, ამისთვის დავსწერე ეს ხარა-ხურა და გაახელ მანდა. არამც შეცარი სიკვდილი შემემთხვეს, სხვა არა მაქეს რა დასაწერი. ძმაო, რომ ანდერძი დამეწერა, არა მაბადია რა. და თქვენ არ გეპირებათ ვრცელი ლაპარაკი, ყველა იცით. თუ დარჩნენ ვინმე კიდევ ჩემი ცოლ-შვილი, იმ(ა)თი თქვენ იცით, ძმანო. ფებერვლის კბ, ჩუკ წელსა, ლუარსაბ¹.

უფალს მაიორს და კავალერს, დავით თარხანოვს, მოწყალეს კელმწიფეს, ნოსტეს².

¹ ხვეულად.

² მისამართი, დაწერილი მეორე ფურცლის მეორე გვერდზე.

311. 1822 წლ. მაისის 21. შხითვის სია, მიცემული სიონის დეკანოზის იოსებ ავალიანის (იგივე ავალაოვის) მიერ თავისი ასულის მარტა სჯადმი, რომლის მიღებაზე ხელს აწერს სოლადოვის მეუღლე თინათინ. შენახულია დედანიც და პირიც. დედანი ზომით არის 34,8×10,7 სმ. დაწერილია ლურჯი ქაღალდის მოგრძო ოთხ-ფურცლიან რვეულში მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად 1 აქა-იქ ნახმაოია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 8373 Hd.

ჩუკბ-ს წელსა; მაისის კა-ს ჩემის ქალის მართას შხითვის სია ამას ქვეით-დაიწერება.

- ქ. თეთრათ ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი ვეცხლის ფული.
- ქ. ერთი ბახჩა ქინძისთავი ოქროსი, თვლებითა და მარგარიტითა.
- ქ. ერთი ოქროს ბეჭედი ზურმუხტის სამი თვლიანი.
- ქ. ერთი წყვილი საყურე ოქროსი, სამი თვლიანი.
- ქ. ერთი მარგარიტის ქინძისთავი.
- ქ. ცხრა შუბლის ქინძისთავი მარგალიტისა.
- ქ. ერთი¹ ხასყირმიზის ხავერდის ქათიბი დარაის სარჩულითა.
- ქ. ერთი თეთრი ჩიჩაგლის ხარის კაბა ფოთლიანი.
- ქ. ერთი ორფერი თირმა-შალი.
- ქ. ერთი ახალუხი მწვანე ატლას-ბაბთისა.
- ქ. ერთი მოვი ხასყირმიზის ალისფერის გულის პირით.
- ქ. ერთი შეიდიში თავის მორთულობით და თავის ზორტით.
- ქ. ერთი კრუყაოს ლეჩაქი.
- ქ. ერთი კილიტიანი თასაკრავი.
- ქ. ერთი ოქრომკელით ნაკერი ყასნალისა თავსადები და გაურჯელა ნა-ქსოვი.
- ქ. ერთი შუბლის საფენი ოქრომკედის ფოჩებით.
- ქ. ერთი ჩადრი.
- ქ. ერთი ბალდადის ხელსახოცი.
- ქ. ერთი წყვილი ფარჩის ქოში და აზრუმის სამოგვის წულა.
- ქ. ერთი დარაის ბოლჩა.
- ქ. ერთი ატლას-ბაბის ქათიბი, ისფერი, ბეწვით სავსე.
- ქ. ერთი სოსანი ლეონტინის კაბა.
- ქ. ერთი ყალმქრის ახალუხი.
- ქ. ერთი ფარჩის სარტყელი.
- ქ. ერთი მოვი ხასყირმიზი.
- ქ. ერთი შაიდიში თავის მორთულობით და ზორტით.
- ქ. ერთი პიგინიეთის(?) ლეჩაქი.
- ქ. ერთი მუჯასამის თასაკრავი.
- ქ. ერთი თავსადები, ყასნალთ ნაკერი, ერთი გაურჯელა.

¹ ეს სიტყვა გამეორებულია.

- ქ. ერთი ალისფერი ხელსახოცი.
- ქ. ერთი ჩადრი.
- ქ. ერთი წყვილი აბრეშუმის ჩლუქები (sic).
- ქ. ერთი წყვილი ბაშმაგები.
- ქ. ერთი დარაის ბოხჩა.
- ქ. ერთი იეზდის დარაის კაბა.
- ქ. ერთი მიტკლის პერანგი, ყვითლის გულისპირითა, თავისის გრეხილით.
- ქ. ერთი ყვითელი კამოლიტის(?) სარტყელი.
- ქ. ერთი ყასნალით ნაკერი ლეჩაქი.
- ქ. ერთი მუჯასამის თასაკრავი.
- ქ. ერთი თავსადები და გაურჯელა, კილიტით ნაკერი.
- ქ. ერთი რუსული ხელსახოცი.
- ქ. ერთი ალისფერი შალის კაპოტი.
- ქ. ერთი ალისფერი ბოხჩა.
- ქ. ერთი დახატული ლეჩაქის ფიცარი.
- ქ. ორი ტრუპოსის ლეჩაქი.
- ქ. ოთხი ალაბანის ლეჩაქი.
- ქ. შვიდი მუჯასამის თასაკრავი.
- ქ. ხუთი თავრსი(?) ნაკერი სახე.
- ქ. ერთი აბანოს პერანგი.
- ქ. ერთი თავის ყალამქარი.
- ქ. ერთი უბე ყალამქარი.
- ქ. ერთი უბე შალოვი.
- ქ. ერთი ხინაბანდი (sic).
- ქ. ერთი დარაის ფუტა.
- ქ. ერთი ისპანის სარკე.
- ქ. ერთი სადაფი ლიფა და ქისა.
- ქ. ერთი ატლასის ბაბის ბოხჩა.
- ქ. ერთი ფოდნოსის ყუთი.
- ქ. ერთი ვერცხლის ჯამი.
- ქ. ერთი წებოს თასი ვერცხლისა.
- ერთი ნალბაქი, ვერცხლისა, საპნისათვის.
- ქ. ერთი სადაფი მოსალესით და ოქრომკედის ყასნალის ნაკერი ბოხჩით.
- ქ. ორი ვერცხლის მილი, ერთი ვერცხლის ჩოფი, ერთი ვერცხლის თმის სა-
ყოფი.
- ქ. ერთი ძვლის სავ(ა)რცხელი¹.
- ქ. ერთი თალათინის სარკე.
- ქ. სამოცი ქინძისთავი თავისის ფარჩის ბალიშით.
- ქ. ერთი მუხლსაფენი, ნაკერი.
- ქ. ერთი დიდი სარკე, უჯრიანი.

¹ დედანში: „საგრჩხელი“.

- ქ. ერთი პირსახოცი.
- ქ. ერთი ფერადის ყუთი.
- ქ. ერთი სტილი ხაიათი.
- ქ. ერთი სტილი შლილი.
- ქ. ერთი საწვრიმანოს ყუთი ფოდნოსისა.
- ქ. ოთხი დანა.
- ქ. ორი მაკრატელი; ხუთი წყვილი წინდის ჩხირი.
- ქ. ერთი სამართებელი.
- ქ. ორი თოფი ნემსი.
- ქ. ერთი წყვილი ფითილა თითბრისა.
- ქ. ორი მძივის კრიგლოსანი.
- ქ. ერთი ვეცხლის სათითე.
- ქ. ერთი ბადის მილი და ნემსი ვეცხლისა.
- ქ. ორი ყასნალის ნემსი.
- ქ. ერთი მძივის გრეხილი.
- ქ. ერთი სტილი თითბრის მართული.
- ქ. ორი დასტა ქალაღდი, სათამაშო, თავისის ნაკერის ბუდით.
- ქ. ნახევარი სტილი უმარილი და ფერი.
- ქ. გუნდა და ლახოსტაკი თავისის პარკით.
- ქ. სახამებელი და ლილა.
- ქ. ცხრა თითისტარი თავისის კვირის ტავით.
- ქ. ათი საპონი მარანდულისა, რუსული, სუნიანი და მუშკისა.
- ქ. ჭურჭელი.
- ქ. ცხრა თეფში.
- ქ. ცხრა მათლაბა.
- ქ. ცხრა ნალბაქი.
- ქ. ერთი სათლი თავისის ჯამ-თასით.
- ქ. ერთი ტაფა სახამებლისა.
- ქ. ერთი ტაშტი.
- ქ. ერთი თუნგი.
- ქ. ერთი ლურჯი სუფრა.
- ქ. ერთი ვეცხლის თასი.
- ქ. ერთი შამდანი თავის მაყაშით.
- ქ. ერთი ყალამქრის საბანი თავის მითლით.
- ქ. ერთი დოშაქი ბუნბულით, მითლით და ჩითის მითლით, ხავერდის პის რით და დიმიკიტონით.
- ქ. ბალიში ბუნბულისა, მითლით, რუსულის ჩითით, ატლას-ბაბი ალი ფერი და საური მიტკლისა.
- ქ. ერთი დორი ტილოთი, შილით, ხავერდით და ატლასით.
- ქ. ერთი მუთაქა ტილოთი და ხავერდით.
- ქ. ერთი მიტკლის ჩარსავი.
- ქ. ერთი ხალიჩა.

- ქ. ერთი ქეჩა.
- ქ. ერთი ფარდაგი.
- ქ. ერთი წყვილი მათრაშა.
- ქ. ერთი სკივრი.

ამ სიაში ხსენებული თეთრი, ნივთი და უეჯი¹ სრულებით მი(ვი)ღეთ ჩემის მოასილით (?) თინათინის, სიონის დეკანოზის იოსებ ავალოვისაგან, რომელზედაც ხელს ვაწერ, სოლადოვის კნენა თინათინ. ამისი თანადამწერე და მოწამე ვარ, ჩემის დის თინათინის თხოვნით, გუბერნ(ც)კის სეკლ(ე)ტერი-სოლომან ჯორაევი(?)².

312. 1323 წლ. აგვისტოს 9. ნაბახტევის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაქარია თარხანოვის მიერ გრიგოლ წერეთელისადმი. დედანი. ზომა 37×24 სმ. დაწერილია ღერბიან ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახარია წერტილი, მძიმე ან ტირე. საქ. სახ. მუხ. № 8821 Hl.

ჩუკვ წელსა, აგვისტოს თ დღესა ესე შეკრულობის წერილი მოგეც მე, ქვემო ხელის მომწერელმა პოდპორუქიკმა (sic) ზაქარია რამაზის ძემ თარხანოვმა, თქუჟნ, თავადს პოდპოლკოვნიკს და კავალერს გრიგოლ ზურაბის ძეს წერეთელს, ასე რომ ჩემი წილი ნაბახტევი და ჩემის ახნაურშვილის ცალქალამიდის ნაქონი ერთობით სრულად თქვენ მოგყიდე. აგრეთვე ნაბახტეველი აკოფაშვილი ნონია, სურამის მცხოვრებელი. და ამაზედ სუდა ი რასპრავაშიაც არზა მივეც. ამაში ზოგი ხელში მეჭირა თეთრი და ახლა სრულებით მივიღე სამოცდახუთი თუმანი თეთრი ფული და ამისი უარის ყოფა აღარ შემიძლიან. და რომელმაც მხარემ უარი ვჰყოთ, თხოთმეტი თუმანი შემამზლელოთ ჯარიმა მივეთ ერთმანეთს. და აგრეთვე თუ კიდევ ამ მამულზე დავა გამოცხადოს ვინმე და კუფჩა ვერ დაგიმტკიცებინო, მაშინ სამაგიეროდ სათარხანოს მამულიდამ შეგისრულო თავისის ანგარიშით.

ხელსა ვაწერ, თავადი პოტპორაჯიკი (sic) ზაქარია რამაზის ძე თარხანოვი.

¹ თუ „ავეჯი“?

² საბუთის პირში ამ უკანასკნელი ნაწილის მაგიერ სწერია: „სიონის სობოროს პროტოიერეი იოსებ ავალიანი“. პირისავე უკანასკნელ გვერდს აქვს მინაწერი: „მზითვის სია, ნინა ბოლფარსკის შემოწირული“.

313. 1823 წლ. ოქტომბრის 28. ნაბახტევის ნასყიდობის წიგნ, მიცემული ევსტატი თარხანოვის მიერ დავით თარხანოვისადმი. დედანი. ზომა 36,5×22,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წვრილი და მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 8552 Hd.

ჩუკ წელსა, ოქტომბრის კჳ დღესა ესე პირობის წერილი მოგეც მე, ქვემოთ ხელის მომწერელმან, თავადმან ევსტატი ლუარსაბის ძემ თარხანოვმან, თქვენ, ჩემს ბიძაშვილს მაიორს და კავალერს დავით ზაზას ძეს თარხანოვს, ამას ზედა, რომელ სამკვიდროდ კუთვნილი ჩემდა მამული, მდებარე გორის უფლსა შინა, სოფელსა ნაბახტევსა, ოთხი საკომლო და ერთი ჩარეკი, ანუ ამას ზედა მეტ-ნაკლები, რომელსაცა სოფელსა თვით თქვენი ბრწყინვალება მონაწილეობს, მოგაციდეთ თქვენ ეს მამული, თვითოეული საკომლო შვიდ თუმან თეთრ ფულად, და ამ რიცხვში მივიღე მე თქვენგნით ამთავად თექვსმეტი თუმანი თეთრი ფული, ამ პირობით, რომ როდესაც სრულისა ნასყიდობისათვის შევიტანო ჯეროვანსა ალაგასა არზი; მაშინ დანაშთენიცა მომცეთ.. და რადცა შესახედრი სახაზინო ბაჟი იქნება, თქვენ, უფალმან თავადმა დავით თარხანოვმან, უნდა მისცეთ. და ამ სახით მოგეცით ესე წერილი, უკეთუ ამაზედ საჩივარსა შემოიტანს ვინმე, ამისი პასუხის მიმგები მე ვიქმნები და თქვენ ეს არ მოგეშალოს. ამის გარდა, რადგანაც ამჟამათ ქეშმარიტებით ცნობილი არა ვარ რაოდენობისა სოფლის ნაბახტევის მამულისა, თუ რაოდენი წილი და საკომლო მეკუთნეს, ამისთვის ჯამი და შედგენილი ფასი ვერ მოვიხსენე. და როგორც ძველი წერილი მიცხადებს მხედრს წილს, იმ სახედ ცნობილ შეიქმნებით თქვენ და ისე შევიტან არზას. და არაოდეს უკუუსთქვამსენებულს პირობასა ამას, ჩემს ხელს მოგიწერ, თავადი ევსტატი თარხანოვი¹.

314. 1823 წლ. ნოემბერი. დანახარჯის ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. უკანასკნელ ფურცელს ზემო მარჯვენა კუთხე მოგლეჯილი აქვს. ზომა 34×21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წვრილი. საქ. სახ. მუხ. № 14475 Hd.

- რაც ჩემის მოყვრების საქმეზედ დამიხარჯაღს, ამის ქვეით დაიწერება.
- ა (5 თუმანი) ქ. გორს ჩემს სიღედრს გაუგზავნე, აგვისტინეს ხელით, ხუთი თუმანი თეთრი ფული.
- ბ (2 მინალთ.) ქ. ივანეს საქმეზედ ორი ღერბიანი ქაღალდი ვიყიდე დასაწერი და სათარგმნელი მივეც.
- გ (2 მინალთ. და 3 აბაზი) ქ. როდესაც იმათი მამულის წიგნებისათვის ვილეიმინოვს არზა და სულა ჩრასპრავაში არზა მიართვი, იმ ქაღალდებისა და დასაწერი მივეც.

¹ ხელრთვა.

- ბ (6 მინალთ.) ქ. სუდა ი რასპრავაში ამ წიგნების საქმისათვის სტოლ-ნაჩალ-
ნიკს მივეცი ოქრო ორი.
- გ (3 თუმანი) ქ. სეკრეტარს მივართვი ამისთვის, რომ პოშლინას მთხოვ-
დენ, ოქრო ათი.
- დ (მინალთუნ- ქ. იმ წიგნების ღერბიან ქალაღზე გადავსწერე და ჩემს სი-
ნახევარი) დედარს მივართვი.
- ე (18 მინალთ.) ქ. ოსების ასაშვებად უგოლოვნის სეკრეტარს მივეცი ექვსი
ოქრო.
- ვ (12 მინალთ.) ქ. მთავარმართებელს რომ მისცა ლევანმა არზა—ერთი კაცე-
ბის სურსათისათვის და მეორე მაჩ(ა)ხიძისა და სხვა საქმი-
სათვის, იმის ქალაღდებისა დასაწერად მივეცი მე ორი ოქრო.
- ზ (1 თუმანი) ქ. ალიაშვილის აპელაციის არზა რომ და(ა)წერინეს თუთუ-
ლოვს, მოურავს და ლევანს მივეცი ერთი თუმანი.
- თ (12 მინალთ.) ქ. სუდა ი რასპრავაში ეს არზა რომ მისცა, აპელაციის თეთრი
არა ქონოდა და თორმეტი მინალთუნი მე მივეცი.
- ი (12 მინალთ.) ქ. მაჩიხიძეების უქაზი სპოლნიტელიდამ გორს ოკრუენოის ნა-
და 14 შაური) ჩაღნიკზედ და ნედაიმკისა ანანურის კაპიტანზედ, სეკრე-
ტარს უყიდე ჩაი და შაქარი თორმეტი მინალთუნისა და
თოთხმეტი შაურის.
- კ (7 თუმ. ქ. მაჩახიძეებისა და სხვის საქმისათვის ბატონიშვილმა არზა
და 7 მინალთ.) რომ მიართვა ისპოლნიტელს, მაშინ დაეხარჯე სხვა და
სხვა ადგილას ოთხი თუმანი: ერთს თორმეტი მინალთუნი,
ერთს ხმალი, ერთსა რომელიც ვიყიდე, ოცდახუთი მანეთი.
- ლ (1 მინალთ.) ქ. ალექსიშვილისაგან რომ იყიდეს, ქალაღი უყიდე და გა-
უგზავნე.
- მ (1 მინალთ.) ქ. აქ რომ ჩამოვიდა, იმ საქმეზედ თამასუქის ქალაღი უყი-
დე, მივეცი.
- ნ (3 მინალთ.) ქ. მაჩახიძეების კოპიას გაღმოსაწერად საქმის(ა) მივეცი მწე-
რალს.
- ო (15 მინალთ. ქ. ყმაწვილების მოწმობისა არზებისათვის და ხისათვის მოწ-
და 2 აბაზი) მოწმობისათვის ქალაღდების ფასი მივეცი სულ თუმან-ნახევა-
რი და ორი აბაზი.
- პ (8 აბაზი) ქ. ანანურს ვიყიდე სამი ღერბიანი ქალაღი და ჩემს სი-
ღედარს მივეცი.
- რ (4 მინ. და ქ. ყმაწვილები რომ მივეცი შკოლაში, იმათის მოწმობისათვის
1 აბაზი) საღებუტატოში მივეცი ოთხი მინალთუნი.
- ს (2 მინალთ.) ქ. გორს რომ თეთრი აიღეს, იმ თამასუქების ქალაღი ვი-
ყიდე, ორი ერთი აბაზი.
- ტ (5 თუმინი) ქ. წისქვილის ქვები მივართვი, მი(ვ)ეცი ხუთი თუმანი.
- თ (8 თუმანი) ქ. თამასუქი მივართვი ჩემს სიღედარსა ჩემი სიმამრისა, რვა-
თუმანისა.
- ი (15 მინალთ.) ქ. ვახიშვილების გულისათვის სეკრატარს მივეცი.

¹ „ა“-ს დღდანში თუმნის აღმნიშვნელი ნიშანი არ უხის.

ჩ (მინალთ.) ქ. პოვერონობის წიგნი დამიბრუნეს უეზნის სუდიდამ, იმათ
საქმეზედ გამომართვეს ქალაღდების ფასი.

მუ¹ (40 თუმიანი ქ. ჯამი არის ამტონი), 23 წლის ნოემბრის თვემდის დახარ-
ლა 4 აბაზი) ჯული, ორნოცი თუმიანი და ოთხი აბაზი.

ჩუკ წელსა, მარტის კა დღესა, განსვენებულის მამი-ჩვენის გარდაცვალე-
ბის უამს დაიხარჯა საიმტყერიოდ და აგრეთვე განსვენებულის დედი-ჩვენის
წამოღებაზედ, სანთელზე თუ სხვა რიგად, რაც დაიხარჯა აჟის თუმიდან,
ამას ქვევით დაიწერება.

ძ (3 მინალთ.) ქ. ხერსონის² პოლკის მღუღელს პეტრეს.

ძ (3 მინალთ.) ქ. ბლალოჩინის ქრისტეფორეს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. ანდრია მღვდელს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. ეფრემ მღვდელს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. იოსებ მღვდელს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. ახალსოფელ მღუღელს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. დავით მღუღელს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. გრიგოლ მღუღელს თორტიხასას.

ჩ (5 აბაზი) ქ. მეჯრუხეულს მღვდელს.

ჩ (5 აბაზი) ქ. ჩემს ევსტატს მღუღელს.

ჩქ (8 აბაზი) ქ. მოძღვარ თადეოს მღუღელს.

ჩ (5 აბაზი) ქ. ილარიონ მღუღელს.

ჩ (5 აბაზი) ქ. მთავარ დიაკონი ოქროპირიძეს.

ც (2 მინალთ.) ქ. სვირიდონ ბერს.

უ (2 აბაზი) ქ. ხერსონის პოლკის დიაჩოქს.

ჩუ (7 აბაზი) ქ. ქართველთ დიაკონთ ზ.

უ (2 აბაზი) ქ. შატბერაშვილს მგალობელს.

ჩ (5 აბაზი) ქ. მონოზონთ გ.

ჩ (5 აბაზი) ქ. დავითნის მკითხველს მცხედარზედ მიქელა დიაკონს.

უ (2 აბაზი) ქ. კუბოს ბალიშის ბამბისათვის.

ძუ (17 აბაზი) ქ. სანთელი საფლავისათვის და წირვისათვის, რომელიც
პირველ შემთხვევაში ვიყიდეთ ტერტერაშვილი ნონიასაგან.

უ (2 აბაზი) ქ. საფლავის გამთხრელთ მივეცი ოთხს კაცთ.

ც (2 მინალთ.) ქ. კუბოს გამკეთებელთ ღურგლებს ხელფასი.

აქქ (17 მინ. და 3 აბაზი) ქ. მცხედრის მიღებაზე და შვიდზედ წირვისათვის ვიყი-
დეთ ღვინო კოკა რვა, კოკა თერთმეტ აბაზათ.

ძ (3 მინალთ.) ქ. ზეთისხილი და მუხუდო თეთრი.

უ (2 აბაზი) ქ. კოლიოსათვის ნუში ორი სტილი.

ქ (3 აბაზი) ქ. კოლიოსათვის თაფლი.

¹ აქ ჯერ იმ ეწერა, რომელსაც ზემოდან დააწერეს იქ.

² დედანში: „ხერსონის“.

ქ	(3 მინალთ.)	ქ. სფირიდონ ბერს მიეცით შვიდისათვის და სანთელ-საკლმისათვის (sic).
შ	(18 შაური)	ქ. ბრინჯი ლიტრა ორი.
ლ	(14 შაური)	ქ. ლიტრა ზეთისხილი ერთი.
სს	(5 შაური)	ქ. ბ ლიტრა ლობიო.
ცხნ	(11 აბაზი და 1 შაური)	ქ. ტაბლისათვის აღდგომა დღეს ბატკანი ორი და კვერ-ცხი.
ძქ	(18 აბაზი)	ქ. აღდგომა დღეს ცხვარი ერთი.
ცქ	(13 აბაზი)	ქ. ავთანდილისა და ჩემის შავის შესაკერავი კელფასი-მკერვალს.
ცუ	(14 აბაზი)	ქ. ნანას ქათიბის შესაკერავი, ბეწვის გარდასაკრავი და ძალარის ფასი ¹ ქურქჩს მიეცე.
ცხ	(11 აბაზი)	ქ. მოახლე(ებ)ბის სასარტყლეთ სამი სამოსელი და შესაღებავათ
ც	(2 მინალთ.)	ქ. მოახლე(ებ)ბის ქოშებისა და წულეებისათვის.
ც	(2 მინალთ.)	ქ. შინ მოსამსახურეებს მიეცა სახარჯოთ.
ჩ	(5 აბაზი)	ქ. ბზობას თევზი—ზურგიელი ერთი, დოში წყვილი.
ღ	(14 შაური)	ქ. ხიზილალა ლიტრა ერთი. რაც ჩემის სიდედრისათვის სხვისთვის მის სახლში არის
ბ	(2 თუმანი)	ქ. პირველად რომ მიველ ჩემს სი
ა	(1 თუმანი)	ქ. თასაკრავი და ერთი ისპანის შ
ა ც	(12 მინალთ.)	ქ. მაიას მივართვი ორი ატლას-ბა
დ	(4 თუმანი)	ქ. შავი ცხენი მივართვი ლევ
ა ც	(12 მინალთ.)	ქ. მწვანე შალვარი მივარ[თვი].
ხ	(6 მინალთ.)	ქ. რევაზს ვაჩუქე ორი ოქრო
ა ც	(12 მინალთ.)	ქ. დავითს ორი ოქრო მაიას
პწ	(24 მინალთ.)	ქ. მოურავს ვაჩუქე რვა
ჯ	(8 მინალთ.)	ქ. ხუთი მინალთუნი გამდე
ხ	(6 მინალთ.)	ქ. ოთხი მინალთუნი მღუღელ
ბ ხ	(26 მინალთ.)	ქ. ჯვარი ¹ რომ დავიწერე ჩე საღეჩაქე მაიას საკაბე.
რ	(4 თუმანი)	ქ. აღდგომას მიველ ლევანს მ. ვთისა დ ერთი ემლოთის(?) შალის კაბა.
ა ხ	(16 მინალთ.)	ქ. ჩემს ² სიდედრს მივართვი კაბა და ლეჩაქე.
ა წ	(19 მინალთ.)	ქ. ახალწელიწადს რომ მიველ, მიუტანე საკაბე ჩემს სიდედრს.
ე	(5 თუმანი)	ქ. ლაჯვარდი თირმა-შალი მივართვი.
ა ც	(12 მინალთ.)	ქ. ლევანს ვაჩუქე ოთხი ოქრო.
ჯ	(78 მინალთ.)	ქ. ლევანს მივართვი თოფი სტამბოლი, პირმგვრგვალი, შეკაზმული.
ჩ რ	(1 მინალთ. და 2 შაური)	ქ. ლევან რომ ჩამოვიდა, წაღები უყიდე.

¹ ამ სიტყვის წინ სწერია სიტყვა: „მეორე“, რომელიც გადახაზულია.
² დედანში: „ჩემის“.

ქ (5 მინალთ.) ქ. ლურჯი ქუდი მივართვი.

აჩ (11 მინალთ.) ქ. სა(ა)ლდგომოთ წაველ, ჩემს სიდედრს მიუტანე კაბა.

ბ (6 მინალთ.) ქ. მაიას მიუტანე საკაბე.

წმჰრ 1823 წლის ნოემბრის თვემდი არის დახარჯულის ჯამი ორმოცდაორი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ორი შაური.

315. 1824 წლ. იანვრის 17. მეფის სძლის ქეთევანის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ნივთების ნუსხა. დედანი. ზომა 34,3×22,2 სმ. დაწერილია მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 1230 Sd.

კურთხეულისა და სანატრელის, ღმრთისადმი განსვენებულის, მეფის სძლის ქეთეონის დანაშთის ნივთების ნუსხა ამას ქვემოდ დაიწერება თვითოეულად.

ქ. ხატი ღმრთის-მშობლისა, პატარა, გვირგვინი თვალით და მარგარიტი მოოქვილი და გარემო ორპირად მარგარიტ-მოვლებული, ოქროსი, კარებიანი, თავისის მოქლონით და გასაღებით.

ქ. ერთი წყვილი ჩამოსავლები მარგარიტისა, შვიდ-შვიდის ქულიჩითა. ამათში რვა იაგუნდის ქულიჩები, თითო ქულიჩა შვიდ-შვიდი იაგუნდის თვალით. ოქროს ბუდებითა. ექვსი ზურმუხტის ქულიჩა, თითო ქულიჩა შვიდ-შვიდის ზურმუხტის თვალით თავისის ოქროს ბუდებითა.

ქ. ყელსაბამი მარგარიტისა, გაწყობილი ოცდაათის სხვილის მარგარიტით, ერთის დიდის წითლის იაგუნდის თვლით, თავისის ოქროს ბუდით, რვა წითლის იაგუნდით, ოთხის ფირუხით, თერთმეტის ზურმუხტით, ერთის ოქროს მინაქრის ხონჩით, რომელსაც უზის შუაზე აღმასი და ექვსი წითელი იაგუნდი. გარეშემო ცხრა ოქროს მინაქრის სინსილა მწვანე.

ქ. ბატონის-შვილების სახე, რუსულის ოქროთ სალტე შემოვლებული. ამისი ჯაჭვი სამოცდაათი სხვილის მარგარიტისა, სამოცდაათი წვლილის მარგარიტისა და თავს ოცდახუთის წვლილის მარგარიტისა. ამათი ყუთი ქარვა ხუთოსი, შეწყობილი სახიანი.

ქ. ექვსი მტკაველი მარგარიტის ჯაჭვი, ორპირად ასხმული.

ქ. ერთი ოქროს ღილი, ხუთის სხვილის მარგარიტით და ხუთის წვრის წითლის იაგუნდით.

ქ. ოქროს ბურნუთის ყუთი ლაყვარდისა, რომელსაც აზის სახე ბოლინასი; გარეშემო უსხედს თექვსმეტი ბრილიანტი.

ქ. ქარვის გულსაკიდი ჯჭარცმის ხატი, ოქროთ მოქედლი.

ქ. ერთი სხვილი ქინძისთავი მარგარიტისა, თავის ოქროს ბირკებით.

ქ. მეორე ქინძისთავი იმაზე მომცრო მარგარიტისა, თავისის ოქროს ბირკებით.

- ქ. რვა წვრილი ქინძისთავი მარგარიტისა.
- ქ. ლურჯის იაგუნდის ბეჭედი, ბრილიანტით მოოქვილი.
- ქ. ბრტყელი ოქროს ჯაჭვი, ოცდაექვს ვარდიანი, თავის დიდის გრგოლით.
- ქ. ორი ოქროს საყურე, რომელსაც უსხედს თითო ფირუზი და ცხრა-ცხრა წითელი იაგუნდი.
- ქ. ორი პირის მარგარიტის კავი ოქროსი, მწვანე მინაქრიანი, რომელსაც უზის წითელი იაგუნდი და ერთი ფირუზი.
- ქ. ერთი ვერცხლის პატარა ყუთი.
- ქ. ერთი იეშმის ჯჭარი.
- ქ. რავდენიმე კიოტა მარგარიტი.
- ქ. იაგუნდისა და ზურმუხტისა ნაშალი თვლები ოთხმოცდახუთი.
- ქ. ერთი ფირუზის ბეჭედი, უზის ორი წითელ იაგუნდი.
- ქ. ერთი ოქროს ბეჭედი, უსხედს ცხრა წვრილი ფირუზი.
- ქ. ორი ფირუზის ბეჭედი ვერ ხლისა.
- ქ. ოცი წყვილი ფირუზის ოქროს ხრიკები.
ორი მარგარიტის ლენტი, მაჯებზედ მოსავლები.
- ქ. ერთი წყვილი მარგარიტის ბაზმანდი.
- ქ. ერთი იეშმის ყუთი, რომელშიაც ასვენია ცხოველ-მყოფელის ძელის ნაკვეთი ორი და წმინდის მინას ნაწილი.
- ქ. ამ ნივთების ყუთი რკინისა, მოჭედილი.
- ქ. ერთი სპარსული მურასა ოქროს ქარქაში დანისა, რომელსა ზედა არიან მინაქრით გამოყვანილნი სახეები, თავისის დანით, ოქროს ზარნიშინიანი, შირმაიის ტარით.
- ქ. მეორე ქარქაში ოქროსი, რევაზ სარდლის ნაქონი, რომელსა ზედა არიან ცხოველთ სახენი გამოყვანილნი, თავისის დაბანის დანით, ოქროს ზარნიშნით და სპილოს ძელის ტარით, თავის ყუთით, მოქლონით და გასაღებით.
- ქ. დიდი ოსმალური ასაღი, გინა შატროვანი, წითელს ხავედზედ დასხმული ვერცხლის კოპლები, ოქროთ დაფერილი.
- ქ. ქუთრქი კვერნისა წიაღი ჩიჩაგლუ ხარის საპირით.
- ქ. ორი ფარდი კვერნისა.
- ქ. ორი თირმა-შალი, ერთი წითელი ჭიის ფერი, მეორე ყვითელი ფათებთან.
- ქ. ერთი ოსმალის ქამხის სარტყელი, ფათა და არშია ოქრომკედისა.
- ქ. ერთი ყალამქრის საბანი.
- ქ. წვრილი ოქროს ჯაჭვი.

ეს ზემოხსენებულნი ნივთნი მივიღე ბიძის ჩემის გრიგოლ წერეთლისაგან და მე, მეფის ძის ძე გრიგოლ, პოდპოლკოვნიკი, ხელს ვაწერ წელს 1824, იანუარის 17.

რომელიც ამ ოცდაჩვიდმეტის კალმის სიით მათმა ბრწყინვალეობამ, პოდპოლკოვნიკმა და კავალერმა გრიგოლ ზურაბის ძემ წერეთელმა, თავისის დის,

განსვენებულის მეფის რძლის ქეთევანის, დანაშთენი ნივთები მოუტანა თბილისში და მიაბარა მათს განათლებულებას, მეფის ძის იოანეს ძეს პოდპოლკოვნიკს გრიგოლს, ამის თანადამსწრე და მოწმე ვარ, სტატკის სოვეტნიკი, თაი ელიაზარ ფალავანდოვი.

316. 1824 წლ. იანვრის 20. მეფის სძლის ქეთევანის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ნივთების დამატებითი ნუსხა. დედანი. ზომა 53,3×22,5 სმ. დაწერილია ერთი თაბახი ლურჯი ქაღალდის პირველ ფურცელზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქაიქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 1231 Sd.

კურობეულის და მღვთისადმი განსვენებულის, საქართველოს მეფის სძლის ქეთევანისა დანაშთენის ნივთების შემდგომის სია.

ქ. მარგალიტის გრებილი მგრგვალი, მსხვილი, პერანგზედ მოსავლები.

ქ. ოთხი ოქროს მინანქრის ბალთა, თავისის ოქროსივე ფარეშებით.

ქ. წირვის იარაღი სრულიად სახარებით და ჯვრით, გრიგოლ ჰიძაჩემს

ვაჩუქე.

ქ. მარანი სრულიად გაწყობილი, თავისის ვერცხლის ორის ფოდნოსით, ერთის დიდი და ერთი პატარათი, ვეცხლის ჩაიდნით, ვეცხლის ყავადნით, ს(ა)რძევეთი, შაშაქრეთი(sic) და პატარა ჩაის კოვზებით და საწურით.

ქ. შვიდი სინი დიდი, ვეცხლისა, მოგძე თუ რგვალი, ამათში ერთი უდიდესი.

ქ. ჩვიდმეტი დიდი სტოლის კოვზი.

ქ. სამიჯ ამათზედ უდიდესი კოვზები.

ქ. ორი ჩამჩა დაფერილი.

ქ. ერთი მომცრო სოუზნიკი.

ქ. ერთი პატარა აზარფეშა.

ქ. ერთი დიდი ოსმალური რახტი, დაფერილი.

ქ. ერთი ბილანი.

ქ. ორი ოსმალური პატარა ვეცხლის ზარფები.

ქ. რაც წიგნებში იყო სრულიად საღმთო თუ საერო, ცხოვლის წიგნდ ლათინური, გრიგოლს ვაჩუქე.

ქ. ჯაქვი, ჩაჩქანი, ორი წყვილი ყულნაკი, ორი შუბის პირი.

ქ. ორი დამბაჩა.

ქ. ყირიმის თოფი, ვეცხლით მოქედილი.

ქ. იმერული ლეკური, ვეცხლით მოქედილი.

ქ. ოთხი საათი, ორი ოქროსი და ორი ვეცხლის.

ქ. კრიელისნები მარჯნისა და ქარვისა.

ქ. ერთი დიდი ყანწი გილანისა.

ამას გარდა რაც წვრიმალნი არის, ან ქვეშსაგებელი, ნება მოგეცე, ბიძა-ჩემო გრიგოლ წერეთელო, რათა გაჰყიდო და დედის ჩემის სულის საწირავად მისცე.

ქ. ეგრეთვე ტანისამოსი თუ რამ არის, დაარღვევინე და შესამოსლად შეაქვრვინე.

ქ. თუმანა გოგო, დედის ჩემის ნასყიდი, მევე მივიღე იანვრის კ-ს დღესა, ჩყკდ-სა წელსა, მეფის ძის ძე, გრიგოლ პოდპოლკოვნიკი, ხელს ვაწერ.

317. 1827 წლ. მარტი. ნივთების სია კნეინა ანასტასიასი. დედანი. ზომი 34,6x21,5 სმ. დაწერილია ორად გაკეცილ თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქაიქ ნახმარია წერტილი, ორწერტილი, მძიმე. საქ. სახ. მუხ. № 4074 Hd.

წელსა ჩყკდ-სა მარტის ...-სა რაც ჩვენს რძალს კნეინა ანასტასიას მიერთება და გაჰყუა, ამისსა ქვემოთ თვითეულად სახელდობ იწერება.

ქ. ერთი ხატი ღთის-მშობლისა, ფოიოთი მოჭედელი.

ქ. ა უნაგირი, ვეცხლის თავიანი.

ქ. ა ყაჯარი ჩაქსული შალისა.

ქ. ა თაქალთო.

ქ. ა უნაგირის ბოხჩა.

ქ. ა პატარა ოქროს საათი, უბისა.

ქ. ა ვეცხლის თასი კრელი, ღვინის სასმელი.

ქ. ა სურა ვეცხლისა, ყურიანი.

ქ. ა დიდი კოვზი ვეცხლისა, საკმლის გამყოფელი.

ქ. ა მძივის მოგრძე ჩიბუხი ქარვის იმამით.

ქ. ა ქეჩა ქვემოური, ცალპირი.

ქ. ა კრიელოსანი მომსხო ქარვისა.

ქ. ა ძეწვევი მარგარიტისა.

ქ. ა ჯუბარი ალმასისა, მარგარიტის ჯაქვით, შიგადაშიგ ფირუზ-ჩა-სხმელის ქულუჩიანი.

ქ. ა ბახჩა ქინძისთავი, ზურმუხტისა, მარგარიტით.

ქ. ა ქინძისთავი მარგარიტისა, ოქროს ბირკებით.

ქ. ა წყვილი საყურე იაგუნდისა, მარგარიტით.

ქ. ა ალმასის ბეჭედი.

ქ. ა ვეცხლის სურა.

ქ. ა პატარა ალმასის ბეჭედი.

ქ. ა პატარა იაგუნდის ბეჭედი.

ქ. ა ზურმუხტის ბეჭედი.

ქ. ა წყვილი საყურე ოქროსი, ჩივთიშიანი, მარგარიტიანი, ფირუზით.

ქ. ა მოდიდო ალმასის ბეჭედი.

- ქ. ა ალმასის ბეჭედი.
- ქ. ა ზურმუხტის ბეჭედი, ალმას-მოვლებული.
- ქ. ა იაგუნდის წითელი ბეჭედი.
- ქ. ა ფირუზის ბეჭედი ლუთ-ალმას-მოვლებული.
- ქ. ა ზურმუხტის ბეჭედივე.
- ქ. ა ფირუზის ბეჭედი, ორ ალმასიანი.
- ქ. ა პატარა ფირუზის ბეჭედები.
- ქ. ა ოქროს წჭრილი ჯაჭვი.
- ქ. ა ჩიფთიში ვეცხლის ზანდუხჩა.
- ქ. ა წყვილი პაწაწა საყურები.
- ქ. ხუთი ნემსი შუბლისა წჭრილ მარგარიტებიანი.
- ქ. ა კრიელოსანი ქარვისა არა დიდ მარცტილიანი.
- ქ. ა სარკე ყუთისა, უჯრიანი.
- ქ. ა სარკე მგრგუალი.
- ქ. ა კაბა ჩითისა, ჩაქსული.
- ქ. ა კაბა მატერისა, ნახმარი.
- ქ. ა ფარჩის სარტყელი საზაფხულო.
- ქ. ა ნაკერი თავთის სარტყელი.
- ქ. ა ფლორის ლეჩაქი.
- ქ. ა ქათბი ხასყირმიზის ხავედისა, უბეწვო.
- ქ. ორი გულის პირი მარგარიტ-ალრეულიანის გრეხილებით.
- ქ. ა კაბა ცისფერის ატლასისა.
- ქ. ა კაბა ცისფერის ჩიჩაგლი ხარისა.
- ქ. ა კაბა ბაღრიჯნის ფერის ატლასისა.
- ქ. ა კაბა იასამანის მატერიისა.
- ქ. ა კაბა ყვითელის ატლასისა.
- ქ. ა კაბა მწვანეს ატლასისა.
- ქ. ა კაბა თეთრის ჩიჩაგლის ხარისა.
- ქ. ა კაპოტი იასამანის ატლასისა.
- ქ. ა ბალიშის პირი ატლას-ბავთისა.
- ქ. ა ფრანკუსული შალური.
- ქ. ა ყუთი მუზიკისა, საწვრილმანოსი.
- ქ. ორი თავთის ზონტიკი.
- ქ. ა საწვრილმანოს ყუთი ფრანკულსულის სარკინი.
- ქ. ა პატარა საბანი ფარჩისა, ყმაწვილისა.
- ქ. ა შალი ექვს ფერი.
- ქ. ა ალისფერი შალი გუსფიჩისა.
- ქ. ა პირისფერი შალი გუსფიჩისა.
- ქ. ა ნარგიზი შალი გუსფიჩისა.
- ქ. ა ნაკერი თავთისა ნახევარ-სარტყელი.
- ქ. ა ჩარლათი ფრანკუსული.
- ქ. ოთხი ფონდოსის სხვა და სხვა წჭრილი კელს ყუთები.

- ქ. ა დარაის ბოხჩა.
- ქ. ა მწვანე პოლხავედის კაპოტი.
- ქ. ა კრუჟოის ლეჩაქი.
- ქ. ოთხი ფლორის ლეჩაქი.
- ქ. ა ძველი კრუჟოის ლეჩაქი.
- ქ. ა ჩაქსული შალი.
- ქ. ა ყალამქრის ჩარღათი.
- ქ. ა აბანოს პერანგი.
- ქ. ა ნაკერი სუზანი.
- ქ. ა ყალამქრის ახალუხი.
- ქ. ა ყალამქრის ბოხჩა.
- ქ. ა წამოსასხამი ჩადრი.
- ქ. ა ალისფერი მატერიის სარტყელი, საზაფხულო.
- ქ. ა წყვილი ფარჩის ქოში.
- ქ. ა მძიმე ვეცხლი(ს) რახტი.
- ქ. სამი ზეწარი.
- ქ. ა დარაის ფუთა.
- ქ. ა დოშაქი ბუნბულისა, ხავედიანი.
- ქ. ა ბალიში ატლას-ბავთისა საუჩით.
- ქ. ა ტასტი, ა ალთაფა.
- ქ. ა დიდი ფოდნოსი(ს) ზანდუღი.
- ქ. ორი მაკარიის ზანდუღები.

ახლად მიროთმეულნი თავადის იესე თუმანოვისაგან:

- ქ. ა ლის-მშობლის დაგვრგვნების ხატი, მინაზედ დახატული.
- ქ. ა თამასუქი თხუთმეტის თუმნისა, იოანე ერისთოვისა.
- ქ. ა ვეცხლის ჩარქა.
- ქ. სამი ხალიჩა.
- ქ. ა ქეჩა ხალიჩა.
- ქ. ორი ქეჩა.
- ქ. ა ფარდაგი.
- ქ. ექვსი სტოლის კოვზი ვეცხლისა, ექვსის დანით, ექვსის ჩანგლით და ექვსის სალფეთქით.
- ქ. ნახევარ დუჟინი ჩაის ფინჯნები ექვსის ვეცხლის კოვზით და ჩინის ჩაინიკით.
- ქ. ა სამოვარი.
- ქ. ორი დუჟინი მათლაფა და ორი დუჟინი თეფში საქსონისა.
- ქ. ა სარკე, გარეშემო ყუთავილებით დახატული.
- ქ. ა სირინოზიანი.
- ქ. ა მილორდის წიგნი.
- ქ. ა კინკლოსის წიგნი.
- ქ. სამი გრაფინკა.

- ქ. სამი სტაქანი.
- ქ. ორი შამდანი სტოლისა თავისის მაყაშით და ფოდნოსით.
- ქ. ა სტოლის სუფრა.
- ქ. ა უნაგირი.
- ქ. ორი დიდი ფოდნოსი და ერთი ნახევარ-დუყინიანი ფოდნოსი, ფიგურაინები.
- ქ. ა წყვილი მაფრაშა..
- ქ. ა ნარდის ფიცარი თავისის კაცებით.
- ქ. ა ქადრაკი თავისის კაცებით.
- ქ. ორი დიდი მუთაქა ხათაიებისა.
- ქ. ა საბანი ყალამქრისა, ნახმარი.
- ქ. ა ტილოს ლეიბი.
- ქ. ა სპილენძის თუნგი, ა სპილენძის ტასტი.
- ქ. ა ყავადანი.

ეს სია მე აღმაწერინეს და რანიცა ამას შინა ჩივთნი სწერიან, გარდასარკისა, ყოველნივე მიიღო კნენი ანასტასიამ, რომელთაცა მისგან მიღებასა შინა დავესწარ, მღწდელი ეგნატი იოსელიანი.

ამ სიაში აღნიშნულთა ნივთთა მიცემაში, ოდეს მიიღო კნენი ანასტასიამ, მე მოწმად დავესწარ, მაიორი იოსებ გარსევანოვი.

318. 1827 წლ. აპრილის 9. მზითვის წიგნი, მიცემული იოსებ ორბელიანის მიერ თავისი ასულის ნინასადმი. დედანი. ზომა 34,5x21,5 სმ. დაწერილია მოთეთრო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიფ. საქ. სახ. მუხ. № 7144 Hd.

შექმნან(?) ყრისა ხულულისა და უხილავისამან, უმაღლესისა ბრძანებითა მეტიბიკონემან, პირუტლსა სოფლისა საუკუნოსა დაწყებასა შინა ინება მეულღეობისა შეერთებად და ყლთა ზოგად კიდეთა ქრესტიანისათა ერთებრივად მიდფინა და უაღრეს ჩუწნდა ამისთჳს, რლ ვინადგან უზესთავსობს ჰსჯული ქრესტიანებრ, ჩუწნდა აღვასრულეთ ნება პრთულთა ჰსჯულითა ქრესტიანითა და ქორწინებამ და მივეცით მათის ბრწყინვალეობის თავადის ზაალის ანდრონიკოვის ძეს დონიკეს, მაიორმან თავადმან იოსებ ორბელიანოვმან, უსატრფიალესი ასული ჩუწნი ნინა, ყრითა კეთილობითა აღყვავებული შინაგან და გარეგან. შინაგანსა კაცსა მისსა აქტნდა კეთილობად შიში მღუთისა, სიბრძნე და სიბართლე, ხრ გარეგან შემკულ იყო ბუნებითითა დახატულობითა, სიწმინდითა და კეთილზრდილობითა შემეცნებული. მივედ, ჭოგ სასურველო ჩემო, მშუტნიერო ჩემო, ესევეთარითავე ქცეულებითა შენებრ მშუტნიერისა უძვირფასესისა სიძისა თა და იხარეთ სამარადისოჲსა კეთილდღეობითა და მოქალაქობითა, რომლისათჳსცა მოგეძღვანებიან ჩუწნ მიერ მზითვად საქირო-

ნი ნიეთნი ქუტყანასა ამას შინა სახმარნი, რომელნიცა ქვემოთ ამისა ნიშ-
ნეულად აღირიცხვიან და დაიწერებიან.

ჩუკუ წელსა, აპრილის თ დღესა, ორბელიანის ასულის კნიაჟნა ნინასი
რაც მზითვეს, ამას ქუტყით დაიწერება:

ქ. ხატი ფერისცვალობისა, გვირგვინი და არშია გარეშემოქედელი ვერ-
ცხლითა და ოქროდ დაფერილი, თავისის ატლას-ბაბთის ბუღით; შალის ზა-
რანდაზი, ნაკერი და ჩითის ფარდა; ხატი კიდევ თავისის ბუღით.

ქ. სამოციქულო.

ქ. დავითნი.

ქ. დაუჯდომელი.

ქ. შანდანი ხატისა.

სამკაული ქალისა:

- ქ. სამკაულისათვის თეთრი ასი თუმანი.
ქ. საყურე ოქროსი, თვლისა და მარგალიტისა.
ქ. გულის მასკულავი ოქროსი, თვალისა და მარგალიტის, ყელზედ შე-
საბამი.
ქ. ბახჩის ქინძისთავი ოქროსი, თვლისა და მარგალიტისა.
ქ. ბეჭედი აღმასისა.
ქ. ბეჭედი ოქროსი, ზურმუხტისა და იაგუნდის ბარტყებით.
ქ. ბეჭედი წითელი ლალისა.
ქ. ბეჭედი ოქროსი, ზურმუხტისა.
ქ. ბეჭედი ოქროსი ექვს მარცვლიანი, ზურმუხტისა.
ბეჭედი ფირუზისა.
ქ. ბეჭედი ოქროსი, ფირუზი, იაგუნდის ბარტყებით.
ბეჭედი ოქროსი ფირუზის თვლით.
ქ. შუბლის ქინძისთავი ხუთი მარგალიტისა თავისის ოქროს ბირკებით.

საპირისფარეშოს იარაღი:

- ქ. საპირისფარეშო წინსადგმელი ჯამ-თასი ვერცხლისა.
ქ. ჩხირი ვერცხლისა სამი.
ქ. თმის საყოფი ვერცხლისა ერთი.
ქ. ლამბაქი ვერცხლისა ერთი.
ქ. სარდაფი მოქედელი, თავისის ოქრომკედის ბუღით, ერთი.
ქ. მოსალესი ბროლისა ერთი, ვერცხლით მოქედელი.
ქ. ჩოფი ვერცხლისა.
ქ. საქინძისთავე ნაკერი, თავისის ქინძისთავეებით.
ქ. სარკე ყულარისა.
ქ. სავარცხელი თეთრის შირმაიის ძვლისა.
ქ. პირსახოცი ბოჩკოიანი.
ქ. ზირანდაზი ნაკერი.
ქ. ბოხჩა ყალამქრისა.

- ქ. წინსაღმელო სარკე.
- ქ. შალი თავზე მოსახვევისა.
- ქ. პირის ასახვევი, ნაკერი, ოქრომკედლისა, ოქრომკედლის არშიით.
- ქ. სოზბაითი ნაკერი კილიტებითა, თაღლითითა, სეილანით და მძივის სინსილებით.
- ქ. წარბის თასაკრავი, ნაკერი.
- ქ. ნაკერი თასაკრავი ოქრომკედლისა.
- ქ. ნაკერი თასაკრავი სარიმისა.
- ქ. ნაკერი თასაკრავი ფოიებით და ოქრომკედლით.
- ქ. ნაკერი თასაკრავი ხავერდისა.
- ქ. თასაკრავი სხტა და სხტა სორთისა, დაქრილი, ოცდა ხუთი.
- ქ. ხავერდის თასაკრავი სამი.
- ქ. თასაკრავი მურჯასამისა თერთმეტი, ქვეშეთი თასაკრავი ორი.
- ქ. შუბსაკრავი ორი.
- ქ. ლეჩაქი ფროლისა ერთი. ქ. ნაკერი თავსაღები ერთი.
- ქ. ლეჩაქი ატლასისა ერთი.
- ქ. ლეჩაქი ფროლისა, დაკრული, ერთი.
- ქ. ლეჩაქი, ნაკერი, კრუჟაოსი, ერთი.
- ქ. ლეჩაქი სახიანი, ყასნალით ნაკერი, ერთი.
- ქ. ლეჩაქი სახიანი ორი.
- ქ. ლეჩაქი სადა ერთი.
- ქ. ლეჩაქის ფიცარი დახატული, შვიდი კოპი, ნაკერი, ოქრომკედლისა, ფარისა და სხტა ლენტე(ბი).
- ქ. ქათიბი ხავერდისა ხასყირმიზის, თავისის სინჯაფის ბეწვით..
- ქ. კაპოტი დარაიისა.
- ქ. კაბა თეთრი მატერიისა, თავისის გაწყობილობით.
- ქ. კაბა სოსანისა მატერიისა, სეილანის ხრიკებით და ოქროთ დაფერილი.
- ქ. კაბა ყვითელი ატლასისა, მარჯნის ღილებით და ვერცხლის ჩაკენ-წლულით.
- ქ. კაბა პირისფერი ჩიჩაგლუ ხარისა, მწვანე მძივისა ღილებით ჩაკენ-წლულით, ვერცხლისა.
- ქ. კაბა ფირუზის განდიღურისა, თავისის გაწყობილობით.
- ქ. ფერჩატკები ორი წყვილი.
- ქ. სარტყელი ნაკერი ოქრომკედლით და ხავერდით, აღისფერს. ატლასზე გაკეთებული.
- ქ. სარტყელი განდიღურისა, მუყაბაშით და ფოებით ნაკერი.
- ქ. სარტყელი, მირინოზის შალი, ქირმანის, არშიით, აღისფერი.
- ქ. ახალუხი ატლას ბაბთისა, ლაჟვარდი, თავისის გაწყობილობით..
- ქ. ახალუხი, ხაზყირმიზი ატლას-ბაბთისა თავისის გაწყობილობით.
- ქ. პერანგი აღის ფერი ყანაოზისა.
- ქ. პერანგი მწვანე ყანაოზისა.
- ქ. პერანგი ხასყირმიზი მოვისა.

- ქ. პერანგი ყალამქრისა, თეთრი, ერთი.
- ქ. ხუთი გულისპირი ატლასებისა, ლევანტინისა, ყანაოზისა, სხტა და სხტა ფერი, თავისის გრეხილებით.
- ქ. შეიდიში ალსფერი იეზდისა, ოქრომკედის ნაკერის ტოტითა და ბაბ-თით, თავისის მეყვისის მორთულობით.
- ქ. შეიდიში ხასყირმიზის იეზდისა ოქრომკედის ნაკერის ტოტითა და ბაბთით თავისის მეყვისის მორთულობით.
- ქ. შეიდიში ხასყირმიზი იეზდისა, ოქრომკედის ნაკერის ტოტითა და ბაბ-თით, თავისის მეყვისის მორთულობით.
- ქ. ჩადრი ყალამქრისა.
- ქ. თავზე მოსახვევი შალი, ექვს ფერი, ქირმანისა.
- ქ. თავზე მოსახვევი შალქირმანი. ქ. თავსადები ოქრომკედით, ნაკერი ფოვებით.
- ქ. თავზე წოსახვევი ჩითისა ორი.
- ქ. აბანოს პერანგი სახიანი.
- ქ. ფუთა დარაიისა.
- ქ. ფეხის ქტა მოჭედილი.
- ქ. ბოხჩა ყალამქრისა.
- ქ. ბოხჩა დარაიისა.
- ქ. ბოხჩა ჩითისა, თავმოსახვევი.
- ქ. ჩლუქი (sic) იპიკინეთისა, ორი წყვილი.
- ქ. ბაშმაკი ერთი.
- ქ. ქოშები ხავერდისა სოსანი.
- ქ. ქოშები ჩაქსული ხარვერდისა (sic).
- ქ. წულეები აზრუმისა ორი.
- ქ. საწვრიმანო ფრანგისა მაკრატელი ორი.
- ქ. დანა ფრანგისა სამი.
- ქ. კრიალოსანი ქარვისა ორი.
- ქ. სანემსე ძელისა ორი, თოფის ნემსით.
- ქ. სამი წყვილი ქისისა ჩხირი.
- ქ. ყასნადის ნემსი, ორი ძელისა ტარებით და ორი ესე.
- ქ. ტარი ძელისა ორი.
- ქ. კვირისტავი ძელისა ექვსი.
- ქ. ტარი ხისა ექვსი.
- ქ. ფირფიტა შირმაიისა რვა.
- ქ. დაშნა შირმაიისა ერთი.
- ქ. ძელის ფათხა ერთი.
- ქ. ბადის ნემსი და მილი ძელისა ორი.
- ქ. სახვეწი ორი.
- ქ. ყუთი საწვრიმანოსი ერთი.
- ქ. ყუთი ფერადის ორის ბოხჩით და ნაჭრებით, ერთი.
- ქ. ყუთი იარაღისა ერთი.
- ქ. სკივრი რუსული ტანისამოსისა ერთი.

- ქ. სუფრა წყვილი ერთი.
- ქ. სალფეტკი სამი.
- ქ. შანდანი წყვილი, თავისის მაცაშით, ერთი.
- ქ. ზეწარი დარაიისა ერთი.
- ქ. საბანი ფარჩისა, გაწყობილი, ერთი.
- ქ. ყალამქრის საბანი.
- ქ. დოშაკი ყუითუკისა დიმიკიტონ-გადაკრული ერთი და ფარჩა გადა-
კრული.
- ქ. ბალიში ყუითუკისა დიმიკიტონით, ზეიდგან რუსული ზარიანის ფარ-
ჩით, საური სახიანი.
- ქ. მუთაქა ბანბისა ხასტინკით, ხვერდისა, ატლას-ბაბთის თავებითა და
ყალამქრის საურითა; ერთი დორი ზარიანი ფარჩისა, თავისის ხარის
სარჩულით.
- ქ. ყურის ბალიშები ყუითუკისა დიმიკიტონით და რუსულის ჩითით გა-
დაკრული, ორი ზარიანის ფარჩითა და სახიანის საურებით.
- ქ. მასნათის ქეჩა წყვილი ერთი.
- ქ. ხალიჩა ორი.
- ქ. ფარდაგი ორი.
- ქ. მაფრაშა ორი.
- ქ. ქვაბი ორი.
- ქ. ტაფა ერთი.
- ქ. სინი ორი.
- ქ. ფლავის საწურავი ერთი.
- ქ. მათლაბა ცხრა.
- ქ. თეფში ცხრა.
- ქ. ლამბაქი ცხრა.
- ქ. ინის თასი ერთი.
- ქ. ჩამჩა და ქაფკირი ორი.
- ქ. თავსაბანი ტაშტი ერთი.
- ქ. ტაშტი და ალთაფა ორი.
- ქ. გამდელი ერთი.
- ქ. ახალგაზდა ერთი.
- ქ. გამდლის ტანისამოსი.
- ქ. ქათიბი ხარისა, თავისის ბეწვით.
- ქ. კაბა დარაიისა ერთი.
- ქ. კაბა კალმოტისა შალისა ერთი.
- ქ. ახალუხი ჩითისა ერთი.
- ქ. სარტყელი კალმოტის შალისა ორი.
- ქ. პერანგი მიტკლისა ორი.
- ქ. შეიდიში ორი.
- ქ. ლეჩაქი ხუთი.
- ქ. თასაკრავი ხუთი.

- ქ. გულისპირი ერთი.
- ქ. ჩადრი ყალამქრისა ერთი.
- ქ. ყუთი ერთი.
- ქ. ქოში წყვილი ორი.
- ქ. წულა წყვილი ორი.
- ქ. ჩლუქი წყვილი ერთი.
- ქ. ხალიჩა ერთი.
- ქ. მაფრაშა ერთი.
- ქ. უთო ერთი.
- ქ. საბანი რუსულის ჩითისა, თავისის გაწყობილობით.
- ქ. მუთაქა ტილოსი, თავისის საურით.
- ქ. ლეიბი ტილოსი, თავისის ზეწრით.
- ქ. ბალიში ბუნბულისა, თავისის რუსული ჩითის საპირითა და საურით.
აღიწერა კელითა თა მხეილ თუმანოვისათა.

319. 1827 წ. ქონების ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. ზომა 34,6×21,5 სმ. დაწერილია თეთრი ქაღალდის 6 ფურცელზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუზ. № 7432 Hd.

წელსა ჩყკზ-სა, ფებერვრის კშ-სა ვიწყეთ წერად.

- ა იე ქ. თავადის იოანე ქსნის ერისთვის ვექსილი ჩყკდ, აგვისტოს კე დაწერილი. მეცა ანასტასიას¹.
- ბ ქ. ელიზბარ ერისთვის წერილი მარიამისა და შვილისა მისისა ჩუქებისა.
- გ + ქ. ა დღის მიწის ნასყიდობის წერილი რევაზ თუმანოვიდამ.
- დ რგ + ქ. ა წერილი იაკობ იაენგულოვისა სახლის გირაობისა, 1825 მაისის ია.
- ე ქ. მზითვის ყმების წერილი წელსა ჩყკე, იტლისს ე. კუპჩის წერილობით. მიეცა ანასტასიას¹.
- ვ რ ქ. წელსა ჩყკე, მარტის ით მიქელა ზუბალოვის ვექსილი.
- ზ ქ. ვეცხლის საათი თავის ჯაჭვით.
- შ ქ. გ კალმის საჭრელი დანები.
- თ ქ. ბ სათუალე ბუდე(ე)ბით.
- თ + ქ. ა დიდი და ა პატარა ნიკროსკოპი.
- ია ქ. ა პატარა მაკრატელი.
- იბ ქ. ა თუნუქის ყუთი სამხატროსი და ორი სხუა ხის ყუთი სამხატროს წამლების ფერებისა.

¹ უკანასკნელი სიტყვა დაწერილია სხვა ხელით.

- იგ ქ. ა ქისა ფულისა, ოქრომკედისა.
- იღ ქ. ა ყუთი ფარგლებისა, სამხაზველო.
- + ქ. გ კალთა სინჯაფი, ბ კალთა აბლაცი დაიხარჯა.
- ქ. ა მწჳანე სერთუკი მაუდისა.
- ქ. ა ახალი მწჳანე მაუდის მუნდერი შიტიოთი.
- ქ. ა ახალი მწჳანე მაუდის შარვარი.
- ქ. ბ ბოხჩა, შეკერილი.
- ქ. ბ აბრეშუმის შარვარი.
- + ქ. ა ნავთისფერი შავი კამლიოტის კაბა.
- ქ. ა თაგვისფერი გუსფიჩი თირმა-შალი, ერთის უსარჩულოს ბოხჩით.
- ქ. ბ თეთრი მაუდის პანტალონი.
- ქ. ბ პორტუპეი.
- + ქ. ა შავი თირმა-შალი გუსფიჩისა, ძველი.
- + ქ. ბ ნაჭერი ჩაქსული ტილო, ა ნაჭერი შილა.
- + ქ. ა წყველი ხამსის წინდა.
- ქ. ა აბრეშუმის ჩარღათი.
- + ქ. ა ძველი ლეინის სერთუკი.
- ქ. ა ყილეთი მაუდისა.
- ქ. ბ ყილეთი ტილოსი.
- ქ. ა ყილეთკა დიმიკიტონისა(?).
- + ქ. ა პერანგი ჩითისა.
- + ქ. ბ თოფი იმერული ტილო.
- ქ. ა შპაგა, გ შლაპა.
- ქ. ა თოფი თეთრი ყალამქარი რომ არის მუდარფაქი(?)¹.
- ქ. ა ნაჭერი ჯალაშაია.
- + ქ. ა შავი თირმა გუსფიჩი შალხ.
- + ქ. ა ყას-ყირმიზი თირმა-შალი.
- ქ. ე თავი და ნახევარი იენგი ყავი ხელსახოცი.
- ქ. დ ბალდადის ახალი ხელსახოცი, ბ ყვითელბ, ბ მწვანე.
- ქ. ა საკაბე არშიანი ჩითი, რუსული, ახალი.
- ქ. ა ყალამქრის საბნის პირი, ახალი.
- ქ. ა გამფურის ფუთა.
- ქ. ა თოფი ალისფერი დარაია.
- ქ. ა ყალამქრის თეთრი ჩარღათი(?).
- ქ. ბ ყადიფა ყალამქრისა.
- ქ. გ იეზდის რეჰანი მოვი.
- ქ. ა ყალამქრის თეთრი ხელსახოცი.
- ქ. ბ ყალამქრის ხონჩა ფუში.
- ქ. ა ჩარღათი (ი)ისფერი ხეებიანი ყალამქრისა.
- ქ. ა ყალამქრის ყადიფა, ესენი ერთის შეკერილის ბოხჩით.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

- ქ. ა თოფი განიერი ორფერი თავთა.
 ქ. ა ნაჭერი ქალაქის ნარმა, ა თოფი კიდევ ნარმა.
 ქ. ა ხოის ჩითი.
 ქ. ბ ლურჯი ლეინი¹.
 ქ. ზ ადლი ორფერი განდილური.
 ქ. ა თოფი ქაშანის ჩადრა.
 ქ. ა ხელსახორცური შეკერილი ბოხჩა.
 ქ. ა თოფი არჯისტანის(?) ჩადრა.
 + ქ. ა წამოსასხამი ნაბადი, მხარზედ სარჩულიანი.
 ქ. ა მძივის ჩიბუხი მოდიდო(?), თავისის ქარვის იმამით¹.
 ქ. ა მუშამბის ზონტიკი.
 ქ. ბ ლურჯი ლეინის ზონტიკი.
 ქ. ბ მოკლე ჩიბუხი იმამებით.
 ქ. ბ ჩიბუხი უიმამონი.
 ქ. ა მოკლე ჯოხი, ვეცხლის თავიანი, ჩალისა; ა დაგრეხილი ჯოხი.
 ქ. ბ ათასქაში, ბ მაშა და ა პატარა მაშა.
 + ქ. ა მაუდის ძველი ჟილეთი, თეთრი.
 + ქ. ა ჩითის პერანგი, ძველი.
 + ქ. ა კლესტირი ყუბულით².
 ქ. ა მუთაქის საური თეთრი.
 ქ. ა ჟილეთი ჩითისა.
 + ქ. ა პერანგი ჩითისა.
 ქ. ა აბრეშუმის პერანგი, იმერული.
 ქ. გე(?) საური წურილ ბალიშისა.
 ქ. აბ(?) თეთრი კამზოლი.
 ქ. ა ხალათი თეთრი.
 ქ. ა შავი ჟილეთი.
 + ქ. ბ ლურჯიანი ჩითის პერანგი.
 ქ. ა ახალუხი, ძველი, ატლას-ბავთისა¹.
 ქ. ა ახალუხი ჩითისა, ძველი.
 + ქ. დ პერანგის ამხანაგი, თეთრი, ბამბისა.
 + ქ. გ ჩითის პერანგი.
 + ქ. ბ პერანგი ჩითისა.
 + ქ. დ მოვის პერანგი.
 + ქ. ბ დიმიკიტონის პერანგი.
 ქ. ა ახალუხი ბუფეიკისა.
 + ქ. ბ პერანგი.
 ქ. გ დიმიკიტონის შარვარი.
 ქ. გ თეთრი კამზოლი.
 ქ. ა საური ბალიშის.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

² აქ ჯერ ეწერა: „ბუდიო“, მერე ეს სიტყვა გადახაზულია და მიწერილია: „ყუბულით“.

- + ქ. ა სეიდიშის პერანგის ამხანაგი.
- ქ. ა წყვილი აბანოს ყადითა თეთრი, ა ძველი დარაის ფუთა.
- + ქ. ა თეთრი პერანგის ამხანაგი.
- ქ. ა შეკერილი ბოხჩა.
- ქ. ა ჯუშუდა ისპანისა ფუსტული ლენი.
- ქ. ა ნახევარი ჩარლათი ქაშანისა, ორფერი.
- ქ. ა წყვილი შავი აბრეშუმის პაჭიჭი.
- ქ. ა ჩარლათი აბრეშუმისა.
- ქ. ა თოფი ქაშანის ატლას-ბაფთი, ალისფერი.
- ქ. ა სარტყელი ქარიმ-ხანისა, შალისა.
- ქ. ა ახალი მიხაკისფერი მაუდის კაბა.
- ქ. ა ლურჯი მაუდის შალვარი.
- ქ. ბ ნაჭერი სეტკა.
- ქ. ა მიმთანა ხათაია.
- ქ. ა თოფი და ა ნაჭერი შილა.
- ქ. ა ფრანგული თოფი, გაწყობილი.
- + ქ. ა მაჟარი სტამბოლისა გაწყობილი¹.
- ქ. ა რუსული თოფი ტულისა, უსალტო.
- ქ. ა წყვილი დაბანჩა საცხენე ბუდეზიანი, ოროლ-ლულუიანი.
- ქ. ა კმალი ყიზილბაშური ჯავარდენისა, ოქროს ზარნიშანიანი, გაწყობილი, თეთრ ტარიანი.
- ქ. კ კმალი გაწყობილი, თეთრ ტარიანი, გეურქას გაკეთებული, ზარნიშანიანის იარაღით.
- ქ. ა კმალი, გეურქას გაკეთებული, ოქროს ზარნიშანიანის ქუფთით(?) გაწყობილი.
- + ქ. ა კმალი, კელმწიფისეული.
- ქ. ა ხანჯალი ოქროს ზარნიშანიანი, შირმაის (?) ტარიანი, გაყობილი დანით.
- ქ. ა მწვანე სასწრაფო, ვეცხლის ყაწიმით, დაფერილი ოქროთი.
- ქ. ა იგრის საპირისწამლე, შევერცხლილი ვეცხლის ყაწიმით, ოქროთ დაფერილი ვეცხლის სანემსით და ჯაჭვით.
- ქ. ა ცარიელი ლულა დაბანჩისა, ფრანგული¹.
- ქ. ბ სრული ღურბინდი ქაღალდისა, დიდი და პატარა.
- + ქ. ა ღურბინდი თითბრისა, თავისის ბუღითა.
- ქ. ა პატარა კარგი ხის სადალაქო. ყუთი ორი სამართებელით და სხვებით გაწყობილი.
- ქ. ა სადალაქო თეთრი ქვა.
- ქ. ა ფუთა სადალაქო ჩითისა.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

- ქ. ა ყიზილბაშური ქალაქის საწერელი მაკრატლით. ძულის(?) ჩოფით(?) და თითბრის თავით.
- + ქ. ა ყიზილბაშური ძველი ქალაქის საწერელი თითბრის თავით.
- + ქ. ა თუნუქის საშაქრე ყუთი.
- ქ.
- + ქ. ბ(?) ძველი პომომჩები, ერთი კიდეც.
- + ქ. ა საბოხჩე¹ ქრელი სამოსელი.
- + ქ. ა ჩითის სუფრა.
- + ქ. ა შალვარი დიმიკიტონისა, ნახმარი.
- + ქ. ა კამლოტის სერთუკი, იისფერი.
- + ქ. ა ყალამქრის ხელსახოცი, ძველი.
- + ქ. ა პანტალონი კამლოტისა, ძველი.
- ქ. ა თეთრი კამზოლი.
- ქ. ა სერთუკი ლურჯი მაუდისა.
- ქ. ა ფრაკი ძვეული მაუდისა ძველი.
- ქ. ა შავი პლისის ქათიბი, კვერნის ბეწვით.
- + ქ. ა ბრუკვა, ძველი, მაუდისა, ლეგო.
- + ქ. ა შარვარი ძველი შავი მაუდისა.
- ქ. ა შარვარი მაუდისა ნავთისფერი ჩითის სათავით(?).
- ქ. ა ბრუკვა ლურჯი მაუდისა.
- ქ. ა მუნდერი ლურჯის მაუდისა ნაკერი, ძველი; ერთი თეთრი ხელსახოცი.
- ქ. ბ თეთრი მაუდის ფურაშკა.
- + ქ. ა თეთრი ჩითის მოკლე ახალუხი.
- ქ. ა შინელი წყლისფერი მაუდისა, საყელო ბეწვიანი.
- ქ. ა ხალათი ჩაქსულა დიმიკიტონისა.
- + ქ. ა ყელსახვევი ღალსტუკი მწვანე.
- ქ. ა შეკერილი ყალამქრის ბოხჩა საპირსახოცე.
- + ქ. ა პირსახოცი, ა სავარცხელი.
- + ქ. ა ბრუკვა კამლოტისა, ძველი, ი(ი)ს ფერი.
- + ქ. ა ბრუკვა ლურჯის მაუდისა, ძველი.
- + ქ. ა ბრუკვა შავი თავთისა.
- ქ. ა სერთუკი ი(ი)სფერი კამლოტისა.
- ქ. ა რკინის კრაოტი თავისის ჩითის ზანავესკებით, ტილოთი და ტყავებით.
- + ქ. ა ძველი ხალათი ჩაქსული დიმიკიტონისა.
- + ქ. ა ჩითისა, ა დიმიკიტონისა, ბ შავის ატლასისა კამზოლები.
- + ქ. ა აბრეშუმის ჯეჯიმი, პატარა შეკერილი; ა + დიდი აბრეშუმისე-ჯეჯიმი.
- + ქ. ა ბრუკვა დიმიკიტონისა.

¹ აქ ეწერა სიტყვა: „ჩაქული“. რომელსაც შემდეგ ხაზი აქვს გადასული.

- + ქ. ა პატარა დოშაქი, ყუისა, დიმიკიტონიანი.
- ქ. ა პატარა ყუის ბალიში.
- ქ. გ წყვილი ახალი მათრაშა.
- ქ. ა კურტკა მაუდისა, მელის ბეწვიანი, ძველი.
- ქ. ა ყაჯარი ჩაქსული, ძველი, შალისა.
- ქ. ა ყაჯარი ყაზახური, ახალი, შალისა.
- ქ. გ რკინის ხეზედ შესაცმელი შუბი.
- ქ. ა მირანი, სამ ფინჯნიანი, სრულის გაწყობით.
- ქ. ა ხის სადალაქო ყუთი ორის სამართებლით, სარკით და სასაპნით.
- ქ. ა საათი ოქროს წვრილის ჯაჭვით.
- ქ. იე კოვზი ვეცხლისა, სტოლისა.
- ქ. იზ ვეცხლის კოვზი ჩაისა.
- ქ. ა აზარფეშა ვეცხლისა.
- + ქ. ა ვეცხლის ჩარექა.
- ქ. ა მაშა ვეცხლისა, შაქრისა.
- + ქ. ა ვეცხლის თასი ქართული.
- ქ. თ(?) დანა სტოლისა.
- ქ. ი ჩანგალი სტოლისა.
- ქ. იგ ჩანგალი კიდევ სხვა სტოლისა.
- ქ. იგ დანა კიდევ სტოლისა.
- ქ. ა სტოლის ჩამჩა ვეცხლისა.
- + ქ. ა ბროლი დაგრეხილი კულა.
- ქ. იბ წყვილი ნალბაქი და ფინჯანი ზყრიანი.
- + ქ. ვ წყვილი ნალბაქი და ფინჯანი ქვევრული, პირგადადრეკილი.
- ქ. ა წყვილი ნალბაქი და ფინჯანი, კარგი, ზარიანი.
- ქ. ა მოდიდო ფოდნოსი.
- ქ. ა ფაიფურის ზარიანი ჩაიდანი, ზარიანი.
- ქ. ა ამისივე ყავადანი, ზარიანი.
- ქ. ა ამისივე სარძევე, ზარიანი.
- ქ. ა ამისივე საშაქრე, ზარიანი.
- ქ. ა ამისივე ჯამი, ზარიანი.
- ქ. ბ ქვევრული ფინჯანი ნალბაქებით, უზარო.
- ქ. პატარა მგრგუალი ფოდნოსი.
- ქ. ა პატარა ძველი ვეცხლის ჩაის საწურავი.
- ქ. ა დიდი თავსახურავიანი ყურიანი სტაქანი, ხრუსტალნი, გატეხილი(?)
- ქ. გ სტაქანი ვაზის ნაკვეთის ყვაველით.
- ქ. ბ ხრუსტალნი სტაქანი.
- ქ. ვ ცალი წჭრილი რუნკა.
- ქ. ბ გრაფინა.
- ქ. ერთი პატარა მოგრძე ფოდნოსი.
- + ქ. ა სადა ჩაიდანი.
- ქ. ა საწურავი ვეცხლისა, ახალი, ჩაისა.

- ქ. ზ მოგრძე რუნკა.
- ქ. ა წარის(?) ნაკვეთი ქაშანური საკარაქე.
- ქ. ა ტრედებიანი ქაშანურის საკარაქე.
- ქ. ბ მოდიდო ბუთლიკა.
- + ქ. ა ყანწი ყუბულიანი.
- ქ. ი შავი ბოთლი.
- ქ. ე შტოფი, დიდი და პატარა.
- ქ. ე გრაფინა, დიდი და პატარა.
- ქ. ა სავარდე გულაბდანი ჩინისა, ზარიანი.
- ქ. ა ბუთილკა, ა გრაფინა მგრგული.
- + ქ. ა პროსტი სარძეე.
- + ქ. ა კაცის(?) სქერა.
- ქ. ა ჩინური ქილა მურაბა(?).
- ქ. ა ჩინურის საწერელი პატარა ქალანი.
- + ქ. დ ნალბაქი, ა ფოდნოსი, ა დიდი ყურიანი სტაქანი, გატეხილი, ა წყვილი მაყაში თავისი ფოდნოსებით.
- ქ. ა ქაშანურის საწერელი, გ წვრილი სულნელების მინა.
- ქ. ა გირვანქა ლაქი, ა + პატარა მგრგული სარკე, ორპირი.
- ქ. ა თუნუქის სადალაქო, ა ქაშანურის საშაქრე, ა მოდიდო მაკრატელი, ა ვეცხლის კალმის ბურთუქა(?) ყვითლად არის(?).
- ქ. ა ხერხი, ა გაზი, ა კვერი, ბ რკინის კრუჩკა.

იწყება წიგნებისა და ქარტებისათვის:

- ქ. ა კურთხევანი.
- ქ. ა ჟამნი.
- ქ. ა ალაპისი.
- ქ. ა ლეოლრაფიული ლექსიკონი.
- ქ. ა კიროსისა და მაკედონელისა.
- ქ. ა ისტორია ეგვიპტისა.
- + ქ. ა მილორდისა¹.
- 0 ქ. ა ხელწერილი ვეფხისტყაოსანი.
- ქ. ა სარწმუნოების წერილი.
- ქ. ა ამირანდარეჯანისა, სურათებიანი.
- ქ. ა მარწუხი.
- ქ. ა ვარლამისეული.
- 0 ქ. ა სახარება, ხედრული ხელწერილი.
- ქ. ა ყარამანიანი, ქალალდ-შემოკრული.
- ქ. ა აზნაურთ გრამმატა.
- ქ. ა გოდერძის ღრამმატიკა.
- ქ. ა მაჰმადისათვისი(?).

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

- ქ. ა კინკლოსის წიგნი¹.
- ქ. ა დავითნი, დაბეჭდბლი, მხედრული, ვახტანგ მეფის¹.
- ქ. ა სახარება, სამოციქულო, დაბეჭდილი.
- ქ. ა ჟამნი ხუცური.
- 0 ქ. ა ქართლის ცხოვრება.
- ქ. ა ქმნულების წიგნი.
- ქ. ა საზოგადო მდივნობა.
- ქ. ა სელიანინი.
- ქ. ა ასურეთის ისტორია.
- ქ. ა წყობილსიტყვა.
- 0 ქ. ა ყარაშანიანი.
- ქ. ა ტრალეღია.
- ქ. ა მიჯნურთ ბადე.
- ქ. ა სახარება და სამოციქულო, დაბეჭდილი, მხედრული.
- ქ. ა აბდულ-მესია.
- ქ. ა სამოციქულო სახარება, ხუცური, დაბეჭდილი.
- ქ. ა სირინოზიანი¹.
- ქ. ა მეტალოღია ქართული.
- ქ. ა ლეოლრაფია.
- ქ. ა სვინიდისის ლოცვა.
- ქ. ა ეპიფანე კიპრელის წიგნი ქვათათვის, ნიკოლაოზ ზუბინოვისა.
- ქ. ა დიდი მოურავიანი.
- ქ. ა დავითნი, მხედრული, დაბეჭდილი.
- ქ. ა რვეულები შეუკრავი მრავალსახე წიგნი.
- ქ. ქართლის ცხოვრება დავითნის ტანი რვეულებად.
- ქ. ა კვინტ კურციოსის წიგნი შავათ(?) რვეულად.
- ქ. ა საფქიმო კარაბადინი.
- ქ. ა დიდი სამართლის წიგნი.
- ქ. ა გელწერილი ვეფხისტყაოსანი რვეულად.
- ქ. ა რაზლოგორი, რუსული.
- ქ. ა სიზმრის წიგნი რუსული.
- ქ. ა ასტროლოღია რუსული.
- ქ. ა ტომი კვინტ კურცია, რუსული.
- ქ. ა ტომი ნაჩალნოე ისტორია, რუსული.
- ქ. ა ტომი ნაჩალნოე ისტორია, რუსული.
- ქ. ა ტომი ნაჩალნოე ისტორია, რუსული.
- ქ. ა ტომი ნაჩალნოე ისტორია, რუსული.
- ქ. ა ქარტა რუსული.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

- ქ. ა კარანტინის უსტავი რუსული.
 ქ. ა კარანტინის უსტავივე რუსული.
 ქ. ა ლელიმერკურ(?) ქართული, მხედრული, შეუკრავი რვეულად.
 ქ. ა მოკლე ისტორია მაკედონელისა, ქარტებით.
 ქ. ა ჩარ-დავრიშინი შეუკრავი.
 ქ. ა შამი-ფარვანი, ა მაჯამა, ორნივე შეუკრავი.
 ქ. ა ქარტა ქართველთა, სომეხთა და სხვათა, რეკა ვრემენიეთ.
 ქ. ა სამეზავრო ღეოდრაფია.
 ქ. ა მხაზველობის წიგნი ქართული.
 ქ. ა რუსული შვიდთა მომაკუდინებელთათვის, რომელა ზერკალო.
 ქ. ა ქართული დაბადება ბიბლია.
 ქ. ა ჰრომისა და საბერძნეთისა ქარტა.
 ქ. ა სპარსეთის ქარტა.
- + ქ. ა აღმასის ბეჟედი¹.
 ქ. ა მოდიდო ხატი ღის მშობელისა, ტილოზე დახატული.
 ქ. ა ხატი ეგვიპტეს წასვლისა, ქალაღლისა, მინა დაფარული.
 ქ. ა ხატი შობისა, ქალაღდის, მინა დაფარული.
- + ქ. ა ხატი ღის მშობლის დაგვირგვინებისა, მინაზედ დახატული.
 + ქ. ა ხატი მაცხოვრისა, ფოიოთი ყუბულში.
 ქ. ა ხატი ღის მშობლისა, ფოიოიანი ყუბულში¹.
 ქ. ა ქარტა ევროპისა ყუბულთით.
 ქ. ა ქალაღლისა დაბეჟილი სახე ნიკოლოს იმპერატორისა, მინიანი.
 ქ. ა იმპერატრიცა აღექსანდრა ქეოდოროვნასი, მინიანი, ქალაღდისა.
 ქ. ა ქალაღლისა სახე ცეცარევიჩისა კონსტანტინესი, მინიანი.
 ქ. ა ტილოზედ დახატული კონსტანტინე.
- + ქ. ა სახე ბაბახანისა მინაზედ დახატული.
 + ქ. ა ნადირშას სახე ტილოზედ დახატული.
 ქ. ა ბაბახანის ცოლის სახე ტილოზედ დახატული.
 ქ. ა ფათრეტი ციციანოვისა ტილოზედ.
 ქ. ა ქალაღდის ფათრეტი მიხაილ პავლოვიჩისა, მინა დაფარებული.
 ქ. ა ქალაღდის ფათრეტი ელენა პავლუნასი, მინა დაფარებ(ული).
 ქ. ა ქალაღდის ფათრეტი მარია ქეოდოროვნასი, მინა დაფარული.
 ქ. ა ქალაღდის ფათრეტი პეტრე პირველისა, მინა დაფარებ(ული).
 ქ. ა ეკატერინას ფატრეტი, მინა დაფარებული.
 ქ. ა ადამ და ევას ტირილი აბელისთვის, მინა დაფარებული.
 ქ. ა რუსეთის მეფეთ სახენი, მინა დაფარებული.
 ქ. ა რუსეთის იმპერატოროთ სახენი, მინა დაფარებული.
 ქ. ა პოლშის კოროლის მეფე, მინა დაფარებული.
 ქ. ა პატარა ტანი დავით წინასწარმეტყველი, მინა დაფარებული.
 ქ. ა დავითისაგან გოლიათის მოკლვა, მინა დაფარებული.

¹ ეს სტრიქონი გადახაზულია.

- ქ. ა არხიერი პლატონ, მინა დაფარებული.
- ქ. ა აზია, ა ევროპა, ა ამერიკა და ა აფრიკა, მინებიანი.
- ქ. ა ზაფხული, ა შემოდგომა, ა ზამთარი და ა გაზაფხული, მინებიანი.
- ქ. დ დიდრონი ზალის სარკენი.
- ქ. ა კაცი და ა დედაკაცი მწოლარენი, უმინონი.
- ქ. ა ფატრეთი ალექსანდრე იმპერატორისა ტილოზედ.
- ქ. ა ფატრეთი ელისავედ იმპერატრიცისა ტილოზედ.
- + ქ. ბ მოდიდრონო ყიზილბაშური სარკე, არშია ყვაველიანი.
- ქ. ბ კედელზე მისაკრავი შამდანი.

320. 1828 წლ. ახლ. ქონების ნუსხა და ანდერძი დიმიტრი ბარათოვის მეუღლის თამარისა. დედანი(?) ზომა 35,8×22 სმ. დაწერილია ოთხი ლურჯი და ოთხი თეთრი ქალაღის ფურცლებზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი საქ. სახ. მუხ. № 10324 Hd.

ქალაღის ფურცლების ჰვირნიშნები გვიჩვენებს 1824 და 1828 წლებს და საბუთიც უკანასკნელი წლის ახლოს უნდა იყოს დაწერილი.

პირველი გვერდი

- ქ. კლდის-უბანში სახლები. იმ სახლსა აქვს ვალი ოცი თუმანი.
- ქ. ოცდა ათი თუმანი თეთრი.
- ქ. ერთი ზარის სათი.
- ქ. ერთი აზარფეშა და სანაჟურე.
- ქ. ორი თასი ვერცხლისა.
- ქ. ერთიც ფიალა ვერცხლისა ოქროთ დაფერილი.
- ქ. ერთი დიდი კოვზი ვერცხლისა საქმლის დასასხმელი.
- ქ. ოთხი საქმლის კოვზი ვერცხლისა
- ქ. საპი ჩაისა.
- ქ. ერთიც ვერცხლის ქამარი.
- ქ. ერთი აღმასის ბეჭელი.
- ქ. ერთი ლალისა.
- ქ. ერთიც ფირუზისა.
- ქ. სამი შალი თირმა თეთრი, შავი, ლურჯი.
- ქ. ერთი კაბა ატლას-ბაბთი.
- ქ. ერთი კაბა ზავერდისა.
- ქ. ერთი კაბა თეთრი ჩიჩაგლი ხარა.
- ქ. ერთი განდიდური.
- ქ. ერთი ქათიბი შავი გრიზეთი.
- ქ. ერთი ქათიბი განდიდური.
- ქ. ერთი საქათიბეც ფარჩა ოთხი ადლი.
- ქ. ერთი ტოლომა ატლასისა.

- ქ. ერთი ჩადრი.
- ქ. ერთი ყალამქრის ახალუხი.
- ქ. ოთხი პერანგი, სამი იმისი მეყვისი.
- ქ. ექვსი ლეჩაქი, ორი ბაღდადის ხელსახოცი.
- ქ. ხუთი მუმის თასაკრავი თოქმათ ნაკერი ოქრომკვდიო.
- ქ. სამი ყალამქრისა.
- ქ. ერთი ნაკერი თასაკრავი.

მეორე გვერდი

- ქ. ერთი ნაყრი პიზის ასახვევი.
- ქ. ერთი წითელი შალი თავისა, თირმა.
- ქ. ერთი შალიც უბეური, თეთრი, თავისა.
- ქ. ერთიც ლაჯვარდი, თავისა, პატარა.
- ქ. ერთიც თავის მოსახვევი რუსული მუმისა.
- ქ. აბანოს იარაღი, პერანგი, შილა, ყადიფა.
- ქ. ფეხის ქვა, ფუტა, სუზანი, თავისის ბოხჩით.
- ქ. ერთის დარის ჩარჩამი.
- ქ. ორი ზეწარი.
- ქ. სამი ბალიშის საური.
- ქ. ერთიც მუთაქისა.
- ქ. ორი სუფრა.
- ქ. ექვსი საღფეტკა.
- ქ. რვა დანა.
- ქ. რვა ჩანგალი.
- ქ. ორი ბროლის სამარილე.
- ქ. ოცდა სამი ნაკერი საქსოვნის თეფში.
- ქ. თვრამეტი ბუტლიკა.
- ქ. სამი სტაქანი.
- ქ. ერთი მანარი თავისის განწყობილებით.
- ქ. ოცდა თუთხმეტი მინა, წვრილები.
- ქ. სამი ფოდნოსი, ერთი რუსული, ვერცხლისა.
- ქ. ერთი ზანდუკი.
- ქ. ხუთი ყუთი.
- ქ. ორის ლეჩაქის ფიცარი, ერთი მაუდისა.
- ქ. ნაქრებით.
- ქ. ხატი ჯვარცმისა.
- ქ. ხატი ღვთის მშობლისა.
- ქ. ხატი წმინდის გიორგისა თავისისა.

მესამე გვერდი

- ქ. თავისის ქვეშ დასაფენის ფარლით.
- ქ. წიგნები—სახარება.
- ქ. სამოციქულო.
- ქ. დავითიანი.

- ქ. სადღესასწაულო.
 - ქ. რუსული წიგნები თორმეტი.
 - ქ. ქვეშაგები.
 - ქ. ერთი დოშაქი ყუითუქისა.
 - ქ. ერთი ხავერდის დორი.
 - ქ. ორი ყუითუქის ბალიში.
 - ქ. ერთი მუთაქა.
 - ქ. სამი საბანი, ერთი ყალამქარი.
 - ქ. ერთი ჩითი.
 - ქ. ერთიც ისფერი.
 - ქ. ორი ლეიბი, ერთი ბანბისა, ერთი მატყლისა.
 - ქ. ერთ (sic) დორიც დარისა.
 - ქ. საფენი ერთი ორხუა.
 - ქ. ორი ქეჩა, ერთი დიდი, ერთი პატარა.
 - ქ. სამი აბრეშუმის ჯეჯიმი.
 - ქ. ერთი ჯეჯიმი მატყლისა.
 - ქ. ოთხი ხალიჩა.
 - ქ. ორი ფარდარი.
 - ქ. ერთი ლეკური გრძელი ფარდაგი.
 - ქ. ერთიც ქილიმი.
 - ქ. ოთხი მაფრაშა.
 - ქ. სპილენძი ეს არის.
 - ქ. ერთი დიდი ტაშტი აბანოსი.
 - ქ. ორი კოკა
 - ქ. ორი წვრილები საარყე ქვაბები.
- შეოთხე გგერდი**
- ქ. ოთხიც საქმლის ქვაბი.
 - ქ. ერთი თუშფალანგი.
 - ქ. ერთი ზარფუში.
 - ქ. ერთი სათლი.
 - ქ. სამი ბადია, ორი დიდი, ერთი პატარა.
 - ქ. ერთმეტი (sic) სინი.
 - ქ. თორმეტი ჯამი.
 - ქ. სამი მათლაფა, ერთი სპილენძის ლანბაქი.
 - ქ. სამი ტაფა.
 - ქ. ერთი თავსაფარებელიანი ტაფა.
 - ქ. ერთი ალთაფა.
 - ქ. სამი ხელსაბანი ტაშტი.
 - ქ. ერთი ფისოსი ბრინჯაოსი.
 - ქ. ერთი თითბრის ავანგდასტა.
 - ქ. ორი თითბრის შანდანი.
 - ქ. სამი რუსული შანდანი სტოლისა.

- ქ. სამი მაყაში, ერთი თავისის ფოდნოსით.
- ქ. ერთი ყავადანი.
- ქ. ერთი სპილენძის თუნგიანი.
- ქ. ერთიც ნახევარი თუნგიანი.
- ქ. ერთიც ჩარეჟიანი.
- ქ. ერთი ზედადგარი.
- ქ. ერთი ჩამჩა.
- ქ. ერთი ქაფქირი.
- ქ. ერთიც სუფრა ყაშული.
- ქ. ერთი ასტამი.
- ქ. ერთი ყავის სახალავი.
- ქ. რკინეული.
- ქ. ეოთი ბორკილი.

მეხუთე გვერდი

- ქ. ერთი გაზი.
- ქ. ერთი ხერხი.
- ქ. ერთი ქაფჩა.
- ქ. ერთი ბარი.
- ქ. ერთი თოხი.
- ქ. ერთი უთო თავისის რკინით.
- ქ. ერთი აქეშქაში.
- ქ. ერთი მაშა.
- ქ. ერთი დიდი ღუქნის კლიტე.
- ქ. თორმეტი საცალო, ერთი ხურჯანი.
- ქ. ორი უნაგირი თავისის განწყობილობით.
- ქ. ერთიც ყაჯარი თავისის იარიჩით.
- ქ. ორი ხარი.
- ქ. ერთი ცხენი.
- ქ. ერთი სასწორი სპილენძისა, დიდი.
- ქ. ორიც მისხლისა.
- ქ. ერთიც სადალაქო თასი სპილენძისა.
- ქ. ორი სამართებელი თავისის ქვით, ღუმისა.
- ქ. ერთი ხმალი.
- ქ. ერთი თოფი.
- ქ. სამი სარკე, ორი სახლში დასაკიდები.
- ქ. ერთი ისპანისა.
- ქ. ერთიც ხატისა.
- ქ. ორი ფინჯანი და ლანბაქიცი უმარნით.
- ქ. ორი ხელი ნარდი.

მეექვსე გვერდი

ჩემს დას თალას რაც ჰქონდა, დიმიტრი ბარათაშვილმა რომ შეირთო, იმასთან მიჰყვა, ამის ქვევით სწერია.

- ქ. სახლის სიგელი ორქვეხატრის(?) ნაბოძები და სხვა მამულის წიგნები საკუთარი.
- ი ქ. თეთრი ათი თუმანი, რომელიც ჩემს რძალსა რათ დივანბეგისა ანა ოსეფოვნას ემართა.
- ა ქ. ღვთის შშობლის ხატი, მოქედილი.
- ა ქ. წმინდის ნიკოლოსის ხატი.
- ა ქ. წმინდა გიორგის ხატი.
- ა ქ. ჯვარცმის ხატი.
- ა ქ. სახარება.
- ა ქ. სამოციქულო.
- ა ქ. დავითნი.
- ა ქ. ლოცვები სტანბა.
- ქ. დაუჯდომელი ხელნაწერი.
- ბ ქ. ხატის შანდანი სამი.
- ქ. რამდენიმე რუსული წიგნები.
- ქ. სათი უბისა, ვერცხლისა.
- ქ. სათი ზარიანი, დიდი.
- ბ ქ. ვერცხლის თასი რძისა.
- ა ქ. ვერცხლის ჩარეჟა პატარა ერთი.
- ა ქ. აზარფეშა ვერცხლისა ერთი.
- ვ ქ. ვერცხლის კოვზი სტოლისა ექვსი.
- ზ ქ. ჩაის კოვზი ვერცხლისა და საწურავი შვიდი.
- ა ქ. მარანი გაწყობილი თავის ფინჯნებით, ჩაიდნით და ფოდნოსი ჟესტისა.
- ბ ქ. კიდევ ფოდნოსი სამი.
- ა ქ. ვერცხლის ჩამჩა ერთი.
- ა ქ. დიდი კოვზი საჭმლისა დასასხმელი ერთი.
- ა ქ. ვერცხლის გიდელა გირაო ჰქონდა.
- ა ქ. ბეჰედი იაგუნდისა ოქროთი ერთი.
- მეშვიდე გვერდი**
- ა ქ. ბეჰედი ლალისა ოქროთი ერთი.
- გ ქ. ბეჰედი ფირუზისა სამი.
- ა ქ. ბეჰედი ლაფეარდისა ერთი.
- ა ქ. კიდევ იაგუნდისა ბეჰედი, ფირუზებით.
- ბ ქ. ალმასის ბეჰედი ორი, ერთი თავისი და ერთი დიმიტრისა მოტანილი.
- თ ქ. ცხრა ლალი და სხვაც ნაშალი თვლები სხვა და სხვა და მარგარიტი ქონდა.
- ა ქ. ერთი ფილონი.
- ქ. წინდასადგმელი საწერელი ჟესტისა.
- ა ქ. კაბა წითელი ხავერდისა.
- ა ქ. ჩიჩაგლე ხარის კაბა მქრქალი.
- ა ქ. ატლას-ბაბთის კაბა ისფერი.

- ა ქ. ატლასის კაბა ბადრიჯნის ფერი.
- ა ქ. განდიდურის კაბა.
- ა ქ. გამოუჭრელი ფარჩა საკაბე.
- ა ქ. სოსანი ატლასის ტოლომა სინჯაფით სავსე კვერნის საყელოთი.
- ა ქ. საშინაო ქათიბი მელნით სავსე.
- ა ქ. მწვანე ხავერდის ქათიბი შეკერილი.
- ა ქ. თირმა თეთრი შალი წყლისა თეთრი ფათებითა.
- ა ქ. ლაუვარდი შალი თირმა ფათიანი წელისა.
- ა ქ. შავი შალი თირმა ფათიანი წელისა.
- ა ქ. ხაზყირმიზი შალი თირმა ფათიანი წელისა.
- ა ქ. ყვითელი თირმა-შალი, ხეებიანი, უფათო.
- ქ. მასთან ახალუხები სხვა და სხვა.
- ქ. პერანგები.

- ბ ქ. საბანი ყალანქრისა.
- ბ ქ. საბანი ყალანქრისა და ჩითისა ერთი.
- ა ქ. დიმაქი.
- ბ ქ. ლეიბი.
- ა ქ. დარაის ფარდა.
- დ ქ. ზეწრები თეთრი.

მერვე გვერდი

- ე ქ. ბალიში დიდი და წვრილი ყუთიუქისა.
- გ ქ. დორი საპი, ხავერდისა და სხვა.
- ბ ქ. მუთაქა ყუთიუქისა დიდი და ერთი სხვა.
- ქ. აბანოს იარაღი.
- დ ქ. თავზე მოსახვევი შალი თირმა თეთრი ხეებიანი, ერთი წითელი, ერთი ყვითელი ხეებიანი, ფერი შალი თავზე მოსახვევი, შეიქნა ოთხი.
- გ ქ. აბანოს ყალიფები ყალანქრისა და ჩითებისა.
- ქ. აბანოს პერანგი თავის დარაის ფუტებით და ბოხჩებით.
- კ ქ. ტანისამოსის ბოხჩები ყალანქრისა, დარისა და ლურჯისა.
- ა ქ. რუსული დიდი ზანდუხი.
- ა ქ. ფოდნოსის ყუთი.
- ქ. შავი ყუთი.
- ბ ქ. წითელი ყუთი.
- ა ქ. ჯანდრის ხის ყუთი სარკიანი, საწვრიმანოთი სავსე.
- ა ქ. კრიალოსანი (sic) ქარვისა.
- ა ქ. მარჯნისა.
- ა ქ. სარდაფისა და სხვა და სხვა ლამაზი მძივისა კრიალოსნები, მაკრატლები, ფრანგულები, ფერადი ფარჩის ნაქრები ერთის ყუთის.
- ქ. ლეჩაქი ფიცარი თასაკრევებით და ლეჩაქებით ორმოცამდინ.
- გ ქ. სუფრა ჩითისა ორი და თეთრი ერთი.
- ბ ქ. ღუეინი ორი საქსოვნის ქურქელი.
- ა ქ. ღუეინი დანა.
- ა ქ. ღუეინი ჩანგალი.

- დ ქ. სამარილე ბროლისა და სხუა.
- დ ქ. სარკე დასაკედებელი, წინდასადგმელი და ისპაანისა, ოთხი.
- ქ. ბროლის მინები, ფიფურები, მურაბის ნალბაქები, მაშრაფები და ბუთ-ლიკების და სხვა და სხვა მინების რავდენობა არ ვიცი.
- ა ქ. ორხტა ერთი.
- ბ ქ. ლეკური ფარდაგი ორი.
- დ ქ. თარაქამული ფარდაგი ოთხი.
- მეცხრე გვერდი**
- ი ქ. ხალიჩები ათი.
- დ ქ. აბრეშუმის ჯეჯიმი ოთხი
- ბ ქ. მატყლის ჯეჯიმი ორი.
- გ ქ. ქეჩა ქვემური სამი.
- დ ქ. მათრაშა ოთხი.
- თ ქ. ტომარა ცხრა.
- გ ქ. ხურჯინი სამი.
- ა ქ. იახტანი ერთი საგარეო.
- ე ქ. შანდნები წვრილი და სხვილი თავისი მაყაშით და ფოდნოსით.
- ბ ქ. ავანქდასტა თითბრისა დიდი და პატარა.
- გ ქ. სამი დიდი ტაშტი სააბანოვე, სამი ერთმანეთის ზიმდევენო სპილენძის.
- გ ქ. ხელსაბანი ტაშტი სპილენძისა და ერთი დასაფარებელიანი, სამი.
- ბ ქ. ალთაბა და თუნგი ორი.
- ი ქ. ქვაბი სპილენძისა სხვილი და წვრილი ათი.
- ბ ქ. უთო, ერთი რუსული და ერთი ქართული.
- გ ქ. ტაბა სამი, თუშფალანგი ორი, ავგარდანი ერთი, ჩამჩა ორი, ქაფქირო ორი.
- ბ ქ. წამლისა და არყისა გამოსახდელი ქვაბი თავის ზარფუშებით ორი, წვრილი.
- ი ქ. სპილენძის საძროხები ათი.
- ვ ქ. ბადია სპილენძისა ლიტრიანები ექვსი.
- ქ. სპილენძის ჯამი, თეფში და ლამბაქი ორმოცამდე.
- ბ ქ. კოკა სპილენძისა ორი.
- ა ქ. ერთი დიდი თუნგი.
- დ ქ. ზედადგარი ოთხი.
- გ ქ. ძაშა სამი.
- ა ქ. აქანდაზი ერთი.
- გ ქ. სპილენძის საწყაო თუნგი, ნახევარ-თუნგი და ჩარექა.
- დ ქ. ჩაიდანი და ყავადანი სპილენძის ოთხი.
- ბ ქ. ორი ცხენის უნაგირი ორი ხელით თავის ყაჯრებით საუცხოოთ¹ გაწყობილი.
- ბ ქ. ორი ცხენი, წითელი და ლურჯი.
- ბ ქ. ორი ხარი.

¹ დედანში: „საუწყოთ“.

მეათე გვერდი

რაც თავის სიცოცხლეში თამარს დაუხარჯავს, ამას ქვევით დაიწერება.

- ქ. ერთი ფარდაგი, ხურჯინი, ერთი თოხი და ორი ტომარა ცეცხლადეს მისცა.
- ქ. გაზი თავის სიცოცხლეში გაყიდა.
- ქ. ქანარი თავის სიცოცხლეში გაყიდა რვა აბაზათ, აბრეშუმში მოატანინა.
- ქ. ერთი ყუითუქისა ბალიში, ერთი პატარა საარყე ქვაბი, ერთი ხელსაბანი ტაშტი, ერთი ნაკერი პირის ასახევეი ნატანის მისცა და ესენი თავის სიცოცხლეში თავის დას ბარბარესთან არის.
- ქ. ფარჩა ვალში მისცა თავის დას და იმასთან არის.
- ქ. ერთი ხელი ქვეშაგები თავის მოძღვარს მისცა.
- ქ. ერთი ხალიჩა, ერთი ბანბის ლეიბი თავის ზეწრით და ორი ყუითუქის ბალიში, ერთი საბანი და ერთი ხელი ტანისამოსი სრულეებითა, თასი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, ფარჩის ფილონი, ესენი თავის მოძღვარს მისცა.
- ქ. ერთი ხალიჩა თაწმინდის ღვდელს მისცა, კუმბოს ეშალა.
- ქ. ერთი შანდანი საფლავეზე იდგა, ორი მათლაბა და კოვზი წანდილისა და ქვაბი წანდილის მოსახარშავი, ესენი მოლოზანს მისცა.
- ქ. ერთი ხელი ნარდი ქაიხოსროს გომჭაშაბის-შვილს მისცა.
- ქ. სამოციქულო ჩოლაყოვის კნეინას მართას აქვს.
- ქ. დავითიანი კატინას აქვს.
- ქ. სამი რუსული წიგნი აფხაზს ივანეს მისცა.
- ქ. ერთი მიხეილმა წაიღო კიკოს ძმამა.
- ქ. თავის რძალს პირის საჩახავათ უბოძა ერთი ლალის ბეჭედი, ერთი ნაკერი თასაკრავი.
- ქ. ბუტიკები იმის ავთიმყოფობაში ზოგი დაიმტვრა და ზოგი დაიკარგა, აგრეთვე სთაქნები და ფინჯნები, თავის ლამბაქებით.
- ქ. ერთი შანდანი თავის მაზლს გოგიას გა(ა)ტანა შამქორში თავის მაყაშით, ახლაც იმასა აქვს.
- ქ. თოფი შამქორში მქონდა, აქ იმერელს ეჩივლა, მოიტანა და მას მისცა(?).
- ქ. ისპანის სარკე თეკლე ბატონის-შვილს მიართვა, დღეობაში მიუღოცა.
- ქ. ერთი აბრეშუმის ჯეჯიმი პრიბილს მისცა.
- ქ. ერთი წყვილი უზანგოვები გიორგი ავალის-შვილს მისცა.

მეთერთმეტე გვერდი

- ქ. დარია¹ რომ მოკვდა, ერთი საფენი ამას გაუშალეს, ღვდელმა წაიღო.
- ქ. ერთი ძველი ტაშტი აქანდაზედ გამოცვალა.
- ქ. ერთი ბაღია თათარს ქონდა და იმან დაკარგა.
- ქ. ერთი მარამათის ყაჯარი ძველი გადაამრო თითონვე და ყაჯარი არა ქონდა, მერმე მოუტანე შამქორილამ და იმას ხმარობდა.
- ქ. ერთი უნაგირი საგინაშვილის ცოლს ათხოვა და იმან დაუმტვრია, ახლაც ისე დამტვრეული(ა).

¹ დედანში: „თარია“.

- ქ. ერთი მე მქონდა, შამქორში დამემტვრა.
- ქ. რაც ნათელასაგან ვალი აილო ორი თუმანი, ცეცხლადის ბიქს საძი-
ძაოთ მიეცა ავქლელის კაცისათვის.
- ქ. პატარას ქალის საძიძაო მართებოდა, იმერეთიდან გადმოსულიყო, ძი-
ძის ქმარს ეჩივლა. ორი თუმანი უსნიფერასი მაშინ აილო და იმის-
თვის მიეცა.
- ქ. კახეთიდან ცეცხლახე მოვიყვანე, რვა მინალთუნი ურმის ქირა მივე.
- ქ. თეთრი შალი ზოდბელს მივართვი საწირავში.
- ქ. ქართლის ცხოვრება დავით ბარათოვს ახლავს.
- ქ. პატარა თალხი საბანი გავყიდე სამ მილანთულათ, ციხეში ტუსაღებს
გაუგზავნე ნაზარას ძმის თათუას ხელით ეს სამი მინალთუნი.
- ქ. ხუთი მილანთული კარპიტასი ემართა, იმას მივე. სამ მილანთულათ
ატლა-ფაბთი (sic) აილო მეითრიანთი გამოგზავნილი, ორი მილანთუ-
ნი ფულათ მივე.
- ქ. სამაბაზ-უზანთუნი ნათელასი ემართა, იმას მივე.
- ქ. წითელი თავზე¹ მოსახვევი შალი² გა(ა)კეთებინა, შეაღებინა შავათა
და მწვანეთა. შალს მოახმარა რაც ნაჭრები დარჩა, მერუფიავეს მის-
ცა, შალს მა(ა)ხმარა, თავის შალს.
- ქ. პატარა ჩიქოლის ფიცარი კახეთში გაუგზავნა.
- ქ. ოთხი ტომარა ზაქარია ხერხე(უ)ლიძეს აჩუქა თითონ.

მეთორმეტე გვერდი

ქვემოთ ამისა დაწერილნი ნივთნი გაუყიდნია თაფულა(sic) დალაქის
ცოლსა შუშანას:

- | | | | |
|---|---|-------------------------|---|
| ა | ჯ | (18 მინალთუნი) | ქ. ტოლომა ატლასისა თავისის ბეწვით გაყიდა. |
| ბ | | (6 მინალთუნი) | ქ. ქათიბი განდიდურისა გაყიდა. |
| ვ | | (1 თუმანი) | ქ. ჩიჩაგლუ შქრქალი გაიყიდა. |
| ძ | | (13 მინალთ.) | ქ. ატლასის სოსანის კაბა. |
| ც | | (14 აბაზი) | ქ. ჩადრი გაიყიდა. |
| ჩ | | (6 აბაზი) | ქ. მეორე ჩადრი. |
| უ | | (2 აბაზი) | ქ. ძველი სარტყელი. |
| ჩ | | (5 აბაზი) | ქ. ახალუხი დარაისა წითელი. |
| შ | | (18 შაური) | ქ. ორი თეთრი პერანგი. |
| ჩ | | (6 აბაზი) | ქ. აბანოს პერანგი. |
| უ | | (2 აბაზი) | ქ. ყალამქრის ყადიფა, თავზე მოსახვევი ჩითი და შალი
დიდად დაძველებული გაისყიდა. |
| ქ | | (მარჩილი) | ქ. ფუტა სამი აბანოსი. |
| ჩ | ბ | (6 აბაზი და
1 შალრი) | ქ. ოთხი გულისპირი იყო, ორი თითო აბაზად გაიყიდა,
ექვს შაურად პირსახოცი, ექვს შაურად სადაფი, ხუთ
შაურად მძივის გრეხილი. |

¹ დედანში: „თავსე“

² ეს სიტყვა განმეორებულია.

- აკ¹ (15 მინალთუნი) ქ. დოშაკი ყუითუქისა თავის ტილოთი.
 ჩ (მინალთუნი) ქ. ორი ზეწარი გაიყიდა.
 კ (5 მინალთუნი) ქ. შალეზის გამკეთებელს მერუფეს (sic) მიეცა ორი შალისა, ერთი თავზე მოსახვევი პატარა თალხი შალი სამ შილანთულისა და ერთი სხვა ორის მინალთუნისა, რომელიც იქს ხუთს მილანთულს.
 ქ. ოთხი ლეჩაქი და ხუთი თასაკრავე იყო; ერთი ლეჩაქი და თასაკრავე მიეცა იმის მოსახსენებლად გურამის-შვილის ცოლს.
 ქ. ერთი ლეჩაქი და გულისპირი ამავების გამსყვიდელმა (sic) აიღო.
 ქ. ერთი ლეჩაქი და გულისპირი გმირისეულს მიეცა.
 ქ. ამათში ძველი იყო ლეჩაქი ესე და ერთი თასაკრავე გოგოს მივე.
 ქ. ერთი თასაკრავე ჩვენს ზურაბს მივე მამასახლის(ს).
 უ (2 აბაზი) ქ. ერთი თასაკრავეც გაყიდა ორ აბაზად. (ე)ნენი სულ შუშანამ გაყიდა და ვალში მისცა. სათაშვილის ქალის ნინოს გასყიდული:²
 ძ (3 მინალთუნი) ქ. კაბა ძველი ატლასისა.

მეტამეტე გვერდი

- უ (2 აბაზი) ქ. პერანგი მოვისა რეჰანი.
 ბ (6 შაური) ქ. შეიდიში. ესენი გაიყიდა და ვალში მიეცა.
 ც (2 მინალთუნი) ქ. ბორბალას გაიყიდა ძველი ქათიბი.
 ქ. ლაქვარდის შალი პეტრეს ღვდელთან(ნ) არის. შაბათის საწირავი.

ჩემი რაც არის:

- ქ. ერთი ფარდაგი.
 ქ. ერთი ხალიჩა.
 ქ. ერთი ქეჩა.
 ქ. ერთი ბალიში.
 ქ. ერთი ლეიბი.
 ქ. ერთი დორი.
 ქ. ერთი დიბის ქათიბი.
 ქ. ერთი ალისფერი დარის ახალუხი.
 ქ. ერთი ქარუმხანის შალის სარტყელი.
 ქ. ორი ხარის კაბა.
 ქ. სამი ლეჩაქი.

¹ „ა“-ს დედანში თუმნის აღმნიშვნელი ნიშანი არა აქვს.

² დედანში: „გასყიდული“.

- ქ. სამი თასაკრავი.
- ქ. ერთი დიდი ქვაბი.
- ქ. ერთი დიდი ქაფქირი.
- ქ. ცხრა ჯამი.
- ქ. ცხრა თეფში.
- ქ. ცხრა ლამბაქი.
- ქ. ერთი სუფრა.
- ქ. სახარება.
- ქ. სამოციქულო.
- ქ. დავითნი.
- ქ. ხატები.
- ქ. ერთი ფინჯანი და ლანბაქი.
- ქ. ერთი ფარდაგი მამიდაჩემს ქონდა.
- ქ. ერთი ბიჭი.
- ქ. ერთი დიდი ბოთლი.

მეთოთხმეტე გვერდი

- ქ. ოთხი საქსოვნი(sic) და თებში.
- ქ. ერთი ხალიჩა, ერთი ფარდაგი.
- ქ. ერთი ქილიმი სარდლის ცოლმა მაჩუქა.
- ქ. ერთი ხავერდის კაბა ჩემმა დამ მაჩუქა.
- ქ. ხუთი მილანთუნი კნენინამ მაჩუქა, პატარა ქეჩა ვიყიდე.
ჩემ(მა) დამ ლეჩაქის არშია მაჩუქა; გავყიდე რვა მინალთუნათ, თასი გავაკეთებინე.
- ქ. ერთი ფარჩის ქათიბი მაქვს, ჩემის შვილის კუნკულა.
- ქ. ერთი ლურჯი მარმათის ყაჯარი მაქვს, პირი ნატალიამ მაჩუქა, მაუ-
ლი კნენინამ.
- ქ. ოთხი ადლი ფარჩა კნენინასაგან, წასახურავი.
რაც ბარგი გვაკლია და აბელაშვილისას არის:
- ქ. ორი ოქროსი და ერთი ვერცხლისა თასი.
- ქ. ერთი ვერცხლის თასი.
- ქ. მარგალიტის ქინძისთავი.
- ქ. ოქროს ხრიკა ოცდა ორი წყვილი.
- ქ. ორი ტანი ვერცხლის ხრიკა.
- ქ. კრიალიესონი(sic) რუსული, მარჯანის სარვეით, ღერბი ორი.
- ქ. დაუჯდომელი პატარა.
- ქ. ლიტრა-ნახევარი შაქარი.
- ქ. რვა შულო აბრეშუმი.
- ქ. შაუდის შინელი ყომრალი.
- ქ. ხავერდის ისფერი საწვიმარი.
- ქ. ერთი ახალი ხალიჩა.
- ქ. აბრეშუმის ჯეჯიმი.
- ქ. ფშაური ფარდაგი ახალი.

- ქ. საბანი თავრიზის ჩითისა..
- ქ. სამი ყუითუქის ბალიში.
- ქ. ერთი მუთაქა ბანბით გაძენილი.
- ქ. ქვაბი ერთი ლიტრიანი.

მეთხუთმეტე გვერდი

- ქ. ორი ვერცხლის ჩხირი.
- ქ. ორი ძვლის სავარცხელი.
- ქ. ერთი დარაის ბოხჩა.
- ქ. ხუთი მარანდული.
- ქ. გრებილი მძივისა.
- ქ. სამი ნაჭერი თეთრი სანდალი.
- ქ. ათი ნაჭერი ლაქი.
- ქ. ოთხი ვარდის ზეთით მინები.
- ქ. ერთი ქალაღლით 500—ფ ქინძისთავი.
- ქ. სამი სალფეტკა.
- ქ. ორი დანა.
- ქ. ოთხი ჩანგალი.
- ქ. ქოლგიანი დიდი საჭერილი აფლიკე (sic)...
- ქ. საჯი ვიციტ სალაცარი(?)¹
- ქ. ერთი ხერხი.
- ქ. ბარი.
- ქ. კვერი.
- ქ. სადალაქო იარაღი, სამართებელი, შვიდი კბილის გაზი, ორი ნეშტარი კაცისა და ერთი ესენისა(?).
- ქ. ერთი ტიკი.
- ქ. ოთხი უნაგირი იარაღული არ მოვიდა აბელაანთას.
- ქ. თეთრი თირმა-შალი.
- ქ. ზემოთქმული ვერცხლის საათი.
- ქ. სამი თუმანი თეთრი.

ანდერძი

მე, თავადი დიმიტრი ბარათოვის კნენა თამარ, უკანასკნელსა ამას დღესა აღმოფშვინვისა ჩემისასა ვწერ ანდერძსა ამას, რათა შემდგომ სიკვდილისა ჩემისა დანაშთენი საქონელნი ჩემნი და ნივთნი მოხმარდეს სულსა ჩემსა და მიეცეს ნიშნობლივ სიტყვისმებრ ჩემისა ქმარსა, ძმასა, სიძესა და მოძღვარსა ჩემსა.

მეთექვსმეტე გვერდი

ა. ვინაფთვან ქმარი ჩემი დიმიტრი ავათყოფობასა ამას ჩემსა ზა დიდათ გაისარჯა, დიდი ხარჯიც² მიეცა და ეს ველარ შეიძლებს დამარბვასა ჩემსა, ამისთჳს მე ჩემმა დანარჩომმან³ საქონელმა დამ(მ)არხოს ესრეთ. ბ. ოთხი აღ.

¹ თუ „სადაც არი“?

² დედანში: „ხარჩიც“.

³ დედანში: „დანარჩემმან“.

ლი ზარიანი ფარჩა რომ არის, ის გარდასახურავად გარდამხურონ. ზ. სახლი რომ მაქუს კლდის-უბანში, დაგირავებულია. ის სახლი გაყიდოს, ვალს თავისი მიეცეს და რაც დარჩეს, იქილამ მე დამმარხონ. დ. ჩემს ქმარს დიმიტრის მიეცეს ვერცხლის ახარფეშა ჩემს მოსახსენებელად; დაგირავებულია; ჩემის დანაშთენილამ დაიხსნან. ე. ხუთი ხალიჩა და ერთი დიდი უხმარებელი დიდი ქეჩა და ერთი აბრეშუმის ჯეჯიმი, ეს შვიდი საფენი ჩემს ქმარს დიმიტრის მიეცეს. ვ. ჩემს ძმას დავითს მიეცეს ჩემი¹ დიდი ორხუა. ზ. ჩემს სიძეს ელიაზარს მიეცეს ჩემი დიდი საათი. ც. ორი ვერცხლის თასი რომ მაქუს, დაგირავებულია. ისინი დაიხსნან ჩემის დანარჩენილამ, ერთი ჩემს ძმას დავითს მიეცეს და ერთი ჩემს მოძღვარს. თ. ვერცხლის კოვზები რომ მაქუს, ნახევარი ჩემს ქმარს დიმიტრის და ნახევარი ჩემს ძმას დავითს მიეცეს. ი. და სხვა რლიც ან ტანისამოსი პირველი და საწვრიმალო (და) ან სხვა რამე არის დანარჩენი, გაიყიდოს და ყოველივე ჩემს სულს მოახმარონ. ია. ფილონი და სტიხარი, ოლარი ჩემს მოძღვარს მიეცეს, საუკუნოდ ჩემდა მოსახსენებელად. იბ. დღეს რლიც ქუ(ე)შაგები მიგია და ვსწევარ, ერთის საფენით და ერთის ხელის ტანისამოსით, ჩემს მოძღვარს მიეცეს. იგ. და საცა წვრილი ვალები არის ჩემი², ყველას ჩემის დანაშთენის საქონლილამ მიეცეს პასუხი. და რომელმანცა წვრილი ესე³ არ აღასრულოს და შეურაცყოს, იყოს იგი ცოდვათა ჩემთა თანამდებ და მეორედ მოსვლასა მის წე ქრისტესა სიტყვის მოგებად და მოვალედ ჩემდა. ზემოხსენებულის კნეინას თამარის სიტყვით დავსწერე ანდერძის წვრილი ესე, უძღურებისა გამო თითონ ხელის მოწერა აღარ შეეძლო, და მე, მოძღვარმან მისმან, ქაშოეთის ეკლესი(ი)ს ღვდელმან პავლე.

321. XIX ს-ის 20-იანი წლ. სია ა დ ა ლ ო ყ ო რ დ ა ნ ო ვ ი ს გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი საბუთებისა. პირო(?) ზომა 21,6 x 16,4 სმ. დაწერილია ნაცრისფერ ქალღმრთე მხედრ: ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.

საქ. სახ. მუხ. № 7767 Hd.

ა დ ა ლ ო ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გარდაცვალებული უნდა იყოს XIX ს-ის 20-იან წლებში! ჩვენს საბუთებში იგი უკანასკნელად იხსენიება 1819 წლის ქვეშ (იხ. აქვე საბუთი № 3395 Hd).

ს ი ა

სხვა და სხვათა ძველთა⁴ წერილებთა, ნუსხებთა, მოკითხვის წიგნებთა, კვარტირნის კომისიის კვიტანციებთა და სხვათა ბარათებთა შ(ემ-დგომა)დ ადალო ყორღანოვის გარდაცვალებისა დარჩომილთა.

¹ დედანში: „ჩიმი“.

² დედანში: „ჩემს“.

³ ეს სიტყვა განმეორებულია.

⁴ ამის შემდგომი ოთხი სიტყვის მაგივრად პირველად დაუწერიათ და შემდეგ წაუშლიათ. „დოკუმენტთა განსვენებულთ აზნაურთ იოსების და ადალო ყორღანოვთა, ვგრეთვე მემკვიდრეთა მათთაგან ქირით და იჯარით ჭაცემულის მათის მამულების ბათილთა პირობის წერილთა, მოკითხვის წიგნებთა, შემოსავალთ ნუსხებთა“.

- 1 ძველი დოკუმენტები.
 - ა. ალთი-ბეშანთ დუქნის სიგელი.
 - ბ. კუკუჯანანთ ბალის სიგელი.
 - გ. იარალაშვილის თათრული წიგნები.
 - დ. ყასაბ ასატურას-შვილების გირაოს სიგელი.
- 2 განსვენებულთ მილახერის და ალალო ყორღანოვთა და მემკვიდრეთა მათგან ქირით და იჯარით¹ გაცემულის მათის მამულების ბათილი პირობის წერილები და ანგარიშები დუქნების, ბალების და წისქვილის შემოსავლისა.
- 3 ნეტარხსენებულის დარეჯან დედოფლის მიწერ-მოწერა, სხვა და სხვა წერილები, ბარათები და ხარჯის დავთრები, ალალო ყორღანოვთან დარჩომილნი, მაშინ როდესაც იგი დედოფალს ცხლებია.
- 4 განსვენებულთ მილახერის და ალალო ყორღანოვთან ნეტარ-ცხენებულის დარეჯან დედოფლისა, ბატონის-შვილებისა და სხვა გვამთაგან მოწერილი მოკითხვის და სხვა წიგნები. ეგრეთვე მილახერისა და ალალუასაგან ურთიერთან მიწერ-მოწერა.
- 5 განსვენებულის ალალო ყორღანოვის საკუთარი სახლის და შინაურის ფოსტის შენობების ნუსხები და მისგან დანახარჯის შინაურის საქიროებაზედ ანგარიშები, ფათერნის კომისიის და სხვა და სხვა ბარათები.
- 6 ახარისა-შვილის კონიასაგან განსვენებულს ალალო ყორღანოვთან მიბარებული ზეთის სახდლის ანგარიშები.
- 7 დუქნების ქირებისა და გაცემულის თეთრის სარგებლის ნუსხები, განსვენებულის ალალო ყორღანოვისაგან თავის სიცოცხლეში შედგენილი, ფათერნის კომისიის და სხვა ბარათები.

322. 1831 წლ. აგვისტოს 1. ჯევეთუბნის, გარეჯვრების და ახალდაბის დალის ნუსხა თუმანიანთა. დედანი. ზომა 45,5 x 18 სმ. დაწერილია თეთრ ქალღებ მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუხ № 3571 Hd.

ჩყლა წელსა, აგვისტოს ა დღესა თავადი გიორგის და დავით(ი)ს თუმანოვთ მამულების ღალა სოფელსა ჯევეთუბანსა, გარეჯვრებსა და ახალდაბას ამას ქვემოთ იწერება.

ქურეკზედ მიქელა ცარიელაშვილსა გიორგი გიორგაშვილისა ქართველიანთ კარზე აბრამა ნინუაშვილისა

ყანა	ჭრეში
ე	ე

¹ დედანში: „იქარით“.

	ყანა ყოფენი	ქეთი ყოფენი
ქალაქის გზაზედ ნონია ბაშინჯაღელსა ხუთი	ე	
აქავ კიკლა კოჩუაშვილისა	ბ	
თავთის წყაროზედ პეტრე ღედლის შვილისა	ე	
ზეიანში გიორგი გიორგაშვილისა	ე	
კუარხითის გზაზე სოსია დარჩიაშვილისა	ბ	
ვენახების ბოლოს პეტრე ლეკიშვილისა	ბ	
ქართველიანთ კარზედ დავითა გელიაშვილისა		ბ
სოფელსა გარეჯვარსა		
სოფლის თავზედ ნინია ებლაშვილისა	ე	
აქავ ფირანიშვილის მიწაში დავითა მურადაშვილისა	თ	
ამისივე ქიჭივას მიწაში	ა	
ფონთხელაზედ ნინია ებლაშვილისა	ე	
ფშნის თავზედ ვალეგაშვილის ობლისა	ბ	
სოფელსა რეხას		
ყაყიდაშვილი ქიტეხასი	ბ	
აქავ ამისივე	ბ	
სოფელსა ახალდაბას		
მთაზედ გვერდაში და ვაკეში თავის მამულში რვა ადგილას დადოასი	კე	
აქავ ამისივე სამ ადგილას		ი
აქავ ნინიკა გოგებაშვილისა მთაზედ გვერდაში და ვაკეზედ		
სამ ადგილას	ია	
აქავ ამისივე ორ ადგილას		ვ
ნაიონჯევეში ივანე თანდიაშვილისა		ბ
ამისივე თავის ჯენახის ბოლოს	ე	
სასაფლაოსთან ამისივე ქერი		ბ
მთაზედ სოსანა თანდიაშვილისა	ვ	
აქავ ამისივე		ბ
ამისივე ჭალაზედ	ბ	
აქავ ამისივე ქერი		ო
ჭალაზედ ხოდაბუნის ბოლოს ფარსადანასი და დათუასი	ე	
აქავ დათუასი	ბ	
ნთაზედ ფარსადანისა	ბ	
გვერდაზედ დათუასი და ფარსადანასი		აო
მთაზედ დათუა ნაცვლიშვილისა	ბ	
აქავ ამისივე	ვ	
ამისივე ხიხოტაზედ	ა	
მთაზედ ჯავახი აბრამასი	ღ	
ამისივე ხიხოტაზედ	ბ	
ჩყლა წელსა სოფელსა ახალდაბასა		
ჭალაზედ ჯავახი აბრამასივე	ბ	

ამისივე გვერდაზედ	დ
მთაზედ ნონია როსტომაშვილისა	ე
ამისივე არაქელაანთ ლელის თავზედ	ქ
ამისივე ქალაზედ	ბ
ამისივე გვერდაზედ	ბ
მთაზედ გოგებაშვილი ნინიას მიწაში რუისელი ნინიასი	კ
ხიხოტაზედ ბარძიმასი	ბ
აქავ რუსის ბიჭისა	გ
მთაზედ პაპუაშვილი მეღქუასი	ბ
ხიხოტაზედ სიდამონასი	ა

ჯამი 162^{1/2} 34

323. 1833 წლ. თებერვლის 1. მზითვის წიგნი, მიცემული გაბრიელ მაღალოვის მიერ თავისი ასულის სოფიოსადმი. დედანი. 34,7x21,8 სმ. დაწერილია ორ თაბახ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუხ. № 1665 Ad

ს ი ა

მზითვისა თავადის გაბრიელ მაღალოვის ასულის სოფიოსი, რომლისაცა ქვემოთ ნივთნი ყოველნივე თვითულად აღიწერებიან და შემდგარ-არს. ჩუღვ წელსა, თებერვლის¹ აღდესა.

- | | | |
|-----|-------------|--|
| ა | (1 თუმანი) | ქ. ხატი ლვთისმშობლისა ² მოკედილი, ერთი. |
| ბ | (12 აბაზი) | ქ. ხატი მეორე, რუსული, სირმით მორთული. |
| გ | (მანეთი) | ქ. დაუჯდომელი და ლოცვაები ერთი. |
| დ | (მანეთი) | ქ. დავითიანი სტამბისა ერთი. |
| ე | (აბაზი) | ქ. ხატი შანდანი პატარა ერთი. |
| ვ | (30 თუმანი) | ქ. ოცდაათი თუმანი თეორი ფული იარაღის ფასად, რომელიც მიმიზარები(ა) თავადს მიხაილ ხერხეულიძეს ჩუღვ წელში, აპრილის დღესა. |
| ზ | (10 თუმანი) | ქ. ათი თუმანი მარგალიტის ძეწკვისა. |
| თ | (16 თუმანი) | ქ. თექვსმეტი თუმანი ოქროს ჯაჭვისა. |
| ი | (4 თუმანი) | ქ. ოთხი თუმანი მარგალიტის გრებილისა. |
| (?) | | ქ. იაგუნდის ბეჭედი ოქროსი ერთი ³ . |
| (?) | | ქ. იაგუნდის ბეჭედი მეორე, ოქროთი შემკული. |

¹ დედანში: „თებერვლის“.
² აქ ხედმეტად გამეორებულია: „მშობლისა“.
³ ამისა და მომდევნო 5 სტრიქონის წინ ციფრებია, რომლებიც არ იკითხება.

(?)		ქ. ბექედი მესამე, ოქროსი, ფირუზის თვლითა.
(?)		ქ. კიდევ ბექედი მეოთხე ფირუზისავე, ოქროსი.
(?)		ქ. ბექედი მეხუთე ოქროსივე, ფირუზის თვლითა.
(?)		ქ. ბექედი მეექვსე ფირუზისა ოქროთვე განშვენებული.
ა	(3 თუმანი)	ქ. ღილი გულისა ერთი, ოქროსი, თვლითა და მარგალიტით შემკული.
ბ	(5 მანეთი)	ქ. გულის ქინძისთავი დიდი მარგალიტისა.
ა	(თუმანი)	ქ. გულის ოქროსი პატარა ჯვარი თავისის ნაწილებითურთ.
(?)		ქ. ერთი წყვილი საყურე მნათობის ქვისა, რუსულის ხელოვნებისა ¹ .
ვ	(4 მანეთი)	ქ. თავის ქინძისთავები ოთხი, შარჯნისა, ოქროს ბირკებით.
ჰ	(5 მანეთი)	ქ. ესე ვითარევე თავის ქინძისთავები ოთხი, მარგალიტისა, ოქროს ბირკებით.
ა	(3 თუმანი) ²	ქ. საპირისფარეშის იარაღი ვერცხლისა სარ(ტ)ყლებით.
ბ	(6 მანეთი)	ქ. საღაფი თავისის უმარილის მოსალესითა, ვერცხლით მოჭედილი.
ა	(12 მანეთი)	ქ. წინ დასადგმელი წყლით ჯამი ვერცხლისა.
ბ	(6 მანეთი)	ქ. მარანდულის ნალბაჭი ვერცხლისა.
ჰ	(5 მანეთი)	ქ. საფერე ყუთი ვერცხლისა.
წ	(4 მანეთი)	ქ. საწებოე თასი ვერცხლისა.
ცუ	(12 აბაზი)	ქ. საჩხირე სამის თავისის ვერცხლის ჩხირებით, ვერცხლისავე.
ჩ	(მანეთი)	ქ. ჩოფი ვერცხლისა.
ჩუ	(7 აბაზი)	ქ. თმის საყოფი ვერცხლისა.
ა	(2 თუმანი)	ქ. მწყანე მატერი(ი)ს კაბა თავისის ოქროს თვლიანის ხრიკითა.
ბ	(10 თუმანი და 6 მანეთი)	ქ. მეორე თეთრი ატლასის მატერის კაბა ვერცხლით ხრიკითა.
ა	(1 თუმანი)	ქ. სანდლისფერი გარნაპოლის კაბა ვერცხლით ხრიკითა.
ა	(1 თუმანი)	ქ. კიდევ სოსანი ბონავში(?) განდიდურის კაბა.
ა	(12 მანეთი)	ქ. პირისფერი ფეფების(?) მატერი(ი)ს კაპოტი.
ბ	(4 თუმანი)	ქ. ხასყირმიზი ხავერდის ქათიბი ყანაოზის სარჩულითა ქარაქლათ.
ჰ	(5 მანეთი)	ქ. ჩადრი ყალამქრისა ერთი.
ჰ	(4 მანეთი)	ქ. ხასყირმიზი მოვის პერანგი თავისი გრეხილითა.
წ	(4 მანეთი)	ქ. ყვითელი მოვის პერანგი თავისი გრეხილითა.
ც	(2 მანეთი)	ქ. ყალამქრის თეთრი პერანგი პირისფერის ფანცის გულისპირითა.

¹ ამ სტრიქონის წინ ციფრი არ იკითხება.

ა	(1 თუმანი)	ქ. შეიდიში ხასყირმიში თავისი ტოტით, მშიმედ მორთული, მორთულისავე ზორტითა.
ჯ	(8 მანეთი)	ქ. კიდევ მეორე შეიდიში, ხასყირმიში, მორთულისავე ტოტით და ზორტითა.
ხ	(6 მანეთი)	ქ. კიდევ მესამე შეიდიში მორთული ტოტით და ზორტით, ხასყირმიში.
ვ	(6 თუმანი)	ქ. სარტყელი ხასყირმიში თირმა-შალისა, დიდი, თავის ფათებით და არში(ი)თა.
წ	(4 მანეთი)	ქ. ნაკერი სარტყელი ერთი.
ა	(1 თუმანი)	ქ. ატლას-ბაბთის ახალუხი ფუსტული.
ბ	(5 მანეთი)	ქ. გაბმული ყალამქრის ახალუხი.
ჩ	(მანეთი)	ქ. სამი ხელსაჭერი ხელსახოცი.
ც	(მანეთი)	ქ. ერთი ორფერი კიტის ყანაოზი.
ძ	(მანეთი)	ქ. ერთი კიდევ ბალდადისა(?), მეორე (?).
წ	(მანეთი)	ქ. მესამე კიდევ ბალდადისა.
		ქ. ბოხჩეზი, ოთხი, ტანისამოსისა.
ცვ	(2 მანეთ-ნახევარი)	ქ. ბოხჩა დარაისა ზორნიანი (sic) ერთი.
ცვ	(2 მანეთ-ნახევარი)	ქ. ბოხჩა, მეორე, დარაისა.
ცვ	(2 მანეთ-ნახევარი)	ქ. ბოხჩა ყვლანქრისა, მესამე.
ც	(2 მანეთი)	ქ. ბოხჩა, მეოთხე, ყალამქრისა.
ც	(2 მანეთი)	ქ. ლეჩაქის ფიცარი დახატული.
ძ	(5 მანეთი)	ქ. ლეჩაქი ერთი, საცხენოსნო, ოქრომკედითა.
ძ	(3 მანეთი)	ქ. წარბის საკრავი, ნაკერი ოქრომკედითა.
ძ	(3 მანეთი)	ქ. პირის ასახვევი, ოქრომკედით ნაკერი.
ჯ	(8 მანეთი)	ქ. ლეჩაქი ერთი ბურსუსი, ნაკერი, თავისს ოქრომკედის არშითა.
წ	(4 მანეთი)	ქ. ლეჩაქი პიკინეთისა ერთი.
ჩვ	(მანეთ-ნახევარი)	ქ. მქრქალი საია ატლასის ლეჩაქი.
ჩვ	(მანეთ-ნახევარი)	ქ. კიდევ საია ატლასისა ლეჩაქი.
ძს	(3 მანეთი და 1 აბაზი)	ქ. ოთხი სახიანი ლეჩაქები კიდევ.
ჩ	(მანეთი)	ქ. თავსადები ნაკერი სირმიითა.
ჩ	(მანეთი)	ქ. თავსადები ზარიანი ფარჩისა.
ფ	(10 შაური)	ქ. თავსადები ნაკერი ფერადითა.
უ	(2 აბაზი)	ქ. თავსადები ყალამქრისა.
უ	(2 აბაზი)	ქ. თავსადები მატერისა.
ჩ	(მანეთი)	ქ. ორი ნაკერი გაურჯელა.

ქ	(3 აბაზი)	ქ. სამი ლენტის გაურჯელა.
ც	(2 მანეთი)	ქ. თავსადები ნაკერი ოქრომკედითა.
ფ	(10 შაური)	ქ. თავსადები ფარჩისა.
ფ	(10 შაური)	ქ. თავსადები ნაკერი ფერადითა.
ძ	(3 მანეთი)	ქ. შუბლის ასაკრავი ხუთი, ოქრომკედით ნაკერი.
ძ	(3 მანეთი)	ქ. თავზედ მოსახვევი ნარგიზის, სტამბოლისა.
ც	(2 მანეთი)	ქ. მესამე კიდევ თავზედ მოსახვევი.
ძ	(3 მანეთი)	ქ. თავშალი ერთი
ჩ	(მანეთი)	ქ. სამი შიგნითი თასაკრავები.
ძ	(3 მანეთი)	ქ. ოქრომკედით ნაკერი თასაკრავი.
ჩფ	(მანეთ-ნახევარი)	ქ. თასაკრავი ხავერდის ნაკერი.
ჩ	(მანეთი)	ქ. თასაკრავი კილიტით(?) ნაკერი.
ქ	(3 აბაზი)	ქ. თავსაკრავი ხავერდისა პირისფერი.
ძ	(3 მანეთი)	ქ. შვიდი ნახევარი ნაჭერი(?) თასაკრავი.
ხ	(6 მანეთი)	ქ. ოცდა ერთი სხვა და სხვა რიგი ნაჭერი თასაკრავი.
ც	(2 მანეთი)	ქ. მძივით ნაკერი თასაკრავი.
ც	(2 მანეთი)	ქ. კიდევ ნაკერი თასაკრავი.
ჩ	(მანეთი)	ქ. საქინძისთავე ნაკერი.
ჩ	(მანეთი)	ქ. ერთი წყვილი ბაშმაკი თავისის ჩულქებითა.
ჩუ	(7 აბაზი)	ქ. ერთი წყვილი ქოში თავისის აზრუმის წულითა, ახალია.
ფ	(10 შაური)	ქ. ერთი წყვილი ფერჩატკები.
ნ(?)	(შაური)	ქ. სკივრი ერთი რუსული.
ცუ	(7 აბაზი)	ქ. ერთი მომცრო რუსული ყუთი.
ჩქ	(8 აბაზი)	ქ. ერთი ფოდნოზის პატარა ყუთი ფერადისა.
ქ	(3 აბაზი)	ქ. ერთი დანა.
ყ(?)	(4 აბაზი)	ქ. ერთი მაკრატელი.
ჩ	(მანეთი)	ქ. ერთი სანემსე ¹ ფოლადის, ოქროს სავადისა.
ყ	(4 აბაზი)	ქ. ყაისნალის ნეგსი ერთი.
ქ	(3 აბაზი)	ქ. სათითვე ვერცხლისა ერთი.
ჩ	(მანეთი)	ქ. ორი სარკე.
ძ	(3 მანეთი)	ქ. ერთი დიდი ტანჩასაცმელი სარკე.
ჩქ	(8 აბაზი)	ქ. პირსახოცი ერთი.
ფ	(10 შაური)	ქ. ლიფა თავისის მარანდულითა.
უ	(2 აბაზი)	ქ. სავარცხელი შირმაის ² ძვლისა.
ჭ	(5 მანეთი)	ქ. ერთი ქარვის კრიანოსალი (sic) კარგი.
ფ	(10 შაური)	ქ. ერთი ლაჟვარდი მძივის კრიანოსალი.
ყ	(4 აბაზი)	ქ. მესამე თეთრი მძივის კრიანოსალი თავისი სარევითა.
ჩ	(მანეთი)	ქ. საფენი, ერთი სახლის მოსაფენი.

¹ დედანში: „სანამსე“.

² დედანში: „შირმაის“.

ჯ	(8 მანეთი)	ქ. ერთი წყვილი ფარდაგი.
ბ	(16 მანეთი)	ქ. ერთი წყვილი ხალიჩა.
გ	(13 მანეთი)	ქ. ერთი წყვილი მასხათის ქეჩა, წმინდა
დ	(5 მანეთი)	ქ. დორი თავისის ხავერდის პირითა.
ე	(15 მანეთი)	ქ. დოშაქი თავისის ხავერდის პირითა.
ვ	(2 მანეთი)	ქ. ზეწარი ერთი.
გ	(4 მანეთი)	ქ. ბალიში თავისის შალითაითა და საპირითა.
დ	(15 მანეთი)	ქ. ერთი ისპანი ყალანქრის საბანი.
ე	(თუმანი)	ქ. დარაის ჩარჩამი ქვეშაგების გადასაფარებელად.
ვ	(3 მანეთი)	ქ. ერთი დიდი შანდანი თითბრისა.
გ	(მანეთი)	ქ. მაყაში თავისის ფოდნოსითა.
დ	(თუმანი)	ქ. ერთი წყვილი მაფრაშა ახალი.
ე	(თუმანი)	ქ. ერთი წყვილი სურა ჩითისა.
ვ	(თუმანი)	ქ. ერთი თასი ვერცხლისა.
გ	(აბაზი)	ქ. ერთი სამარილე ბროლისა.
დ	(მანეთი)	ქ. ერთი დუყინი მათლაბა საქსონისა.
ე	(3 აბაზი)	ქ. ერთი დუყინი ნალბაქი საქსონისა.
ვ	(5 მანეთი)	ქ. თუნგი და ტასტი ხელსაბანი.
გ	(აბაზი)	ქ. საღფეთქი ერთი.
დ	(4 მანეთი)	ქ. ქვაბი ერთი თავის დასაბანი წყლისათვის.
ე	(8 მანეთი)	ქ. საბანოე ტასტი დიდი.
ვ	(5 მანეთი)	ქ. ფუთა დარ(ა)ი(ი)სა.
გ	(მანეთი)	ქ. ფეხის ქვა მოქედილი ვერცხლითა.
დ	(8 აბაზი)	ქ. ერთი კიდევ მომცრო ქვაბი.
ე	(მანეთი)	ქ. ერთი ტაფა.
ვ	(2 მანეთი)	ქ. ფლავის საწურავი თუშფალანგი.
გ	(მანეთ-ნახევარი)	ქ. სინი სპილენძისა.
დ	(მანეთ-ნახევარი)	ქ. ჩამჩა ქაფქირი.
ე	(მანეთი)	ქ. სუფრა ყაშუმი.
ვ	(10 შაური)	ქ. ყმაწვილის აკენის იარაღი.
გ	(3 მანეთი)	ქ. რუსული ზარიანი ფარჩის საბანი.
დ	(3 მანეთი)	ქ. აკენის ზეწარი ფარჩისა.
ე	(მანეთი)	ქ. არტახები ფარჩისა.
ვ	(10 შაური)	ქ. ჩალახეში ჩითით გადაკრული.
გ	(თუმანი)	ქ. ყმაწვილის ერთი ხელი ტანისამოსი საგარეო.
დ	(3 მანეთი)	ქ. ერთი ხელი ტანისამოსი საშინაო.
ე	(თუმანი)	ქ. მუახლე, სახელით მარინე, ერთი.
ვ	(6 მანეთი)	ქ. მუახლის ერთი ხელი ტანისამოსი საშინაო სრულებით.
გ	(თუმანი)	ქ. კიდევ მუახლის ტანისამოსი საგარეო სრულებით უნაკლულო.

- აჭ (15 მანეთი) ქ. ერთი ხელი ქვეშაქები მოახლდა.
- ბ (6 მანეთი) ქ. ერთი. ხალიჩა.
- კ (5 მანეთი) ქ. ერთი ყუთი მოახლისა თავისის წვრიმალითა¹.

ამ ნუსხა არა(?) ჯამი გახლდა ხალასი ასთუთხმეტი თუმანი და რვა-მინათუნი (sic) თეთრი ფული—რეიჯ.

324. 1835 წლ. ივლისი. დანახარჯის ნუსხა სოლომონ თარხანოვისა, შედგენილი-მისი ძმის ლუარსაბ თარხანოვის მიერ. დედანი. ზომა 35,2×21,8 სმ. დაწერი-ლია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წვრილი-საქ. სახ. მუხ. № 5251 Hd.

ქ. საკუთრად მოხმარებული ძმისა ჩემისა გარდაცვალებული-სა-სოლომონისაგან საერთო ყმიდამ თეთრი, რომელიც: ამ ახალს დროსა შინა აქვს დახარჯული, ჩემგან ნახუ-ლი და შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩვენისაცა აქვე დაიწვრება.

- კშ (28 თუმანი) ა. საქართველოს მმართველის კნიაზ ციციანოვისა დრო-სა, ოდეს გაუწყრა ციციანოვი მეითარს, მაშინ მოკრი-ფა საერთოს ყმაში ოცდარვა თუმანი, ვითამც უნდა-წასულიყო რუსეთს და დახარჯა თვით ტფილის(სა) შინა.
- იგ (16 თუმანი) ბ. კვალად მეორესა წელსა შეაწერა სოლომონმა საერ-თოსა ყმათა ჩვენთა ათი ტივი სეკდენბრის თვეში და-რადგან საჩქაროდ ვერ შეიძღეს გამოტანა ტივებისა, ამისათვის აკრიფა თეთრი თექვსმეტი თუმანი და მო-იხმარა თვით და დასამტკიცებლად ამისა მოგახსენებთ, რომ ოანება ყარაული გაილახა მძიმედ ამა საგანსა ზედა.
- იე (70 თუმანი) გ. მთავარმართებლის (რ)ტიშჩევის დროსა აკრიფა საერ-თოს ყმაში სამოცდაათი თუმანი. ვითამც მიზეზ ჰყო, რომ იგი ყიდულობს ოძისის სოფელსა. მაგრამ იქიდან მისცა თავის საკუთარს ვალში ჯვარის მამასა ოცდაათი თუმანი და ბრმა ონანაშვილს სტეფანეს ცხრა თუმანი, თავის საკუთარ ვალში და არა საოჯახოში. და დანარ-ჩენიცა მოიხმარა სრულიად თვით ტფილისსა შინა.
- იეწ (15 თუმანი ჩყეშო (sic) წელსა აკრიფა საერთოს ყმაში სოლომონმა თეთ-და 4 მანეთი) რი თექვსმეტი თუმანი, ოდესაც ვიყავი მე სამართალსა ქვეშე, ვითამც ჩემთვის. და მივიღე იმ თეთრიდამ მხო-ლოდ ექვსი მანათი. ესენი ამ ახალ დროს დახარჯულა

¹ აქ კიდევ მიწერილია: „ღჩ“, ე. ი. 4 თუმანი და 1 მანეთი.

და უწინარეს უსაკობისა ჩემისა დროსა მისგანვე აღე-
ბული თეთრი და გასყიდულნი ამის ქვემოთ დაიწერება.
დროსა საქართველოს მეფისა ირაკლისასა შემდგომ გარ-
დაცვალებისა მამისა ჩუენისა.

- მ (40 თუმანი) მიზეზ ჰყო ვითომ საქორწილოდ და აკრიფა თეთრი ორ-
მოცი თუმანი და არ დაიწერა ჯვარი და დახარჯა ქა-
ლადის თამაშობაში პატა თოფჩიბაშთანა.
- მ (40 თუმანი) კულად მეორედ აკრიფა ორმოცი თუმანი იმავე საქორ-
წილოს მიზეზით.
- ნ (140 თუმანი) ქ. შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩუენისა დანარჩენი
შვიდასი სული ცხვარი გაყიდა საქუთარისა თვისისა-
თვის. ცხვარი სული ორ მანათად, რომელიც აღიწევა
თეთრ ფულად ასორმოც თუმნად.
- რ (100 თუმანი) ქ. მამიჩუენისვე დანარჩენი საფენი, ორხოები, ქეჩები, იან-
ქეჩები, ჯეჯიმები, აბრეშუმისა ჯეჯიმები, შალისა ხა-
ლიჩები, ფარდაგები, ვიდრე სამას ნაჭრამდინ, სრულიად
უხმარებელი, დაყიდა. სრულიად მცირედ ვიტყვი ფასსა
ას თუმანს.
- ს (35 თუმანი) ქ. დანარჩენი მამის ჩუენისა ერთი ყათარი რჩეული ჯორი
დაყიდა. ვარდა ორისა ჯორისა, შვიდი მადნის ბერძნებს
მიყიდა. სიტყვით ეს თქვა. მცირედ თითო ხუთ თუმნად.
- ქ. მამიჩუენისავე რახტებში ერთი დიდი და ორი პატარა,
რომლისა ფასი არა უწყვი მე.
- ქ. თირმა-შალები რამდენი იყო რიცხვით, არ უწყვი მე, და
მხოლოდ ასე უწყვი, რომ ექმნებოდა არა მცირედ, ამის-
თვის რომ იმ დროს ხმარობდნენ როგორადაც წელზედ,
ეგრეთვე თავზედ.
- ქ. დანარჩენი ჭურჭელი სპილენძისა, დიდის მეჯლისის სა-
კმაო, ქებაებითა, სინებით, ლანგრებით, მაჯამაებით, ყა-
ბები და მისივე თეფში, ჯამი და ნალბაქი, სრულებით
დაყიდა, თავისის ორის წყვილის კოკებითა.
- ქ. ჭურჭელი ოცდაათი კაცის საკმაო, ცალკე შენახულ
შამშადილის ალი სულთნისათვის, თავისის ორის სპი-
ლენძის კოკებითა. არა უნიშნოსა ფასისა რიცხვი მოსა-
მართლეთა ჩუენთა აღნიშნეთ როგორც გნებავდეთ.
- ც (16 თუმანი) ქ. ერთი ორხუა, ორი ისპანის ინქეჩა მიყიდა გეურქა მე-
წვრინმალესა. ამისი ფასიც მედიატრედ დასვან სამარ-
თლით წინაშე ღვთისა.
- ქ. დედაჩუენის დანარჩენი ნივთნი თვალი და მარგალიტი
და სხვა ნივთნი შემდგომად გარდაცვალებისა დედისა
ჩუენისა წაიღო ახალქალაქიდან ტფილისს და გაყიდა
და მოიხმარა სრულიად თვით.

- Ⓒ (10 თუმანი) ჩვენი ყმის შვილი ხუცის-შვილის გოგო მიყიდა ნაზარბე-
გიშვილ(ს) გოგისა ათ თუმნად.
- Ⓒ (10 თუმანი) ამ გოგოსავე და მეორე გოგო წაიყვანა და არ ვიცი, ის
ვის მიყიდა ანუ მისცა.
ქ. და სხვა ვერცხლეული, თასები, აზარფეშები და ყოვე-
ლივე სიმდიდრე მამისა ჩვენისა მიიღო სრულებით მან,
განსვენებულმან ძმამან ჩვენმან სოლომონ.
- Ⓒ (2000 თუმანი) გარდა ამისა, რაოდენიცა გაყიდა საოჯახო საერთო ყმა
და მამული და აშენებული სოფლები, სად რაოდენი
იყო, ის ეკითხოს ძმასა ჩვენსა უფალს პოდპოლკოვნიკს
და კავალერს დავით მინბაშსა და მაშინ სცნობთ რაო-
დენი რიცხვი შედგება თეთრისა. ვგონებ ღირებული
იყოს მისგან გასყიდული სოფლები ორი ათასი თუმნად.
- Ⓒ (500 თუმანი) ქ. და ცალკე გასყიდული ქცხინვალში მელქუაშვილები,
შეიძლება თქმად, ღირდნენ ხუთას თუმნად. და დასა-
მტკიცებლად ამა ფასისა მოგახსენებ, რომ როდეს მო-
ვიდა თავადი ლუარსაბ მაჩაბელი რუსეთით, მაშინ იმა
მელქუაშვილებთაგანსა დაახსენებინა თავი ორასოც თუმ-
ნად ერთ კომლსა.

ლუარსაბ თარხანოვი

ჩყლე წელსა, ივლისის თვესა.

325. 1843 წლ. მარტის 28. მზითვის სია კნენინა მარიამ თარხან-მოურავოვისა. დედანი.
ზომა 36,7 X 21,5 სმ. დაწერილია თეთრი ქაღალდის ექვს ფურცელზე მხედრული ხელით.
ტექსტს აქვს შესწორებული და დამატებული ადგილები. განკვეთილ. ნიშნებად აქა-იქ
ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუხ. № 4202 Hd.

რადცა მივეც მზითვად ჩემს სასურველს ასულს, კნენინა მარიამ თავადის
ალექსანდრე დავითის ძის¹ თარხან-მოურავოვისას, ყოველივე ამ სიასა შინა
არის მოხსენებულ სახელდობ. მარტის 28-ს დღესა 1843-ს წელსა.

ხატი ღვთისმშობლისა მოკედილი ვერცხლით და დაფერილი, თავის ნა-
კერის ბუდით.

ხატი მეორე წმინდის ნიკოლოზისა, მოკედილი ვერცხლით.

ამათი ზირანდაზი ნაკერი ლობდანზე.

ამათი ფარდა ლობდნისა.

ამათი შანდანი ვერცხლისა.

სახარება ერთი.

¹ უკანასკნელი 4 სიტყვა დამატებულია სხვა მელნით.

სამოციქულო.

დავითნი.

ერთი ლოცვანი.

გულის იარაღი:

ძეწკვი მარგალიტისა.

ჯუბარი ბრილიანტისა თავისის მარგალიტის ძეწკვით.

ჯუბარი მეორე, ფირუზისა, თავისის მარგალიტის ძეწკვით.

კიდევ გულზედ შესაბმელი მტრედი, რუსული ხელოვნებაზედ გაკეთებული.

საყურები ბრილიანტისა.

მეორე საყურე მინაქრისა.

მესამე საყურე ამადისტოსი, რუსულის ხელოვნებისა.

ბეჭედი პირველი, ალმაზისა.

ბეჭედი მეორე, ზურმუხტისა ბრილიანტ-შემოვლილი.

ბეჭედი მესამე, ალმაზისა.

ბეჭედი მეოთხე, კიდევ ზურმუხტისა.

ბეჭედი მეხუთე, წითლის იაგუნდისა.

ბეჭედი მეექვსე, ზურმუხტისა.

ბეჭედი მეშვიდე, ლალისა.

ბეჭედი მერვე, ფირუზისა.

ბეჭედი მეცხრე, იაგუნდისა, პატარა.

